

მაცნე

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია


11972



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 საზოგადოებრივ მეცნიერებათა
 განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
 Отделение общественных
 наук

59



თბილისი. 1972. ტბილისი



МАЦНЕ

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅՈՒՆ

ВЕСТНИК

Серия истории,
археологии, этнографии и
истории искусства

1.1972

გაცნე

47.63) 06
2-49

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

12038

საბავშვო პარკის
მუზეუმი

11972

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი,
ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კვიციანი (რედაქტორის მოადგილე),
ვ. მელიქიშვილი (რედაქტორი), შ. მესხია, ვ. ნიტიაი, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе,
В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (зам. редактора), Р. К. Квициани (зам. редактора),
Г. А. Меликишвили (редактор), Ш. А. Месхиа, Г. С. Читая, Л. А. Чилашвили.

პასუხისმგებელი მდივანი ე. ვაშაკიძე
Ответственный секретарь Э. Вашакидзе

შ ი ნ ა ა რ ს ი

წერილები

ა. სოფია, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ტექნიკის რაციონალური გამოყენებისათვის ბრძოლის ისტორიიდან (1951—1957 წწ.)	7
ბ. სამსონაძე, საქართველოს საგარეო ვაჭრობის ისტორიიდან XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. დასაწყისში	20
ბ. აბრამიშვილი, ატენის სიონის ორი სამშენებლო პერიოდი	32
გ. ლუნუა, ლომის გამოსახულებიანი კოლხური თეთრის გუნებისათვის	56
შ. ჩართოლანი, წყალმომარაგების უძველესი ძეგლები სვანეთში	74

დისკუსია და პანელი

ი. ანთონაძე, ცვლილებები XVIII საუკუნის საქართველოს ფეოდალურ მიწათმფლობელობაში	95
პ. პამბუკელი, „ლეიანობის“ სოციალურ-ეკონომიური ნიადაგი XVIII საუკუნეში	111

ცნობები და შენიშვნები

მ. ახრიაძე, ბერძენეთის გლენთა ანტიბატონიკური გამოსვლა	125
წ. სტანაძე, ტერინი „აუცალაობდა“-ს განმარტებისათვის	129
ა. ანდრიაძე, ერთი სომხური ანდერძ-მინაწერი ბასიანის ბრძოლის შესახებ	133
ს. ჩიქვანი, სოფლის სასტუმრო სახლების მშენებლობის ტრადიციის შესახებ კოლხეთის ტერიტორიაზე	140
ლ. გელიძე, ჯიბეულთა საქორწინო ურთიერთობის ისტორიიდან	145
ნ. თაყაიშვილი, ხის ნეკროტომიანი უცნობი ძეგლი აჭარაში	154

პრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნ. ნაკაშიძე, საინტერესო განოკლევა	162
ბ. ჩანაშვილი, ეთნოგრაფიული გამოკლევა ტყიბულის მუშახტეთა შესახებ	166

ქრონიკა და ინფორმაცია

ირაკლი ანთელავის დიპლომის 60 წლისთავი	169
მ. აბაშვილი, საბჭოთა და ინდოელი ანთროპოლოგების ერთობლივი გამოკლევის შესახებ	170
მ. პირაძე, რაჭის ისტორიულ-ეოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში	179
მ. ნიკოლაიშვილი, გელაისის სახალხო აკადემია	182
დომენტი ქორიძე (ნეკროლოგი)	184
თამარ შამალაძე (ნეკროლოგი)	186

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

А. СОПИЯ, Из истории борьбы за рациональное использование техники машинно-тракторных станций (1951—1957 гг.)	7
М. САМСОНАДЗЕ, Из истории внешней торговли Грузии в конце XVIII — начале XIX вв.	90
Г. АБРАМИШВИЛИ, Два строительных периода Атенского Сиона	32
Г. ДУНДУА, К происхождению колхидок с изображением льва	56
Ш. ЧАРТОЛАНИ, Древнейшие памятники по водоснабжению Сванетии	74

ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

И. АНТЕЛАВА, Изменения в феодальном землевладении Грузии в XVIII веке	95
В. ГАМРЕКЕЛИ, Социально-экономическая почва «лекианоба» в XVIII в.	111

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

М. АХОБАДЗЕ, Антикрепостническое выступление бершуетских крестьян	125
Дж. СТЕПНАДЗЕ, К разъяснению термина «моцалеоба»	129
А. АБДАЛАДЗЕ, Армянская памятная запись о Баснанской битве	133
Т. ЧИКОВАНИ, О традиции строительства сельских гостинных домов на территории Колхиды	140
Л. МЕЛИКИШВИЛИ, Из истории брачных отношений грузин-горцев	145
И. ТАВАРТКИЛАДЗЕ, Неизвестный памятник резьбы по дереву в Аджарии	154

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Н. НАКАШИДЗЕ, Интересное исследование	162
Г. ЧАЧАШВИЛИ, Этнографическое исследование о ткибульских шахтерах	166

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

60-летие со дня рождения И. Антелава	169
М. АБДУШЕЛИШВИЛИ, О совместных исследованиях советских и индийских антропологов	170
Т. БЕРАДЗЕ, Краткий отчет рачинской историко-географической экспедиции	179
М. НИКОЛЕРИШВИЛИ, Гелатская народная академия	182
Д. Коридзе, (некролог)	181
Т. Мамаладзе, (некролог)	186

ალექსანდრე სოზია

მანქანა-ტრაქტორთა საღმურავის ტექნიკის რაციონალური
 გამოყენებისათვის ბრძოლის ისტორიიდან
 (1951—1957 წწ.)

სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვების დასრულების პერიოდში ტექნიკის როლი სოციალისტურ მიწათმოქმედებაში, კერძოდ საკოლმეურნეო წარმოებაში, კიდევ უფრო გაიზარდა. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა კოლმეურნეობის საწარმოო მომსახურებას მტს-ების მეშვეობით ახორციელებდნენ. ამიტომ მტს-ების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და მათი მართვის გაუმჯობესების საქმეს უდიდესი ყურადღებით ეკიდებოდა სკკპ და საბჭოთა მთავრობა. აღსანიშნავია, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1951 წლის 29 სექტემბერს მიიღო ლაღგენილება „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის პლენუმმა, სადაც იხილებოდა საკითხი „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, ერთ-ერთ მთავარ საკითხად გამოყო „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში მათი როლის გაძლიერების შესახებ“².

სკკპ ცენტრალური კომიტეტი შემდგომ პლენუმებზე და პარტიის XX ყრილობაზე, სოფლის მეურნეობის განვითარების მორიგი ამოცანებისათვის საჭირო ღონისძიებათა შორის, კვლავ დიდ ყურადღებას უთმობდა მტს-ების მწარმოებლურობის შემდგომი აღმავლობის უზრუნველყოფას.

სკკპ და საბჭოთა მთავრობის ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობაში (1951-1957 წწ.), განსაკუთრებული ადგილი ეკავა მტს-ების ქსელის ეკონომიურად მართებულ განლაგებას, მტს-ების ტექნიკის რაციონალურად გამოყენებასა და კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საკითხებს.

მტს-ების ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის თებერვლის პლენუმმა აღნიშნა, რომ „მტს-ები იყო ის დიდი პოლიტიკური და მაორგანიზებელი ძალა, რომლის გარშემო გლეხები ერთიანდებოდნენ კოლმეურნეობებად და რწმუნდებოდნენ მსხვილი სამანქანო სოფლის მეურნეობის უპირატესობაში; მტს-ების საშუალებით ხორციელდებოდა ტექნიკური პროგრესი სოფლის მეურნეობაში და მისი ხელახალი შეიარაღება ახალი ტექნიკის ბაზაზე, მექანიზატორთა კვალიფიციუ-

¹ სკკპ და საბჭოთა მთავრობის დირექტივები სამეურნეო საკითხების შესახებ (რუს.), ტ. 3, 1958, გვ. 593—607.

² სკკპ რეზოლუციებში, III, თბ., 1956, გვ. 882—899.

რი კადრების მომზადება, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამღობვა- მანქანა-ტრაქტორთა სადგურების უდიდესი მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობდა, რომ ისინი წარმოადგენდნენ პურისა და კვების სხვა პროდუქტების, აგრეთვე მრეწველობისათვის ნედლეულის მიღების დიდმნიშვნელოვან წყაროს³.

საქართველოს კომუნისტური პარტია ახორციელებდა რა, ომისშემდგომ პერიოდში კომპლექსურ ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის წარმოების აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მტს-ების ტექნიკის სრულყოფილი გამოყენების საქმეს. ამის შედეგად ომისშემდგომ პერიოდში საგრძნობლად შეიცვალა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე, როგორც საბჭოთა მეურნეობებში, ისე საკოლმეურნეო წარმოებაში.

მეოთხე ხუთწლეულში გაიზარდა ტრაქტორებისა და კომბაინების საშუალო წლიური დატვირთვა. 1940 წელს რესპუბლიკაში 15 ძალიანზე გადაყვანით ერთი ტრაქტორის საშუალო გამომუშავება შეადგენდა 296,5 ჰექტარს, ხოლო 1949 წელს — 323, 1950 წელს კი 344 ჰექტარამდე გაიზარდა⁴.

ტრაქტორების საწარმოო შესაძლებლობისა და მოწინავე გამოცდილებათა მიხედვით მტს-ებს საშუალება ჰქონდათ წლიური დამუშავება გაეზარდათ 350-450-500 ჰექტარამდე. ამ ვარაუდის რეალობაზე მიგვიითებებს რესპუბლიკის მთელი რიგი მტს-ების 1950 წლის სამეურნეო საქმიანობის მაჩვენებლები. 15 ძალიანზე გადაანგარიშებით წითელწყაროს მტს-ის ერთმა ტრაქტორმა 1950 წელს საშუალოდ დაამუშავა 530 ჰექტარი, შირაქის — 471, ალაზნის — 476, ლაგოდეხის — 469, მარნეულის — 470, ხაშურის — 423 ჰექტარი და ა. შ. რესპუბლიკაში მტს-ების ერთი 15 ძალიანი ტრაქტორის წლიური გამომუშავება 1950 წელს 1945 წელთან შედარებით 142,2%-ით გაიზარდა მაგრამ, ამასთან ერთად, მთელმა რიგმა მტს-ებმა (იმავე წელს) ერთ 15 ძალიან ტრაქტორზე წლიური გამომუშავების შედარებით დაბალი დონე გვიჩვენეს, სახელდობრ: ხობის, ქობულეთის, გუდაუთის, გეგეკორის, მახარაძის, თერჯოლის, წულუკიძის, დმანისისა და სხვ.⁵

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ერთნაირი ბუნებრივი პირობების მქონე მტს-ების, ერთი და იგივე მარკის ტრაქტორების საშუალო წლიური დატვირთვა 1950 წლის სამეურნეო მაჩვენებლების მიხედვით ზოგჯერ ერთიმეორისაგან დიდად განსხვავდება. ქუთაისის მტს-ის ყოველმა 15 ძალიანმა ტრაქტორმა 1950 წელს დაამუშავა 344 ჰექტარი, მაშინ როდესაც თერჯოლის მტს-ებმა — 202 ჰექტარი, წულუკიძის — 215, დმანისის — 224, ასევე აგარის მტს-ის 15 ძალიანი ტრაქტორის საშუალო დატვირთვა იმავე წელს შეადგენდა 414 ჰექტარს, ხოლო ქარელის მტს-ის 215. მსგავსი სურათი იყო ზუგდიდისა და ხობის, ოჩამჩირისა და გულრიფშის მტს-ების სამეურნეო საქმიანობაში⁶.

3 სკკ რეზოლუციებში, IV, თბ., 1962, გვ. 410—411.

4 განგარიშებანი გაკეთებულია მტს-ის წლიური ანგარიშების მიხედვით.

5 სკკ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიული არქივი (შემდეგში: პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 22, საქ. 63, ფ. 3—4.

6 იქვე.

ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ ქარელის მტს-ის „სტზ“ მარკის თითო-ეულმა ტრაქტორმა 150 წელს გამოიმუშავა 192 ჰექტარი, ხოლო მის მეზობლად რუისის მტს-ის იმავე მარკის ტრაქტორებმა—498, აგარის—372, ხაშურის — 634 ჰექტარი. ასევე შულავერის მტს-ის „სტზ“-ის მარკის ერთმა ტრაქტორმა გამოიმუშავა 265 ჰექტარი, ხოლო მის მეზობლად მარნეულის მტს-ის იმავე მარკის ყოველმა ტრაქტორმა — 550 ჰექტარი. ძალიან საინტერესოა კიდევ ერთი დამახასიათებელი ფაქტი — გუდაუთის მტს-ის „სტზ“-ს № 30, 28, 26, 24, 21, 16 და სხვა ტრაქტორებმა 1950 წელს მოგვეცეს დაბალი მაჩვენებლები მაშინ, როდესაც იმავე მარკის № 20 ტრაქტორით, იმავე მტს-ის ტრაქტორისტიმა ნ. ჯაფახიშვილმა მსუბუქ ხენაზე გადაყვანით 1117 ჰექტარი მიწა მოხნა⁷.

ამრიგად, მეოთხე ხუთწლეულის დამამთავრებელ წელს რესპუბლიკის მტს-ებმა წლიური გეგმა გადამეტებით შეასრულეს, მაგრამ ზოგიერთი მტს-ებისა და ცალკეული ბრიგადების ტრაქტორების წლიური საშუალო დატვირთვა ჯერ კიდევ დაბალი იყო. ამის ძირითადი მიზეზები შემდეგი იყო:

- ა. ტრაქტორების შეკეთების დაბალი ხარისხი⁸;
- ბ. ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოვლისა და შენახვის ტექნიკური წესების დარღვევა⁹;
- გ. შრომის ორგანიზაციის დაბალი დონე¹⁰;
- დ. ტრაქტორების სახეობათა არადიფერენცირებული, არა დანიშნულები-სამებრ გამოყენება;
- ე. ტრაქტორისტთა კადრების უკმარობა და კვალიფიკაციის დაბალი დონე¹¹;
- ვ. კადრებს შორის სუსტი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა¹².
- ზ. სუსტი ხელმძღვანელობა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისადმი.

ყოველივე ამის გამო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში ცალკეულ სამუშაოთა მექანიზაციის დონე დაბალი იყო. მეხუთე ხუთწლეულის დამდგენისათვის თესვის მექანიზაცია შეადგენდა 32%-ს. მარცვლეულის აღების (სიწინდის ჩათვლით) — 18, თიბვის — 4, მზესუმზირის აღებისა — 24, დასილოსების — 31, ანეულის ხვნის — 72, მზრალად ხვნის — 70 და სხვ. ხოლო, რაც შეეხება მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას, მხოლოდ და მხოლოდ საფუძველი ეყრებოდა.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ მეხუთე ხუთწლეულში სოფლის მეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანების შესაბამისად მექანიზაციის როლის შეზღოვანი ამძღვლების უზრუნველსაყოფად მტს-ების სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებისათვის დასახა კომპლექსური ხასიათის ღონისძიებანი. ამ ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფის საქმეში ფართოდ იქნა გამოყენებული სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტური მეთოდი — სოციალისტური შეჯიბრება¹³.

⁷ პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 22, საქ. 63, ფურც. 35—40.

⁸ იქვე, საქ. 62, ფურ. 35—40.

⁹ სკვპ და საბჭოთა მთავრობის დირექტივები სამეურნეო საკითხების შესახებ (რუს.), ტ. III, 1958, გვ. 594.

¹⁰ იქვე.

¹¹ პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 22, საქ. 63, ფ. 55—60.

¹² იქვე.

¹³ იქვე, ფურც. 40—60.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ავტონომიურ ოლქებს, რაიონებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ მტს-ები, სატრაქტორო ბრიგადები, კოლმეურნეობათა საწარმოო ბრიგადები, რგოლები და მეცხოველეობის ფერმები. მაქსიმალური აქტივობით დაიწყო შემოქმედებითი შრომა მეხუთე ხუთწლედის მთავარი ამოცანის ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის მნიშვნელოვანი გადიდების, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის სწრაფი გამრავლებისა და ამავე დროს მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი გადიდების, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად. ამ ამოცანის გადაჭრა მოითხოვდა პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და საბჭოთა ორგანოების შემოქმედებით ინიციატივას ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სრულყოფილი გამოყენების, შრომის რესურსების სწორი ორგანიზაციის, საკოლმეურნეო წარმოების განუხრელი აღმავლობის უზრუნველსაყოფად, შინაგანი რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისა და შრომისნაყოფიერების ყოველმხრივი ამაღლების, მეცნიერული მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისა და წარმოებაში დანერგვის უზრუნველყოფის გადასაჭრელად¹⁴.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებამ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის საქმეში პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ ფართო გამოხმაურება ჰპოვა რესპუბლიკაში. 1951 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში მას მიეძღვნა პარტიული და სამეურნეო აქტივის, მტს-ების მუშაკთა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, წარმოება-დაწესებულებების მუშაკთა კრებები. ამასთან დაკავშირებით განხილულ იქნა (ადგილებზე) სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა და დაისახა ღონისძიებანი სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და აღებული ვალდებულებების შესრულების შემოწმება-კონტროლის საქმეში ხელმძღვანელობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად¹⁵.

1951 წლის დამდეგიდან ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის წარმოების, განსაკუთრებით მეცხოველეობის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის. მოძმე სომხეთის სსრ მეცხოველეობა, ზოოტექნიკოსები, ვეტექიმები, აგრონომები და სოფლის მეურნეობის მეცნიერი მუშაკები, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების გეგმის განხორციელების უზრუნველყოფისათვის 1951 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ მოძმე საქართველოს მეცხოველეობთან, ვეტექიმებთან, ზოოტექნიკოსებთან, მექანიზატორებთან და აგრონომებთან. სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებაში მეცხოველეობის განუხრელი აღმავლობისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების უზრუნველყოფის საქმეში განსაკუთრებული ადგილი ეკავა მეცხოველეობაში შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის საქმეს.

საკოლმეურნეო წარმოებაში მტს-ების პარკის რაციონალური გამოყენებისათვის გამართულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელსაც პარტიული ორგა-

¹⁴ პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 22, საქ. 141, გვ. 115—120.

¹⁵ იქვე, საქ. 154, ფურც. 120—122.

ნიზაციები ჩაუდგნენ სათავეში, გარკვეული შედეგები გამოიღო როგორც 1951, ისე მომდევნო წლებში.

საქართველოს მტს-ებმა 1953 წლის გეგმა 104,4%-ით შეასრულეს. განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს მთელმა რიგმა მტს-ებმა, სახელდობრ: ავენის, ლაგოდხის, ქედას, ულიანოვის და სხვ. სარეკორდო მაჩვენებლები მოგვეცეს ცალკეულმა ბრივადებმა და ტრაქტორისტებმა. ავენის მტს-ის სატრაქტორო ბრივადამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ხუციშვილი, 1953 წელს 3527 ჰექტარით მეტი მოხნა, ვიდრე ამბროლაურისა და ცაგერის ერთად აღებულმა მტს-ებმა¹⁶. ერთი 15 ძალიანი ტრაქტორის საშუალო გამომუშავება 1950 წელსთან შედარებით 235 ჰექტარიდან 1953 წელს 325 ჰექტარამდე გაიზარდა, ე. ი. ტრაქტორების წლიური საშუალო დატვირთვა 90 ჰექტარით გადიდა¹⁷.

აღებულ პერიოდში ასევე გაუმჯობესდა კომბაინების საერთო და წლიური დატვირთვის ორგანიზაცია. კომბაინებით აღებული მზესუმზირა და მარცვლეული 1946 წელს 1940 წელსთან შედარებით შეადგენდა 90,4%-ს, 1950 წელს — 120,2; 1953 წელს — 325,9%-ს¹⁸, 1950 და 1953 წლებში მტს-ების მიერ კოლმეურნეობებში კომბაინით შესრულებული სამუშაოების დინამიკა შეადგენდა შესაბამისად 134 და 271%-ს¹⁹. ასევე გარკვეული წარმატებები იქნა მოპოვებული რესპუბლიკის მტს-ების თანამედროვე ტექნიკით აღჭურვის საქმეში, რომელმაც შესაძლებელი გახადა სოფლის მეურნეობის შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის, კოლმეურნეთა შრომის შემსუბუქებისა და შრომის მწარმოებლურობის ამაღლება. 1953 წელს მტს-ების მეშვეობით რესპუბლიკის კოლმეურნეობებში სატრაქტორო სამუშაოები მსუბუქ ხვნაზე გადაყვანით 1940 წელსთან შედარებით შესრულებულ იქნა 177%-ით. 15 ძალიანზე გადაყვანით ერთი ტრაქტორის საშუალო წლიური დატვირთვა გაიზარდა 17,4%-ით. კომბაინის — 12%-ით და ერთი ჰექტარის თვითღირებულება შემცირებულ იქნა 11 მანეთით²⁰.

მეხუთე ხუთწლედში განუხრელად იზრდებოდა ტრაქტორების, კომბაინებისა და ტექნიკის სხვა სახეობის რაოდენობა, უმჯობესდებოდა მისი სტრუქტურა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოების მოცულობა. საქართველოს სსრ მტს-ების პარკის ძირითადი სახეობის (ტრაქტორებისა და კომბაინის) მიერ მეხუთე ხუთწლედის პირველი სამი წლის მანძილზე კოლმეურნეობებში შესრულებულ სამუშაოთა საერთო მოცულობა შესაბამისად 191,6 და 271%-ით გაიზარდა. მაგრამ მის მიღმა იმალებოდა მანქანების (ტრაქტორის, კომბაინის და სხვა) დატვირთვის ჯერ კიდევ დაბალი დონე. 1953 წელს ერთი ტრაქტორის (15 ძალიანზე გადაყვანით) წლიური დატვირთვის კოეფიციენტი 1950 წელსთან შედარებით 8 ჰექტარით შემცირდა, ხოლო კომბაინის — 45 ჰექტარით²¹. ყოველივე ამის მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ჯერ კიდევ ადვილი ჰქონდა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს მტს-ების მუშაობაში.

16 ვ. რეხვიავილი, ტექნიკური პროგრესი და შრომის მწარმოებლურობის ზრდა სოფლის მეურნეობაში, თბ., 1969, გვ. 38.

17 პარტიკლი არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 52, საქ. 1, ფურ. 212.

18 იქვე, გვ. 212.

19 იქვე, საქ. 20, ფურ. 24.

20 იქვე, ფურ. 7, 24, იქვე, საქ. 1, ფურ. 57—58.

21 ვ. რეხვიავილი, ტექნიკური პროგრესი და შრომის მწარმოებლურობის ზრდა სოფლის მეურნეობაში, თბ., 1969, გვ. 38.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილებაში ამ ნაკლოვანებათა შესახებ ნათქვამია:

„მტს-ების უმრავლესობაში ცუდად არის დაყენებული ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტისა და შენახვის საქმე. ბევრ მტს-ში არ არის სარემონტო სახელოსნოები და საჭირო მოწყობალობა, გარაეები და ფარდულები სასოფლო-სამეურნეო მანქანების შესანახავად, აგრეთვე სხვა საწარმოო და საყოფაცხოვრებო შენობები.

მტს-ების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება დამაკმაყოფილებლად არ არის მოწყობილი“²².

მტს-ების მუშაობაში ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებანი დამახასიათებელი იყო საქართველოს მტს-ების უმრავლესობისათვის.

ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შედეგად მტს-ების მუშაობის გაუმჯობესებისა და საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგის მექანიზაციაში მათი როლის შემდგომი გაძლიერების მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ამ დადგენილებით მტს-ებს დაეკისრათ, რომ უახლოეს ვადაში კოლმეურნეობებში მიედწიათ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობისა და მეცხოველეობის სულადობის ზრდის, მისი პროდუქტიულობის გადიდებისათვის. ამ მიზნით პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია: „მტს-ებმა უნდა დაამთავრონ მემინდვრობაში სამუშაოთა მექანიზაცია, ფართოდ გააჩაღონ მეცხოველეობაში, კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოებაში შრომატევადი პროცესების მექანიზაცია, საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგონ მეცნიერებისა და მოწინავე პრაქტიკის მიღწევანი, უზრუნველყონ კოლმეურნეობათა შემდგომი საორგანიზაციო-სამეურნეო განმტკიცება და ამ საფუძველზე კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება“²³.

ამასთან ერთად სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დასახა ღონისძიებანი მტს-ებისათვის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მათი მატერიალური დაინტერესების ამაღლებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. ასევე დაასახა ღონისძიებანი მტს-ების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერების, მათი რთული ტექნიკური აღჭურვილობის შესაბამისად საწარმოო ტექნიკური ბაზის — სახელოსნოების, გარაეებისა და ფარდულების მოკლე დროში მოწყობის შესახებ²⁴.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად წინასწარ შეისწავლა საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოების საქმეში არსებული ნაკლოვანებანი და 1953 წლის ოქტომბრის პლენუმზე განიხილა „სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში“²⁵.

პლენუმზე ერთსულოვნად აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის განუხრელი ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომე-

22 სკკპ რეზოლუციებში, III, თბ., 1956, გვ. 883—884.

23 იქვე.

24 სკკპ რეზოლუციებში, III, თბ., 1956, გვ. 885—890.

25 საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოები, თბ., 1970, გვ. 107.

ლებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

მაგრამ ამასთან ერთად, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამხილეს სერიოზული ნაკლოვანებანი როგორც მემინდვრობის, ისე მეცხოველეობის განვითარების საქმეში. პლენუმმა აღნიშნა, რომ სკკვ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში აღნიშნული ნაკლოვანებანი მთლიანად შეეხებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობასაც. განსაკუთრებით ხაზი გაესვა რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის მექანიზაცია-ელექტროფიკაციის, კერძოდ მტს-ების მანქანა-იარაღების, გამომუშავების კოეფიციენტის დაბალ დონეს.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა პარტიის საოლქო, რაიონულ კომიტეტებს, პირველად ორგანიზაციებს, სოფლის მეურნეობისა და დამზადების სამინისტროებს დაავალა გაატარონ სკკვ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის მიერ დასახული კომპლექსური ღონისძიებანი მტს-ების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, ტექნიკის მიერ გამომუშავების კოეფიციენტის მნიშვნელოვანწილად ამაღლების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის მიერ სკკვ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების განხორციელებისათვის კომპლექსური ღონისძიებების გატარებით 1954 წლისათვის გარკვეული წარმატებები მოიპოვეს მტს-ების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებასა და სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების მექანიზაციაში. 1955 წლის პირველი იანვრისათვის საქართველოს მტს-ებში ტრაქტორების რიცხვი 1950 წელთან შედარებით გაიზარდა 30%-ით, ხოლო კომბაინების — 92%-ზე მეტად. 1950—1954 წლებში მტს-ებმა შეიძინეს 19940 ტრაქტორი, 847 კომბაინი, 3145 გუთანნი, 2394 კულტივატორი, 1950 სათესი მანქანა. მათ შორის 564 კვადრატულბუდობრივი სათესი მანქანა და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა. ყოველივე ამის შედეგად დიდად გაიზარდა მექანიზაციის დონე როგორც მემინდვრობის, ისე მესაქონლეობის დარგში. მტს-ების მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა 1954 წლისათვის 1950 წელთან შედარებით 106%-ს შეადგენდა, ე. ი. გაიზარდა 6%-ით.

1954 წელს მემინდვრობის დარგში მექანიზაციის დონე უდრიდა: ხვნაში — 82%-ს, თესვაში — 80, კომბაინით მოსავლის აღებაში — 71, თიბვაში — 40, დასილოსებაში — 84 და ლეწვაში — 90,0%-ს. ასევე გაიზარდა 15 ძალიანი ტრაქტორის წლიური საშუალო გამომუშავება. რბილ ხვნაზე გადაყვანით შესრულებულ იქნა 358 ჰექტარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 303 ჰექტარისა, ე. ი. 55 ჰექტარით მეტი.

კარგი მაჩვენებლები მოგვცეს 1954 წელს ზოგიერთმა მტს-ებმა. წითლის მტს-ებში 15 ძალიანმა ტრაქტორმა რბილხვნაზე გადაყვანით შეასრულა 637 ჰექტარი, ქუთაისის — 564, აბაშის — 510, შირაქის — 403; ულიანოვკის — 550 ჰექტარი და სხვ.²⁶

საქართველოში მექანიზაციის დონე მემინდვრობის დარგებიდან ყველაზე უფრო დაბალი იყო მეჩაიეობაში, მევენახეობაში, მეთამბაქოეობაში და მეხილეობა-მებაღეობაში. ამიტომ საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ხელ-

²⁶ პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 34, საქ. 4, ფურც. 173.

მძღვანელობით მტს-ებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ამ დარგების წარმოებაში მექანიზაციის დონის შემდგომ ამაღლებას. როგორც ცნობილია, საქართველოში მევენახეობის განვითარების საკითხს საკავშირო მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. მევენახეობის დარგში მექანიზაციამ მეხუთე ხუთწლედის დასასრულისათვის დაიკავა საპატიო ადგილი. საქართველოს კ ცენტრალურმა კომიტეტმა 1956 წლის ნოემბრის პლენუმზე განიხილა საკითხი: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მევენახეობისა და მებაღეობის განვითარების შესახებ“²⁷ და მიიღო დადგენილება მევენახეობის შემდგომი განვითარების რეზერვების რაციონალურად გამოყენების უზრუნველსაყოფად. მევენახეობის წარმოების ერთ-ერთ ძირითად რეზერვს წარმოადგენდა შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის შემდგომი ამაღლება. თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მევენახეობაში მექანიზაციის დანერგვას მიგვიჩიოთ, რომელი რაიონის — გურჯაანისა და ზესტაფონის მტს-ების სამეურნეო საქმიანობის შედეგები.

მექანიზაციის დანერგვამდე გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობები, ზესტაფონის რაიონის კოლმეურნეობებთან შედარებით, ყურძნის გაცილებით ნაკლებ მოსავალს იღებდნენ, მაგრამ როცა გურჯაანის რაიონის ვენახებში მექანიზაციის გამოყენებას სერიოზული ყურადღება მიექცა სურათი არსებითად შეიცვალა. მაგალითად, 1951—1955 წლებში გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებში საშუალოდ მიღებულია ჰექტარზე 63 ცენტნერი ყურძენი, ხოლო ზესტაფონის კოლმეურნეობებმა ამავე პერიოდში მიიღეს მხოლოდ 42 ცენტნერი²⁸, ე. ი. 21 ცენტნერით ნაკლები. გურჯაანის რაიონის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა მევენახეობის შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის შედეგად უფრო მეტი წარმატებები მოიპოვეს. სოფ. ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ 1954 წელს 95 ჰექტარიდან საშუალო საჰექტარო მოსავალი მიიღო 129,5 ცენტნერი ყურძენი. ასეთივე წარმატებები ჰქონდათ მექანიზაციის დონის ამაღლების შედეგად თელავის რაიონის მევენახეებსაც.

მტს-ების მიერ ყველა მარკის ტრაქტორებისათვის დიფერენცირებული გრაფიკის და მისი შესრულებისადმი კონტროლის გაუმჯობესების შედეგად გაიზარდა წყების დატვირთვის შესრულების კოეფიციენტი. წითლის მტს-ებმა ყოველ ტრაქტორზე წყების დატვირთვის 1954 წლის გეგმა შეასრულეს 110%-ით. ულიანოვკის — 127%-ით. მსგავსე წარმატებებს მიაღწია ბევრმა სხვა მტს-მა.

ყოველი მარკის ტრაქტორთა წლიურ გამომუშავებაში სარეკორდო მაჩვენებლებს მიაღწიეს მთელმა რიგმა სატრაქტორო ბრიგადებმა და ტრაქტორისტებმა. წითლის მტს-ის № 4 ბრიგადამ, რომლის ბრიგადირად მუშაობდა შ. ხატიანელი, 1954 წლის გეგმა შეასრულა 128%-ით, ბრიგადამ მსუბუქ ხენაზე გადაყვანით მოხნა 8252 ჰექტარი და დაზოგა 2358 კგ. საწვავი მასალა. აპენის მტს-ის ტრაქტორისტმა კაციტაძემ ტრაქტორ „დტ“ 54-ით მოხნა 2130 ჰექტარი, ხოლო მახარაძის მტს-ის ტრაქტორისტმა ვასაძემ ტრაქტორ „სტხ-ნატი“-ით მოხნა 1752 ჰექტარი, 1800 კგ. საწვავი მასალის ეკონომია გააკეთა. ასეთივე წარმატებანი ჰქონდათ რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს.

27 საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოები, თბ., 1970, გვ. 113.

28 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 49, საქ. 42, ფ. 27.

ყოველივე ამის შედეგად, რესპუბლიკის მტს-ების მიერ კოლმეურნეობებისათვის (რბილ ხენაზე გადაყვანით) მიწის სამუშაოები 1954 წელს შესრულებულ იქნა 2778767 ჰექტარის მოცულობით, მაშინ როცა გეგმა ითვალისწინებდა 2420437 ჰექტარს, ე. ი. წლიური გეგმა შეასრულეს 18%-ის გადაჭარბებით²⁹.

ასევე გაიზარდა კომბაინების წლიური დატვირთვაც. მარტყოფის მტს-ის ყოველმა 15 ფუტიანმა კომბაინმა 1954 წელს შეასრულა 398 ჰექტარის სამუშაო, ბადიაურის — 344, ბოლნისის — 338 ჰექტარი და ა. შ.

1954 წელს, როგორც ზემოთ მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების მექანიზაციის ამაღლებაში, ეს განხორციელებულ იქნა ორი გზით: პირველი, მტს-ებში უახლესი ტექნიკის დანერგვით; ხოლო მეორე, ყოველი მარკის ტრაქტორის საშუალო-წლიური დატვირთვის სწორი ორგანიზაციისა და მისი შესრულებისათვის კონტროლის სრულყოფით.

ამრიგად, საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მტს-ების ინჟინერ-მექანიზატორთა და სხვა მუშაკთა თავდადებულმა ბრძოლამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის დიდად შეუწყო ხელი რესპუბლიკის მტს-ების მუშაობის გაუმჯობესებას, კერძოდ ყოველი მარკის ტრაქტორის საშუალო დატვირთვის შემდგომ გადიდებას.

მტს-ების ტექნიკის ექსპლუატაციის სწორმა ორგანიზაციამ 1954 წელს ხელი შეუწყო რესპუბლიკის კოლმეურნეობების საქმიანობის ერთგვარი წარმატებებით დამთავრებას. გაიზარდა სოფლის მეურნეობის ზოგიერთი კულტურის მოსავლიანობა, ამაღლდა საზოგადოებრივი მეურნეობის პროდუქტების სასაქონლო დონე. ამის შესაბამისად გადიდდა კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალი, განუყოფელი და წარმოების ძირითადი ფონდები. კოლმეურნეობები გადაიქცნენ ორგანიზაციულად მტკიცე და ძლიერ მეურნეობებად. უნდა ითქვას, რომ 1954 წელს 1940 და 1941 წლებთან შედარებით რესპუბლიკის კოლმეურნეობებში ყურძნის წარმოება თითქმის 3-ჯერ გაიზარდა, კურკოვანი და თესლოვანი ხეხილის — 2-ჯერ და მეტად, ჩაის მწვანე ფოთლის მოსავლიანობა — 1,7-ჯერ და ა. შ. ასევე გაიზარდა აღნიშნული კულტურების საჰექტარო მოსავლიანობა და მათი სასაქონლო ნაწილის მოცულობა. 1954 სამეურნეო წელს ერთ ჰექტარზე საშუალოდ მიღებულ იქნა ხარისხოვანი ჩაის ფოთლი 2,5 ცენტერამდე, ყურძენი — 55 ცენტერი, თამბაქო — 10,01 ცენტერი და ა. შ.

ცალკეულმა კოლმეურნეობებმა საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის უფრო მაღალი სარეკორდო მაჩვენებლები მოგვეცეს. ქობულეთის რაიონის სოფელ დავვას ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ 161 ჰექტარი ჩაის მოსავლიან პლანტაციიდან საშუალო საჰექტარო მოსავალი მიიღო 5970 კილოგრამი, ხოლო მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ 199 ჰექტარიდან ყოველ ჰექტარზე — 5146 კგ., გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობამ 90 ჰექტარი ვენახიდან საშუალო საჰექტარო მოსავალი მიიღო 129 ცენტერი, ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ 38 ჰექტარი ვენახიდან საშუალო საჰექტარო მოსავალი მიიღო 83 ცენტერი; თელავის რაიონის სოფელ

²⁹ პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 34, საქ. 4, ფურც. 166—766 და 173—175.



არქანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ 40 ჰექტარიდან ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 150,6 ცენტნერი ყურძენი. ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ 50 ჰექტარი თამბაქოს პლანტაციიდან ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 24,5 ცენტნერი, ე. ი. რესპუბლიკაში საშუალო საჰექტარო მოსავალთან შედარებით თითქმის 2,5-ჯერ მეტი. 1954 წელს რესპუბლიკაში ასეთივე წარმატებებს მიაღწია მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა³⁰.

შესაძარ წლებში საქართველოს კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი გაიზარდა 3,5-ჯერ. ასევე დიდად გადიდა განუყოფელი ფონდები და წარმოების ძირითადი საშუალებები. მათი ზრდა 1954 წელს 1953 წელთან შედარებით 64,8 მილ. მანეთს შეადგენდა³¹.

მიუხედავად იმისა, რომ 1954 წელს მტს-ებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია წინაწლებთან შედარებით და ამით ხელი შეუწყვეს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას, ფულადი შემოსავლიანობის ზრდასა და კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებას, ჯერ კიდევ მათი (მტს-ების) მუშაობაში კვლავ იგრძნობოდა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები. მტს-ების კოლმეურნეობებისადმი საწარმოო მომსახურების მწარმოებლურობის გადიდებას ხელს უშლიდა მისი ქსელის განლაგების ნაკლოვანებანი. წითელი წყაროს რაიონში 13 კოლმეურნეობას 4 მტს-ი ემსახურებოდა, სიღნაღის რაიონში 27 კოლმეურნეობას ისევ 4 მტს-ი, მაშინ, როდესაც სოხუმის, ბათუმისა და ტყიბულის რაიონების კოლმეურნეობები მტს-ების საწარმოო მომსახურების გარეშე იყო დარჩენილი. წვრილი მტს-ების ერთი-მეორის გვერდით არსებობა და სატრაქტორო ბრიგადების დაწვრილრთეულება იწვევდა ადმინისტრაციული და საწარმოო ხარჯების გადიდებას, რაც უარყოფითად მოქმედებდა შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულებაზე. ამან განაპირობა ის, რომ მთელ რიგ მტს-ებში კვლავ დაბალი იყო ტრაქტორების როგორც წლიური, ისე წლების საშუალო გამოშვების კოეფიციენტი. ყოველივე ამის გამო ცაგერის მტს-ებმა 1954 წელს მინდვრის სამუშაოების გეგმა შესრულეს მხოლოდ 46,7%-ით; ამბროლაურის — 67,8; ბორჯომის — 74,1; კოდორის — 70,6; გუდაუთის — 81,2; გმარეთის — 88,4; იორის — 93,4; ენისელის — 96,8, ნაფარეულის — 98,5%-ით³² და ა. შ.

საკოლმეურნეო მეცხოველეობის ფერმებში მექანიზაციის დაბალი დონის ერთ-ერთი მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ამ საქმისადმი მზრუნველობა რესპუბლიკაში დაიწყო მხოლოდ 1950 წლიდან, განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმების შემდეგ. ერთი წლის განმავლობაში ამ მიმართულებით მცირე როდი გაკეთდა, მაგრამ, ბუნებრივია, შეუძლებელი გახდა უფრო ფართო მასშტაბით აგვეშენებინა, ან ძველი ფერმების რეკონსტრუქცია მოგვეხდინა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ტექნიკის უახლესი მანქანებისა და ავრგატების რეკონსტრუირებულ ფერმებში გამართვა. ამასთან ერთად, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმასაც, რომ მეცხოველეობის ფერმებში უკვე არსებული მანქანებისა და ავრგატების ექსპლუატაციის გამოყენების დონე მეტად დაბალი იყო. რესპუბლიკის კოლმეურნეობის მესაქონლეობის

30 ბარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 34, საქ. 419, ფურც. 11—12.

31 იქვე, საქ. 465, გვ. 1.

32 იქვე, აღწ. 40, საქ. 98, ფ. 14.

ფერმების განკარგულებაში მყოფი საქონლის საკვების დასამზადებელი აგრე-
გატებიდან 1954 წელს გამოუყენებელი იყო მხოლოდ 30,9%-ი, ძირხვენების
საქრელის — 23,4, ავტომატური წყალდალევის — 23,4, კოპტონის დასამუშა-
ვებლებისა — 20,8, ჩაის დასაქრელის — 24,8, დასილოსებული საკვების საქრე-
ლისა — 25,3 და ძირხვენების გასარეცხის — 26,6%-ი³³. მექანიზაციის დაბალი
დონის ძირითადი მიზეზი უნდა ვეძიოთ მტს-ების ხელმძღვანელობაში, მართვის
საქმის არსებულ ნაკლოვანებებში.

წითლის მტს-ის ინჟინერ-მექანიზატორები სკკპ 1953 წლის სექტემბრის
ზღნუშის დადგენილების განხორციელებისათვის 1954 წელს სოციალისტურ
შეჯიბრებაში ჩაებნენ რსფსრ ყველაზე ძლიერ მედვედევის მტს-ებთან და სო-
ციალისტურ ვალდებულებად იკისრეს: მეცხოველეობის სამი ფერმის მთლიანი
მექანიზაცია, ყოველი ადგილობრივი ჯიშის ერთი საფურაყე ძროხიდან 1100
ლიტრი რძის მიღება, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 900 ლიტრისა, 8960
ჰექტარი პურეულიდან ერთ ჰექტარზე საშუალოდ 22 ცენტნერი მარცვლის აღე-
ბა; 19540 ჰექტარი მზესუმზირის ნათესიდან ყოველ ჰექტარზე 18 ცენტნერის
მიღება; 1110 ჰექტარი სიმინდის ნათესიდან ჰექტარზე 30 ცენტნერი ხმელი სი-
მინდის მიღება; ყოველი განაპარსი ცხერიდან — 4 კგ. მატყლის მიღება, ყოვე-
ლი დედა ღორიდან 16 გოჭის გამოზრდა და თოხლის 98%-ის შენარჩუნება³⁴.

1954 წელს წითლის მტს-ებმა მინდვრის სატრაქტორო სამუშაოები, აგრო-
ტექნიკური ნორმების დაცვით, შედარებით 1953 წელთან გადაჭარბებით შეას-
რულეს და ამით საფუძველი ჩაუყარეს სოფლის მეურნეობის კულტურების
მოსავლიანობის გადიდებასა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის შემდგომ
ამაღლებას.

ულიანოვკის მტს-მა 1954 წელს ყოველ ტრაქტორზე (15 ძალიანზე გადა-
ყვანით) დაამუშავა 550 ჰექტარი, მაშინ, როდესაც იმავე პირობებში მყოფმა
კაქრეთის მტს-მა დაამუშავა 344 ჰექტარი; ქუთაისის მტს-მა — 564 ჰექტარი,
ხოლო მაიაკოვსკის — 1306 ჰექტარი. ყვარელის მტს-მა, რომელსაც ენისელის
მტს-თან შედარებით ცუდი პირობები ჰქონდა, ტრაქტორის (15 ძალიანზე გადა-
ყვანით) დატვირთვის კოეფიციენტი 478 ჰექტარამდე გაადიდა, ხოლო ენისე-
ლის მტს-მა გამოიმუშავა 322 ჰექტარი, ე. ი. რესპუბლიკის საშუალო წლიურ
მაჩვენებლებთან შედარებით 27 ჰექტარით ნაკლები.

ამრიგად, რესპუბლიკის მტს-ების მრავალმხრივი და შინაარსიანი სამეურ-
ნეო საქმიანობიდან მოტანილი ცალკეული ეპიზოდები იმაზე ლაპარაკობენ, რომ
ერთნაირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მქონე და ერთი და იგივე კლიმატურ-
ნიდაგობრივ პირობებში მყოფი მტს-ების მუშაობის განსხვავებული სამეურ-
ნეო მაჩვენებლები გამოწვეულია ხელმძღვანელობისა და შრომის ორგანიზაცი-
ის განსხვავებული დონით.

მტს-ების ტექნიკის საკოლმეურნეო წარმოებაში რაციონალურ გამოყე-
ნებას დიდად შეუწყო ხელი მისი ქსელის განლაგების გაუმჯობესებამ, როგორც
მტს-ების, ისე სატრაქტორო ბრიგადების გამსხვილებამ და სამეურნეო ანგარიშ-
ზე გადაყვანამ, რომელთა განხორციელება დაიწყო 1956 წლის დამდეგიდან³⁵.

33 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 34, საქ. 419, ფურც. 7—8.

34 იქვე, ფ. 14, აღწ. 32, საქ. 1, ფურც. 464—470.

35 იქვე, აღწ. 40, საქ. 98, ფურც. 14.

2. „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1972, № 1.



804248
86038

მტს-ებისა და სატრაქტორო ბრიგადების გამსხვილებამ და სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანამ ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, ადმინისტრაციული და საწარმოო ხარჯების შემცირებას, ხოლო მეორე მხრივ, სამეურნეო ანგარიშზე გადასული გამსხვილებული მტს-ებისა და სატრაქტორო ბრიგადების უფრო ოპერატიულ მუშაობას. ამიერიდან მტს-ების საწარმოო მომსახურების სფეროს შემოემატა 60 კოლმეურნეობაზე მეტი, ხოლო სატრაქტორო სამუშაო (რბილ ხენაზე გადაყვანით) გაიზარდა 60-80 ათასი ჰექტარით³⁶.

მტს-ებისა და სატრაქტორო ბრიგადების გამსხვილებამ გამოიწვია მმართველი და უშუალო მწარმოებელი კადრების შემადგენლობის გაუმჯობესება. ამან კი ხელი შეუწყო სატრაქტორო და სხვა ტექნიკის დატვირთვის საშუალო კოეფიციენტის შემდგომ გადიდებას და შესრულებულ სამუშაოთა თვითღირებულების შემცირებას.

გამონაკლისს როდი წარმოადგენდა შულავერის მტს-ი, რომელმაც 1956-1957 სამეურნეო წელს ყველა მარკის ტრაქტორის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ამ მტს-მა 1956 სამეურნეო წელს 1955 წელთან შედარებით ტრაქტორ „ნატის“ წყების გეგმა საშუალოდ შეასრულა გადამეტებით 1,6-ჯერ, „უნივერსალის“ — 1,5-ჯერ; „დტ—54“-ის 4,3-ჯერ; „კდ—35“-ის — 1,7-ჯერ; „ს.—80“-ის 1,1-ჯერ და „ხტზ-ს — 1,2-ჯერ.

სატრაქტორო სამუშაოების შესრულების მაღალი სარეკორდო მაჩვენებლები მოგვცეს შულავერის მტს-ის ტრაქტორისტებმა. ახმეტოვმა და ასაევმა „დტ—54“ მარკის ტრაქტორებით საგაზაფხულო ხენა წყებაში საშუალოდ შეასრულეს 63—63 ჰექტარის რაოდენობით³⁷, რაც წყების გეგმას 12-ჯერ აღემატებოდა. 1950 წელს 1946 წელთან შედარებით რესპუბლიკის მასშტაბით სატრაქტორო სამუშაოები შესრულდა 234,6%-ით; 1953 წელს 1950 წელთან შედარებით — 191,6; 1955 წელს 1953 წელთან შედარებით — 142,2 და 1957 წელს 1955 წელთან შედარებით — 105,1%-ით³⁸. ამის შედეგად რესპუბლიკაში 1950-1957 წლებში დიდად გაიზარდა სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურების წარმოებისა და მესაქონლეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე.

საკვლევ პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა სოფლის მეურნეობის ელექტრიფიკაცია, ამას დიდად შეუწყო ხელი 1950—1957 წლებში კოლმეურნეობათა გამსხვილებამ. გამსხვილებულ კოლმეურნეობებს საშუალება მიეცათ ეშენებინათ უფრო მძლავრი ელექტროსადგურები. ფართო გავრცელება ჰპოვა საკოლმეურნეობათა შორის მსხვილი ელექტროსადგურების მშენებლობამ. თუ 1950 წელს სოფლის ელექტროსადგურების სიმძლავრე 19,164 ათას კვ. შეადგენდა ამ მაჩვენებელმა 1955 წელს 39,1 ათას კვტ. მიაღწია³⁹. ელექტროენერჯის ბალანსის ზრდა ძირითადად მოხდა ელექტროსადგურების ხარისხობრივი ცვლილებების ხარჯზე. „თუ 1951 წელს ექსპლუატაციაში შეყვანილი სოფლის ელექტროსადგურების საშუალო სიმძლავრე 200 კვტ. უდრიდა, 1955 წელს ამ მაჩვენებელმა 1700 კვტ. შეადგინა“⁴⁰.

36 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 40, საქ. 98, ფურც. 15.

37 იქვე, ფურც. 316.

38 საბჭოთა საქართველოს 40 წელი, სტატ. კრებული, თბ., 1961, გვ. 102.

39 ვ. რეხვიაშვილი, სოფლის მეურნეობრივი წარმოების ელექტრიფიკაცია და შრომის მწარმოებლობის ზრდა, თბ., 1965, გვ. 64—65.

40 იქვე.

საკვლევ პერიოდში მწყობრში ჩადგა სოფლის ისეთა მძლავრი ჰიდრო-ელექტროსადგურები, როგორცაა: ტირიფონჰესი, ბოლნისჰესი, დურიფშჰესი, მოქვაჰესი, მაჭახელაჰესი და სხვ.⁴¹

რესპუბლიკაში სოფლის ელექტროსადგურების რაოდენობა 1951 წლის 144-დან გაიზარდა 1957 წელს 366-მდე. მათი სიმძლავრე 26,64 კვტ-დან გაიზარდა 468 ათასი კვტ-მდე, აღნიშნულ პერიოდში სოფლის მეურნეობაში ელექტროენერჯის გამოყენება გაიზარდა 3,5-ჯერ⁴². მიუხედავად ყოველივე ამისა, ჯერ კიდევ დაბალი იყო ელექტროენერჯის საწარმოო დანიშნულებისამებრ გამოყენების დონე. 1121 ელექტროფიცირებული კოლმეურნეობიდან საწარმოო დანიშნულებისათვის ელექტროენერჯიას მხოლოდ 978 კოლმეურნეობა იყენებდა⁴³. ხოლო მტს-ების 30%-მდე ჯერ კიდევ არ იყო ელექტროფიცირებული.

ამრიგად, საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მეხუთე ხუთწლედისა და მეექვსე ხუთწლედის დასაწყისში საგრძნობლად გაიზარდა მტს-ების ტექნიკის საკოლმეურნეო წარმოებაში გამოყენება.

⁴¹ ვ. რ. ხ. ვ. ი. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., სოფლის მეურნეობრივი წარმოების ელექტროფიკაცია და შრომის მწარმოებლობის ზრდა, თბ., 1965, გვ. 64—65.

⁴² იქვე, გვ. 50.

⁴³ იქვე, გვ. 69—71.

მისილ სამსონაჰი

სამპართველოს საგარეო ვაჭრობის ისტორიიდან XVIII ს.
მიწურულსა და XIX ს. დასაწყისში

XVIII საუკუნე, საქართველოს ისტორიაში დიდი პოლიტიკური მოვლენებით აღინიშნა. ორი მნიშვნელოვანი პოლიტიკური გაერთიანების — აღმოსავლეთში ქართლ-კახეთის სამეფოს, ხოლო დასავლეთში იმერეთის სამეფოს — ჩამოყალიბება-განმტკიცება, ფეოდალური დაქუცმაცებულობის მოსპობის დასაწყისი იყო.

ბრძოლა სათავადოთა სისტემის წინააღმდეგ (რაც ქვეყნის აღდგენისათვის ერთ-ერთი მთავარი ნაბიჯი იყო), პოლიტიკური ხელისუფლების განმტკიცება, ძირითადი მწარმოებელი კლასის — გლეხობის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება, საბაჟო სისტემის მოწესრიგების ცდები, მორიგი ჯარის შემოღება, და ამ გზით, ლევი ყაჩაღების თარეშის მნიშვნელოვანი შემცირება საქართველოს გზებზე, ქვეყნის ეკონომიური აღმავლობის გარკვეულ საფუძველს ჰქმნიდა. ამას კიდევ უფრო უწყობდა ხელს ქართლ-კახეთის სამეფოს მნიშვნელოვანი წარმატებები გარეშე მტრებთან ბრძოლაში, რომელიც მას არა მარტო უმკვიდრებდა უძლიერესი პოლიტიკური ერთეულის სახელს ამიერკავკასიაში, არამედ მნიშვნელოვან ეკონომიურ საფუძველსაც ჰქმნიდა ამისათვის და ამ საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ისეთი მნიშვნელოვანი ეკონომიური ცენტრების დაპატრონებას როგორც იყო განჯა და ერევანი.

სასაქონლო ურთიერთობის შემდგომი განვითარება იწვევდა არსებული სავაჭრო ცენტრების (თბილისი, გორი, თელავი, სიღნაღი, სურამი, ქუთაისი და ა. შ.) გაფართოებას და ახალი სავაჭრო ცენტრების ჩამოყალიბებას, რომლებიც მნიშვნელოვან ადგილს იკავებდნენ კავკასიისა და ზოგჯერ უფრო ფართო მასშტაბის ვაჭრობაში და თანდათან ქალაქებად ყალიბდებოდნენ.

XVII საუკუნის მიწურულსა და განსაკუთრებით XVIII საუკუნის საქართველოში საკმაოდ მკვეთრად ჩამოყალიბებულ სასაქონლო მეურნეობასთან გვაქვს საქმე. XVIII საუკუნის ერთ-ერთ კანონპროექტში პირდაპირაა აღნიშნული, რომ ხელოსნები „საქმეს გამოიყენენ თავიანთის მუშაობით გასასყიდად“¹. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით სპეციალური გადასახადი არის გათვალისწინებული ბოსტნეული კულტურების იმ ნათესებზე, რომლებიც ბაზარზე გასატანად არის გამოიხნული². ყოველივე ამან განაპირობა ის გარემოება, რომ მოცემულ პერიოდში, რაც სამეფო და საუფლისწულო სოფლებში, ადგილი ჰქონდა სავაჭრო ნატურალური გადასახადების ნაწილობრივ, და უფრო იშვიათად მთლიანადაც, ფულადი გადასახადებით შეცვლას.

¹ სამოქალაქო სჯულილება, დ. ფურცელაძის გამოცემა, თბ., 1966, გვ. 133.

² ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის გამოც., თბ., 1970, გვ. 446.



მრავალფეროვანი რელიეფური და კლიმატური პირობები, ინტენსიური სასაქონლო მეურნეობის პირობებში, განაპირობებდა შრომის გეოგრაფიული დანაწილების შედარებით ადრეული ჩამოყალიბების ტენდენციას. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს შორის ინტენსიური გაცვლის პირობებში, გარკვეულ რაიონში მეურნეობის გარკვეული დარგები იჭერენ წამყვან მნიშვნელობას. არქანჯელო ლამბერტი ჯერ კიდევ XVII საუკუნის შუახანებში აღნიშნავდა, „რომ იმერეთის მთებში არის კიდევ რკინის მადნები იმდენი, რომ ზოგ ადგილას ხალხი სხვა ხელობას არ ეტანება მხოლოდ რკინას იღებს მადნიდან და ამ რკინისაგან აკეთებენ სხვადასხვა ნივთებს“³.

კახეთისა და იმერეთის რიგ რაიონებში წამყვან ადგილს მეღვინეობა იკავებს, ქართლში მარცვლეული კულტურები და მებაღეობა, ქიზიყისა და იმერეთის ზოგიერთ ადგილებში მეაბრეშუმეობა და ა. შ. მსგავსი მდგომარეობა იქმნებოდა დამმუშავებელი მრეწველობის მიმართაც. თბილისსა და ქართლში ბამბულის დამუშავება უპირატეს ადგილს იჭერს, კახეთში აბრეშუმის, იმერეთში კი სელისა და აბრეშუმის და ა. შ. ამიტომ სრულიად ბუნებრივია რომ XVIII საუკუნის თბილისის ბაზარზე უხვად შეხვდებოდით იმერულ თავთას, დარაიას, ცხენის აკაშმულობას, სავარცხლებს, ხონის ბაზარი კი სავსე იყო მრავალფეროვანი ასორტიმენტის ბამბულის ნაწარმით „თბილისის ფაბრიკებიდან“⁴.

დამახასიათებელია, რომ კახეთიდან გააქვთ ღვინო იმერეთში, ამავე დროს კახეთში არანაკლები რაოდენობით შემოაქვთ იმერული ღვინო. ამ მოვლენის ახსნა სრულიად მარტივია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი ხარისხი განსხვავებული იყო. იმერული ღვინო კახეთშიც კი კახურზე გაცილებით იაფი ფასობდა და ამდენად მოსახლეობის დაბალი ფენების ყოველდღიური მოხმარების საგანი იყო.

წინააზიის ქვეყნებში ოდითგანვე იყო დაკანონებული წესი, რომელიც ვაჭრობისა და ვაჭრების ერთგვარ ხელშეუხებლობას გულისხმობდა, ისე, რომ თვით მეომარ ქვეყნებს შორისაც არ წყდებოდა სავაჭრო ურთიერთობა, და საქართველოს მეტად მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობა, განაპირობებდა ვაჭრობის საკმაოდ მნიშვნელოვან განვითარებას საერთო პოლიტიკური და ეკონომიური თვალსაზრისით მძიმე წლებშიც კი.

XVIII საუკუნიდან სავაჭრო ურთიერთობა მნიშვნელოვნად ძლიერდება. მასალების ნაკლებობა დიდად უშლის ხელს საქართველოს ვაჭრობის განვითარების სრული სურათის დახასიათებას, მაგრამ პირდაპირი და არაპირდაპირი ცნობების მოშველიებით მაინც შეიძლება მისი ძირითადი მომენტები წარმოვიდგინოთ.

XVIII საუკუნეში საქართველოში და განსაკუთრებით თბილისში ვაჭართა მეტად ძლიერი ფენა არსებობდა, რომელსაც წამყვანი ადგილი ეჭირა არა მარტო საქართველოსა და კავკასიის, არამედ, საერთოდ, წინა აზიისა და რუსეთთან ვაჭრობაშიც. ეროვნული შემადგენლობის მიხედვით ეს ფენა ძირითადად შედგებოდა გაქართველებული სომხებისაგან, საკუთრივ ქართველებისაგან და კათოლიკე ქართველებისა და სომხებისაგან.

³ არქანჯელო ლამბერტი, საქართველოს აღწერა, მეორე გამოცემა, თბ., 1938, გვ. 190.

⁴ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში (შემდგენილი შემოკლებით: „გიულდენშტედტის მოგზაურობა...“), ტ. 1, გვ. 261, თბ., 1962.

ვაჭრობის მნიშვნელოვანი განვითარების ნიშანია ის, რომ ქართველი ვაჭრები თავისი ქვეყნის საქონლის ფართო გატანით ვაჭრობას ეწეოდნენ. მათი მოღვაწეობის მთავარ სფეროს კავკასიის პროვინციები შეადგენდნენ. ს. დ. ბურნაშოვი შემდეგნაირად ახასიათებს საქართველოს სავაჭრო ვაჭრობას: „ვაჭრობენ სპარსეთთან და ინდოეთთან, რუსეთიდან მცირე რაოდენობით ჩამოტანილი საქონლით; ხოლო იქედან ქარავნებით იღებენ აბრეშუმის (და) ბამბის სპარსულ და ინდურ ქსოვილებს, ასევე ფაიფურის ჭურჭლეულს; დიდი ვაჭრობა აქვთ მთიელ და სპარსელ ახლო მეზობლებთან მათი ხელსაქმარით ანუ სპილენძის ჭურჭლით, მოჩითული, შეღებილი და თეთრა ბამბის ტილოებით, ცხენის მოსართავებით, ხმლებითა და ხანჯლებით, რკინის წვრილმანი საქონლით, ლაბადებით, ქუდებითა და ფეხსაცმელებით, რამეთუ ამ საქიროებებით კავკასიის თითქმის ყველა ხალხები და ყველა მეზობლები თბილისელი სომხების შრომის მოყვარეობის საშუალებით სარგებლობენ“⁵.

როგორც ვხედავთ დახატულია საკმაოდ მკვეთრი და საგულისხმო სურათი, რომელიც მიუთითებს არა მარტო ვაჭრობის განვითარებაზე, არამედ საქართველოს მრეწველობის საკმაოდ მაღალ დონეზეც, რომელიც აკმაყოფილებდა ქვეყნის მოთხოვნილებებს მაშინდელი სამრეწველო წარმოების თითქმის სრული პროდუქციით და ასეთივე ფართო მასშტაბით ვაჭრობდა კავკასიის ბაზარზეც. თუ ავტორს დავუჯერებთ, და ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს მას არ დავუჯეროთ, ქართულ სამრეწველო პროდუქციას თითქმის დაპყრობილი ჰქონდა კავკასიის ბაზარი.

ამ ვაჭრობის საერთო ცენტრი, რა თქმა უნდა, თბილისი იყო. თბილისში თავს იყრიდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მთელი საქართველოდან და საქართველოს იმ ადგილებიდანაც, რომელიც მაშინ მტრის ხელში იყო (ახალციხე, ფოთი და ა. შ.); მაგალითად, გიულდენშტედტის მოწმობით: „რიონის შესართავში მდებარე თურქული ქალაქ ფოთიდან იმერლებს თბილისში მოაქვთ ქვების ჭაჭვები, სპილენძის ქვებები და საერთო სახმარი სპილენძის ჯამჭურჭელი...“⁶ ლეკთა სხვადასხვა თემების თბილისთან სისტემატურ სავაჭრო ურთიერთობაზე არაერთი ცნობა მიუთითებს. 1802 წელს დესტ. სტატსკი სოვეტნიკი კოვალენსკი კნორინგს მოახსენებდა: „შიკრიკმა მოიტანა ანწუხისა და კაპუჩინის ხალხებისაგან ჩემს სახელზე გამოგზავნილი წერილები, რომლებშიც ისინი ითხოვენ ნება მიეცეთ, რათა უწინდებურად აწარმოონ ვაჭრობა საქართველოსთან, რისთვისაც მათ უკვე გამოუშვეს საზღვარზე ერთი ქარავანი; მეორეს მხრივ აქაური ვაჭრები და ხელოსნები, რომელთა ნაწარმითაც უწინ ლეკებთან ვაჭრობა წარმოებდა... დაქინებით ითხოვენ, რათა ლეკებს ნება მიეცეთ ძველებურად აწარმოონ ვაჭრობა საქართველოში“⁷.

როგორც ვხედავთ, ორივე მხარე დიდად დაინტერესებულია ამ ვაჭრობით, რაც მათ ურთიერთგანპირობებულობაზე მიუთითებს. მთიელებს არ შეუძლიათ ცხოვრება ქართული პროდუქციის გარეშე, ხოლო ქართველი ვაჭარ-ხელოსნებისათვის ისინი სასურველი გამსაღებლები არიან.

მაგრამ თბილისი მეზობელ ხალხებთან, თუ მთიელთა თემებთან, ვაჭრობის ერთადერთი ცენტრი არ ყოფილა. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ცენტრი

⁵ С. Д. Бурнашов, Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинскаго и Кахетинскаго, Курск, 1793.

⁶ გიულდენშტედტის მოგზაურობა..., ტ. 1, გვ. 251.

⁷ В. А. Гамрекели, Торговле связи Восточной Грузии с Северн. Кавказом, Тб., 1968, გვ. 27.



იყო ონი; გიულდენშტედტი მას შემდეგნაირად აღწერს: „ონში ცხოვრობენ იმერლები, სომხები და ებრაელები ყველანი ლაპარაკობენ ქართულად, ერთმანეთში კი თავიანთ ენაზე, სომხები და ებრაელები ვაჭრობენ წედისიდან მოტანილი რკინის ნივთებით, ბამბის ქსოვილებით ქართლიდან და მარილითა და ფეტვით; ამიტომაც ოსები მოდიან აქ დვალეთიდან და დუგორიდან; ბალყარები, ბასიანელები და აგრეთვე სვანებიც მოდიან“⁸. ავტორი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს როცა ბასიანის პროვინციაზე ლაპარაკობს და აღნიშნავს. რომ: „... მალყარებს რაჭაში, რიონზე მდებარე ონში გამართულ ბაზრობაზე მოაქვთ უხეში მაული, ქეჩა და მისთანები და ყიდულობენ ბამბის ქსოვილებს და სხვას“⁹. შემდეგ ლაპარაკობს რა აღნიშნული ხალხების საქართველოსთან დამოკიდებულებაზე სხვა ადგილას იგი კვლავ აღნიშნავს: „ქართველ მეფესთან ახლა მათ არავითარი კავშირი არა აქვთ, რადგან ისინი, ამჟამად ძალიან სუსტები არიან და აგრეთვე გადმოსასვლელები რაჭიდან და სვანეთიდან ძალზე მძიმეა... რომ მათ ამ პროვინციებიდან მალყარში და აქედან კი ჩეგემსა და ყარაჩაიში შეეძლოთ მოსვლა. მალყარები კი მაინც დადიან რაჭაში, ონის ყოველკვირეულ ბაზრობაზე, სადაც თავისი საქონელი — ქურქები, ქეჩები და ჩექმები მოაქვთ და ცვლიან ბამბის ქსოვილებზე და რკინის იარაღებზე“¹⁰.

ლექთა ტომებისათვის ყველაზე ხელმისაწვდომი კახეთი იყო, ამიტომ ისინი სწორედ კახეთთან აწარმოებდნენ გაცხოველებულ ვაჭრობას. ვახუშტის ცნობით სწორედ აქედან ეზიდებოდნენ ისინი საკვებს, ქსოვილებს და სხვა საჭირო საქონელს. ამაზე მიუთითებს გიულდენშტედტიც. „ისინი (ლექები — მ. ს.) ქსოვენ უხეშ მაულს და მისგან ამზადებენ ჩოხებს. ამას, ქეჩას და ცხვარს ისინი კახეთში ცვლიან ბამბის ქსოვილებზე და სხვა საოჯახო ნივთებზე“¹¹. ამ და სხვა ცნობების საფუძველზე დგინდება, რომ თბილისი, ონი, ცხინვალი, ახალგორი, დუშეთი, თელავი, შიდა. ყვარელი, გავაზი, სიღნაღი, ანანური და სხვ. მეზობელ კავკასიელ ხალხებთან საქართველოს ინტენსიური ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრები იყვნენ.

წყაროების უმეტესობა მიუთითებს რომ კავკასიის მთიელ ხალხებთან საქართველოს ვაჭრობა უმთავრესად მათი საქართველოს ბაზრებზე ჩამოსვლით ხდებოდა. ამ გარემოებამ განაპირობა ის ამბავი რომ ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოითქვა მოსაზრება, თითქოს ქართველ ვაჭართა მისვლა-მოსვლას მთის პროვინციებში ადგილი არ ჰქონია; უფრო სწორედ, მათი იქ წასვლის აუცილებლობა არ არსებობდა¹²; თუმცა ი ამის შესაძლებლობა გამორიცხული არ ყოფილა. თუ გავითვალისწინებთ მაშინდელ პირობებში მგზავრობის საშუალებას ეს დებულება მისაღებად მოჩანს, მაგრამ, როგორც ფაქტები გვარწმუნებენ ეს მთლად ასე არ უნდა ყოფილიყო; თუ კი საქონელს ადგილზე მიიტანდნენ საქონლის გაყიდვასა თუ შესყიდვას უფრო სარფიანად აწარმოებდნენ, — რაც უთუოდ უზიძგებდა ქართველ თუ სხვა აქაურ ვაჭარს ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში საქონლის გასატანად. ამიტომ საქართველოდან მთიელთა სოფლებში ვაჭართა წასვლა იშვიათი მოვლენა არ უნდა ყოფილიყო. მაგალითად: როდენ-

⁸ გიულდენშტედტის მოგზაურობა..., ტ. 1, გვ. 107.

⁹ იქვე, ტ. II, გვ. 45.

¹⁰ გიულდენშტედტის მოგზაურობა... ტ. II, გვ. 221.

¹¹ იქვე, გვ. 95.

¹² В. А. Гамрекели, Торговые связи Восточной Грузии с Северным Кавказом в XVIII в., Тб., 1968, გვ. 23, 27, 28 და სხვ.

სამივე მონეტა უპასპორტოა. მიუხედავად ამისა, პროფ. დ. კაპანაძემ სტილისტური ანალიზის საფუძველზე, ისინი კოლხურ მონეტათა ჯგუფს მიაკუთვნა⁵. უფრო სარწმუნო არგუმენტის მოყვანა ამ მონეტების კოლხური წარმოშობის სასარგებლოდ ჭირს. დ. კაპანაძის აზრი გაიზიარეს უცხოელმა და საბჭოთა მეცნიერებმა და დღესდღეობით მას სადაოდ არაეინ ხდის⁶. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, ე. წ. ტეტრადრაქმის საკითხი ზოგიერთი სიძნელის წინაშე მაინც დგას. ცხადია, ჩვენ არ უარვყოფთ საინტერესო მონეტის ტიპოლოგიურ, სტილისტურ და ფაქტურულ მსგავსებას კოლხეთის ნუმიზმატიკურ ძეგლებთან, განსაკუთრებით მწოლიარე ლომის გამოსახულებიან დიდრაქმასთან. ეს მსგავსება სრულიად აშკარაა, როდესაც ამ მონეტების შუბლის გამოსახულებებს (ლომებს) ვუდარებთ ერთმანეთს. მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ „ტეტრადრაქმის“ რევერსის გამოსახულება (ფრთოსანი რაშის პროტომა) ანალოგიის გარეშეა.

საინტერესოა აგრეთვე გამოჩენილი საბჭოთა ნუმიზმატიკოსის ა. ზოგრაფის პოზიცია ამ მონეტასთან დაკავშირებით. 1937 წ. ა. ზოგრაფს საქართველოს მუზეუმში უნახავს ე. წ. კოლხური ტეტრადრაქმა და ქუთაისის მუზეუმში დაცული უპასპორტო მონეტა, რომელიც შემდგომში მან გამოაქვეყნა და კოლხეთის ნუმიზმატიკურ ფაქტად მიიჩნია⁷. დ. კაპანაძე იმოწმებს დოკ. თ. ლომოურის ცნობას, რომ ა. ზოგრაფს გამოუთქვამს აზრი, ტეტრადრაქმად მიჩნეული მონეტის კოლხური წარმოშობის სასარგებლოდ. დ. კაპანაძე წერს: „რა მიზეზით არ მოიხსენია შემდგომ ეს ნიმუში ა. ზოგრაფმა — ამის შესახებ ცნობები არ მაქვს, მაგრამ პირვანდელი მისი შეხედულების შეცვლის კვალიც არსად ჩანს“⁸. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ თუკი ორი უპასპორტო მონეტიდან, რომლებიც ა. ზოგრაფმა ერთსადაიმავე დროს ნახა, ერთ-ერთი კოლხურად მიიჩნია, ხოლო მეორე არც კი მოიხსენია თავის ნაშრომში, ჩვენის აზრით, ეს უკვე „მისი პირვანდელი შეხედულების შეცვლის კვალია“.

² დ. კაპანაძე, შენიშვნები ძველი კოლხეთის ნუმიზმატიკის შესახებ, საქართველოს სახ. მუზეუმის შრომებზე VХ—V., 1949, გვ. 85; იბ. აგრეთვე მისივე, Заметки по нумизматике древней Колхиды, ВДИ, № 3, 1950, გვ. 195, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 26, Грузинская нумизматика, Москва, 1955, გვ. 33.

³ მისივე, წარსულის მაცნეები, თბ., 1965, გვ. 32; ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 29.

⁴ D. M. Lang, Notes on Caucasian Numismatics, „The Numismatic Chronicle“, 1957, 138, ტ. XVII, № 2.

⁵ იბ. პროფ. დ. კაპანაძის ზემოთ დასახელებული ნაშრომები.

⁶ D. M. Lang, დასახ. ნაშრ., გვ. 138, მისივე, Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia, 1955, New-York, გვ. 9. Eug. Pochitonov, Poznámky a doplňky k nejstarším ražbám kolchidy, Numismatičké Listy, XIV, 1959, გვ. 68, А. Л. Монгайт, Археология в СССР, М., 1955, стр. 245, საქართველოს არქეოლოგია, 1959, გვ. 242 და სხვ.

⁷ А. Н. Зограф, Распространение находок античных монет на Кавказе, ТОНГЭ, 1945, 1, № 35, გვ. 37, ტ. 1, № 4.

⁸ დ. კაპანაძე, შენიშვნება ძველი კოლხეთის ნუმიზმატიკის შესახებ, გვ. 84—85.



დაუპირისპირა რა ამ მონეტის წონა სხვა კოლხური მონეტების წონას დ. კაპანაძემ ამ ცალს ტეტრადრაქმა უწოდა⁹. მაგრამ საქმე ისაა, რომ დ. კაპანაძემ ამ მონეტის წონა (დაახლოებით 13 გრ) მხოლოდ სულ უკანასკნელ ხანებში გამოსულ მონოგრაფიაში დაასახელა ზუსტად¹⁰. ადრეულ ნაშრომებში, მათ შორის 1955 წ. მოსკოვში გამოცემულ „Грузинская нумизматика“-ში, ამ მონეტის წონად იგი 13,80 გრ-ს მიიჩნევდა¹¹. ამან გამოიწვია ის, რომ მის კვალდაკვალ დ. ლანგმა და ევგ. პოხიტინოვმა. რომელთა განკარგულებაში უფრო მსუბუქი ცალები იყო (ბრიტანეთის მუზეუმის ცალი იწონის 12,72 გრ¹², ხოლო ჰააგის 10,40 გრ¹³), გაიმეორეს დ. კაპანაძის აზრი.

კოლხური დიდრაქმების საშუალო წონა მერყეობს 8,99—9,90 გრამებში¹⁴. ტეტრადრაქმა დიდრაქმაზე ორჯერ მეტია. რა თქმა უნდა, აბსოლუტური სიზუსტე თითქმის გამორიცხულია, მაგრამ ამ შემთხვევაში მიახლოებით შეფარდებაც დარღვეულია. უფრო მეტიც: ზოგიერთი დიდრაქმის წონა ტეტრადრაქმის წონას აღემატება. ასე მაგ. მწოლიარე ლომის გამოსახულებიანი რიგი დიდრაქმებისა იწონის 11,34 ან 11,355 გრ¹⁵ (ჰააგის ცალის წონა კი 10,40 გრ-ს უდრის!). ჰააგაში დაცულ მონეტას წონით II ტიპის დიდრაქმებიც უახლოვდებიან. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ადამიანის თავის გამოსახულებიანი დიდრაქმები, რომელთა წონა უდრის 10,35 გრ¹⁶, 10,36 გრ¹⁷, 10,41 გრ¹⁸. ქუთაისის მუზეუმის უნიკალური მონეტა, რომელიც ა. ზოგრაფმა კოლხეთის ნუმისმატიკურ მემკვიდრეობას მიაკუთვნა, ხოლო თვით დ. კაპანაძემ განსაზღვრა დრაქმად, იწონის 5,52 გრ¹⁹. თეორიულად ტეტრადრაქმა ოთხჯერ მეტია დრაქმაზე, მაგრამ პრაქტიკულად სამჯერ მეტი ხომ მაინც უნდა იყოს?! ცხადია, ზემოთქმული ახსნას საჭიროებს.

დ. კაპანაძე მათ ზოგადად ძვ. წ. VI ს-ით ათარიღებს²⁰. დ. ლანგი ძვ. წ. 400 წლის ახლოს²¹. ორივე თარიღი დამყარებულია მონეტის ფაქტურულ, სტილისტურ და ტიპოლოგიურ ანალიზზე. სხვა კრიტერიუმი მისი დათარიღებისათვის, სამწუხაროდ მეცნიერებას არ გააჩნია. მონეტებს აშკარად არქაულობის ბეჭედი აზის, მაგრამ დამატებითი მასალების გარეშე, მათი მიკუთვნება მაინცდამაინც ძვ. წ. VI, ან მაინცდამაინც V საუკუნისათვის გაჭირდება.

შემდეგ მოდის დიდრაქმების რიგი, რომელთა შორის ყველაზე ადრეული უნდა იყოს მწოლიარე ლომის გამოსახულებიანი მონეტა. მათი მსოფლიო მარაგი 9 ცალით განისაზღვრება. სამი — ინახება საქ. სახელმწ. მუზეუმში, ორი —

9 იხ. მისი ზემოთ დასახ. ნაშრომები.

10 დ. კაპანაძე, ქართული ნუმისმატიკა, 1969, გვ. 29.

11 Д. Г. Капанадзе, Грузинская нумизматика, გვ. 33.

12 D. M. Lang, Notes on Caucasian Numismatics, გვ. 138—139.

13 E. Pochitov, დასახ. ნაშრ., გვ. 68.

14 Д. Г. Капанадзе, Заметки по нумизматике древней Колхиды, გვ. 195.

15 ს. მაკალაძე, ახალი ტიპის კოლხური მონეტების აღმოჩენა, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV—B, 1947, გვ. 425—6.

16 გ. დ. № 4809.

17 ქ. დ. № 1630.

18 ქ. დ. № 2849.

19 Д. Г. Капанадзе, Груз. нумизматика, გვ. 33.

20 იქვე, გვ. 33.

21 D. M. Lang, Notes on Caucasian Numismatics, გვ. 138.

ერმიტაჟში, თითო თითო ცალი ქუთაისის, ბერლინის, ბრიტანეთის და ბოსტონის მუზეუმებში. ვიძლევიტ ყოველი მათგანის აღწერილობას.

1. საქ. მუზეუმის „ქართული მონეტების ფონდი“ (შემდეგში „ქ. ფ.“) № 1628, წონა — 9,39. ზომა — 18/21. უპასპორტო.

შუბლი — მწოლიარე ჰერმაფროდიტი ლომის (ხეადის ფაფარითა და ძუძუებით) გამოსახულება მარჯვნივ, რომელსაც თავი მარცხნივ აქვს მობრუნებული.

ზურგი — ჩაჭდულ სწორკუთხედში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ქალის (აშკარად შეიმჩნევა მკერდის მოხაზულობა) ფიგურა მარჯვნივ. მარჯვენა ხელი ჩამოშვებული აქვს ბარძაყის გასწვრივ. გამოსახულება კოხტაა, ტანწვრილი. ყელთან შეიმჩნევა ნაოქები (ყელსაბამი? ნილაბი?)²².

2. საქ. მუზეუმის „განძების ფონდი“ (შემდეგში „გ. ფ.“) № 4808 წ. — 11,34. ზ — 20/21. ახალსოფლის განძიდან²³.

შუბლი — მწოლიარე ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულება მარცხნივ, რომელსაც თავი მარჯვნივ აქვს მობრუნებული.

ზურგი — ჩაჭდულ სწორკუთხედში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ადამიანის ფიგურა მარცხნივ. მარცხენა ხელი ბარძაყზე უდევს. მარჯვენა მოხრილი აქვს იდაყვში. გამოსახულება ჯმუხია. ყელთან შეიმჩნევა სამი ნაოქი.

3. ქუთაისის მუზ. ინვენტ. № 4183. წ. — 11, 353. ზ. — 18/21. ახალსოფლის განძიდან²⁴.

შუბლი — ისეთივე როგორც № 2.

ზურგი — ჩაჭდულ სწორკუთხედში მოთავსებული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ადამიანის ფიგურა მარჯვნივ. მარჯვენა ხელი ჩამოშვებული აქვს ბარძაყის გასწვრივ. გამოსახულება ტანწვრილია, მაგრამ კოხტა არ არის. ღანსხეავდება როგორც № 1 ისე № 2-საგან, თავისა და კისრის მოყვანილობა უფრო მოგრძო აქვს.

4. საქ. მუზ. „ქ. ფ.“ № 3824. წ. — 8,06; ზ — 17/20. ფოთის განძიდან²⁵.

შუბლი — როგორც № 1.

ზურგი — როგორც № 1.

5. ბერლინის მუზ. წ. — 10,14. უპასპორტო.

შუბლი — მარჯვნივ მიმართული დაღრენილი მწოლიარე ლომის გამოსახულება, რომელსაც თავი მარცხნივ აქვს მიბრუნებული.

²² Д. Г. Капанадзе, Грузинская нумизматика, გვ. 32, № 1, ტ. 1.

²³ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ახალი ტაპის კოლხური მონეტების აღმოჩენა, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIV—V 1947, გვ. 425, სურ. № 2; К. В. Голенко, Д. Г. Капанадзе, Четыре клада колхидок, НЭ, VI, ტ. XVIII, № 814.

²⁴ ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, დასახ. ნაშრ., გვ. 426, სურ. 3; К. В. Голенко, Д. Г. Капанадзе, დასახ. ნაშრ. ტ., XVIII, № 815.

²⁵ Е. А. Пахомов, Несколькo слов о происхождении рисунка „Колхидок“, Багуми, 1911, გვ. 7. ეს მონეტა ე. პახომოვის კოლექციის ერთ ნაწილთან ერთად მემკვიდრეობით მიიღო საქ. მუზეუმმა.

ზურგი — ოვალურ ინკუზუმში მოთავსებული ხარისთავიანი დაჩოქილი ადამიანის ფიგურა მარჯვნივ, რომელსაც ხელები მუხლებზე აქვს დაწყობილი²⁶.

6. ბრიტანეთის მუზ. წ. — 10,00. ზ. — 21. უპასპორტო.

შუბლი — პირდაღრენილი, ნახევრად წამოწოლილი ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულება მარცხნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული.

ზურგი — დაჩოქილი ადამიანის ფიგურა დათვის(?)²⁷ თავით მარჯვნივ. მარჯვენა ხელი იდაყვში მოხრილი და წინ გაშვებული აქვს, მარცხენა კი — ხევით აშვებული. ყველაფერი ეს ჩასმულია ოვალურ ინკუზუმში.

7. ბოსტონის მუზ. წ. — 121.5 გრანი (7,872 გრ) ნაპოვნი ყოფილა სამეგრელოში²⁸.

შუბლი — მწოლიარე დაღრენილი ლომის გამოსახულება მარჯვნივ, რომელსაც თავი მიბრუნებული აქვს უკან.

ზურგი — დაჩოქილი შიშველი ადამიანის — ქალის(?) — ფიგურა ხარის, ან ძროხის თავით მარჯვნივ. ყელზე მას საყელო უკეთია. მარჯვენა ხელი გაშვებული აქვს და შეიმჩნევა საჩვენებელი თითის წერტილი. ხელზე როგორც ჩანს, სამაჯური უკეთია. ყველაფერი ეს ჩასმულია ოვალურ ინკუზუმში²⁹.

8. ერმიტაჟი, ინვენტ. № 44 a — 2665. წ. — 8,60. ზ. — 18/21.

შუბლი — მწოლიარე ჰერმაფროდიტი ლომის გამოსახულება მარცხნივ, რომელსაც თავი უკან აქვს მიბრუნებული.

²⁶ მოგვაყვას პროკეს-ოსტენის აღწერილობა სიტყვა სიტყვით: „Av. Rechts ruhende Löwin, den Kopf mit geöffneten Rachen nach links gewendet. Rv. In vertieftem länglichen Recheck eine Kniende Mannsgestalt mit Stier kopf (Taurokephalos), rechts, die Hände auf das knie gesenkt; in der Rechten, wie es scheint, irgend etwas haltend, vielleicht ein „pfermesser“. იხ. Prokesch-Osten, Inedita meiner sammlung, 1870, „Numismatische Zeitschrift, 1870, II, გვ. 259, ტ. XI. № 4.

²⁷ დათვის თავად ის მიიჩნია ბ. ჰედმა. იხ. „The Numismatic Chronicle“, 1871, 168, ტაბ. VI, 5. (ის წერდა: „the revers, a human figure with bear's head kneeling to right...). 1957 წ. ეს მონეტა ხელმოწოდებულ გამოსცა დ. ლანგმა, რომელიც ასე აღწერს მას: „obv. Crouching (hermaphrodite) lion, to left, with head turned back. Loud mane, prominent teats. Rv. Kneeling human figure with a n i m a l ' s (ე. ი. ცხოველის—გ. დ.) head, to right, in oblong incuse“, იხ. D. M. Lang, Notes on Caucasian Numismatics, „The Numismatic Chronicle“, XVII, 1957, გვ. 137. ტაბულაზე მოთავსებულ ფოტო-რეპროდუქციაზე აშკარად მოჩანს, რომ გამოსახულებას აქვს რქა. მით უფრო საოცარია, რომ დ. ლანგის ამ ნაშრომზე დაყრდნობით, ზოგიერთი მკვლევარი დღესაც იმეორებს ბ. ჰედის შეხედულებას და კვლავ დათვს უწოდებს ამ გამოსახულებას. იხ. М. П. Инадзе, Причерноморские города древней Колхиды, Тбилиси, 1968, გვ. 167.

²⁸ Greenwell, M. A., Rare Greek Coins, „The Numismatic Chronicle“, 1893, გვ. 88. ტ. VII, № 14.

²⁹ მოგვაყვას გრენველის სიტყვები: Obv. Lion, with open mouth, crouching r., the head turned back. Rev. Naked human figure, female(?), with the head of an ox or cow, and, wearing a collar round the neck, Kneeling r. The r. hand is outstretched, and seems to point with the forefinger, there being, apparently, an armet on the wrist. all within an oblong incuse“, იქვე, გვ. 88. აქედან ცხადია რომ ბოსტონის სახეობით ხელოვნების მუზეუმის კუთვნილი ცალი განსხვავდება ბრიტანეთის მუზეუმის კოლხური მონეტისაგან. ამდენად, გაუგებარია მ. ინაძის მოსაზრება მათი მსგავსების შესახებ (იგულისხმება არა მათი საერთო ტიპოლოგიური იდენტურობა, არამედ მსგავსება დეტალებში. როგორც ჩანს, ავტორი, ამ შემთხვევაშიც, დათვის თავიან გამოსახულებას ვარაუდობს) იხ. М. П. Инадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 137, სქოლიო 4.



ზურგი — ჩაქდელულ ოთხკუთხედში მოთავსებული დაჩოქილი ფანტასტიური არსება ადამიანის ტანითა და ხარის თავით მარჯვნივ. ხელები ჩამოშვებული აქვს ფეხების გასწვრივ, შიშველია. კისერზე სამ წყებად მძივები ჰკიდიან³⁰.

9. ერმიტაჟი, ინვენტ. № 44 a — 665. წ. — 8,58. ზ. — 18/19. ნაპოვნია ქუთაისის მარაში³¹.

შუბლი — ისეთივე როგორც № 9.

ზურგი — ფანტასტიკური არსება მარცხნივაა მიმართული და ხელები წინ აქვს გაწვედნილი³².

ზემოთაღწერილი ცხრა მონეტიდან ხუთი დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეა ნაპოვნია (№№ 2, 3, 4, 5, 9), ხოლო ხუთიდან სამი — აღმოჩენილია ფოთისა³³ და ახალსოფლის³⁴ კოლხური მონეტების განაქვში. გარდა ამისა, მკვლევართა მიერ ერთხმად იქნა აღიარებული I ტიპის კოლხური დიდრაქმის (როგორც მას პირობით უწოდებენ) ზურგზე გამოსახული დაჩოქილი ადამიანის თავის აშკარა მსგავსება კოლხურ ნახევარდრაქმაზე გამოსახულ ხარის თავთან³⁵. ხოლო ა. ზოგრაფი სვამდა რა კითხვას: „Есть ли бычья голова на поздних колхидках голова того фантастического существа, которое фигурирует на оборотной стороне наиболее ранних колхидок?“, ამით აყენებდა უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს: „Не представляют ли в таком случае женская голова на лицевой стороне и бычья на оборотной лишь разные стадии развития представления об одном и том же божестве“.³⁶ ზემოთქმულის საფუძველზე, მეცნიერთა უდიდესმა უმრავლესობამ ეს მონეტები კოლხურ ნუმისმატიკურ ძეგლებად მიიჩნია³⁷. მაგრამ ეს მოსაზრება ერთადერთი როდია.

ასე მაგალითად, ჯერ კიდევ 1871 წ. ბ. ჰედ-მა, გამოაქვეყნა რა ბრიტანეთის მუზეუმის კუთვნილი ლომის გამოსახულებიანი დიდრაქმა, იგი ლიკიას დაუკავშირა³⁸. ეს დებულება არ არის არგუმენტირებული. როგორც ჩანს, ამ მო-

³⁰ В. Я. Якупчиков, Неизданные и редкие древне-греческие монеты, С.-Петербург, 1908, гв. 20, № 48.

³¹ იქვე, გვ. 21.

³² იქვე, გვ. 21, № 49.

³³ Е. А. Пахомов, Монетные клады... I, гв. 37, № 9, მისივე, Несколько слов о происхождении рисунка „колхидок“, гв. 7.

³⁴ ს. მაკალათია, ახალი ტიპის კოლხური მონეტების აღმოჩენა, გვ. 425—428.

³⁵ Prokesch-Osten, დასახ. ნაშრ., გვ. 260, Greenwell, დასახ. ნაშრ., გვ. 88; ე. პახომოვი პირდაპირ წერს: „... изображение бычьей головы фигуры, точно такое же как на мелких колхидках“... (Несколько слов о происхождении... გვ. 7).

³⁶ А. Н. Зограф, Распространение... გვ. 38.

³⁷ Prokesch-Osten, დასახ. ნაშრ., Greenwell, დასახ. ნაშრ., Б. М. Якупчиков, დასახ. ნაშრ., გვ. 21; Е. А. Пахомов, Несколько слов...; А. Н. Зограф, Распространение... გვ. 38; ს. მაკალათია, ახალი ტიპის კოლხური მონეტების აღმოჩენა; Д. Г. Капанадзе, Грузинская нумизматика, გვ. 52; D. M. Lang, Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia, 1955, New-York, გვ. 8, მისივე, Notes on caucasian Numismatics, გვ. 137 და სხვ.

³⁸ „The Numismatic Chronicle“, 1871, 168, ტაბ. VI, 5.

ნეტებს ფაზისის პროდუქციად მიიჩნევენ ა. ბოლტუნოვა³⁹. სამწუხაროდ, ავტორის მსჯელობა არაა დამყარებული კონკრეტული მასალის შესწავლაზე. უკანასკნელ ხანებში ეს დებულება კვლავ წამოაყენა მ. ინაძემ, მაგრამ ა. ბოლტუნოვასაგან განსხვავებით, სათანადო საბუთებიც მოიტანა. მის კონცეფციაში არის ჰემიპარიტების მარცვალი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იგი ლომის გამოსახულებიან დიდრაქმებს გამოჰყოფს დანარჩენი კოლხურებისაგან: „... Наблюдение над более ранними монетами, — წერს მ. ინაძე, в частности, архаичными дидрамами, относящимися к VI в. до н. э. показало, что они, по своему типу, стоят отдельно от основной массы колхидок (ხაზი ჩვენია გ. დ.) и, притом, не характеризуются стабильностью“. რაში გამაიხატება, მ. ინაძის აზრით, ეს არასტაბილურობა: „Несмотря на незначительное количество дошедших до нас монет этого типа, среди них попадаются заметно отличающиеся друг от друга варианты. Например, помещенная на оборотной стороне коленопреклоненная фигура обнаженного человека изображается то с головой (вернее маской) Козла, то быка, бычка, медведя и т. д. Замечается различие и в самой фигуре человека и в изображении лежащего льва“.⁴⁰

ჩვენის აზრით, არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისათვის, რომ I ტიპის კოლხურ დიდრაქმის ზურგზე ამოტვიფრული დაჩოქილი ადამიანი თხის, ან დათვის თავიან არსებად მივიჩნიოთ. არც ერთ მეცნიერს (ბ. ჰედ-ის გარდა) ასეთი მოსაზრება არ წამოუყენებია და, საერთოდ, საეჭვოა, რომ ამის დასაბუთება ვინმემ შეძლოს. მ. ინაძე მართალია, როდესაც ამ მონეტის ვარიანტული სახეცვლილებების არსებობაზე მიუთითებს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს ტიპის არასტაბილურობას. პირუტყუ, სწორედ ლომიანი დიდრაქმის ტიპია უცვლელი დღიდან მისი ემისიისა, ხოლო ვარიანტების არსებობა, მოწმობს მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ ისინი იჭრებოდნენ სხვადასხვა სიქითა და სხვადასხვა დროს; მეტს არაფერს. განა ჩვეულებრივი ტიპის კოლხურ მონეტებს (ნახევარდრაქმებს) შორის არ გვხვდება ვარიანტები?! რამდენიც გნებავთ! (ადამიანის თავი მიმართულია ხან მარჯვნივ, ხან კი მარცხნივ. ასევე, ხარის თავიც. ზოგიერთ მათგანზე წერტილოვანი რკალია ამოტვიფრული, ზოგიერთზე — ხაზოვანი. ერთ ნაწილზე „MO | O“? მარცვალაა ამოკვეთილი, მეორეზე — „Φ“, მესამეზე — „A“ და ა. შ.) მაგრამ ამ საბუთით არ შეიძლება ვილაპარაკოთ კოლხური ტრიობოლის ტიპის არასტაბილურობის შესახებ. მ. ინაძე, ვარაუდობს, რომ ძვ. წ. VI ს. შუა ხანებიდან კოლხეთში ჩამოყალიბდა მონეტის სტაბილური ტიპი (იგულისხმება II ტიპის დიდრაქმა — გ. დ.) და აქედან მოკლებული მათ ემისიას სამეფო ხელისუფლება ახორციელებდა⁴¹. ჯერ ერთი უნდა აღინიშნოს, რომ II ტიპის დიდრაქმა არავის და არასოდეს ძვ. წ. VI ს. შუა ხანებით არ დაუთარილებია. ჩვენ იმას კი არ ვამტკიცებთ, თითქოს ეს საერთოდ შეუძლებელი იყოს, არამედ იმას, რომ ასეთი დათარილება a priori-ულია, რადგან არასოდეს ეს მონეტები არ აღმოჩენილა კარგად დათარილებულ სამონეტო, ან არქეოლოგიურ კომპლექსში. მეორეც, სწორედ II ტიპის დიდრაქმის ემისიის სინ-

³⁹ А. Болтунова, Замечания по поводу проспекта „Всемирной истории“, ВДИ, № 4, 1952, стр. 178.

⁴⁰ М. П. Иинадзе, დასახ. სტრ., გვ. 167.

⁴¹ იქვე, გვ. 169.



ქრონულად და მომდევნო პერიოდში კოლხური მონეტების ტიპი ოთხჯერ მაინც შეიცვალა (მათ შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი). ასე რომ მ. ინაძის პირველი არგუმენტი, რომლის საფუძველზედაც იგი ლომის გამოსახულებიან კოლხურ დიდრაქმებს საქალაქო პროდუქციად მიიჩნევს, დამაჯერებელი არაა. მ. ინაძის შემდგომი არგუმენტი ჯერ კიდევ ბ. კუფტინის მიერ შემჩნეულ, ლომხატულა დიდრაქმებსა და კრეზის ეპოქის (ძვ. წ. 561—546 წწ.) მილეტის ელექტრონის სტატერებს შორის დიდ მსგავსებაში მდგომარეობს⁴². ეს არგუმენტი დავას არ იწვევს. სამაგიეროდ სადავოა მ. ინაძის მომდევნო საბუთი. ლომის გამოსახულებიანი დიდრაქმების ერთი ნაწილი, როგორც ცნობილია, ნაპოვნია ქ. ფოთის მიდამოებში⁴³, მაგრამ ამის გამო მათი მიკუთვნება ფაზისისადმი, როგორც ამას მ. ინაძე აკეთებს⁴⁴, გაძნელებდა, რადგან იმავე განძში მათთან ერთად იყო სხვა ტიპის კოლხური მონეტებიც⁴⁵, რომელთა ემისიას მ. ინაძე სამეფო ხელისუფლებას მიაწერს. დაბოლოს, მ. ინაძის მიხედვით, თურმე ერთმანეთს ემთხვევა ლომის გამოსახულებიანი კოლხური დიდრაქმებისა და მილეტის ვერცხლის მონეტების წონითი სისტემები. კერძოდ, ორივე მათგანი ეგინური სამონეტო სისტემის მიხედვით ყოფილა მოჭრილი⁴⁶. შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ ვიდრე ამ მოსაზრებას არგუმენტის ძალას მივცემდეთ საჭიროა უზარმაზარი ხასიათის სამუშაოს ჩატარება, კონკრეტული მასალის კვლევა, კოლხური მონეტების წონის სკრუპულოზური დადგენა-გამოკვლევა. მ. ინაძე მარტო I ტიპის დიდრაქმების წონას რომ გულისხმობდეს საქმე გადავიღებდა, მაგრამ თავის აზრის დასამტკიცებლად იგი იშველიებს აგრეთვე დრაქმად მიჩნეულ მონეტისა და ნახევარდრაქმების წონით მაჩვენებლებს⁴⁷. ეს კი საკითხის სპეციალურ კვლევას მოითხოვს. მ. ინაძის მიერ მოტანილი რამდენიმე ცნობა საკმარისი არა ჩანს, მით უმეტეს, რომ კოლხურ მონეტებს გარკვეული დამთხვევები აქვს სპარსულ სამონეტო სისტემასთან⁴⁸. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სისტემების დამთხვევა ყოველთვის როდი ხსნის სამონეტო ჯგუფების გენეზისის საკითხს. ხშირ შემთხვევაში, რომელიმე სამონეტო სისტემის არჩევა გარკვეული ქვეყნის მიერ იმითაა გაპირობებული, თუ რა ინტენსიურობითაა დასაქმებული ამ სისტემის მიხედვით მოჭრილი საფასეები მის ტერიტორიაზე. ერთი სიტყვით. გზა, რომელიც მ. ინაძემ აირჩია თავისი კონცეფციის დასასაბუთებლად, ჩვენ არ მიგვაჩნია სწორად.

ბ. ჰედ-მა I ტიპის კოლხური დიდრაქმა ძვ. წ. 500 წლით დაათარიღა⁴⁹. მილეტური ანალოგიების საფუძველზე ა. ზოგრაფი მათ ძვ. წ. VI ს. დასასრულით, ან V ს. დასაწყისით, ხოლო ბ. კუფტინი ძვ. წ. VI ს. ახლო ხანებით ათა-

⁴² Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, стр. 59—60, М. П. Инадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 168.
⁴³ Е. А. Пахомов, Монетные клады... I, стр. 37, А. Н. Зограф, Распространение..., стр. 56, № 35., М. П. Инадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 169.
⁴⁴ М. П. Инадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 169.
⁴⁵ Е. А. Пахомов, стр. 37, № 9 მისივე, Несколько слов с происхождений... Е. Рочитонов, დასახ. ნაშრ., გვ. 68.
⁴⁶ М. И. Инадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 169.
⁴⁷ იქვე, გვ. 169—170.
⁴⁸ ამ საკითხს ამჯერად ჩვენ შეგნებულად არ ვაღრმავებთ.
⁴⁹ B. Head, Historia Numorum, Oxford, 1911, გვ. 495.

რილებდნენ⁵⁰. ს. მაკალათია და დ. კაპანაძე ამ მონეტებს ზოგადად ძვ. წ. VI ს-ში მოჭრილად თვლიან⁵¹. დ. ლანგი საინტერესო დიდრაქმების გამოშვების დროდ მიიჩნევს ძვ. წ. 500 წ., ან უფრო მოგვიანო ხანას⁵². მ. ინაძის აზრით, ეს დიდრაქმები მიეკუთვნებიან კოლხეთში სტაბილური სამონეტო ტიპის ჩამოყალიბების (ძვ. წ. VI ს. შუა პერიოდი) წინარე ხანას⁵³. სხვა სიტყვებით, ისინი ძვ. წ. VI ს. I ნახევრით თარიღდებიან. სამწუხაროდ, I ტიპის კოლხური დიდრაქმის დასათარიღებლად მეცნიერებას მტკიცე კრიტერიუმი არ გააჩნია, მაგრამ ანალოგიების, სტილისტური და ფაქტურული ანალიზის საშუალებით შეიძლება ითქვას, რომ მათი დათარიღება ძვ. წ. VI ს-ის I ნახევრით გაძნელებდა. ჩვენის აზრით, ჭეშმარიტებასთან ახლოს უნდა იყოს მათი მიკუთვნება ძვ. წ. VI ს. უკანასკნელი მეოთხედისათვის.

II ტიპის კოლხური დიდრაქმის აღწერილობა ასეთია:

შუბლი — ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ.
 ზურგი — ჩაქდულ კვადრატში ერთმანეთის საპირისპიროდ ადამიანის ისეთივე თავები, როგორც მონეტის შუბლზეა გამოსახული⁵⁴.

ამ მონეტების კოლხური წარმოშობის საკითხი საეჭვოდ არავის გაუხდია. ტიპოლოგიურად ისინი ძალიან ახლოს დგანან ჩვეულებრივი ტიპის კოლხურ მონეტებთან: მათზე ამოტვიფრული ადამიანის თავების პროფილი იდენტურია. ამას გარდა, მათი ერთი ნაწილი აღმოჩენილია სხვა კოლხურ მონეტებთან ერთად განძებში (ფოთსა და ახალსოფელში).

ა. ზოგრაფი არ თვლიდა შესაძლებლად ძვ. წ. V ს-ზე უფრო ადრეული ხანა მიჩნეულიყო მათი მოჭრის თარიღად⁵⁵. ამავე აზრს იზიარებდა დ. კაპანაძეც⁵⁶. ს. მაკალათია II ტიპის დიდრაქმებს ძვ. წ. V—IV სს. ათარიღებს⁵⁷, დ. ლანგი ძვ. წ. 400 წლით⁵⁸ (მ. ინაძის შეხედულება ჩვენ ზემოთ გვექონდა მოტანილი).

⁵⁰ A. H. Зограф, Распространение... გვ. 37, Б. А. Куфтин, Материалы, II, გვ. 60.

⁵¹ ს. მაკალათია, ახლა ტიპის კოლხური მონეტებს აღმოჩენა, გვ. 428, Д. Капанадзе, Груз. нумизматика, გვ. 32.

⁵² D. M. Lang, Notes on Caucasian Numismatics, გვ. 137.

⁵³ М. П. Инадзе, დასახ. ნაშრ. გვ. 168.

⁵⁴ საქ. სახელმწ. მუზეუმში ეს მონეტბა 7 ცალას რაოდენობათაა დაცულა: გ. ფ. № 4809 (ახალსოფლის განძიდან, იხ. К. В. Голенко, Д. Г. Капанадзе, Четыре клада Кольхидак, НЭ, VI, 1966, გვ. 34, ტაბ. XVIII, № 816, წ. 10, 35, ზ. 19/20). ქ. ფ. №№ 1, 2, 1630, 2849, 3825, 3826. წ.—8, 69; 10, 31; 10,36; 10,41; 9,22,9,9; ზ—21/23, 19/21; 21/22; 21/23; 18/20; 19/21; (ორა უკანასკნელი ე. პახომოვის კოლექციიდანაა და, როგორც ჩანს, ფოთის განძიდან მომდინარეობენ. იხ. Е. А. Пахомов, Монетные клады..., 1, 37, № 9). ქუთაისის მუზეუმში ინახება ორა ეგზემპლარი (ახალსოფლის განძიდან. К. В. Голенко, Д. Г. Капанадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 34, ტაბ. XVIII, №№ 818, 817, წ. 9,60, 9,16). ერმიტაჟი. ერთა (А. Н. Зограф, Распространение... ტაბ. 1, № 3). დოქტორ რობინზონის (აშშ) კოლექციაში—1 (D. M. Lang, Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia, 1955, ტ. 1, № 3). გარდა ამისა, ლიტერატურიდან ცნობილია კიდევ რამდენიმე ცალა: Кёне, Описание музея Кочубей, I С.-Петербург, 1857, გვ. 427. შტრ. Mémoires de la Société Imp. d'Archéologie, IV, გვ. 367, E. Babelon, Traite, 2^e partie, I, გვ. 1536, № 2966. ფოთის განძში ე. პახომოვის კუთვნილ მონეტებს გარდა კიდევ შედიოდა 3—4 II ტიპის დიდრაქმა (Е. А. Пахомов, Монетные клады... I, გვ. 37, № 9). ამრიგად, სულ 19—20 მონეტა.

⁵⁵ А. Н. Зограф, Распространение... გვ. 37.

⁵⁶ დ. კაპანაძე, ქართული ნუმისმატიკა, 1969, გვ. 28.

⁵⁷ ს. მაკალათია, კოლხური დიდრაქმა, საქ. სახელმწ. მუზ. მოაპზე, 1933, VII, გვ. 196.

⁵⁸ D. M. Lang, Studies... გვ. 7.

1959 წ. ჩეხმა მეცნიერმა ევგ. პოხიტონოვმა გამოაქვეყნა კოლხური დიდრაქმის ახალი ტიპი, რომელიც თურმე ფოთის განძის შემადგენლობაში შედიოდა. მას ასეთი სახე აქვს:

შუბლი — ხაზოვან რკალში ჩასმული ადამიანის თავის პროფილი მარჯვნივ (ისეთივე როგორც II ტიპის დიდრაქმაზე).

ზურგი — ორი ხარის გამოსახულება ერთმანეთის საპირისპიროდ ჩაჭდულ კვადრატებში (ხარები იდენტურია კოლხურ ნახევარდრაქმებზე გამოსახული ხარისა)⁵⁹.

ეს მონეტა ამჟამად დაკარგულია. ე. პოხიტონოვს შემორჩენილი ჰქონია მისი ჩანახატი, რომელიც მან პროფ. დ. კაპანაძეს გამოუგზავნა⁶⁰. ე. პოხიტონოვი მას II ტიპის დიდრაქმის სინქრონულად მიიჩნევს.

შემდეგი ნომინალი — დრაქმა, წარმოდგენილია ერთა ცალით. იგი ქუთაისის მუზეუმის კუთვნილებაა.

შუბლი — ლომის თავი an face.

ზურგი — ჩაჭდულ კვადრატში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ხარის თავი.

წ — 5,52 გრ.

მონეტა უპასპორტოა. მიუხედავად ამისა, ა. ზოგრაფმა ტრიბოლოგიური მსგავსების საფუძველზე შესაძლებლად მიიჩნია მისი შეტანა კოლხეთის ნუმიზმატიკური ძეგლების რიცხვში⁶¹. ეს აზრი ამჟამად დამკვიდრებულად ითვლება სამეცნიერო ლიტერატურაში⁶². ძნელია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად მართებულია ერთადერთი და ისიც უპასპორტო მონეტის მიკუთვნება ამა თუ იმ ქვეყნის ნუმიზმატიკური მემკვიდრეობისათვის მარტოოდენ ტრიბოლოგიური მსგავსების საფუძველზე. მით უმეტეს, რომ დრაქმაზე ამოტვიფრული ლომის თავი an face პარალელს ვერ პოულობს დანარჩენ კოლხურ მონეტებს შორის. ამავე დროს, იგი საოცარ მსგავსებას ამჟღავნებს რეგიუმისა და მესანის მონეტებთან⁶³. მონეტის ნომინალის დადგენა და დათარიღება (ძვ. წ. V ს. quadratum incusum-ის მიხედვით) ეკუთვნის დ. კაპანაძეს⁶⁴.

გარდა მსხვილი ნომინალებისა, იჭრებოდა აგრეთვე კოლხური თეთრის მცირე ნომინალებიც, კერძოდ, ნახევარდრაქმები ანუ ტრიბოლოები. კოლხური ტრიბოლოები ორ ჯგუფად იყოფა. I ტიპის ნახევარდრაქმები ძალიან იშვიათია. მათი მსოფლიო მარაგი ოთხი ცალით განისაზღვრება. ამასთანავე ყველა მათგანი საქართველოშია მიკვლეული (ახალსოფელსა⁶⁵ და ქობულეთში⁶⁶).

⁵⁹ Eugen Pochitonov, დს.ხ. ნაშ., გვ. 68; დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 28.

⁶⁰ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ე. პოხიტონოვი, რომელმაც პირადად გადაათვალიერა ფოთის განძი, ამ ტიპის მონეტას არ ასახელებს (იხ. E. A. Пахомов, Монетные клады... I, გვ. 57, № 9).

⁶¹ A. H. Зограф, Распространение... გვ. 36.

⁶² Д. Г. Капанадзе, Заметки по нумизматике древней Колхиды, გვ. 193, მასევე, Гruz. нумизматика, გვ. 33. D. M. Lang, Studies... გვ. 9. და სხვ.

⁶³ E. Babelon, Traite, I, ტ. LXXI, №№ 9, II, ტ. LXXII, № 9.

⁶⁴ Д. Г. Капанадзе, Грузинская нумизматика, გვ. 33.

⁶⁵ ს. მაკალათია, ახალი ტიპის კოლხური მონეტების აღმოჩენა, გვ. 425—428; ახალსოფლის განძში აღმოჩენილი I ტ. კოლხური ნახევარდრაქმები დაკულაა საქ. სახელმწ. მუზეუმში, გ. ფ. №№ 4810, 4811, 10587 (წ.-2, 60; 2,21; 2,22; ზ-11/13; 11/12; 12/13).

⁶⁶ დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, 1959, გვ. 29 (წ.-1, 66).



შუბლი — დაღრენილი ლომის თავის მარჯვენა პროფილი (ქობულეთში ჩენილ მონეტაზე ლომის თავი მარცხნივაა მიმართული).

ზურგი — ჩაქდულ კვადრატში მოთავსებული მარჯვნივ მიმართული ძუ ლომის პროტომა.

ს. მაკალათია ლიდიური პარალელების საფუძველზე მათ ძვ. წ. VI—V სს. ათარიღებს⁶⁷, ხოლო ა. ზოგრაფი და დ. კაპანაძე ძვ. წ. V ს.⁶⁸.

კოლხური მონეტებიდან ყველაზე გავრცელებულ სახეობას II ტიპის ნახევარდრაქმა წარმოადგენს. იგი ათასობითაა აღმოჩენილი დას. საქართველოს ტერიტორიაზე. ტერმინი „კოლხური თეთრი“ (რუსულად „КОЛХИДКИ“) თავდაპირველად სწორედ ამ მონეტებს აღნიშნავდა.

შუბლი — ხაზოვან ან წერტილოვან რკალში ჩასმული მარჯვნივ (ზოგიერთ შემთხვევაში მარცხნივ) მიმართული ადამიანის თავი.

ზურგი — ასევე მარჯვნივ მიმართული ხარის თავი, რომელიც ხაზოვან რკალშია ჩასმული.

ამ მონეტების რემედიუმი საგრძნობ გადახრებს იძლევა: 1,2—2,6 გრ⁶⁹. ჩვეულებრივი ტიპის კოლხური ნახევარდრაქმების უმნიშვნელო პროცენტზე ამოტიფრულია შემდეგი ბერძნული ასოები: Φ, Α, ΜΟ | ΣΟ?⁷⁰ მათი მნიშვნელობის ახსნა მრავალმა მეცნიერმა სცადა, მაგრამ, ჯერჯერობით, უშედეგოდ⁷¹.

კოლხური ნახევარდრაქმების დათარიღების საკითხში ერთსულოვნება არ სუფევს. უკანასკნელ ხანებში გამოსულ ნაშრომში მათი მოჭრის ხანად ძვ. წ. V—IV სს. მიჩნეული. გარდა ამისა, მოცემულია ცდა დათარიღდეს ამ მონეტების ცალკეული ჯგუფები დიფერენცირებულად, წლების(!) მიხედვით⁷², იმისდა მიუხედავად, რომ უცნობია გამოსავლელი წერტილი, მათი ემისიის დაწყების წელი.

* * *

ზემოთაღწერილ მონეტებს მეცნიერთა უმრავლესობა კოლხეთის სამეფოს უკავშირებს. ამ დებულების სასარგებლოდ მათ საბუთების მთელი სერია მოჰყავთ⁷³, რომელთა შორის უმთავრესია კოლხური თეთრის გავრცელების არეალი. ეს მონეტები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოში და

⁶⁷ ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 426.

⁶⁸ А. Н. Зограф, Распространение... გვ. 37; Д. Г. Капанадзе, Грузинская нумизматика, გვ. 33.

⁶⁹ დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, გვ. 30.

⁷⁰ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ამ ასოებს გარდა ასახელებენ კიდევ Е-ს, О-სა და П-ს (იხ. მაგ. К. В. Голенко, Д. Г. Капанадзе, Четыре клада колхидок, გვ. 31, სქ.). ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ „О“-დ მიჩნეულა ნაშანი უფრო სტილიზებულ გვარგვანს ჰგავს, ასევე დეკორატიული დეტალს შთაბეჭდილებს ტოვებს „Е“-ც. რაც შეეხება „П“-ს, ეს აშკარად გაუგებრობაა.

⁷¹ ამ საკითხს შესახებ იხ. А. Б. Куфтин, Материалы... II, გვ. 61, 58. საქართველოს არქეოლოგია, გვ. 244.

⁷² К. В. Голенко, Д. Г. Капанадзе, Четыре клада Колхидок, გვ. 47. დასახელებული ავტორების კონკრეტუალ ჩვენ არ ვიზიარებთ, მაგრამ ამჯერად არ ვაწარმოებთ მათთან პოლემიკას იმის გამო, რომ ეს სცილდება ჩვენთვის საინტერესო საკითხის ჩარჩოებს.

⁷³ დაწერილებით ამას შესახებ იხ. А. Н. Зограф, Распространение... გვ. 38, Д. Г. Капанадзе, К. В. Голенко, К вопросу о происхождении колхидок, ВДИ, 1957, № 4; დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, 1969, გვ. 27.

უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა არ გადის მის ფარგლებს გარეთ⁷⁴. ერთი შეხედვით, ეს მართლაც მნიშვნელოვანი არგუმენტია, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. ვანა იმავე არგუმენტით (და არა ნაკლები წარმატებით) არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ამ მონეტებს ჰქონდა ქ. ფ ა ს ი ს ი (რომელიც, სხვათაშორის, კოლხეთის ტერიტორიაზე მდებარეობდა და არა სადღაც საბერძნეთში) ადგილობრივ მოსახლეობასთან სავაჭროდ?! რა არის იმაში პარადოქსული რომ კოლხეთის მიწა-წყალზე მდებარე ქალაქში მოჭრილი საფასეები მთელს დასავლეთ საქართველოში გავრცელებულიყო? ჩვენ აქ უჩვეულოს ვერაფერს ვხედავთ. ამრიგად, ეს არგუმენტი, ჩვენის აზრით, არაფერს იძლევა კოლხური თეთრის გენეზისის ასახსნელად.

შემდეგ საბუთად ასახელებენ კოლხური თეთრის აღმოჩენათა სიმცირეს უცხოურ მონეტებთან ერთად განძებში⁷⁵. პირადად ჩვენთვის, სრულებით გაუგებარია ამ არგუმენტის აზრი. ჯერ ერთი, კოლხური თეთრი მაინც ჩნდება უცხოურ მონეტებთან ერთად⁷⁶ და, მეორეც, ეს დებულება პოტენციურად შეიძლება გაბათილდეს ყოველწუთს. გარდა ამისა, ამ საბუთს მაშინ ექნებოდა რაიმე ძალა, ვთქვათ დას. საქართველოს მიწა-წყალი დაყურსული რომ ყოფილიყო კოლხური თეთრის სინქრონული უცხოური მონეტების განძებით. სინამდვილეში კი კლასიკური ხანის ერთადერთი უცხოური მონეტების განძი მომდინარეობს კოლხეთიდან (ფიჭვნარის) და ისიც შერეულ ხასიათს ატარებს (სინოპური დრაქმები და კოლხური ტრიობოლები). და თუ მაინც ამ არგუმენტით რისამე მტკიცება შეიძლება, მხოლოდ იმის, რომ ამ პერაოდის კოლხეთის

74 ასეა თუ ისე, როგორც ჩანს, ეს მონეტები მაინც გადიოდა კოლხეთის საზღვრებს გარეთ. ისინი აღმოჩენილია აღმ. საქართველოში (Е. А. Пахомов, Монетные клады, ... IV, 1949, №№ 994, 1000, 1002), ნაშფაიაში, ჭერჩის ნახევარკუნძულზე (В. М. Скуднова, Находки колхидских монет и пифосов в Нимфее, ВДИ, 1952, გვ. 238), შუა აზიაში ფერ-ჯანში (М. С. Массон, Монетные находки, зарегистрированные в Средней Азии за время с 1917 г. по 1927 г. «Изв. Средазкомстариса», вып. III, Ташкент, 1928, გვ. 283—4), ეს უცანასკნელი აღმოჩენა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან წარმოადგენს ჩვეულებრივ ტიპის კოლხური ნახევარდრაქმების განძს 20 ც. რაოდენობით. მ. მასონი წერს: „По словам владельца, найдены они несколько лет назад в Фергане, около Маргелана. Отсутствие уверенности в правильности показания не позволило мне включить этот клад в список“, თუ ჩვენ ამ გზას დავადგებთ, მაშინ ეჭვის ქვეშ უნდა დავაყენოთ კოლხურ მონეტათა შემთხვევითი აღმოჩენები თვით დას. საქართველოს ტერიტორიაზედაც. ასეცაა კა ძალიან ბევრია.

75 დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმისმატიკა, 1969, გვ. 27.

76 ასე მაგ. 1856 წ. სურამში კოლხური მონეტები აღმოჩენილა ძვ. წ. VI—V სს. აქემენიდურ სიკლასთან ერთად (Е. А. Пахомов, Монетные клады... I, გვ. 36, № 2. А. Н. Зоргаф, Распространение... გვ. 56—57, № 24). 1948 წ. ფიჭვნარში (ქობულეთის რ-ნი) აღმოჩნდა ძვ. წ. IV ს. სანოპურა დრაქმებისა და ჩვეულებრივა ტიპის კოლხური ნახევარ-დრაქმების შერეული განძა, რომელაც მპოვნელას სიტყვით 6—8 კგ. იწონიდა (განა ამის შემდეგ შეიძლება შემოთმობნა არგუმენტის სერაოზულა მნიშვნელობა მიენიჭოს?) იხ. К. В. Голенко, Клад синопских и колхидских монет из Кобулети, 1948, (ВДИ, 1961, № 1). 1952 წ. ფიჭვნარში შემთხვევით მაცვლეული კოლხური მონეტების განძში ერაო ერთი ცალი ჭიზაკურა მონეტა მოჭრილა ძვ. წ. 500—460 წწ. (К. В. Голенко, Д. Г. Капанадзе, Четыре клада коллидов, გვ. 34—35). 1950 წ. ფაქვნარში კოლხურ ტრიობოლებთან ერთად აღეჭსანდრე ჰაედონელას სტატერაც აღმოჩნდა (საქართველოს არქეოლოგია, 1959, გვ. 246). 1965 წ. იმავე ფიჭვნარში არქეოლოგმა აღ. რამიშვილმა მიაკვლია სამარხებს, სადაც 4 კოლხურ ნახევარდრაქმასთან ერთად ძვ. წ. III ს-ის დასაწყისის ორა სინოპური ტრიობოლიც აღმოჩნდა (გ. დუნიძე, საქართველოში აღმოჩენილი სანოპურა მონეტები, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ზელოვნების ისტორიის სერია, 1971, № 1, გვ. 144—148).

სამონეტო ცირკულაციაში უცხოური მონეტების ხვედრითი წონა მცირე იყო (ცხადია, ეს დასკვნაც პირობით ხასიათს ატარებს, ვინაიდან ერთმა აღმოჩენამაც კი შეიძლება მთლიანად შეცვალოს სურათი).

ა. ზოგრაფი კოლხური თეთრის ანეპიგრაფულობისა და მის ტიპოლოგიაში ფანტასტიური ელემენტების (იგულისხმება, ალბათ, I ტიპის დიდრაქმის ზურგზე ამოტივფრული ხარის თავიანი ადამიანის ფიგურა) არსებობის გამო, ამ საფასეების მოჭრას სატომო ხელისუფლებას მიაწერდა⁷⁷. მაგრამ იქვე დასძენდა, რომ ეს მოსაზრება ზოგადი ხასიათისა იყო და მისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭება არ შეიძლებოდა⁷⁸. ა. ზოგრაფს არასოდეს არ გამოურიცხავს იმის შესაძლებლობა, რომ მათ ემისიას ფასისი ახორციელებდა⁷⁹.

უნდა აღინიშნოს, რომ პრინციპულად იმის მტკიცება თითქოს საქალაქო მონეტისათვის აუცილებელია ქალაქის სახელის აღმნიშვნელი ზედწერილი, შეუძლებელია. მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება. განა ფასისის მეტროპოლიად მიჩნეული მილეტის ადრეული მონეტები ანეპიგრაფიული არაა?

დაბოლოს უკანასკნელ არგუმენტად ამ მონეტების კოლხეთის სამეფოსათვის მიკუთვნების სასარგებლოდ წამოყენებულია მოსაზრება, რომლის თანახმადაც კოლხურ თეთრზე ამოტივფრული გამოსახულებანი, კერძოდ, ადამიანის თავისა და ხარის გამოსახულება, დაკავშირებულია ადგილობრივ ღვთაებებთან⁸⁰. ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ კოლხური თეთრის გენეზისის გასარკვევად ჩვენ გადაამწყვეტად, ძირითად გზად სწორედ მათზე ამოკვეთილ გამოსახულებათა სემანტიკური მნიშვნელობის გახსნა მიგვაჩნია. თუ კი მეცნიერება შეძლებს დაამტკიცოს ამ გამოსახულებათა კავშირი ქართველურ ან ბერძნულ სამყაროს პანთეონთან, კოლხური თეთრის წარმოშობის საკითხიც, ჩვენი აზრით, წარმატებით იქნება გადაჭრილი. სამწუხაროდ, სწორედ ამ მიმართებითაა გაკეთებული ძალზე ცოტა. ჩვენ იმის თქმა გვსურს, რომ სპეციალური კვლევა-ძიება ამ კუთხით ჯერჯერობით არავის უწარმოებია⁸¹. მართალია, რიგ ავტორებს ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საყურადღებო მოსაზრებები აქვთ წამოყენებული (განსაკუთრებით პროფ. ს. მაკალათისა⁸²), მაგრამ ისინი, ძირითადად, მაინც ადამიანისა და ხარის გამოსახულებიან კოლხურ მონეტებს ეხებიან (რომლებსაც ჩვენ ამჟამად არ ვიკვლევთ). თუ არ ჩავთვლით ანალოგიების დაძებნასა და ზოგადი ხასიათის დებულებებს, დღემდე არავის უცდია ლომის გამოსახულებიანი კოლხური მონეტების (საერთოდ, და არა მარტო I ტიპის დიდრაქმის) სემანტიკური მნიშვნელობის გახსნა და მისი დაკავშირება ქართველურ, ან ბერძნულ სამყაროს რწმენა-წარმოდგენებთან. ჩვენ შევეცდებით ამ ხარვეზის შევსებას. ამისათვის კი საჭიროა გავიხსენოთ რამდენიმე ისტორიული მომენტი ფასისთან და მილეტთან დაკავშირებით:

77 А. Н. Зограф, Распространение..., გვ. 38.

78 იქვე, გვ. 38.

79 იქვე.

80 დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, 1969, გვ. 27.

81 ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს დ. კაპანაძისა და ირ. შენგელიას წერილი:

Триморфная Геката с колхидской дидрахмы V в. до н. э. Сб. «Античная история и культура Средиземноморья и Причерноморья», გვ. 154—162.

82 ს. მაკალათია, კოლხური დიდრაქმა, მისივე, ახალი ტიპის კოლხური მონეტების აღმოჩენა.

1. ანტიკური ტრადიცია და წყაროთა ერთი ნაწილი ფასისის დაარსებას მიაწერენ მილეტიდან გამოსულ კოლონისტებს⁸³. პომპონიუს მელა კოლონისტთა წინამძღოლსაც კი ასახელებს — თემისტაგორეს⁸⁴. ჩვენთვის აქ საკითხის ის მხარე კი არ არის საინტერესო, მართლა მილეტელების მიერაა დაარსებული ფასისი, თუ არა, არამედ ის, რომ ფასისში მოსახლეობდა მილეტიდან გადმოსახლებულ ადამიანთა გარკვეული ჯგუფი.

2. ცნობილია, რომ მილეტის მთავარი ღვთაება იყო აპოლონი⁸⁵. ისიც ცნობილია და დავას არ იწვევს, რომ კოლონიას თავის დამაარსებელ ქალაქთან აკავშირებდა რელიგიური კულტი. კოლონიაში იგივე ღვთაებას სცემდნენ თაყვანს, როგორსაც მეტროპოლიაში⁸⁶.

3. 1899 წ. მდ. ყუბანის ნაპირას ხუტორ ზუბოვკაში აღმოჩნდა ვერცხლის თასი წარწერით: „აპოლონ-წინამძღოლისა ვარ, რომელიც ფასისში არის“⁸⁷. წარწერა თარიღდება ძვ. წ. V ს. დასასრულით. ან ძვ. წ. IV ს. დასაწყისით (წარწერა იონურია, მილეტის ბერძნულიც იონური დიალექტია)⁸⁸. ამის საფუძველზე, ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს, რომ ფასისში არსებობდა აპოლონის ტაძარი ან სამლოცველო და ეს ნივთი მისთვის იყო შეწირული⁸⁹. ამრიგად, ფასისში, ისევე როგორც ყველა თავის კოლონიაში⁹⁰, მილეტელებს გადმოუტანიათ და დაუნერგავთ აპოლონის კულტი. აქედან გამომდინარე, სრულიად სამართლიანია პროფ. თ. ყაუხჩიშვილის შენიშვნა, რომ: „მილეტელებისა და ფასისელების ურთიერთობა ფაქტია და არა საყოყმანო რაღაც ლიტერატურული გადმოცემა“⁹¹.

4. ჩვენამდე მოღწეულია ჰერაკლიდეს „პოლიტიების“ ფრაგმენტები, რომელთა ავტორი სინამდვილეში უნდა იყოს ძვ. წ. IV ს. მოღვაწე არისტოტელე, ან მისი უახლოესი მოწაფე⁹². ჰერაკლიდეს ფრაგმენტთა შორის XVIII ფრაგმენტი არის „ფასისელთა პოლიტია“, ე. ი. ფასისელთა სახელმწიფო წყობილება. მოგვყავს ამ ფრაგმენტის თ. ყაუხჩიშვილისეული თარგმანი.

„XVIII ფასისელთა (სახელმწიფო წყობილებიდან).

ფასისში თავდაპირველად ჰენიოხები ცხოვრობდნენ, კაციჭამია და ადამიანის ტყავის გამხდელი ტომი. შემდეგ კი მილეტელები, ხოლო ესენი სტუმართ-

⁸³ ამის შესახებ დაწერილებით იხ.: М. П. Инадзе, Причерноморские города Древней Колхиды, გვ. 42, შმდ.

⁸⁴ იქვე, გვ. 83. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ასეთი კაცი მართლაც იხსენიება მილეტის ძვ. წ. 521—520 წწ. ნუსხებში (იხ. С. А. Жебелев, Северное Причерноморье, 1953, გვ. 71).

⁸⁵ М. М. Кобылина, Милет, 1965, გვ. 115 და სხვ.

⁸⁶ Б. ლომოური, კოლხეთის სამეფოს ბერძნული კოლონიზაცია, 1962, გვ. 9.

⁸⁷ Изв. Имп. арх. ком. вып. I, 1901, გვ. 94—103. თ. ყაუხჩიშვილი, ჰერაკლიდეს და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, — „აღმოსავლური ფილოლოგია“, 1969, I, გვ. 200.

⁸⁸ თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 200.

⁸⁹ იხ. მაგ.: თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 200; ალ. წერეთელი, კოლხეთის ბერძნული კოლონიზაციის საკითხები, „მნათობი“, 1965, № 3, გვ. 178; თთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, 1966, გვ. 48; ნ. ლომოური, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

⁹⁰ Fr. Bilabel, Die Ionische Kolonisation, Leipzig, 1920, გვ. 112.

⁹¹ თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 202.

⁹² А. Доватур, „Политии Ари:стотеля“, ხელნაწერი, მითით. თ. ყაუხჩიშვილის ნაშრომიდან, ჰერაკლიდეს და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 193, სქ.

მოყვარენი არიან, ისე რომ ამარაგებენ მათ, ვისაც გემები ელტუპებათ, 3 მნას აძლევენ (მილეტელებს ესენა) და ზღვითვე მიემგზავრებიან⁹³.

თ. ყაუხჩიშვილმა დამაჯერებლად უჩვენა, რომ „ფასისელთა“ ნიშნავს ე.ი. ლაქ ფასისის მცხოვრებლებს და არა ტომის სახელს⁹⁴.

ამრიგად, ისეთი ავტორიტეტული მკვლევრის ცნობით, როგორც არისტოტელე იყო მტკიცდება, რომ ძვ. წ. IV საუკუნეში ფასისი გარკვეული პოლიტიკური ერთეულია, აქვს თავისი სახელმწიფოებრივი წყობილება და იქ მილეტელებიც ცხოვრობენ⁹⁵ (ჩვენთვის არსებითია მხოლოდ ეს ორი მომენტი და არა ის საკითხი, კოლონია იყო ფასისი, თუ ემპორიონი)⁹⁶.

5. ლომი მილეტის სახელმწიფოებრივი ემბლემა და გამოსახულია მის მონეტებზე⁹⁷. ლომის მოტივი ძალიან ხშირია ბერძნულ ნუმისმატიკაში და მას სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტებში განსხვავებული ფუნქციები აქვს⁹⁸. მაგრამ მილეტის ნუმისმატიკაში, როგორც ამას სპეციალისტები ერთხმად აღიარებენ, იგი ყოველგვარ ექვს გარეშე დაკავშირებულია აპოლონის კულტთან.

„На монетах Милета изображение льва,—წერს დ. შელოვი,—безусловно относится к культу Аполлона, главного божества Милета: присутствие льва среди обычных атрибутов Аполлона известно очень хорошо. Такое объяснение этого типа в Милете подтверждается и более поздней милетской монетой, имеющей на реверсе изображение льва, стоящего с повернутой назад головой и восьмиконечной звездочки. Тип этот Сопровождается надписью 'Εϋδιμηναίηρη, а на аверсе помещена голова Аполлона⁹⁹. Связь льва с культом Аполлона Дидимского здесь не может подлежать сомнению¹⁰⁰. გარდა ამისა, წარწერები, რომლებიც მილეტში აღმოჩენილ ლომის ქანდაკებებს ახლავენ, გვაუწყებენ, რომ ეს ქანდაკებები მიძღვნილია აპოლონისადმი¹⁰¹. დელფოსში ნაპოვნია ბრინჯაოს პატარა ზომის ლომი წარწერით: „ვეკუთვნი აპოლონს“¹⁰² და ა. შ.

6. I ტიპის კოლხურ დიდრაქმაზე გამოსახული მწოლიარე ლომი, როგორც ეს არაერთგზისაა აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში¹⁰³, ყველა დეტალში იმეორებს კრეზის ეპოქის მილეტურ მონეტაზე ამოტიფრულ ლომს¹⁰⁴. მათი იდენტურია აგრეთვე კოლხურ ტეტრადრაქმაზე და I ტიპის ტრიობოლზე ამოკვეთილი ლომის თავები.

7. მოვიყვანო კვლავ დ. შელოვის სიტყვებს: „Типологические заимствование в эту эпоху (იგულისხმება კლასიკური ხანა—გ. დ.)

⁹³ თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 195.

⁹⁴ იქვე, გვ. 195 და შმდ.

⁹⁵ დაწვრილებით ამ საკითხის შესახებ იხ. М. П. Инадзе, დასახ. ნაშრ., გვ. 60, შმდ.

⁹⁶ ემპორიონად ფასისს მიიჩნევს პროფ. თ. ლორთქიფანიძე, იხ.: ანტიკური საქართველო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966.

⁹⁷ М. М. Кобылина, Милет, გვ. 142.

⁹⁸ დაწვრილებით ამის შესახებ იხ. Д. Б. Шелов, К вопросу об изображении львиной головы на ранних Боспорских монетах КСИМК, 1951, XXXIX, გვ. 47—48.

⁹⁹ P. Gardner, The Types of Greek Coins, Cambridge 1883, გვ. 42 ტ. XVI, 9.

¹⁰⁰ Д. Б. Шелов, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

¹⁰¹ М. М. Кобылина, დასახ. ნაშრ., გვ. 143.

¹⁰² იქვე, გვ. 113.

обычно свидетельствуют либо о политическом воздействии одного центра на другой, либо (гораздо чаще) о культурных связях между ними“ (ხაზი ჩვენია—გ. დ.)¹⁰⁵. ფასისისა და მილეტის რელიგიური კავშირი ისტორიული ფაქტია. ამდენად ჩვენ სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ კოლხურ მონეტებზე გამოსახული ლომები აპოლონის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული და ლომის გამოსახულებიანი კოლხური მონეტების— ტეტრადრაქმის, I ტიპის დიდრაქმის, დრაქმისა და I ტიპის ნახევარდრაქმის შემოსია ფასისის ზარაფხანას მიეაწეროდ.

8. ჩვენი მოსაზრება მით უფრო სარწმუნო ხასიათს მიიღებს, თუ გავიხსენებთ, რომ მილეტის კოლონიების მონეტებზე გამოსახულ ლომებს, როგორც წესი, აპოლონის კულტს უკავშირებენ. ასე მაგ. პანტიკაპეიონის მთავარ ღვთაებად მიჩნეულია აპოლონი, რომელიც მეცნიერთა აზრით, მილეტური წარმოშობისაა¹⁰⁶. მიუხედავად იმისა, რომ პანტიკაპეიონის ადრეულ მონეტებზე გამოსახული ლომები სამოსურ მონეტებზე ამოკვეთილ ლომის სკალპს ემსგავსებიან¹⁰⁷, ამ მოტივის მინც მილეტურად მიიჩნევენ და აპოლონის კულტს უკავშირებენ, რადგან, როგორც დ. შელოვი შენიშნავს: „Пантикапей никогда не состоял ни в какой политической и религиозной связи с Самосом, более того, на Самосе как раз не было тех культов, которые преобладали в Пантикапее“¹⁰⁸ მილეტისა და ფასისის საკულტო და სამონეტო ტიპოლოგიის ურთიერთკავშირი, ურთიერთმსგავსება კი — უდავო ფაქტია. (იხ. ტაბ. № 1 ე. წ. კოლხური ტეტრადრაქმის შუბლი №№ 2, 4, 5 I ტიპის კოლხური დიდრაქმები, № 6 I ტიპის კოლხური ნახევარდრაქმა, № 3 მილეტური მონეტის შუბლი).

Г. Ф. ДУНДУА

К ПРОИСХОЖДЕНИЮ КОЛХИДОК С ИЗОБРАЖЕНИЕМ ЛЬВА (Резюме)

Проблема колхидок является «гордиевым узлом» грузинской нумизматической науки. Несмотря на то, что этой группе монет посвящена обширная литература, ни один вопрос связанный с этой проблемой нельзя считать окончательно решенным. Данная работа конечно не претендует на освещение всех аспектов этой проблемы. В ней затронут лишь вопрос генезиса одной группы колхидок — с изображением льва.

Работа содержит описание всех известных номиналов колхидок (т. е. тетрадрахм, дидрахм трех типов, драхмы и полудрахм двух типов) и полный обзор литературы.

Эмиссию колхидок большая часть ученых приписывает колхидскому царству, подкрепляя это положение целой серией аргументов, среди

¹⁰⁵ Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, т. II, с. 59—60.

¹⁰⁴ შესაღარებლად იხ.: Gisela M. A. Richter, Archaic Greek Art. New-York, Oxford University Press, 1949, № 312.

¹⁰⁵ Д. Г. Шолов, დასახ. ნაშრ., გვ. 47.

¹⁰⁶ И. И. Толстой, Культ Аполлона на Босгоре и в Ольвии, ЖМНП, 1904, январь, отделение класс. филологии, с. 12—13. F. Bilabel, დასახ. ნაშრ., გვ. 88.

¹⁰⁷ იხ. მაგ. Ю. С. Крушкoл, Ранние Боспорские монеты как исторический источник, ВДИ, 1950, № 1, с. 184 და სვ.

¹⁰⁸ Д. Б. Шелов, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.

которых главным является ореал их распространения. Как известно, эти монеты в большом количестве найдены в Западной Грузии и, за редким исключением, не выходят за ее пределы. Но этот довод нельзя считать решающим, т. к. на том же основании можно утверждать, что чекан этих монет производил г. Фасис (расположенный, между прочим, на территории Колхиды, а не Греции) для торговли с местным населением. Нам кажется, нет ничего удивительного в том, что монеты чеканенные в городе, расположенном на территории Колхиды, широко обрабатывались в Западной Грузии.

Следующим аргументом приводится малочисленность находок колхидок в кладах совместно с иноземными монетами. Этот довод также шаток. Дело в том, что на территории Колхиды найден единственный клад иноземных монет раннеантичного времени (Пичвнари), ито смешанного характера (синопские драхмы середины IV в. до н. э. и колхидские триболы). И, наконец, последним аргументом в пользу колхидского происхождения интересующих нас монет, является предположение, что помещенные на них изображения связаны с местным пантеоном. Сам по себе этот важный довод теряет силу ввиду того, что специально этим вопросом до сих пор никто не занимался. Настоящая статья как раз и посвящена восполнению этого пробела.

Нами выдвинуты следующие предположения:

1. Античная традиция и часть источников приписывают основание Фасиса милетским колонистам. Помпоний Мела даже называет их предводителя—Фемистагора. В данном случае нас интересует не то, действительно ли Фасис основан милетянами, а то что в Фасисе жила определенная группа людей переселившихся из Милета.

2. Известно, что главным божеством Милета был Аполлон. Не оспаривается и тот факт, что колонию со своей метрополией связывал религиозный культ — в колонии почиталось тоже божество, что и в метрополи.

3. В 1899 г. на Кубани, в хуторе Зубовке был найден серебряный кубок с надписью «Я принадлежу Аполлону-предводителю, что в Фасиде», датируемой концом V или началом IV в. до н. э. (надпись ионийская, диалект употребляемый в Милете). На основании вышесказанного, все исследователи единогласно приходят к выводу, что в Фасисе существовал храм или святилище Аполлона, которому и пожертвован найденный кубок. Таким образом, в Фасисе, также как и в другие свои колонии, милетяне перенесли и привили культ Аполлона.

4. До нас дошли фрагменты «Политии» Гераклида, в действительности, по мнению ученых, принадлежащий Аристотелю (IV в. до н. э.), или его ближайшему ученику. Среди фрагментов Гераклида, XVIII «Политиа Фасисцев», т. е. государственный строй фасисцев. Приводим ее перевод:

«XVIII (из Политии) фасисцев. Фасис первоначально населяли гениохи, племя людоедское и сдиравшее кожу с людей, а затем милетяне. Они (т. е. милетяне) до того гостеприимны, что снабжают тех, которые терпят кораблекрушение, а эти в свою очередь дают (милетянам) 3 мины и отплывают» (пер. Т. С. Каухчишвили). Проф. Т. С. Каухчишвили убедительно доказала, что *Φασισαῖοι* переводится как «фасисцы», т. е. жители города Фасиса (а не как племенное название — Фасиани).

Таким образом, сведения столь авторитетного исследователя как Аристотель подтверждают, что в IV в. до н. э. Фасис определенная политическая единица с собственным государственным строем где проживают и выходцы из Милета.

5. Лев, являющийся государственной эмблемой Милета, изображен и на его монетах. Мотив льва частое явление в греческой нумизматике и в разных географических пунктах на него возложены различные функции. Но, по общему признанию специалистов, в милетской нумизматике он бесспорно связан с культом Аполлона, « На монетах Милета изображение льва безусловно относится к культу Аполлона, главного божества Милета: присутствие льва среди обычных атрибутов Аполлона известно очень хорошо. Такое объяснение этого типа в Милете подтверждается и более поздней милетской монетой, имеющей на реверсе изображение льва, стоящего с повернутой назад головой и восьмиконечной звездочки. Тип этот сопровождается надписью $\epsilon\upsilon\delta\iota\sigma\tau\alpha\iota\sigma\epsilon\tau\eta$, а на аверсе помещена голова Аполлона. Связь льва с культом Аполлона Дидимского здесь не может подлежать сомнению (Д. Б. Шелов). Кроме этого, надписи на скульптурных изображениях львов, найденных в Милете, оповещают, что они посвящаются Аполлону. В Дельфах найден маленький бронзовый лев с надписью — «принадлежу Аполлону» и т. д.

6. Изображение лежащего льва на колхской дидрахме, как это неоднократно отмечалось в научной литературе, во всех деталях повторяет льва милетской монеты эпохи Креза. Идентичный им головы львов помещенных на колхской тетрадрахме и триболе I типа.

7. «Типологические заимствования в эту эпоху (подразумевается классическая эпоха — Г. Д.), обычно свидетельствуют либо о политическом воздействии одного центра на другой, либо (гораздо чаще) о культовых связях между ними» (Д. Б. Шелов), Религиозные связи Фасиса с Милетом — исторический факт. По этому мы имеем все основания считать, что изображенные на колхидских монетах львы безусловно связаны с культом Аполлона и эмиссию этих монет (тетрадрахмы, дидрахмы I типа, драхмы, полудрахмы I типа) приписать монетному двору Фасиса. Подобное утверждение покажется еще более веским если припомнить, что изображение львов на монетах милетских колоний единогласно связывают с культом Аполлона.

შოთა ჩართოლანი

წყალმომარაგების უძველესი ძეგლები სვანეთში

1969 წლის მარტში, ზემო სვანეთის რაიონულ ცენტრში — მესტიაში შემთხვევით აღმოჩნდა თიხის მილები. უფრო ადრე, სხვადასხვა დროს, ანალოგიურ აღმოჩენებს ადგილი ჰქონდა მესტიაში, კალაში, მულახში, ლენჯერში, დიზში და სხვა სოფლებში¹. ამ მასალების დანიშნულების, სადაურობისა და გავრცელების საზღვრების დაზუსტების მიზნით მოეწყო მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ თიხის მილები ძველ, მიწისქვეშა წყალსადენებს განეკუთვნებიან².

ეს აღმოჩენა მეტად საინტერესო და დიდმნიშვნელოვანია, რადგან ძველ მიწისქვეშა წყალსადენების მშენებლობა ისეთ განაპირა, მაღალმთიან და კარგი სასმელი წყლებით უხვ მხარეში, როგორც სვანეთია, თითქოს ნაკლებად უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი. როგორც ცნობილია, საქართველოში დღემდე გამოვლენილი წყალმომარაგების უძველესი ნაგებობანი თითქმის უკლებლივ განეკუთვნებიან კულტურულ-ადმინისტრაციულ ცენტრებს, მთავარ ციხესიმაგრეებსა და წარჩინებულ პირთა რეზიდენციებს, რომლებიც გეოგრაფიულად ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ცენტრებში, მათთან ახლოს ან დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილებზე არიან განლაგებული.

არქეოლოგიური ძეგლები, ფოლკლორული მასალები და ისტორიული საბუთები მოწმობენ, რომ ჩვენი წინაპრები დასახლების ადგილის არჩევისას დიდ ყურადღებას აქცევდნენ წყლით უზრუნველყოფის საკითხს. უძველესი დროიდანვე ირჩევდნენ წყლის სანაპირო ან ახლომდებარე ადგილებს; ადრიდანვე იცნობდნენ დაბლობ ადგილებში ქვების ამოთხრა-მოწყობის ხელოვნებას, საამისო პირობებს მოკლებულ მაღლობ ადგილებში გაშენებული ციხე-ქალაქებისა და სამონასტრო ანსამბლების წყლის მომარაგებისათვის გაჰყავდათ საიდუმლო გვირაბები, ან საგანგებო ვასასვლელები მდინარის ნაპირამდე.

საქართველოში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად, დაზურული კერამიკული წყალსადენებით სასმელი წყლის გაყვანის ყველაზე

¹ გ. გობეჯიშვილი, შ. ჩართოლანი, სვანეთის არქეოლოგიური დაზვერვა: 1964 წ. XIV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი, 1964 წ. სავლე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები, თბ., 1965, გვ. 36.

² არქეოლოგიური გათხრები განხორციელდა მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ინიციატივითა და სახსრებით. სავლე მუშაობაში, ამ წერილის ავტორთან ერთად მონაწილეობდნენ მუზეუმის დირექტორი ა. კვიციანი და მეცნიერი თანამშრომელი დ. ნიჭარაძე. გათხრების წინასწარი ანგარიში 1969 წ. მოხსენდა ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და ასპირანტთა სამეცნიერო სესიას.

ადრეული ფაქტი დამოწმებულია დედაქალაქობის ხანის მცხეთაში³ და ძვ. წ. II—I სს. ვანში⁴; ახ. წ. II—III სს. მსგავსი წყალსადენები გამოყენებული ჩანს შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთ დაწინაურებულ კულტურულ ცენტრში ბიჭვინტაში⁵. შემდეგ, ადრეფეოდალურ ხანაში, კერამიკული წყალსადენის მძლავრი მაგისტრალით უზრუნველუყვით ლაზიკის სამეფოს ერთ-ერთი საქალაქო ცენტრის ვაშნარის ციხე-სიმაგრე⁶.

კერამიკული წყალსადენების მშენებლობა საქართველოში განსაკუთრებული ინტენსივობით წარმართულა XI—XII სს. ამის დამადასტურებელია თუნდაც თამარ მეფის მწიგნობართუხუცესის ანტონ ჰყონდიდელის მიერ გაყვანილი სხალტბა-შიომღვიმის⁷, ვარძიის კლდეში ნაკვეთი „ქალაქის“ კომპლექსისა⁸ და თამარ მეფის ნადარბაზევის (თეთრი წყაროს რაიონი) საზაფხულო რეზიდენციისათვის გამართული წყალსადენები⁹. ასევე, გონიოს, შხეფისა და სხვა ციხე-სიმაგრეებისათვის გაყვანილი კერამიკული წყალსადენები¹⁰. ამავე და მომდევნო ხანის კერამიკული წყალსადენების ნაშთები მიკვლეულია აგრეთვე თბილისში¹¹, დმანისში, კასპში¹², ატენში, გეგუთსა და საქართველოს სხვა ადგილებში.

XII საუკუნიდან წყალმომარაგების ნაგებობათა მშენებლობა და მათი მოვლა-პატრონობა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ იქცა. თამარ მეფის განკარგულებით ამ საქმისათვის გამოყვეს საგანგებო პირები — ქუქჩანაკები, რომელთა შვილებიც კი „ქუქჩანაკებად განისწავლებოდნენ და ჰკაზმავდნენ მასა წყაროსა“¹³. სხვადასხვა წარმოშობის წყლების ხმარების, მათი ორგანოლექტიკური პირობებისა (ფერი, გემო, სუნი, სიხისტე, გამჟვინვალობა)

³ ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, I, თბ., 1955, გვ. 156, ტაბ. IX, სურ. 2, 3. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება იველ საქართველოში, თბ., 1963, გვ. 41, ტაბ. XXIII, სურ. 2—5.

⁴ ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1968, გვ. 143.

⁵ ა. აფაქიძე, რ. ფუთურიძე, ო. ლორთქიფანიძე, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში 1963 წელს, სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1963 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1964, გვ. 10—13. ა. აფაქიძე, ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა, წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1970, გვ. 712, 720.

⁶ გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 155.

⁷ ალ. ლოსაბერიძე, ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები, შ. ხიდაშელი, სხალტბა-შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენი, კრებულში — „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბ., 1938, გვ. 232—264.

⁸ კ. მელითაური, მეთორმეტე საუკუნის ვარძიის წყალსადენი, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, № 1, 1959, გვ. 36—38.

⁹ ირ. ციციშვილი, ნადარბაზევის წყალსადენი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XI, № 8, 1950, გვ. 527—534.

¹⁰ ი. ადამია, წყალმომარაგების უძველესი ნაგებობანი საქართველოში, თბ., 1950.

¹¹ ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, ძველი თბილისის წყალსადენების ისტორიიდან, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1958, № 12, გვ. 23—30.

¹² ლ. დიასამიძე, წყალმომარაგების საკითხი საქართველოში, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1949, № 9, გვ. 15—18.

¹³ გიორგი მერჩული, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თბ., 1949, გვ. 40, 54. თ. ჟორდანიას, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა — 1202 წლის სიგელი თამარ მეფისა, ტფ., 1896, გვ. 25—28.



და საერთოდ წყლის ჰიგიენის საკითხები საგანგებოდ არის დამუშავებული XI—XIII სს. ქართულ სამედიცინო ძეგლებში¹⁴.


წყალმომარაგების საკითხი ძველ საქართველოში, მკიდროდ იყო დაკავშირებული ქვეყნის სამხედრო-თავდაცვითი, ეკონომიური და კულტურული მშენებლობის სასიცოცხლო ინტერესებთან და ამიტომაც წყალგაყვანილობის მშენებლობა და მოვლა-პატრონობა საზოგადოებრივ საქმედ იყო მიჩნეული. დღემდე გამოვლენებული არქეოლოგიური ძეგლები, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები, აგრეთვე ისტორიული წყაროები მიუთითებენ, რომ წყლის გამოსავლებს დაცილებული ციხე-ქალაქების, ციხე-სიმაგრეების, სასულიერო ცენტრებისა და დასახლებული პუნქტების სასამელი წყლით უზრუნველსაყოფად ძველ საქართველოში გამოყენებული იყო: ღია არხები, თვითდინების ან ჰავლის პრინციპით მომუშავე დახურული წყალსადენები, მიწისქვეშა გასასვლელი გვირაბები, მექანიკური ამწეები და სხვა ხერხები, რომელთა შერჩევა, გამტარუნარიანობა და მშენებლობის ინტენსივობა უპირატესად განპირობებული იყო წყლით მოსამარაგებელი ობიექტის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობით, ქვეყნის მატერიალური შესაძლებლობით და სანიტარულ-ტექნიკური კულტურის განვითარების დონით. ამიტომ ბუნებრივია, წყალმომარაგების უძველესი ხერხებისა და მასთან დაკავშირებული სამშენებლო ხელოვნების შესწავლა დიდი ხანია სხვადასხვა დარგის მეცნიერთა ინტენსიური კვლევის საგანი გახდა და სათანადო შედეგები გამოქვეყნდა ცალკეული მონოგრაფიებისა და სამეცნიერო-პოპულარული წერილების სახით, რომელთა დეტალურ განხილვას აქ არ შეეუდგებით, მაგრამ გვინდა შევნიშნოთ, რომ არსებულ პუბლიკაციებში ძირითადად განხილულია მხოლოდ სხვადასხვა ან ერთი და იმავე ტიპის წყალსადენების ცალკეული ნაწილები. საქართველოს არც ერთი ძველი წყალსადენი მთლიანი სახით არ არის ჩვენამდე მოღწეული და ბუნებრივია, ამ დარგის ნაგებობათა საინჟინრო-ტექნიკური მოწყობილობის, მათი ტერიტორიული და ქრონოლოგიური გავრცელებისა თუ ამ კულტურის მატარებელი საზოგადოების სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის საკითხები ჯერ კიდევ სერიოზულ კვლევას მოითხოვს. სვანეთის ძველი წყალსადენები მნიშვნელოვნად გაამდიდრებენ დღემდე დაგროვილ მასალებს და დიდ დახმარებას გაუწევენ ამ საკითხების შესწავლით დაინტერესებულ მკვლევარს.

წყალსადენების ყველაზე დიდი რაოდენობა მიკვლეულ იქნა მესტიის თემში და არქეოლოგიური სამუშაოც ძირითადად იქ გაიშალა. წყალსადენები სათავეს იღებენ დაბა მესტიის ჩრდილოეთით, ტყის დასაწყის ზოლში მდებარე სამი სხვადასხვა წყაროს: „მარცხან“-ის, „ლალციღაშ“-ისა და „ჩახრუშ“-ის გამოსავლებზე და სასამელი წყლით ამარაგებენ მესტიის სოფლების: ლეხთაგის, სეტისა და ლანჩხალის ცალკეულ უბნებს (სურ. 1).

ვიდრე ნივთიერი მასალის დახასიათებაზე გადავიდოდეთ, ორიოდ სიტყვით გვინდა შევეხოთ წყალსადენებთან დაკავშირებულ ერთ ტოპონიმს, კერძოდ, „ლალციღაშ“-ს, რომელიც მიუთითებს საკვლევ ტერიტორიაზე წყლის რესურსების უძველესი დროიდანვე ათვისებაზე.

ტოპონიმ „ლალციღაშისათვის“ ეტიმონია სვანური ლიც—წყალი. მისი თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო ლა-ლიცი-ღა-შ, მაგრამ სვანური

¹⁴ ქაიანელი, უსწორო კარაბაღინი, თბ., 1940; გვ. 459, წიგნი სააქიმო, თბ., 1934, გვ. 35—36.



სურ. 1. მესტიის უძველესი წყალსადენების ტრასები.



ენის გარკვეული კანონზომიერების მიხედვით, ამ სიტყვის ძირისეული -ი- და-კარგულია ხმოვნით დაწყებული -ი დ სუფიქსის დართვის გამო¹⁵. -შ/<-იშ/ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, ხოლო ლა- სვანურში მეტად გავრცელებული, სიტყვათმაწარმოებელი თავსართი. ამდენად „ლალციდაშ“ სიტყვის ეტიმოლოგიური შინაარსი გულისხმობს „საწყლე“, „წყლის გამოსავალ“, „წყლის მოსაძიებელ“ ადგილს. ჩვენი აზრით, „ლალციდაშ“ ტოპონიმი გამოიკვეთა ახლად აღმოჩენილი წყალსადენების გაყვანამდე გაცილებით უფრო ადრე, როცა მოსახლეობა ამ ადგილიდან სასმელ წყალს ჭურჭლით ეზიდებოდა. ამ დასახლებას კი ჩვენ ვგულისხმობთ ლალციდაშ-თან ახლოს, მისგან აღმოსავლეთით ყვერიაშ-ის ტერიტორიაზე, სადაც ძველი დასახლარების არსებობაა დადასტურებული (იხ. ქვემოთ).

„ლალციდაშ“ კარგად ასახავს სვანური ტოპონიმების ბუნებას, რომელთაც არ ეტყობათ იძულებითი ან მასობრივი შეცვლის ნიშნები. სვანური ტოპონიმები უძველესი დროიდან მომდინარეობენ და წარმოგვიდგენენ ამ კუთხის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს თავისებურებებს, რელიეფს, კლიმატს, მცენარეულ საფარს, ცხოველთა სამყაროს ან ლეგენდად ქცეულ ისტორიულ მოვლენებს; ასე მაგალითად: მესტიაში: ცკეკ-ზაგან-ტყის დასალიერი მთა, ლებიქვე — საქარე, „ლენზარ — სოჭნარი, ჯიპარ — მუხნარი, ლანჩვალ — ნამეწყარალი (ამჟამად სოფელი); კალაში: ლალხორ — საკრებულო. ადგილი (ჭევის ან სოფლისა); ჭუბერში; ლარილანარ — პატარა სათიბები (ამჟამად სოფელი), ლახმა — ჭალმა — გარეული ღორის საბუდარი ჭალა, ლაპლანახვ — ელვის მთა (სვანეთის ქედზე) და სხვა მრავალი ტოპონიმი სწორედ იმ თავისებურებას გადმოგვცემს, რაც ამა თუ იმ ტერიტორიისათვისაა დამახასიათებელი.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ძველი წყალსადენების ყველაზე დიდი რაოდენობა მესტიის თემშია თავმოყრილი. ჯერჯერობით მიკვლეულია ხუთი ტრასა (სურ. I):


I. მარცხან-ლენტაგისა (ჩართოლანების უბანი). II. ლალციდაშ-ლენტაგისა (ხერგიალების უბანი). III. ლალციდაშ-სეტისა (ჯაფარიძეებისა და მუშკუდიანების უბანი), IV. ლალციდაშ-ლანჩვალისა (მარგიალების უბანი). V. ჩახრეშ-ლანჩვალისა (მარგიალების უბანი).

როგორც სადაზვერვო გათხრებმა დაამტკიცეს, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მოსახლეობის მიერ ინდივიდუალური წყალსადენებისათვის სასმელი წყლების ძიებისა და მათი გაყვანისათვის ჩატარებული მიწის სამუშაოთა შესრულების დროს უკვე დაუზიანებიათ ან მთლიანად დაუზარეველით ზოგიერთი სათავე-ნაგებობა და წყალსადენი ტრასების ცალკეული მონაკვეთები. თავდაპირველი სახე რამდენადმე შეცვლილია აგრეთვე მათი მოქმედების ხანაში ამოწმენდის, შეკეთებისა და რესტავრაციის დროს. ასე, რომ, ბევრი კონსტრუქციული დეტალის ზუსტი სურათის აღდგენა შეუძლებელი ხდება, მაგრამ ჩვენამდე მოღწეული სახითაც საშუალება გვებოძა გავაოთ ამ ნაგებობათა ხასიათი, ძირითადი ტექნიკური ნიშნები და მათი მოქმედების ზოგადი თარიღები.

¹⁵ -ი დ კნინობითის მაწარმოებელი უნდა იყოს და მომდინარეობდეს ილდა სახეობისაგან, ლალციდაშ - ლალიცილდაშ.

მესტიის დახურული წყალსადენების ტრასები ორი სახისაა: 1. ქვისა და დუღაბისაგან ნაშენი დახურული არხი (რუ) და 2. კერამიკული წყალსადენი.

პირველი სახეობის ტრასა მესტიაში ჯერჯერობით მხოლოდ ერთია მიკვლეული (ტაბ. II). იგი ლალცი და შიდაწან სოფ. ლეხთაგისაკენ მიემართება (სურ. 1, II). ამ ოთხკუთხა განივკვეთიანი არხის მინიმალური სიგანე და სიმაღლე, შესაბამისად, 6×7 სმ-ს შეადგენს (სურ. 5, 8). არხების მშენებლებს იატაკისა და სახურავისათვის საგანგებოდ შეურჩევიათ თხელი, ოთხკუთხა ფიქალი ქვები, ხოლო გვერდებისათვის — თანაბარი სისქის წაგრძელებული ქვები. ქვები გადაბმულია ერთმანეთზე მკიდრო მიჯრით, ან წყლის მიმართულების შესაბამისად პირველი მომდევნოზე დევს. გადაბმის ასეთი კიბისებური პრინციპი უპირატესად იატაკისათვის ჩანს აუცილებელი. ქვების შეერთების ადგილები და ზოგჯერ მთლიანად არხიც კირის დუღაბითაა შევსებული-შეღესილი. ამ ტრასის შესადარებლად ჩვენ სხვა, ლიტერატურაში გამოქვეყნებული, ძეგლი არ მოგვეძებნება, გარდა ნიჩბისის წყალსადენისა, რომლის სათავე-მონაკვეთში წყალი ფილაქვებით შეკრულ და გარშემო დუღაბით შეღესილ არხში მოედინებოდა¹⁶. ლალციდაშ-ლეხთაგის ტრასა თვითდინების პრინციპზეა აგებული. გადამლობი ბორცვების გვერდის ავლის მიზნით ტრა-




სურ. 2. მარცხან-ლეხთაგის წყალსადენის სათავე-ნაგებობა, აუზი.

სის მიმართულების შეცვლა ხდება თანდათანობით, სწორი და მრუდე ხაზების გეგმაზომიერი შერწყმის გზით. არხის თავდაპირველი სიგრძე 800 მეტრს აღემატებოდა, იგი მიემართება სამხრეთ-დასავლეთით, ხერგიანების ძველი საცხოვრებელი ანსამბლისკენ, რომელიც ლეხთაგის სხვა უბნებთან შედარებით ყველაზე მეტად არის დაცლებული სოფლის დასავლეთით ჩამომდინარე ხევის წყალს — „ტვიბ“-ს და ითვლება ამ სოფლის ერთ-ერთ უძველეს დასახლებად.

¹⁶ შ. ხიდაშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 264.


კერამიკული წყალსადენების განხილვას მარცხან-ლახთაგის წყალსადენით დავიწყებთ (სურ. 1, I): მარცხანის წყარო ძლიერ დაქანებულ ფერდობზე გამოდის. ძველ ოსტატებს წყაროს მთავარ გამოსავალთან ფერდობი ვერტიკალურად ჩაუჭრიათ და საგანგებოდ გამართულ მოედანზე აუშენებიათ ოთხკუთხა (ტრაპეციული) მოყვანილობის აუზი (სურ 2 და 3)¹⁷. აუზის ფსკერი წყაროს გამოსავლის დონეზე უფრო დაბლა დევს. მოსწორებული გრუნტი ჯერ თიხით მოუგლესიათ და შემდეგ მასზე დიდი ზომის ფიქალი ქვა დაუკრავთ. წყლის გამოსავლის მხრიდან აუზის კედელი ფიქალი ქვის მშრალი წყობით აუშენებიათ ისე, რომ ქვებს შორის დარჩენილი არხებით წყალი აუზში შესულიყო. დანარჩენი სამი კედელი ქვითკირით ნაგებია, ორივე პირი დულაბით შეღესილი. ზემოდან აუზი ერთიანი ფიქალი ქვითაა გადახურული. აუზის ქვედა მახვილ კუთხეში, იატაკიდან 8 სმ-ის სიმაღლეზე დატანებული თიხის მილიდან წყალი კერამიკულ მილსადენში გადიოდა. საწყისი მილის მდებარეობის ასეთი დონე უზრუნველყოფდა წყლის მიერ შემოტანილი სილისა და წვრილი კენჭების აუზის ფსკერზე დალექვას. მარცხანის სათავე-ნაგებობა, წარმო-



სურ. 3. მარცხან-ლახთაგის წყალსადენის სათავე-ნაგებობა, აუზის გეგმა და კრალი.

¹⁷ მარცხან-ლახთაგის წყალსადენის სათავე-ნაგებობის შესახებ მასალები შევაგროვეთ 1965 წ. სენეთში ყოფნის დროს, შემთხვევით გვეცნობეს, რომ ახალი წყალსადენისათვის მარცხანის წყაროს გამოსავალთან აუზის ასაშენებელი მოედნის გაჯართობის დროს გამოჩნდა ფ. წყალსადენის სათავე. ადგილზე მისვლისას იგი უკვე საგრძობლად იყო დაზიანებული. გადარჩენილი ნაწილის, ნანგრევებისა და მუშების გადმოცემების მიხედვით იქვე ვცადეთ სათავე-ნაგებობის ზოგადი ფორმისა და ცალკეული დეტალების ჩახატვა, რომლის ასლსაც წარმოადგენს აქ მოტანილი ნახაზი.

ადგენს წყლის თავმოსაყრელ, წვრილი კენჭებისაგან გასაწმენდ აუზს და არა რეზერვუარს, მითუმეტეს, რომ წყალსადენის ამ ტრასისათვის გამოყენებული თიხის მიღების გამტარუნარიანობა სავსებით შეეფარდებოდა წყაროს დებიტს.



სურ. 4. ლზლიდშ-ლუზიავისა და ლზლიდშ-სეტის წყალსადენის სკიკე.

მარცხენ-ლუზიავის წყალსადენის ტრასა დამონტაჟებულია სავანგებოდ დამზადებული თიხის მიღებისაგან, რომელიც კირის დულაბშია ჩასმული. დულაბი სამკუთხა განივკვეთიანია და სამივე მხრიდან ფიქალი ქვები

6. „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1972, № 1.

აქვს დაკრული (სურ. 5, 7). ამ წყალსადენის საერთო სიგრძე 471 მ. აღწევს. დღემდე შემორჩენილია ტრასის უმთავრესი ნაწილი, რომელიც მიწის ზედაპირიდან საშუალოდ 60 სმ. სიღრმეზეა განლაგებული.

ლ ა ლ ც ი დ ა შ - ს ე ტ ი ს კერამიკული წყალსადენი (სურ. 1, III). ეს ტრასა და ზემოთ აღნიშნული ლალციდაშ-ლენხთავის ქვითნაგები არხი ერთი და იგივე სათავე-ნაგებობიდან გამოსული მაგისტრალიდან იტოტებიან (სურ. 4, ტაბ. 1, II). მათი სათავე რამდენადმე განსხვავდება მარცხანის სათავე-ნაგებობისაგან. აქ წყლის თავმოყრა-დაწმენდის პროცესს სტადიალური ხასიათი აქვს¹⁸.

წყაროს გაშლილ გამოსავალთან, ფერდობზე, ამოულიათ გრძელი თხრილი, რომელშიც მსხვილი ქვა-ლორღი ჩაუყრიათ, ქვალორღი ხელს უწყობდა თხრილში წყლის თავმოყრასა და დაწმენდას. ამ ადგილიდან 2—3 მეტრის შემდეგ, თხრილის ფსკერზე თანდათანობით გამოიკვეთება ფიქალი და ნატეხი ქვით ნაგები დახურული არხი, რომელსაც ზემოდან ჯერ ხრეში აქვს დაყრილი, შემდეგ კი — თიხნარი მიწა, არხის შემდგომი მონაკვეთი კირის დულაბითაა შემავრცობული და უერთდება მოგრძო ფორმის ქვითკირით ნაგებ აუზს, რომლის წინა მხარე დიდი ზომის ფიქალი ქვითაა გადაკეტილი (აუზის კრილი სურ. 51). მას, მსგავსად მარცხანის აუზისა, იატაკიდან 7 სანტიმეტრის სიმაღლეზე ამოკრილი აქვს 5 სმ. დიამეტრის მქონე ნახვრეტი, საიდანაც წყალი უშუალოდ გადიოდა მომდევნო, მეორე აუზში (კრილი იხ. სურ. 52) აქედან კი წყალი გადაეცემოდა ქვით ნაგებ მაგისტრალურ არხს, რომელიც ორად იყოფოდა (სურ. 4), მისი მარჯვენა განაყოფი (ზემოაღნიშნული ქვითკირის არხი) ფერდის გაყოლებით ლენხთავორისაკენ მიემართება (ტაბ. I). ხოლო მარცხენა — პირდაპირ ქვემოთ, სეტის მიმართულებით (ტაბ. II).


ლ ა ლ ც ი დ ა შ - ს ე ტ ი ს ტრასა, ლალციდაშ-ლენხთავის ტრასისაგან ცალკე გამოყოფის შემდეგ, სამოდე მეტრის მანძილზე კვლავ ქვით ნაგები არხით გრძელდება, მერე კი უერთდება ქვითკირის (მესამე) აუზს (კრილი, იხ. სურ. 5, 6), რომლის განზომილებებია: სიმაღლე — 22 სმ. სიგრძე — 35 სმ. და სიგანე 30 სმ. იატაკიდან 14 სმ. სიმაღლეზე. წყლის გასასვლელ ნახვრეტში კერამიკული მილია ჩასმული. აქედან უკვე იწყება და ბოლომდე გრძელდება კერამიკული მილების სადინარი, რომელიც აგრეთვე კირის დულაბშია ჩაფლული და ზედდაკრული ფიქალი ქვებით გამავრცობული. ამ ტრასის განიკვეთილი ოთხკუთხაა (სურ. 5, 6).

ლალციდაშზე აღმოჩენილი სათავე-ნაგებობის აუზები და მათი დამაკავშირებელი არხები არაერთგზის ჩანს ხელნახლები, რაც მათი გაწმენდის აუცილებლობით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მესამე აუზი თითქმის ამოვსებული იყო ქვის სუფთა წვრილი კენჭებით, რომლებიც აქ ხანგრძლივი დროის განმავლობაში თანდათანობით დალექილან. აღნიშნული ტრასის სიგრძე 780 მ აღემატება.

ლ ა ლ ც ი დ ა შ - ს ლ ა ნ ჩ ვ ა ლ ი ს ტრასა (სურ. 1, IV), ლალციდაშის მეორე წყაროსთან იღებს სათავეს. დადგენილია, რომ ტრასას ცალკე სათავე-ნაგებობა გააჩნდა, რომელიც ზემოაღნიშნული მიზეზების გამო ამჟამად უკვე მთლიანად მოსპობილია, ხოლო წყაროს წყალი თანამედროვე წყალსადენით

¹⁸ ლალციდაშის სათავე-ნაგებობა რამდენიმე წლის წინათ დაუზიანებიათ სოფ. ლანჩხალის ახალი წყალსადენის მშენებლებს.

იმავე ლანჩვალის სხვა უბნისაგან მიემართება. მისი საერთო სიგრძე 765 მ. შეადგენს. კერამიკული წყალსადენის დიდი მონაკვეთმა ხელუხლებლად მოაღწია ჩვენამდე. აქაც თიხის მილები მთლიანად დულაბშია ჩასმული, მაგრამ ფილაქები მხოლოდ ზემოდან, იშვიათ შემთხვევაში გვერდებიდანაც აქვს დაკრული (სურ. 5, 6, ტაბ. IV—I). როგორც აღვნიშნეთ, იგი მარგიანების ძველი საცხოვრებელი უბნისკენ მიემართება. არსებული გადმოცემების მი-



სურ. 5. წყალსადენების დეტალები: 1, 2, 3—ლალცადანის აუზების ქრალები, 4, 5—კერამიკული მილები, 6. ლალცადან-ლანჩვალის ტრასის ფრაგმენტი, 7, 8, 9—სხვადასხვა ტრასების განივი ჭრები.

ხედვით, ეს უბანი (დ. მარგიანის ძველი საცხოვრებელი ანსამბლი) სოფ. ლანჩვალის უძველესი დასახლების ნაწილია. იგი სოფლის კიდეში განლაგების წყალობით გადარჩენია მეწყერს, რომელსაც სოფლის დანარჩენი ნაწილი წაუღეკავს. ამ გადმოცემას მხარს უჭერს თვით ლანჩვალის ეტიმოლო-

გიაცი¹⁹. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ლალციდაშ-ლანჩავლის ტრასის ერთ მონაკვეთზე, ახლანდელ სოფელ ლანჩავლასა და ფუსდის ეკლესიას შორის მოქცეულ „ყვერი აშის“ ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად სახნავ-სათეს ფართობს წარმოადგენს, აღმოჩნდა ძველი დასახლების ნიშნები — ქვითკირის ნაგებობათა საძირკვლის ნაშთები. გადმოცემის მიხედვითაც სწორედ აქ იგულისხმება მესტიის თავდაპირველი დასახლების ერთ-ერთი უბანი, რომელიც ერთიანად წაუღებია ცხაკაზავარის მთიდან ჩამოცურებულ მეწყერს²⁰. ნასახლარიდან უფრო ზემოთ, ფუსდის ეკლესიის მახლობლად დამოწმებულია ასეთივე ძველი სამარხების არსებობის ფაქტი. მათი არქეოლოგიური შესწავლა ძველი ნასახლარის ზუსტი დათარიღების საშუალებასაც მოგვცემდა.

მესტიაში აღმოჩენილი მეხუთე — ჩახრეშ-მარგიანარის წყალსადენის ტრასა სათავეს ლანჩავლის ზემოთ, ჩახრეშის წყაროზე იღებს (სურ. 1, V). იგი დღესაც მოქმედია და სასმელი წყლით ამარაგებს მარგიანების უბანს. ეს წყალსადენი ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელი ჩანს, ვიდრე სხვა დანარჩენი²¹. ჩვენი წინასწარი ვარაუდით, ეს ტრასა გაიყვანეს მას შემდეგ, როცა ჩვენთვის უცნობი მიზეზის გამო, ლალციდაშ-ლანჩავლის წყალსადენმა შეწყვიტა მოქმედება.

ამრიგად, მესტიაში მიკვლეული ძველი წყალსადენებიდან მეტ-ნაკლები სისრულით შევისწავლეთ ორი სათავე-ნაგებობა და ოთხი ტრასა. დანარჩენი ძეგლების არქეოლოგიური შესწავლისათვის ჩვენ სათანადო საშუალებები არ აღმოგვანდა. ამიტომაც სვანეთში ამ ტიპის ძეგლების შესწავლა დასრულებული არ არის, მაგრამ დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მასალები საშუალებას გვაძლევენ, გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება სვანეთის წყალმომარაგების უძველესი ძეგლების ნიშნებისა და მნიშვნელობის შესახებ.

ზემოთ ჩვენ უკვე დავახსიათეთ ამ წყალსადენების სათავე-ნაგებობანი, რომლებიც წარმოადგენენ წყაროების წყლის დებიტის თავმოყრისა და მის გასაფილტრად განკუთვნილ ქვის, კირის დულაბის, თიხისა და ხის კონსტრუქციებისაგან გამართულ საწრეტ არხებს. კოდებს და აუზებს, საიდანაც წყალი დახურულ სადენებში გადიოდა. ამ სადენებიდან ერთ-ერთი (ლალციდაშ-ლენთავისა) ქვით ნაგები დახურული არხია, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ, მარცხან-ლენთავის, ლალციდაშ-სეტისა და ლალციდაშ-ლანჩავლის ტრასები კი თიხის მილებით არიან აწყობილი, მილების მოყვანილობა ერთნაირია; მრგვალგანივკვეთიანი და ერთი მიმართულებით თანაბრად დაწვრილებული (ტაბ. IV, 1). წვრილ ბოლოში რელიეფური სარტყლით გამოყოფილი აქვთ 3 სმ. სიგრძის ტუჩი, რომელიც მჭიდროდ ჯდება მომდევნო მილის მსხვილ თავში (სურ. 5, 4, 5). მილის მსხვილი თავის დიამეტრი საშუალოდ

19 ხალხში შემონახული ლეგენდის მიხედვით, ამ დასახლებულ პუნქტს ადრე მარგიანარ (მარგიანების) სოფელი ერქვა, მეწყერით დაფარვის შემდეგ კი დარქმევია ლანჩავლ-ნამეწყრალი (სვ. ჩვალ-მეწყერი), ხოლო მარგიანარ შემორჩა მხოლოდ მეწყერს გადაჩენილ სახლს და მის შემოგარენს.

20 ნიშანდობლივია, რომ მეწყერის გამომწვევი მიზეზები თავის მხრივ დაკავშირებულია მთის რთული რელიეფის პირობებში საირიგაციო დანიშნულების თავდია არხების ინტენსიურ მშენებლობასთან. დაწვრილებით იხ. მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961, გვ. 125.

21 ამ ტრასის რომელიმე მონაკვეთის გათხრაზე მოსახლეობისაგან თანხმობა ვერ მივიღეთ, ამიტომ მისი ტექნიკური დახასიათების საშუალება ამჟამად არა გვაქვს.

5 სმ. უდრის, წვრილისა კი — 3—4 სმ. საერთო სიგრძე 40—55 სმ. შორის მერყეობს.

მილსადენის მონტაჟის დროს ერთმანეთში ჩასმული მილები თხრილის ფსკერზე ჩაწყობისთანავე მოუთავსებიათ კირის დულაში, რომლისთვისაც ყველა მხრიდან (ზოგჯერ კი მხოლოდ ზემოდან) ფიქალი ქვები შემოუწყვიათ; ასე რომ; ტრასა ერთ მთლიან, მონოლითურ მასად არის შეკრული. მისი დაზიანება ლითონის საგანგებო იარაღის გარეშე შეუძლებელია, მით უფრო, რომ მილსადენები საკმაოდ ღრმად მოუთავსებიათ მიწაში. საყურადღებოა ის გარემოება, რომ კირის დულაბითა და ქვით კერამიკული მილსადენის ჩამაგრების ასეთივე წესია გამოყენებული ვარძიის წყალსადენის მშენებლობაში, კერძოდ იმ მონაკვეთებზე, სადაც ტრასა მიწაშია ჩაჭრილი²². ანალოგიურადვე აგებული აგრეთვე ვაშნარისა²³ და სხალტბის წყალსადენები²⁴.

სვანეთის წყალსადენის მშენებლებს სცოდნიათ სპეციალური დანიშნულების დულაბის დამზადება. იგი ძირითადად შემაკავშირებელი (კირის) მასისა და ქვიშური მინარევებისაგან შედგება, მაგრამ დამატებული ჩანს აგრეთვე ორგანული ნივთიერებანი, რომელთაგანაც ჩვენ მიერ დამოწმებულია ჰეავი (ოთხ შემთხვევაში დულაბში ნაპოვნი იქნა ჰეავის ქატო). ცალკეული ტრასების მშენებლობისათვის სხვადასხვა შედგენილობის ქვიშებია გამოყენებული. ასევე განსხვავებულია ქვიშური მინარევის რაოდენობა და დულაბის ხარისხი²⁵. ლალციდაშ-ლანჩხალის ტრასის ნიმუშების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წყალგაყვანილობისა და საერთოდ, მიწისქვეშა ნოტიო ადგილებში ქვიშის ნაგებობისათვის განკუთვნილი კირის დულაბს, სხვა კომპონენტებთან ერთად გამოიწვიარ ტუფსაც (სპონტს) ურევდნენ. ასეთი ხალხური ტრადიციის არსებობას ადგილობრივი ხანდაზმული კალატოზებიც მიუთითებენ.

კერამიკული წყალსადენების მშენებლობა ბევრი ნიშნით უახლოვდება ადგილობრივი ხელოსნობის სხვა დარგებს. რთულ რელიეფურ პირობებში წყალსადენის ტრასის დაკვალვა, ნიველირება, კერამიკული მილების ხისტად დამონტაჟება, სათავენაგებობათა გამართვა და სხვა ტექნიკური ჩვევები ადრევე ჩანს ადგილობრივ სამშენებლო-არქიტექტურულ საქმეში დამუშავებული და გამოყენებული. მსგავსება შეინიშნება წყალსადენი მილებისა და ადრეული კოშკების პირველ სართულზე წყალმომარაგებისათვის დამონტაჟებული ქვევრების ფაქტურაში. ერთიც და მეორეც საიმედოდ უნდა ყოფილიყო დატული, ორსავე შემთხვევაში საამისოდ გამოყენებულია კირის დულაბში მათი ხისტად ჩასმის ერთი და იგივე პრინციპი.

მესტიის სხვადასხვა ტრასის კერამიკული მილების ოთხი ნიმუშის პეტროგრაფიულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ისინი ერთი ტიპის (მონტმორალონიტური) თიხისაგან არიან დამზადებული; ამასთან, ზოგიერთი მინარევის განსხვავებული შემცველობა მიუთითებს, რომ მილების დასამზადებლად სხვადასხვა

²² ო. ლამბაშიძე, ვარძიის 1957 წ. არქეოლოგიური გათხრების ანგარიში, ხელნაწერი.

²³ გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, ტაბ. XXI.

²⁴ შ. ხიდაშელი, სხალტა-შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენი, გვ. 257.

²⁵ დულაბისა და კერამიკული მილების პეტროგრაფიული ანალიზების ჩატარებისათვის დიდ მადლობას მოვასხენებთ აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის გეოლოგია-მინერალოგიის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომელს, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს მ. სუქუას.

გამოსავლებზე მობოვებული მსხვილმარცვლოვანი ქარსნარევი თიხა გამოყენებული. განსხვავება შეინიშნება აგრეთვე თიხის მასის მოზელებისა და გამოწვის ხარისხში. მაგალითად: ლალციდაშ-სეტის ტრასაზე დამონტაჟებული მილების თიხა უფრო კარგადაა მოზეილი, ვიდრე სხვა დანარჩენი წყალსადენების მილების თიხის მასა. მარცხან-ლესთაგის წყალსადენის მილები უფრო მაღალ ტემპერატურაზე და უფრო სწრაფადაა გამომწვარი, ვიდრე ლალციდაშის სათავე-ნაგებობასთან აღმოჩენილი მილები. სხვადასხვა ქურაში და სხვადასხვა ტემპერატურაზე გამოწვის გამო მილებს განსხვავებული (წითელი, ყავისფერი, რუხი და სხვა) ფერები აქვთ მიღებული. ეს ნიშნები იმას უნდა მიუთითებდეს, რომ წყალსადენის მილები ადგილობრივ, სხვადასხვა კერამიკულ სახელოსნოებში არიან დამზადებული. როგორც ირკვევა კერამიკული წარმოება სვანეთში, საერთო ქართული სამეთუნეო საქმის მაშინდელ დონეზე მდგარა. სვანეთში არქეოლოგიური კვლევა-ძიების უქმარობის გამო, კერამიკული სახელოსნოები დღემდე არ არის შესწავლილი, მაგრამ სადღეისოდ ჩვენს ხელთ არსებული სვანეთის არქეოლოგიური მასალები მოწმობს, რომ ხელოსნობის ამ დარგს აქ დიდი ტრადიცია ჰქონია. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ სვანეთის უძველესი კერამიკული ნაწარმი, რომელიც სოფ. კალაშია ნაპოვნი, ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება და ამ კულტურის კერამიკისათვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებთან ერთად, ზოგიერთი ლოკალური თავისებურებებითაც ხასიათდება²⁶. უფრო გვიან, ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებიდან სვანეთში მასობრივად ამზადებენ, როგორც სხვადასხვა ზომა-მოყვანილობის სამზარეულო და სამეურნეო დანიშნულების თიხის ჭურჭლის, ასევე რკინის წარმოებისათვის საჭირო ნივთებს: საბერვლის საქშენ მილებს, ტიკელებს, საწურებს და სხვა²⁷. საქშენი მილების ფორმები და დამზადების ტექნოლოგია ძლიერ უახლოვდება ახლად აღმოჩენილი წყალსადენი მილების შესაბამის ნიშნებს. ადგილობრივად მივიჩნევთ აგრეთვე უმთავრეს სვანურ კოშკებში, პირველი სართულის იატაკზე კირის დუღაბში ჩაფლულ დიდი ზომის ქვევრებს, რომლებიც როგორც ჩანს, შიშინაობის დროს სასმელი წყლის მარაგის შესანახად იყო გამოყენებული. საყურადღებოდ მიგვაჩნია აგრეთვე მსგავსება, რომელიც შეინიშნება ზემოაღნიშნული ქვევრების და წყალსადენი მილების გამოწვასა და ფაქტურაში. ოქროსფერი ქარსის შემცველობით ისინი უახლოვდებიან აგრეთვე 1969 წელს, სოფ. ხეშეკელის მიდამოებში აღმოჩენილ კერამიკას, რომელიც ძვ. წ. VIII—III სს. თარიღდება.

ადგილობრივი მეთუნეობის შორეულ ტრადიციებზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ სვანეთში აღმოჩენილი უძველესი კერამიკული მასალები ტიპოლოგიური და მხატვრული ნიშნებით კარგად თავსდება საქართველოს (განსაკუთრებით კოლხეთის) სინქრონიული ძეგლების კულტურულ წრეში, მაგრამ ამასთანავე ზოგიერთი ნიშნის მიხედვით აშკარად გამოკვეთილ ლოკალურ თავისებურებებსაც ავლენენ. წყალსადენი მილებისა და კოშკების ქვევრთა ადგილზე დამზადების თეორიული დასაბუთებისათვის ისიც უნდა ითქვას, რომ მაშინდელ არახელსაყრელ საგზაო პირობებში მათი შემოტანა მეზობელი ბარის რაიონებიდან მეტად მოუხერხებელი და საეკვო ჩანს.

²⁶ გ. გობეჯიშვილი, შ. ჩართოლანი, სვანეთის არქეოლოგიური დაზვერვა, 1961, გვ. 32.

²⁷ შ. ჩართოლანი, ლარილარის სამაროვანი, კრებულში — „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, 1958, გვ. 270—318.

ყოველივე აღნიშნულის გამო ვფიქრობთ, რომ წყალსადენებისათვის კერძო-მიკუღ მიღებს ამზადებდნენ სვანეთშივე, სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა ხელოსნები, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობდნენ საქართველოს ცენტრებში გავრცელებული წყალსადენის ნიმუშებითა და იქვე შექმნილი გამოცდილებით.

სვანეთში აღმოჩენილი წყლის სადინარი მიღების მოყვანილობა, პროპორციები, ერთმანეთში ჩასმისა და გამართვის ხერხები ისეთივეა, როგორც ვარძიის²⁸, სხალტბა-შიომღვიმის²⁹, ნადარბაზევისა³⁰ და სხვა მათი სინქრონიული წყალსადენი მიღების შესატყვისი ნიშნები. ასევე ანალოგიურია თიხის მიღების დულაში ჩასმის წესი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სხალტბასა და ვარძიაში კერამიკული მილები მხოლოდ კლდოვან და მაგარგრუნტიან მონაკვეთებზეა კირის დულაში ჩასმული, სვანეთში კი — ყველგან, მთელ წყალგაყვანილობაში. ტექნიკური თვალსაზრისით ეს განსხვავება მოჩვენებითია, რადგან ორივე შემთხვევაში ერთი პრინციპითაა შეფასებული და გადაწყვეტილი ნიღაგის განსხვავებული გეოლოგიური ნიშნების მნიშვნელობა წყალსადენების სიმტკიცისა და საიმედო დაცვის უზრუნველყოფისათვის.

მესტიის დახურული წყალსადენები, ძირითადად, წყლის თვითღინების პრინციპზე ჩანან აგებული. ამ ნიშნით, ისინი გენეტიკურად უკავშირდებიან სვანეთში ადრევე აღმოჩენილ ღია არხებს, რომლებიც ქრონოლოგიურად და წყალმომარაგების საშუალებათა ტექნიკური ევოლუციის თვალსაზრისით ბევრად უფრო ადრეული არიან. ამასთან, კერამიკული წყალსადენების საინჟინრო-ტექნიკური ნიშნები მოწმობენ, რომ მათ მშენებლებს კარგად სცოდნიათ ჭავლის პრინციპები. როგორც ლალციდაშ-სეტის ტრასის მიხედვით ირკვევა, წყლის ვარდნით გამოწვეული დიდი წნევის უბნებზე საგანგებოდ შერჩეული სქელკედლიანი მილებია ჩასმული. ამ ნიშნით სეტის წყალსადენი უახლოვდება ნადარბაზევის წყალსადენს, სადაც, წყლის წნევის ზრდის შესაბამისად თიხის მილების სისქეც იზრდება³¹.

ტრასების წინასწარი დაკვალვისა და ვატერპასირების დროს, სვანი ოსტატები ცდილან მაქსიმალურად შეენარჩუნებინათ წყალსადენის თანაბარი დახრილობა. ამ მიზნით მიწის რელიეფის შესაბამისად მიღების ჩაწყობის სიღრმეც იცვლება. ლალციდაშ-სეტისა და ლალციდაშ-ლანჩვალის ტრასებზე ეს სხვაობა 0,60-დან 2 მეტრამდე მერყეობს. ანალოგიური ნიშნები მარცხან-ლეხთავის ტრასისათვისაც არის დამახასიათებელი, მაგრამ ლანჩვალისა და სეტის ტრასებისაგან განსხვავებით, აქ, ჩვენი აზრით, ზიარი ჭურჭლის პრინციპებიც უნდა იყოს გათვალისწინებული, ამ საშუალებით შეძლეს ალ. ხერგვიანის სამოსახლოსთან მდებარე მალლობის გადალახვა.

სვანეთის ძველი წყალსადენების საინჟინრო-ტექნიკური ნიშნების სიახლოვე საქართველოს ძველი წყალსადენების ნაშთებთან, ერთი მხრივ, და სვანეთის მატერიალური კულტურის ძეგლებთან, მეორე მხრივ, უფლებას გვაძლევს მათი მშენებლობის ზოგად თარიღად XII—XIII სს. ვივარაუდოთ. ამ დარგის ნაგებობათა მშენებლობა, რა თქმა უნდა, მომდევნო საუკუნეებშიც არის საკა-

28 კ. მელითაური, მეთორმეტე საუკუნის ვარძიის წყალსადენი, გვ. 37, სურ. 5.

29 შ. ხიდაშელი, სხალტბა-შიომღვიმის 1202 წ. წყალსადენი, გვ. 255.

30 ირ. ციციშვილი, ნადარბაზევის წყალსადენი, გვ. 532, სურ. 4, 5.

31 იქვე, გვ. 531.



რაუდებელი. კერამიკულ წყალსადენებთან შედარებით უფრო აღრუნილი უნდა მივიჩნიოთ ქვით ნაგები, ლალციდაშ-ლესთავის დახურული არხი. ტექნიკური ნიშნების გარდა, ამ ვარაუდს კონსტრუქციული თავისებურებაც უკერძო მხარს: ლალციდაშ-სეტის ტრასაზე კერამიკული წყალსადენი წარმოგვიდგება, როგორც ქვიტიკის არხის გაგრძელება-განტოტება და მისი რეკონსტრუქციის შედეგი. ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია კიდევ ერთი მომენტი კერძოდ, სეტის მიმართულებით წყალსადენის რეკონსტრუქციისა და თიხის მიღების მონტაჟის დროს ჩანს გამოთიშული მისი მარჯვენა განტოტება — ლესთავის ქვითნაგები ტრასა. როგორც ირკვევა, ლესთავის მოსახლეობას ეს არხი მოუტოვებია და წყალგაყვანილობის გაუმჯობესებული ტექნიკით (კერამიკული მილებით) გამოუყვანია არა ლალციდაშის საზიარო წყალი, არამედ სოფლის თავში გამომდინარე მარცხნის წყარო. მესტიის წყალსადენების უფრო ზუსტი დათარიღება მომავალი კვლევა-ძიების საქმეა. რასაც საფუძვლად უნდა დაედოს ყველა მონიშნული ტრასის სრული არქეოლოგიური გამოკვლევა და მოპოვებული მასალის კომპლექსური შესწავლა. ამჯერად კი მხოლოდ ის შეიძლება დავძინოთ, რომ სვანეთის კერამიკული წყალსადენების ნაწილი გვიანფორმულ ხანაში მოქმედებდა. მათი მოშლა ბუნებრივ მიზეზებთან ერთად, ხშირ შემთხვევაში თავდასხმებთან, „საგვარეულო“ მტრობის გამწვავებასა და მხარის ეკონომიური აღმავლობის მოდუნებასთან ჩანს დაკავშირებული. კერამიკული წყალსადენები მაღალხარისხოვან სასმელ წყლებს რამდენადმე დაცულბული სოფლებისა და უბნებისათვის არიან განკუთვნილნი, რაც ბუნებრივია თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ ასეთი წყალსადენები ყველაზე უკეთესად იცავენ წყალს, როგორც გაჭუჭყიანებისა და დანაკარგებისაგან, ისე ზამთარში გაყინვისა და ზაფხულში გათბობისაგან; ამასთან, თიხის მილების ასეთი სიმტკიცე მონტაჟი, როგორც სვანეთის ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი, საიმედოდ იცავს და ნიღბავს წყალსადენს სტიქიური მოვლენებისა თუ მტრის ხელყოფისაგან³².

მესტიის წყალსადენების შესწავლილობის ახლანდელ დონეზე ორიოდ სიტყვის თქმა მათი ექსპლუატაციის პირობების შესახებაც შეიძლება. წყალსადენი მილების მეტ-ნაკლები დიამეტრებისა და ტრასების განსხვავებული ქანობის შესაბამისად, მათი გამტარუნარიანობაც არაერთგვაროვანია: მარცხნ-ლესთავისა და ლალციდაშ-მარგვიანარის ტრასების სადღეღამისო დებიტი თითოეულისათვის, დაახლოებით 25820 ლიტრს შეადგენდა, ლალციდაშ-სეტისა კი — 51840 ლიტრს. მაშასადამე, სამივე წყალსადენი დღე-ღამეში 103480 ლიტრ წყალს იძლეოდა³³. თანამედროვე წყალმომარაგების ნორმების მიხედვით (ეზოს ონკანების 12-საათიანი ხარჯვით), წყლის ასეთი რეზერვებით შეიძლებოდა სა-

³² როგორც ირკვევა, დახურული წყალსადენების განლაგებას სვანეთში საიდუმლოდ ინახავდნენ, მაგალითად, სოფ. ლანჩხალის მოსახლეობისათვის უკანასკნელ დრომდე უცნობი ყოფილა ამჟამად მოქმედი ზემოლანჩხალის ჩახრეშ-ლანჩხალის ტრასა და სათავე-ნაგებობების ორიენტირი: იგი ცნობილი გახდა მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინ, წყლის დებიტის გაზრდის მიზნით სავანგებო სამუშაოების ჩატარების შედეგად. სხვათა შორის, ძველი ოსტატების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მაქსიმალურად მოუხერხებიათ წყაროს დებიტის თავმოყრა და ამჟამე მიზნით ლანჩხალელთა მუშაობა უშედეგო გამოდგა.

³³ კერამიკული წყალსადენების გამტარუნარიანობის გაანგარიშება ეკუთვნის არქიტექტორ კ. მელითაურს. ლალციდაშ-ლესთავის (ხერგვიანების ანსამბლი) ქვითნაგები ტრასის გამტარუნარიანობა ვერ არ არის გაანგარიშებული.




ლვლიდშო. ქვეთვირის წყალგამყოფი არხი. მარცხნივ ლვლიდშო-ლენთავის ტრასა.




ლვლციდშში. ჭეითვირის წყალგამყოფი არხი. მარჯვნივ ლვლციდშ-სეტის ტრასა.



ლელიდშ-სეტის კერამიკული წყალსადენის სათავე.



ტაბულა IV₂



მესტიის წყალსადენის ნაწილები: IV₁—კერამიკული მილები. IV₂—ლულიძეშ-ლანჩავლის ტრასის ფრაგმენტები.

შეალოდ 2762 სულის დაკმაყოფილება, თუ თითოეული სული დღე-ღამეში 40 ლიტრა წყალს დახარჯავდა³⁴. წყლის ასეთი ნორმა მაშინდელი დროისათვის ფრიად დამაკმაყოფილებელი ჩანს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ გარდა კერამიკული წყალსადენებით მოსარგებლე უბნებისა, იმ დროს მექტიის თემში კიდევ რამდენიმე დასახლებული უბანი (ლაღამი, ქვედა ლანჩვალი, ეჩხანტაფი და სხვა) იგულისხმება, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მესტიის თემში მოსახლეობის რაოდენობა რამდენიმე ათასეულს აღწევდა. ასეთი ვარაუდის გამოთქმის უფლება გვაქვს იმ შემთხვევაშიც კი, თუ კერამიკული წყალსადენებით მოსარგებლე მოსახლეობის რიცხვს ერთიორად შევკვეცავთ, თუ ჩვენი მოსაზრება სიმართლესთან ახლოა, მაშინ, მესტიის მაგალითის მიხედვით XII—XIII სს. ზემო სვანეთში მოსახლეობის საკმაოდ დიდი რიცხვი უნდა ვიგულისხმოთ.

საკვლევი ტიბის ძეგლების სათანადო მეცნიერული გამუქებისათვის საჭიროა არქეოლოგიური გათხრების მეშვეობით შესწავლილ იქნას სვანეთის სხვადასხვა სოფელში გამოვლენილი წყალსადენები, რომელთა შესახებ უკვე მოგვეპოვება საკმაო რაოდენობის ზეპირსიტყვიერი და ნივთიერი მასალა. ამ ტიბის ძეგლებიდან უახლოეს დროში შესასწავლია შემდეგი ობიექტები: მულახის, ლენჯერის, კალისა და ლახმულის თემებში მონიშნული წყალსადენები.

მულახის თემში კერამიკული წყალსადენების არსებობა დამოწმებულია ორ ადგილას: სოფ. ყამუშსა და ლახირში. ყამუშის წყალსადენი სათავეს იღებს სოფლის დასავლეთით, გუგავის წყაროსაგან. სოფლიდან დაახლოებით 800 მ. დაშორებით. ამ წყალსადენის მთავარი მავისტრალი მიემართება ქალდანების (ზადგერალ) ძველი საცხოვრებელი ანსამბლის მიმართულებით და მთავრდება იქვე მდებარე სვიფზე³⁵. გუგავს-ყამუშის კერამიკული წყალსადენის ტრასას ორი განტოტება გამოეყოფა: ერთი მიემართება „სოხაშა“ უბანში, ხოლო მეორე „თახუშა“ უბანში. მულახის მეორე წყალსადენი „კერაშ“-ის დღედან სოფ. ლახირისაკენ მიემართება. ამ ტრასის სიგრძე 700 მ-მდე აღწევს.

კალის თემში ძველი წყალსადენის ორი ტრასაა გამოვლენილი. ერთი მთავანი სათავეს იღებს „ქართლაშ“-ის წყაროზე და შემოდის სოფ. აგრაშში. წყალსადენი წარმოადგენს ქვითკირისაგან ნაშენ სამკუთხა განივკვეთიან დახურულ არხს. მისი სიგრძე დაახლოებით 700 მ. უდრის. ამ ტრასაზე ახლახან გაყვანილი თანამედროვე წყალსადენი ძველ სათავე-ნაგებობაშია ჩართული.

მეორე ტრასა კერამიკული მილებისაგანაა აწყობილი და დულაბშია ჩასმული. დულაბი ოთხკუთხა განივკვეთიანია და სამი მხრიდან ფიქალი ქვები აქვს დაკრული (სურ. 4—6). აღნიშნული წყალსადენის საერთო სიგრძე 1 კმ-ს აღემატება. იგი სათავეს იღებს ალპურ ზოლში („ჩახვლდიერ“) და სვინტაჟს ხევით ეშვება სოფ. იფრარში.

ძველი წყალსადენების არსებობა დამოწმებულია აგრეთვე ლახმულას თემში. შემთხვევითი მონაპოვრებისა (თიხის მილები) და ზეპირსიტყვიერი ცნობების მიხედვით, იგი სათავეს იღებს სუბალპურ ზოლში „კესარიშ ლუფაშდ-

³⁴ ხარჯვის ნორმების გაანგარიშებისათვის გამოყენებულია ნაშრომი Н. Н. Генниев, Н. Н. Шрамов, В. Н. Павлов, Водоснабжение, М., 1950.

³⁵ ს ვ ე- ლ ა ლ ხ ო რ — მულახის თემის თავმოსაყრელი ადგილი. აქვე განლაგებულ დიდ ქვებს, რომლებსაც დასაჯდომად იყენებდნენ, „ქეისრის ქვებს“ უწოდებდნენ („კესრი ბანარ“).

ზე³⁶ და სოფ. შდიხირში ეშვება. ამ ტრასის სავარაუდო საერთო სიგრძე რამოდენიმე კმ-ს აღწევს.

დახურული წყალსადენების გარდა, სვანეთში შემონახულია მდიდარი ნივთიერი და ზეპირსიტყვიერი მასალები, რომლებიც ამ მხარეში ქართული ჰიდროტექნიკური ხელოვნების სხვა წესების გამოყენებაზეც მიუთითებენ. დამოწმებულია საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსში შემავალი მიწისქვეშა საიდუმლო გასასვლელები, მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა სოფ. ლატალის ერთი უბნის ძველი ნასახლარიდან მდინარის ნაპირზე გამავალი გვირაბი მისი სავარაუდო სიგრძე ერთ კმ-ს აღემატება. გვირაბი თავისი დანიშნულებით დაახლოებით ისეთივე ჩანს, როგორც თმოგვის, გრემის, ნოქალაქევისა და სხვა ციხე-სიმაგრეებისათვის დამახასიათებელი მდინარის პირზე გამავალი საიდუმლო გასასვლელები³⁷, ან კიდევ მეზობელ ზემო რაჭაში, სოფ. ლებთან, შოშეთში, კაისარეთის ციხე-კოშკიდან რუმდე გაყვანილი ქვით ნაშენი გვირაბი³⁸.

სვანეთის მთელ რიგ სოფლებში (კალა, ხაიში, ჭუბერი) უკანასკნელ ხანებამდე შემორჩა მალღობზე წყლის ასაზიდი მექანიკური ამწე, ე. წ. „მახარა“, რომელიც განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული მთიან აჭარასა და აფხაზეთში³⁹.

ადრეულ ხანაშივე წარმატებით ჩანს აგრეთვე გადაწყვეტილი ისეთი რთული ტექნიკური ამოცანა, როგორცაა წყაროს გამოსავლის დონის აწევა და განსაზღვრულ ადგილზე თვითდინებით მიწოდება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სოფ. ლანჩვალის „სარაგ“-ისა და მულახში — მარგიანების კოშკიდან გამომდინარე წყაროთა გაყვანილობები. მარგიანების კოშკი უძველესი სამოსახლო ნაგებობათა დიდი ანსამბლის ნაწილია, სახლის პატრონის გადმოცემით, რამოდენიმე წლის წინათ, წყაროს სათავეს მიკვლევის მიზნით, კოშკის გარშემო გაუთხრიათ ღრმა თხრილი, მაგრამ სასურველი შედეგისათვის ვერ მიიღწევიან. გამთხრელები ფიქრობენ, რომ კოშკი ზედ წყაროს გამოსავალზეა აშენებული და წყალი, თიხის მილსადენებით, კოპტაჟის წესით არის გარკვეულ სიმაღლეზე ამოყვანილი. მულახსა და ლანჩვალში დადასტურებული წყლის კოპტაჟის წესი მოგვეგონებს კასპის რაიონის სოფ. ერთაწმინდაში აღმოჩენილ ძველი წყალსადენის სათავე-ნაგებობას⁴⁰.

სვანეთში შემონახული ძველი წყალსადენებისა და მათთან შესადაარებლად ზემოთ მოტანილი სხვადასხვა ძეგლების ესოდენ დიდი სიანალოვე, უპირატესად ალბათ საქართველოს ცენტრალური რაიონებიდან მომდინარე კულტურული ნაკადების გავლენით აიხსნება, მაგრამ ანგარიშგასაწევია ისიც, რომ წყალსადენების მშენებლობას ადგილზევე გააჩნდა საკმაოდ დიდი ტრადიცია: არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, აგრეთვე წერილობითი წყაროები ადასტურებენ, რომ სვანეთის მოსახლეობა კარგად იცნობდა როგორც წყლის ჰიდროლოგიურ რეჟიმს, მის თვისებებსა და შედეგნილობას, ისე წყლის სამეურნეო გამოყენების ეფექტიანობასაც, რამაც სტი-

36 „კეისრის ნაქები“.

37 ი. აღამია, წყალმომარაგების უძველესი ნაგებობანი საქართველოში, გვ. 16—32.

38 გ. გობეჯიშვილი, ბრინჯაოს უძველესი ქართული ბალთები, საკანდიდატო ნაშრომი, გვ. 46—47.

39 ი. აღამია, დასახ. ნაშრომი, გვ. 33 და შემდეგ.

40 დ. დიასამიძე, წყალმომარაგების საკითხი საქართველოში, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1949, № 9, გვ. 17.

მული მისცა მთის რთულ რელიეფზე სარწყავი არხების ნიველირებისა და გაყვანის ხალხური წესების აღრევე ჩასახვა-განვითარებას. ამ საქმეში დაოსტატებული სვანები, როგორც ჩანს, მეზობელ რაიონებსაც კი უწევდნენ დახმარებას; მე-17 საუკუნის იტალიელი მისიონერის ა. ლამბერტის ცნობით, „სვანები ზაფხულის დასაწყისს მუდამ ჩამოდიან ჯგუფ-ჯგუფად საქართველოში, აქ ჩვეულებად აქვთ ყანების მორწყვა, სვანებს მდინარეებიდან გამოჰყავთ წყალი ყანებში. ამ საქმეს ადგანან სვანები მოსავლის აღებამდე, მოსავალს რომ აიღებენ, სვანები მიიღებენ თავისი შრომის ფასს და... მხიარულად ბრუნდებიან სახლში“⁴¹. პროფ. მ. გეგეშიძის განმარტებით, ავტორი აქ უნდა გულისხმობდეს სვანების საირიგაციო მოღვაწეობას შუა იმერეთში და ქართლში⁴². სვანეთის ეთნოგრაფიულ და აგრობოტანიკურ მასალებზე საგანგებო დაკვირვების შედეგად, პროფ. მ. გეგეშიძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ირიგაციას თვით ზემო სვანეთის პირობებშივე გაუვლია განვითარების გზა მარტივიდან (წყარო-ნაკადულები) რთულ ფორმამდე (არხების ტრასული სისტემა). თავისთავად ამას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ მთის ირიგაციის ეს სახეობა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც საერთოდ მორწყვის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი საფეხური და ამასთან ერთად, წინამორბედი ფორმა ბარის ირიგაციისა“⁴³.

სვანთა სამეურნეო ცხოვრებაში წყალს და მის სადინარ არხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდათ აგრეთვე, მექანიკური ენერჯის წყაროს წისქვილის ასამუშავებლად. მათ ადრიდანვე მოხერხებულად ჰქონიათ გადაწყვეტილი მდინარეების, მათი შენაკადების, ხეებისა და წყაროს წყლებიდან ყველაზე ოპტიმალური არხების გაყვანა რაც, ტექნიკური თვალსაზრისით დიდ ცოდნასა და ხანგრძლივ პრაქტიკულ გამოცდილებას თხოვლობდა. სვანეთის ეთნოგრაფიული და ენობრივი მონაცემების მიხედვით ამ დარგსაც უაღრესად შორეული ფესვები აქვს და განვითარების მაღალი ნიშნებით ხასიათდება⁴⁴.

სვანეთის ძველი წყალსადენების კვლევა ახლად დაწყებული მეცნიერული ღონისძიებაა. მათი შემდგომი შესწავლა საშუალებას მოგვცემს, ერთი მხრივ, ღრმად გავაშუქოთ ამ სახის ძეგლების საინჟინრო-ტექნიკური ნიშნები. ხოლო მეორე მხრივ, ავხსნათ ამ ნაგებობათა მშენებლობა-სარგებლობასთან დაკავშირებულ საწარმოო ურთიერთობათა კონკრეტული თავისებურებანი და მცლობელობის საკითხები, რასაც თავის მხრივ დიდა მნიშვნელობა აქვს ამ კუთხის სოციალ-ეკონომიური ურთიერთობის განვითარების სურათის აღსადგენად. დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მასალები ამ თვალსაზრისითაც არ არიან ინტერესმოკლებულნი: ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ სამ შემთხვევაში, მარცხან-ლუხთაგის, გუგუშა-ყამუშისა და იფრარის წყალსადენები საზოგადოების საკრებულო ადგილზე — „სვიფ“-ზე გამოდიან⁴⁵. უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული და სხვა მათი ანალოგიური წყალსადენები ამა თუ იმ სოფლის (უბნის) საერთო საკუთრებას შეადგენდა მსგავსად სარწყავი წყლით სარგებლობის შესახებ არსებული საერთო-ქართული ადათჩვეულებებისა, რომელთა მიხედვითაც, ბუნებრივად მომდინარე წყალი არა-

41 ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, ტფ., 1938, გვ. 167.

42 მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, გვ. 120.

43 იქვე, გვ. 130.

44 მ. ჩართოლანი, მარცვლელის საფქვავის საკითხისათვის სვანეთში, საქ. სახ. მეტეოროლოგ. სესიის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1969, გვ. 7—10.

45 სვ. „სვიფ“-ის შესახებ დაწვრილებითი ახ. რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1969, გვ. 22.

ვის დაეკავებოდა, მაგრამ რუს გაყვანის შემდეგ წყალი ეკუთვნოდა იმ სოფელს, რომელმაც იგი გაიყვანა. ასე, რომ სოფლის წევრებს წყალსადენით სარგებლობის უფლებას ანიჭებდა მისი მშენებლობისა და მოვლა-პატრონობისათვის გაწეული შრომა. სვანეთშიაც, წყალსადენების მფლობელობის ასეთი ფორმა მათი მშენებლობის საზოგადოებრივი ხასიათით უნდა იყოს განპირობებული. კერამიკული წყალსადენების მშენებლობა მოითხოვდა მძიმე და შრომატევადი სამუშაოების შესრულებას, რომლის უზრუნველყოფა ცალკეული პირებისა და ოჯახებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, მითუმეტეს, რომ მშვიდობიანობის პერიოდში ინდივიდუალური მფლობელობისათვის ასეთი წყალსადენების მშენებლობა არ ჩანს მიზნად და მანაც აუცილებელი. ისინი ერთნაირად საჭირო და სასურველი იყო სოფლის მთელი მოსახლეობისათვის. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ სვანეთის წყალსადენების ტრასები სხვადასხვა პირის კერძო საკუთრებაში არსებული სახანეთისათვის თუ სათიბი მიწის ნაკვეთებზე გადაინ და მათი მფლობელებისაგან წყალსადენის მშენებლობისათვის საჭირო ნებართვის მიღება სოფლისათვის უფრო ადვილად მისაწვდომი ჩანს, ვიდრე ცალკეული ოჯახებისათვის. საქართველოში ამგვარი საკითხების გადაჭრა, როგორც ჩანს, დიდ სიძნელებთან დაკავშირებული, საკმაოდ რთული და მნიშვნელოვანი პრობლემა იყო. ამიტომაც იგი სათანადოდ აისახა ძველ ხალხურ ადათობრავსა და სახელმწიფო-საკანონმდებლო სამართალში. XVIII ს. დასაწყისის ვახტანგ VI სამართლის 244-ე მუხლის მიხედვით, „რუს გაყვანის დროს, თუ შუაში სხვისი მამული უდევს, იმ შუას — მამულის პატრონს არა გაუკეთდება რა, ფასი უნდა მიცეს, თუ იმასაც გაუკეთდება რამე, კარგად შერიგდნენ“⁴⁶.

ჩვენი წინასწარი ვარაუდით, სვანეთის კერამიკული წყალსადენები შეიქმნა ამა თუ იმ სოფლის (უბნის) მოსახლეობის ერთობლივი შრომით და მათი მოვლა-შენახვაც საერთო ზრუნვის საგანს შეადგენდა. ეს ტრადიცია, როგორც ჩანს, დიდხანს შემორჩა ეთნოგრაფიულ ყოფაში. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს მაგალითად სოფ. ლანჩხალში დღემდე მოქმედი ძველი წყალსადენების მოვლა-სარგებლობის საზოგადოებრივი ხასიათი და მასთან დაკავშირებული ადათობრივი წესები.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენს ხელთ არსებული ზოგიერთი მასალა თითქოს წყალმომარაგების ნაგებობათა საკუთრება-გამოყენების კერძო ხასიათზეც მიგვიჩვენებს. ამგვარად შეიძლება აიხსნას სოფ. მულახში, მარგიანების საცხოვრებელ კომპლექსში ჩართული წყარო და გუგუაშ-ჟამუშის ტრასიდან ორი განტოტების გამოყოფა, რომლებიც „სოხაშა“ (ა. ნავერიანისა) და „თახუშა“ (გ. ნავერიანის) კარშიდამოსკენ მიემართებიან. დღეისათვის ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს საშუალება ვამტკიცოთ თავიდანვე არსებობდა ეს განტოტებები, თუ გაიყვანეს მას შემდეგ, როცა აღნიშნული სამოსახლოები ცალკე გამოყოფა ჟამუშის სვიფის მომიჯნავე ტერიტორიას, სადაც ამ წყალსადენის მთავარი ტრასა შედის. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს აგრეთვე ლალციქაშ-ლენხთავის ქვითნაგები, დახურული არხი. როგორც უკვე ითქვა, ეს ტრასა ქრონოლოგიურად უფრო ადრინდელია, ვიდრე იქვე განლაგებული კერამიკული წყალსადენები, რომელთა მშენებლობის ხანაშიც აღნიშნული ტრასა საბოლოოდ მოშლილა და შემდეგ მისი განახლე-

⁴⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1963, გვ. 543.

ბისათვის (ან კერამიკული მილსადენით შეცვლისათვის) არავის არ უზრუნია. ლალციდაშ-ლენტათვის არხი სასმელი წყლით ამარაგებდა ხერგიანების უბანს⁴⁷. როგორც ეს ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, აქედან მოხდა ხერგიანების გვარის სხვადასხვა განაყოფი შტოს განსახლება იმავე ლენტათვის ტერიტორიაზე და სოფელ ლანჩვალში⁴⁸, რაც საშუალებას იძლევა გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ლალციდაშ-ლენტათვის ტრასის მოშლა შეიძლება ხერგიანების საძმოს (პატრონიმის) გაყოფასთან და ეკონომიურ დასუსტებასთან იყოს დაკავშირებული. მულახისა და მესტიის წყალსადენების ზოგაერთი ტრასის კერძო მფლობელობის საკითხებზე უფრო დაბეჯითებით შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ მათი არქეოლოგიური გამოკვლევის შემდეგ.

სასმელი წყლის მფლობელობისა და გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ლალციდაშის წყაროები, რომლებიც თითქმის თანაბარი მანძილით არიან დაცილებულნი ლენტათვის, სეტისა და ლანჩვალის სოფლებიდან, ერთნაირი უფლებით ჩანს გამოყენებული სამივე სოფლის მიერ, უნდა ვიფიქროთ, რომ წყალსადენების შექმნამდე ლალციდაშის წყაროები მესტიის სასოფლო თემის საერთო საკუთრებას შეადგენდა, რასაც მხარს უჭერს აგრეთვე წყლის საკუთრების შესახებ არსებული სვანური ადათური სამართლის ნორმები.

წყლის მფლობელობა სვანეთში დაკავშირებული ჩანს მიწის მფლობელობის საკითხებთან, ეს უკანასკნელი კი დღემდე არ არის საგანგებოდ შესწავლილი, ამიტომ ახლად აღმოჩენილი კერამიკული წყალსადენების მეპატრონობის საკითხის განსაზღვრის დროს სათანადო სიფრთხილეა საჭირო და, ამიტომ ჩვენც ამჯერად ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მასალები მაინც გვაძლევენ თუნდაც სამუშაო ჰიპოთეზის გამოთქმის საშუალებას, რომლის მიხედვითაც, სვანეთის ძველი წყალმომარაგების ნაგებობანი უპირატესად მაინც ცალკეული სოფლების ან უბნების საზოგადო საკუთრებას შეადგენდნენ.

ამრიგად, ზემო სვანეთში დამოწმებულ ძველი წყალმომარაგების საშუალებათა მრავალფეროვნება და მათი გავრცელების ტოპოგრაფია ამ საქმის ადგილობრივი განვითარების უძველეს ფესვებთან ერთად მის საზოგადოებრივ ხასიათზეც მეტყველებს. დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული ყველა სახის მასალა საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ საქართველოს ამ მაღალმთიან კუთხეს გააჩნდა კონკრეტულ სამეურნეო-გეოგრაფიულ პირობებთან შეგუებული, თავისი დროისათვის მოწინავე პილროტექნიკური კულტურა. ცხადია, ეს დარგი ცალკე არ ვითარდებოდა, ტექნიკურად სრულყოფილი წყალმომარაგების ნაგებობათა შექმნა თავისთავად გულისხმობს მათი ავტორების მიერ სამთო-გეოლოგიური, სამშენებლო და სამეთუნეო საქმის დიდ ცოდნას.

ეს ძეგლები აშკარად მიუთითებენ, ერთი მხრივ, განვითარებულ შუასაუკუნეებში სვანეთის მოსახლეობის დიდ მატერიალურ შესაძლებლობებსა და გაზრდილ სანიტარულ-ჰიგიენურ მოთხოვნილებას, ხოლო მეორე მხრივ,

⁴⁷ ხერგიანების ძველი საცხოვრებელი კომპლექსის დახასიათებისათვის იხ. მ. ჩართოლანი, ძველი საცხოვრებელი კომპლექსები სვანეთში, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XXVI-ბ, 1970, გვ. 218.

⁴⁸ რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 31; მ. ჩართოლანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 225—226.

წყლის მოპოვება-მიწოდების პრაქტიკული ხერხების დიდ ცოდნას, რაც ამ კუთხის მოსახლეობის საერთო კულტურის შესაფერის, მაღალ დონეზე იდგა.

სვანეთში ახლად აღმოჩენილი წყალმომარაგების უძველესი ნაშთები, მსგავსად ამ კუთხის მატერიალური კულტურის სხვა ძეგლებისა, წარმოგვიდგება, როგორც ძველი ქართული საინჟინრო ხელოვნების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, იგი საუკეთესო საბუთია ძველი საქართველოს მთიანი პერიფერიების მოსახლეობის ტექნიკური ცოდნისა თუ კულტურულ-ეკონომიური დონის მაღალგანვითარებულობისა და საქართველოს კულტურულ ცენტრებთან მათი მჭიდრო ურთიერთობისა. ამ ძეგლების გამოვლინება-შესწავლა და მოსახლეობისათვის გასაცნობად გამოფენა არქეოლოგთა და ადგილობრივი მუზეუმების მუშაკთა საპატიო მოვალეობაა.

ირაკლი ანთელავა

ცვლილებები XVIII საუკუნის საქართველოს ფეოდალურ მიწათფლობელობაში*

ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის საფუძველს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ფეოდალის საკუთრება მიწაზე. სხენებული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციის გამარჯვება-განვითარების და მისი დაღმავალი გზით სიარულის უპირველესი განმსაზღვრელი სწორედ ფეოდალური საკუთრებაა. ფეოდალური წყობილება იშლება იქ და მაშინ, სადაც და როდესაც მიმდინარეობს მისი ეკონომიური საფუძვლის, მიწაზე ფეოდალის მონოპოლიური მფლობელობის მოშლისა და უწოდებრივო (ბურჟუაზიული) საკუთრების განვითარების მეტ-ნაკლებად საგრძნობი პროცესი. ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარება-გამარჯვება პირველ რიგში სწორედ საკუთრების ამ ძველი (ფეოდალური) ფორმის ახალით შეცვლას იკვლისხმობს. მართალია, მართო საკუთრების ფორმის შეცვლა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ შეიცვალოს მთელი წყობილება, მაგრამ ის მაინც მთავარია, რადგანაც მისი ევოლუცია იწვევს მნიშვნელოვან გარდაქმნებს საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ყველა დარგში.

ქართული ფეოდალური ურთიერთობა, ცხადია, იმავე ეკონომიურ საფუძველზე ემყარებოდა, რასაც რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმი, მაგრამ მას თავისი სპეციფიკური, სხვებისგან განსხვავებული ნიშნებიც გააჩნდა. ასეთების რიცხვს ეკუთვნის, კერძოდ, ქართველი გლეხის მიწაზე საკუთრების უფლება. მიწა, მისი აბსოლუტური უმეტესობა, ცხადია, ჩვენშიც ფეოდალური კლასის კუთვნილებას შეადგენდა, მაგრამ ქართული ფეოდალური სამართალი და პრაქტიკა არ უკრძალავდა სოფლის მშრომელ მოსახლეობას შეეძინა მიწა საკუთრებაში. სადღეისოდ ცნობილი საკანონმდებლო თუ სხვა ხასიათის ძეგლები ექვემდებარებულად ადასტურებს, რომ ჩვენი გლეხი ფეოდალური ურთიერთობის მთელ მანძილზე, მოყოლებული ადრე ფეოდალიზმის ხანიდან, ითვლებოდა მიწის მესაკუთრედ და ეწეოდა მის ყიდვა-გაყიდვას¹. ამ გარემოებას, რომელიც ყოველთვის ახდენდა თავის ზეგავლენას ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ განვითარებაზე, განსაკუთრებული მნიშვნელობა გვიანფეოდალურ ხანაში მიეცა. მაშინ, განსაკუთრებით კი XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის რეფორმამდელ ხანაში, მიწების ყიდვა-გაყიდვამ ძალზე მასობრივი ხასიათი მიიღო. იესე ბარათაშვილის მოწმობით, დასახელებული ხანის საქართველოში

*) წერილი ნაშრომიდან „ცვლილებები XVIII საუკუნის საქართველოს სოფლის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში“.

¹ საერთოდ მიწების ყიდვა-გაყიდვაზე ადრეფეოდალურ ხანაში იხ. „ნასყიდობის დაწერილი ფაენელისა შიო მღვიმისადმი“ (IX ს.), გამოცემული ი. დოლიძის მიერ წიგნში „ქართული სამართლის ძეგლები“, II, თბ., 1966, გვ. 3; „ნიკორწმინდის დაწერილი“ (XI ს.) და სხვ.

„ბევრი კაცი იყო ნასყიდობის მექონე“². ერთი სიტყვით, მოხდა მიწების მანამდე არნახული ამოძრავება. მკვლევარი, რომელიც აღნიშნული ხანის საქართველოს სოფელში, კერძოდ ფეოდალურ მიწათმფლობელობაში მომხდარ ცვლილებას სწავლობს, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლის ამ ფაქტს. მან უნდა გაარკვიოს საკითხი იმის შესახებ, თუ რით იყო მიწების ასეთი ამოძრავება გამოწვეული და რა სოციალ-ეკონომიური შედეგები მოჰყვა მას, გამოიწვია თუ არა მან ფეოდალური საკუთრების შეზღუდვა და არაპრივილეგიურ წოდებათა მიწათმფლობელობის შემდგომი ზრდა და განვითარება.

ამ საკითხების შესწავლა, ცხადია, დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. მთავარია მათ შორის აღნიშნულ საკითხზე პირდაპირი ცნობების შემცველი წყაროების თითქმის სრული უქონლობა. ასეთ ვითარებაში, ჩვენი აზრით, ყველაზე საყურადღებო და მნიშვნელოვან წყაროდ ევრეთწოდებული მიწის ნასყიდობის სიგელები რჩება. ნასყიდობის სიგელებში ნაჩვენებია გამყიდველისა და მყიდველის გვარი და სახელი, მიწის გაყიდვის მიზეზი და ცალკეულ შემთხვევაში გაყიდული მიწის ფართობი. მარტო ამ მონაცემებით, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია საკვლევი საკითხის სასურველი სისრულით და უშეცდომოდ შესწავლა, მაგრამ სხვა უკეთესი საშუალების უქონლობა აიძულებს მკვლევარს ნასყიდობის სიგელებს მიმართოს. ზოგი უზუსტობა კი, რომელსაც ამ გზით მომუშავე უნდა შეურიგდეს, გაპირობებულია ნასყიდობის სიგელში მყიდველ-გამყიდველთა სოციალური კუთვნილების აღუნიშვნელობით (როგორც წესი). მარტო გვარების მიხედვით კი საკმაოდ რთულია ოპერაციაში ჩართულ პირთა მდგომარეობის დადგენა, მით უმეტეს, რომ ერთი და იგივე გვარის კაცი ხშირ შემთხვევაში ფეოდალიცაა (თავადი, აზნაური) და გლეხიც. მაგალითად, ჯავახიშვილები, როგორც ცნობილია, საერთოდ ფეოდალები (თავადები) არიან, მაგრამ წყაროები ამ გვარის ყმა წარმომადგენლებსაც ასახელებენ³. ასევე, წერეთლები ფეოდალებად ითვლებოდნენ, მაგრამ XVIII საუკუნის ერთ ძეგლში დასახელებული ივანე წერეთელი — ყმაა⁴. ფიცხელაურები აზნაურთა გვარეულობას განეკუთვნებიან, მაგრამ წყაროები ამ გვარის ყმებსაც იცნობენ. ერთ მათგანში, მაგალითად, მოხსენიებულია „ლაშარის ჯვრის ყმა ფიცხელაური“⁵. თურქისტანიშვილები — პრივილეგირებული წოდების წარმომადგენლები არიან, მაგრამ ვინმე პეტრე თურქისტანიშვილი ალავერდელის ყმათა სიაშია შეტანილი⁶. იგივე ითქმის ისეთ გვარებზე, როგორიცაა მესხიშვილი, შალიკაშვილი, შანშიაშვილი, სვიმონიშვილი, თაზიშვილი, ტატიშვილი, კობიაშვილი, პეტრიაშვილი, გურამიშვილი, სულხანიშვილი, საგინაშვილი და სხვ. სოციალურად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (იმერეთი, ქართლი, კახეთი) მცხოვრები ერთი და იგივე გვარის წარმომადგენლები, არა-

² იესე ბარათაშვილი, „ცხოვრება-ანდრძი“ [ქვემოთ შემოკლებით: „ანდრძი“]. ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლით ავტ. იოსელიანმა. თბ., 1950, გვ. 42.

³ გ. ბოჭორიძე, კახეთის აღწერა 1801—1802 წლებისა, საქართველოს არქივი, III, 1927, გვ. 129, 139, 152 და სხვ.

⁴ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967, გვ. 180.

⁵ იქვე, 38.

⁶ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967, გვ. 74.



მედ გეოგრაფიულად ზუსტად ერთსა და იმავე ტერიტორიაზე მობინადრენი. ქართლში, მაგალითად, გერმანოზაშვილები აზნაურებიც არიან⁷ და გლეხებიც⁸.

ამ სირთულის დაძლევის, ე. ი. გვარების მიხედვით მყიდველ-გამყიდველთა სოციალური კუთვნილების დადგენას, ჩვენ ვცდილობდით, როგორც თვით ნასყიდობის სიგელების ტექსტის სხვადასხვა მონაცემების გულდასმით შესწავლით, ისე, უმთავრესად, ისეთი წყაროების მოშველიებით, როგორცაა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის დანართი — ქართლ-კახეთის თავად-აზნაურების სია⁹, კახეთის 1801—1802 წწ. აღწერილობის მასალები, გამოქვეყნებული გ. ბოჭორიშვილის მიერ 1927 წელს, ივ. ჯავახიშვილის „საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები“. ექ. თაყაიშვილის „საქართველოს სიძველენი“ (სამიტომი), ნ. ბერძენიშვილის „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“ (ორი ტომი), „მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“ (სამი ტომი), იასე ლორთქიფანიძის „ქვემო ქართლი“ (ოთხი ნაწილი) და სხვ. მიუხედავად ჩვენი დიდი სურვილისა და მონღომებისა, დასახელებული და სხვა წყაროების მიხედვით ზუსტად დაგვედგინა ყაღვა-გაყიდვის ოპერაციებში მონაწილე პირთა სოციალური კუთვნილება, მაინც ვერ მოხერხდა ამ ამოცანის უნაკლოდ გადაჭრა. სირთულის გამო, რომლის შესახებაც ზემოთ გვექონდა ლაპარაკი, ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ ოპერაციაში ჩართულ პირთა სოციალური მდგომარეობის გარკვევისას დაშვებულა ცალკეული შეცდომები, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს შეცდომები, რიცხობრივი სიმცირის გამო, არსებით ზეგავლენას ვერ მოახდენენ მიღებულ დასკვნებზე.

ჩვენ ხელთ გვექონდა და შევისწავლეთ სულ XVIII საუკუნის (1700—1800 წწ.) 2390 ნასყიდობის სიგელი, რომელთაგან 1401 დაცულია საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივის ძველი საბუთების სამ ფონდში (1448, 1449 და 1450), 812 — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ოთხ ფონდში (Hd, Sd, Ad, Qd), ხოლო დანარჩენი 177 — გამოქვეყნებულია დ. ფურცელაძის¹⁰, ექ. თაყაიშვილის¹¹, ნ. ბერძენიშვილის¹², ს. კაკაბაძის¹³, შ. ბურჯანაძისა¹⁴ და სხვათა მიერ. ნასყიდობის სიგელები სხვადასხვა შინაარსისა და ხასიათისაა; ზოგი ეხება ყმების ყიდვა-გაყიდვას, ზოგი — ყმებისა და მამულების, ზოგი კი — მართო მამულების¹⁵. ჩვენ ნასყიდობის სიგელების უკანასკნელ ჯგუფზე შევაჩერეთ ყურადღება, რადგანაც იგი უფრო მეტად, ვიდრე პირველი ორი

7 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, I, თბ., 1967, გვ. 169.

8 იქვე, გვ. 170.

9 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 483—492. ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დიურთო პროფ. ი. დოლიძემ.

10 „Грузинские церковные грамоты“, Тифлис, 1882 და „Грузинские церковные гуджари (грамоты)“, Тифлис, 1881.

11 „საქართველოს სიძველენი“, ტომი I—III.

12 „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან“, ტ. I—II, თბილისი, 1940, 1953.

13 „ისტორიული საბუთები“, წიგნი, V, 1913.

14 „ისტორიული საბუთები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466—1770 წწ.)“, თბ., 1958.

15 ნასყიდობის სიგელები ფორმდებოდა სხვა შემთხვევებშიც (სახლის, მისი ნაწილის, ოთახის, ღუნისა და სხვა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის დროს).

7. „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1972, № 1.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ჯგუფის საბუთები, გამოხატავს საქართველოს სოფელში მიმდინარე ცვლილებას. ჩვენი აზრით, ყმის ცალკე თუ მამულთან ერთად გაყიდვა, რომლის დროსაც მყიდველად, როგორც წესი, ფეოდალი იგულისხმება, უფრო ფეოდალური აქტია, ვიდრე ბურჟუაზიული. იგი ძველი წყობილების განმტკიცებას უწყობს ხელს, ვიდრე დაშლასა და ახლის განვითარებას. ჩვენ მიერ შესწავლილ 2390 სიგელიდან 2116 დათარიღებულია XVIII საუკუნის ამა თუ იმ წლით, ხოლო 274 საბუთს კონკრეტული თარიღი არ უზის, მაგრამ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით (ხელი, ქალაღი და სხვა) ჩვენთვის საინტერესო XVIII საუკუნეს განეკუთვნება. დათარიღებული სიგელებიდან 1303 საბუთი ან 62% XVIII საუკუნის პირველ ნახევარზე მოდის, ხოლო 813 საბუთი ან 38% მეორე ნახევარზე.

მამულების ნასყიდობის სიგელების რაოდენობა XVIII საუკუნეში, ცხადია, მეტია, ვიდრე 2390. შეიძლება, რა თქმა უნდა, ამ რიცხვის გადიდება, მაგრამ ის, ჩვენი აზრით, საკმარისია იმისათვის, რომ მკვლევარმა სათანადო, მიახლოებითი დასკვნები მაინც გააკეთოს.

წლების განმავლობაში ჩატარებული ჩვენი მუშაობა-დაკვირვება შეიძლება შემდეგი ცხრილის სახით წარმოვადგინოთ:

ცხრილი 1

გამყიდველ-მყიდველთა დასახელება მათ სოციალური კუთვნილების აღნიშვნით	XVIII საუკუნეში მთლიანად		XVIII საუკუნის პირ. ნახევარში (1700—1750 წწ.)		XVIII საუკუნის მეორე ნახევარში (1751—1800 წწ.)	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
გამყიდველი:						
ფეოდალი	1173	44,4	643	49,4	425	52,2
გლეხი	1217	55,6	660	50,6	388	47,8
სულ	2390	100,0	1303	100,0	813	100,0
მყიდველი:						
ფეოდალი	1038	43,4	692	53,3	290	35,6
გლეხი	1352	56,6	611	46,7	523	64,4
სულ	2390	100,0	1303	100,0	813	100,0

როგორც 2390 ნასყიდობის სიგელის საფუძველზე შედგენილ ამ ცხრილიდან ჩანს, XVIII საუკუნის (თუ მას მთლიანად ავიღებთ) მიწათმფლობელობის ხასიათში მნიშვნელოვანი ძვრები და ცვლილება არ შეინიშნება. ფეოდალური კლასის წარმომადგენლები თითქმის ერთნაირად მონაწილეობენ როგორც გაყიდვის, ასევე ყიდვის ოპერაციებში. გამყიდველის როლში ისინი გამოდიან 1173 შემთხვევაში, ხოლო მყიდველის — 1038, რაც ყველა ჩატარებული ოპერაციის 44,4% და 43,4% უდრის (შესაბამისად). სხვანაირად რომ ვთქვათ, მაღალი პრივილეგიური წოდების მონაწილეობა ყიდვაში მხოლოდ ერთი პროცენტით ჩამორჩებოდა მის მონაწილეობას მამულების გაყიდვაში. იგივე ითქმის გლეხობის შესახებაც: იგიც დაახლოებით ისეთივე სიხშირითაა ჩამოყალიბებული გაყიდვის ოპერაციებში, როგორც ყიდვის. საკმარისია აღინიშნოს, რომ მამულის გაყიდვის იმ 2390 შემთხვევიდან, რომელსაც, ჩვენი მონაცემებით, ადგილი ჰქონდა 1700—1800 წლების საქართველოში, 1217 ან საერთო რაოდენობის 55,6% სწორედ გლეხობაზე მოდიოდა, ხოლო ყიდვის — 1352 ან საერთო რაოდენობის 56,6%.

დენობის 56,6%. თუ შევადარებთ ესა ფეოდალისა და გლეხის მონაწილეობას ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში, ვნახავთ, რომ განსახილველი ხანის საქართველოში პირველი რამდენადმე უფრო ხშირად გამოდიოდა გამყიდველის როლში, ვიდრე მყიდველის, მეორე კი — პირიქით, განსხვავება აქ სულ რაღაც ერთი პროცენტია, ე. ი. იმდენად მცირე, რომ არ იძლევა არავითარ საფუძველს ვილაპარაკოთ ფეოდალური საკუთრების რღვევის პროცესის თუნდაც უმნიშვნელო მასშტაბით მიმდინარეობაზე. აქ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მაღალი წოდების მიწების სოფლის მშრომელი მოსახლეობის ხელში გადასვლის ერთგვარ, სუსტად საგრძნობ ტენდენციაზე და ისიც იმ შემთხვევაში, თუ კი ჩვენი მუშაობა მყიდველ-გამყიდველთა სოციალური მდგომარეობის შესახებ ძირითადად სწორად და უშეცდომოთაა ჩატარებული.

ამისგან განსხვავებულ სურათს იძლევა ჩვენთვის საინტერესო საკითხის XVIII საუკუნის პირველსა და მეორე ნახევარში ცალკე-ცალკე განხილვა. 1700—1750 წლებში ფეოდალები უფრო აქტიურად მონაწილეობენ მამულების შესყიდვის ოპერაციებში, ვიდრე გაყიდვის. გლეხები კი — პირიქით. პრივილეგირებული წოდების მონაწილეობა გაყიდვის ოპერაციების საერთო მასაში (1303 შემთხვევა) 49,4% უდრის, ხოლო გლეხის — 50,6%. ყიდვის აქტებში კი მათი ხვედრითი წონა შესაბამისად იყო: 53,3% და 46,7%. სხვანაირად რომ ვთქვათ, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში თავადაზნაურობა უფრო ხშირად ყიდულობდა, ვიდრე ყიდდა, გლეხობა კი — პირიქით. თუ საკითხზე ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში საზოგადოების ძირითადი კლასების ჩაბმის სიხშირის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ 1700—1750 წლებში ფეოდალები უფრო უტევდნენ გლეხების საკუთრებას, ვიდრე გლეხები ფეოდალების საკუთრებას.

სხვაგვარი ვითარება ისახება XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. აქ თავადაზნაურობა უსწრებს სოფლის მშრომელ მოსახლეობას მამულების გაყიდვაში, მაგრამ მკვეთრად ჩამორჩება მას შესყიდვის ოპერაციებში. მიწა-ვენახების გაყიდვის იმ 813 შემთხვევიდან, 1750—1800 წლების საქართველოში რომ ჰქონდა ადგილი (ჩვენი მონაცემებით), 425 (ან 52,2%) მოდის ფეოდალებზე, 388 (ან 47,8%) — გლეხებზე. იმავე რაოდენობის ყიდვის ოპერაციიდან კი ფეოდალებზე მოდის 290 ან 35,6%, ხოლო გლეხებზე — 523 ან 64,4%. ამ მონაცემებიდან მკაფიოდ ჩანს სოფლის მშრომელი მოსახლეობის ძლიერი გააქტივება, მისი ინტენსიური მონაწილეობა მამულების შეძენის საქმეში. იგი ყიდულობს საერთოდ გაყიდული მიწების დიდ ნაწილს, უტევს ფეოდალურ საკუთრებას.

სამწუხაროდ, ნასყიდობის სიგელების დიდ უმრავლესობაში არაა ნაჩვენები გაყიდული მიწების რაოდენობა (და ხშირად ადგილიც კი). ამის მაგივრად იქ მითითებულია ბრუნვაში მოქცეული მიწის საზღვარი, რაც შეუძლებელს ხდის მისი ფართობის დადგენას. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი. 1724 წელს საგინაშვილმა პაატამ საგინაშვილ ბეჟუას მიჰყიდა მიწა, რომლის ადგილმდებარეობისა და ფართობის შესახებ საბუთში ნათქვამია, რომ მისი ერთი ნაწილი „პაპიაშვილის კარზედაა“, ხოლო მეორე — „იმის ზეით“¹⁶. 1728 წელს გიორგი რევიშვილმა მდივანბეგ ერასტის მიჰყიდა ახალშენს „ჯალდმისსა და მუსეფორის საზღვრებს შუა“ მდებარე მამული¹⁷. თარხნიშვილი იორამი, რომელმაც 1763

¹⁶ სსცია, ფ. 1448, საბ. 4142.

¹⁷ იქვე, საბ. 2988.



წელს გიორგი, ბაინდურა და ქაიხოსრო წვერანასწვილებთან გააფორმა ნასყიდობის აქტი, წერს: „მოგიყდეთ ახალქალაქს შენის ბოსტნის გვერდით“ მღებარე ბოსტანი¹⁸. გიორგი მინბაშის მიერ 1797 წელს გაცემულ ერთ საბუთში კი ნათქვამია, რომ მან პუპუა და ოთარ სესიაწვილებს მიჰყიდა მამულის თავი „მარჯენი მხარეს“ დედასწვილის, ხოლო მარცხენი — „პეტრე მღვდლის (მიწის) მიჯნამდინა“¹⁹.

ჩვენ მიერ შესწავლილი 2390 ნასყიდობის სიგელიდან გაყიდული მიწის (თუ ვენახის) ფართობი მხოლოდ 310 სიგელშია ნაჩვენები, რაც მათი საერთო რიცხვის დაახლოებით 13% შეადგენს. გაყიდული ფართობის ზომის მიხედვით ეს რაოდენობა შემდეგნაირად ნაწილდება (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

გაყიდული მიწების რაოდენობის შემცველი სიგელები, რიცხვი და ხვედრითი წონა (%)	გაყიდული მიწების ფართობი (დღიურებში)										
	შენიშნული	1-2	2-3	3-4	4-5	5-6	6-7	7-8	8-9	9-10	10-ზე მეტი
310	11	175	36	32	18	15	3	3	1	5	10
%	3,6	56,7	11,7	10,3	5,9	4,8	0,9	0,9	0,3	1,6	3,3

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, მიწის გაყიდვის 310 შემთხვევიდან 273 შემთხვევაში დადასტურებულია უწერილესი და წერილი (5 დღიურამდე) ნაკვეთების გაყიდვა, 27 შემთხვევაში — საშუალო მასშტაბის ნაკვეთების (5-დან — 10 დღიურამდე), ხოლო 10 შემთხვევაში — შედარებით მსხვილი (10 დღიურზე მეტი)²⁰ ნაკვეთებისა. მათი ხვედრითი წონა შესაბამისად უდრის: 87,9%, 8,8% და 3,3%.

შედარებით მსხვილი ნაკვეთების გაყიდვის ათი შემთხვევიდან 3 მოდის XVIII საუკუნის პირველ ნახევარზე, ხოლო 7 — იმავე საუკუნის მეორე ნახევარზე. სულ ამ ათი ოპერაციით 225 დღიური მიწა გაიყიდა. აქედან 1700—1750 წლებში — 45 დღიური ან 20%, ხოლო 1751—1800 წლებში — 180 დღიური ან 80%. ფეოდალებმა გაყიდეს — 116,5 დღიური ან საერთო რაოდენობის 51,7%. გლეხებმა კი — 108,5 დღიური ან 48,3%. პრივილეგიურმა წოდებამ შეისყიდა მსხვილ ნაკვეთებად გაყიდული მიწების მხოლოდ 35,3% (79,5 დღიური), სოფლის მშრომელმა მოსახლეობამ კი — 64,7% ან (145,5 დღიური). ამ მაგალითშიც დასტურდება ფეოდალურ საკუთრებაზე გლეხების მხრივ იერიშის მიტანის საინტერესო ფაქტი.

¹⁸ სსცია, ფ. 1448, საბ. 4384.

¹⁹ საქართველოს მეცნ. აკადემიის აკად. კორ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი (შემდგენი შემოკლებით — სმაზი), ფონდი Qd, საბ. 3967.

²⁰ აქედან: ორი — 12 დღიური, ორი — 15 დღიური, ერთი — 18 დღიური, ერთი — 25,5 დღიური, ორი — 26 დღიური, ერთი — 26,5 დღიური და ერთი — 49 დღიური. არის ერთი შემთხვევა 60 დღიური ტყის მასივის გაყიდვისა (სმაზი, ფ. Qd, საბ. 2463), მაგრამ ჩვენ ის, ერთარცა ტყის მასივი, ზემოთ დასახელებულ შედარებით მსხვილი ნაკვეთების გაყიდვის შემთხვევებში არ შეგვიტანია. ეს ტყე გაყიდა ფეოდალმა, იყიდა გლეხმა. იყო არაერთი შემთხვევა მთელი სოფლის ან მისი ნაწილის ყიდვა-გაყიდვისა, რომელშიაც მხოლოდ და მარტო ფეოდალები მონაწილეობდნენ. 1799 წელს, მაგალითად, ფეოდალმა შანშააწვილმა გაყიდა სოფ. ხორი. იყიდა იგი უტუნის ეპისკოპოსმა სვიმონმა (სსცია, ფ. 1448, საბ. 3900). იმავე წელს შანშააწვილმა უტუნის ეპისკოპოსსვე მიჰყიდა სოფელ ჭილიზის ნახევარი (იქვე, საბ. 3901).

წვრილი ნაკვეთების შემსყიდველები უპირატესად გლეხები იყვნენ, მაგრამ ამ საქმეში თავადაზნაურობაც მონაწილეობდა. პრივილეგიური წოდების წარმომადგენლები, როგორც წესი, მაშინ იძენდნენ წვრილ ნაკვეთებს, როდესაც საქმე ეხებოდა მათ საკუთრებაში უკვე მყოფი მამულების დამრგვალებას²¹. ამ გარემოებას პირველად პროფ. გ. ნათაძემ მიაქცია ყურადღება და სათანადო დასკვნაც გააკეთა²², რაზედაც მოგვიანებით საგანგებოდ გვექნება მსჯელობა.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ XVIII საუკუნეში საერთოდ და მის მეორე ნახევარში — განსაკუთრებით თავადაზნაურობა გაცილებით უფრო ხშირად გამოდიოდა გამყიდველის როლში, ვიდრე მყიდველის, გლეხი კი — პირიქით. ამაზე დავაფუძნებთ ჩვენ ჩვენი დასკვნა პრივილეგიური წოდების მიწათმფლობელობის მძიმე მდგომარეობის, მისი შერყევის შესახებ. ასეთ დასკვნას მხარს უჭერს საკითხის მეორე ასპექტში განხილვაც — საზოგადოების ძირითადი კლასების — ფეოდალებისა და გლეხების მიერ გაყიდული და შესყიდული მიწების ფართობის ერთიმეორესთან შედარება. ჩვენ, როგორც უკვე ვთქვით, არ ვიცით, თუ რამდენი მიწა გაიყიდა სულ ჩვენ მიერ გამოვლინებულ და დამუშავებულ 2390 ნასყიდობის სიგელით, რადგანაც მსგავსი ხასიათის ცნობები მოიპოვება სიგელების მხოლოდ მცირე ნაწილში — 310 ნასყიდობის აქტში. როგორც სათანადო გაანგარიშებიდან ჩანს, 310 აქტით გაყიდულა სულ 1102 დღიური მიწა. აქედან ფეოდალებს გაუყიდათ 519,5 დღიური ან მომოქცევაში ჩავარდნილი მიწების საერთო რაოდენობის 47,1%, ხოლო გლეხებს 582,5 დღიური ან 52,9%. გაყიდული მიწების უდიდესი ნაწილი — 716,5 დღიური ან 65,1% გადასულა სოფლის მშრომელი მოსახლეობის ხელში, ხოლო უმცირესი — 385,5 დღიური ან 34,9% — პრივილეგირებული წოდების ხელში. თუ ეხლა ამ 310 ნასყიდობის სიგელის მონაცემებს გავაერთიანებთ ჩვენ მიერ შესწავლილ ყველა 2390 სიგელზე, მაშინ გამოვა, რომ ხსენებული აქტებით გაყიდულა სულ (დაახლოებით) 9000 დღიური მიწა, რომლიდანაც 5940 (65,1%) გლეხებს შეუძენიათ, ხოლო 3060 დღიური (34,9%) — გლეხებს. ამრიგად, გლეხებს შეუსყიდათ არა მარტო მათი კლასობრივი მოძმის მიერ გაყიდული მიწები მთლიანად, არამედ თავადაზნაურთა მიწების ნაწილიც, დაახლოებით 25,8%.

აღებულ თემასთან მჭიდრო კავშირშია საკითხი იმის შესახებ, თუ რით და როგორ ისტუმრებდა მიწის მყიდველი მის გამყიდველს? ყველა ნასყიდობის სიგელში, როგორც წესი, მითითებულია, რომ გამყიდველმა მიიღო სრული ფასი, რითაც იგი კმაყოფილი დარჩა, გული შეიჭერა. ჯავახიშვილი ზაალი, რომელმაც 1759 წელს თავის რძალს „ბატონ თინათინს“ მიწა მიჰყიდა, წერს: „ავიღეთ ფასი სრული და უკლები“²³. ნასყიდობის საბუთში, როკიკი როკიკაშვილსა და დავით ქადაგიშვილს შორის რომ გაფორმდა 1700 წელს, ნათქვამია, რომ პირველმა აიღო „ფასი სრული და უკლებული“²⁴. ამასვე აცხადებს რამაზ გოგი-

²¹ ამის მაგალითები საკმაოდ ბევრია. ვე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 84, 84—85, 92—93; ტ. II, გვ. 470, 471—272, 473, 473—474, 476.

²² Г. Я. Натадзе, К вопросу об экономическом положении Грузии в XVIII веке, კრებული: „История классовой борьбы в Закавказьи“, Тифлис, 1930.

²³ სმახი, ფ. Qd, საბ. 8577.

²⁴ სსცია, ფ. 1448, საბ. 5392.

ბაშვილი²⁵ (1721 წელი), გიორგი კაციაშვილი²⁶ (1735 წ.), ამხონთ ელენე²⁷ (1776 წ.), ბაღლაღანთ სტეფანა²⁸ (1779 წ.) და მრავალი სხვა.

ხშირად იგივე ფორმულა ნასყიდობის სიგელეზში ასეა ჩამოყალიბებული: ავიღე ფასი სრული, რითაც ჩემი (ან ჩვენი) გული შესჯერდებოდა. ამ ფორმულიდან და მისი სხვა ვარიანტებიდან ჩანს, რომ გამყიდველსა და მყიდველს შორის სრული თანხმობა იქნა მიღწეული და რომ ოპერაციით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა²⁹. მაგრამ თითქმის არსად, ცალკეულ გამონაკლისებს გარდა, საბუთში არაა მითითებული, თუ რა იგულისხმება ფასის ქვეშ — გამყიდველის ფულით თუ ნატურით დაკმაყოფილება. ჩვენ მიერ შესწავლილი 2390 ნასყიდობის სიგელიდან მხოლოდ რამდენიმეშია გაშიფრული, თუ რას გულისხმობს კონკრეტულად გამოთქმა „ავიღე ფასი სრული“. ირკვევა, რომ ფასის აღება მიწის თუ სხვა ღირებულების გაყიდვისას ყოველთვის მარტო გამყიდველის ფულით დაკმაყოფილებას არ ნიშნავდა. ასე, მაგალითად, ერთ საბუთში, რომელშიაც ფიქსირებულია მიწის გაყიდვის ფაქტი (XVIII ს.) პაპუნა ბახტაძისა და ძმების მიერ, ნათქვამია: „ავიღია ფასი სრული, რასაც ჩვენი გული შეგვიჯერდებოდა: ერთი ხარი, ერთი კაბიწი თაფური, ერთი მარჩილი თეთრი“³⁰.

მასალების თანახმად, ზოგჯერ ანგარიშის გასწორება მთლიანად და მარტო ფულით ხდებოდა. ფულით გაისტუმრა, მაგალითად, ნიკოლოზ მაღალაშვილმა მიწის გამყიდველი ქაიხოსრო თუმანიშვილი (1720 წ.)³¹. როინ ჯავახიშვილმა მანგლელი ეპისკოპოსი იოსები (1727)³², გიორგი ჩხიკვაძემ ბერიკელა კობაძე (XVIII ს.)³³, ნიკოლოზ ყორყოლიანმა სვიმონა კოლაძე (XVIII ს.)³⁴, ივანე სიხარულიძემ წიქორია ნასყიდა, დავით ხუციშვილმა დიმიტრი გარაყანიძე (1792 წ.)³⁵, ბეო ხოჯაშვილმა დარეჯან დედოფალი (1790 წ.)³⁶ და სხვ. მაგრამ ასეთების რიცხვი ერთობ მცირეა, რაც თავისთავად მიწის ფულზე გაყიდვის იშვიათობის დამადასტურებლად ვერ გამოდგება. ნასყიდობის სიგელებში, როგორც ზეგითაც აღენიშნეთ, საერთოდ იშვიათადაა მოცემული ფასის კონკრე-

25 სსცია, ფ. 1448, საბ. 5437³.

26 იქვე, საბ. 8732.

27 იქვე, ფ. 14450, საქ. 125, საბ. 6.

28 იქვე, საქმე 122, საბ. 6.

29 „ფორმულა „ფასი დასაჯერებელი“, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — სრული გამოთქვამის შემოკლებას წარმოადგენს. ეს სრული გამოთქვაში ნასყიდობის შემდეგდროინდელ წიგნებშია დაცული და ამ სახით იხმარებოდა: ავიღეთ, ან მივეციო „ფასი სრული, რითაც ჩვენი (ან მისი) სული შესჯერდებოდა“—ო. ხშირად ასეთ გამოთქვამს მიცემული ფასის რაოდენობის შესახებ ცნობაც მოსდევს, მაგრამ ზოგჯერ ფასი აღნიშნული არ არის. როგორც ეტყობა, უკვე ის გარემოება, რომ ნასყიდობაში ფასი სრულად იყო გადახდილი და აღებულია და ეს... წერილობით დადასტურებული იყო, კანონის თვალსაზრისით სრულებით საქმარისად ითვლებოდა, რათგან ამით უკვე მხარეთა კმაყოფილება მტკიცდებოდა და როგორც გამყიდველისა, ისევე მყიდველისაგან საფასურის გამო ყოველგვარი ჩივილი შეუძლებელი იქნებოდა და რომ ატეხილყო კედეც, რასაკვირველია, უსაფუძვლოდ უნდა ყოფილიყო ცნობილი“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, თბილისი, 1929, გვ. 434, ხაზი ავტორისაა — ი. ა.).

30 იქ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 452—453.

31 სსცია, ფონდი 1448, საბ. 2896.

32 იქვე, საბ. 3904.

33 იქვე, საბ. 2853.

34 იქვე, საბ. 2828.

35 იქვე, ფ. 1450, საქმე 132, საბ. 5.

36 მმახი, ფ. Qd, საბ. 9362.

ტული დასახელება, მაგრამ იქ, სადაც იგი მითითებულია, თითქმის ყველგან ან-გაროშის ფულით გასწორებაა დადასტურებული. გამონაკლისს შეადგენს სულ რაღაც რამდენიმე შემთხვევა (აქედან ერთი უკვე მოვიხსენიეთ), როდესაც გაყიდულის საფასურად აღებულია შერეული სახის ექვივალენტი (ფული, ხარი და სხვ.). მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მიწა აბსოლუტურ უმრავლეს შემთხვევაში იყიდებოდა გაჭირვების, უსახსრობის, ტყვეობისა და დავალიანების გამო (ამაზე სავანებოდ ქვემოთ გვექნება საუბარი), ხოლო ამ მდგომარეობებიდან გამოსვლა, როგორც წესი, მხოლოდ ფულის შექმნა-გადახდას გულისხმობდა, მაშინ ბუნებრივად მივალთ ფულადი ოპერაციების საგრძნობი ხვედრითი წონის, მათი წამყვანი როლის აღიარებამდე.

მიწების, ვენახების, ტყისა და სხვათა (სახლი, დუქანი, საათი, თოფი ა. შ.) გაყიდვის მიზეზად უმრავლეს შემთხვევაში გამოიღველის მატერიალური შეუძლებლობა დასახელებული. ნასყიდობის სიგელები აჭრელებულია წინადადებებით, რომლებიც ლაპარაკობენ გამყიდველის მიძიმე, ზოგჯერ უკიდურესობამდე მისულ სიღარიბეზე, მის გამოუვალ ეკონომიურ მდგომარეობაზე. ზაალ წინამძღვრიშვილის ნასყიდობის საბუთში (1701 წ.) შალუტა ცერცვაძე აცხადებს: „დამეჭირა და სულს აქეთ გზა და ღონე არა მქონდა, შიმშილობა იყო... და მოგიდებ ჩემგანაც ნასყიდი ერთი დღის მიწა“³⁷. ბერუა სუთიაშვილიც მის მიერ გაცემულ საბუთში წერს (1710 წ.): „დაგვეჭირა, ვალი მემართა, თქვენ (სახლთუხუცეს ამილბარს — ი. ა.) შემოგვხვეწეთ... გარდავწყვიტეთ და მოგიდეთ ალალი ჩემი მკვიდრი მამული — ნავენახობი“³⁸. „ქმარი და შვილები დამეხოცენ, იმათი ვალი დამრჩა, მკუდრებიც დაუმარხავი მყუანდნენ, იმათი ცოდვაც მაწუხებდა და ამის გამო გავყიდე წისკილი და ავლაბარში ბალის ნაწილი“³⁹, — ვკითხულობთ ერთ სიგელში (XVIII ს.), რომელსაც ხელს აწერს ამ სიტყვების ავტორი ელენე მეფურიშვილი. „თათარმა დაგვიჭირა და დაგვიბორკილა, — ნათქვამია მანგლელ ეპისკოპოს იოსებ ჯავახიშვილის მიერ 1727 წელს გაცემულ საბუთში, — თეთრსა გვთხოვდა; ჩვენ არსად შოვნის ღონე არ გვექონდა და მოგიდეთ ჩემი ნასახლარი თავის შესავალ-გასავლითა“⁴⁰. „სიღარიბემა დიად შემაწუხა და მოგიდეთ ჩვენი სამკვდრო ორი დღის მიწა“⁴¹, „სიღარიბემ და ვალმა დიდად შეგვაწუხა. მოგიდეთ ჩვენი ნასყიდი მიწა ერთი დღისა და ცოტა მეტი“⁴² — აცხადებენ თამაზა ავაქაშვილი და ფარემუზ პეტროზაშვილი, რომლებმაც 1727—1728 წლებში (შესაბამისად) გაყიდეს თავიანთი მიწები. მატერიალური ხელმოკლეობის მიზეზით გაყიდეს აგრეთვე მამულები ფეოდალებმა ლუარსაბ აფურთატიშვილმა⁴³, გერმანოზ გერმანოზიშვილმა⁴⁴, გოდერძი თურ-

³⁷ სმახი, ფ. Sd, საბ. 570.

³⁸ იქვე, ფ. Ad, საბ. 1849.

³⁹ იქვე, ფ. Sd, საბ. 150.

⁴⁰ სსცია, ფ. 1448, საბ. 3904.

⁴¹ იქვე, ფ. 14450, საქ. 26, საბ. 6.

⁴² იქვე, საქ. 19, საბ. 8.

⁴³ იქვე, საქ. 61, საბ. 11, 1738.

⁴⁴ „ჩვენის დღის ვაჭირებისათვის მოგიდეთ... ენავთს ჩვენი სამკვიდრო მამული“ (იქვე, საქ. 69, საბ. 6, 1738).



ქისტანიშვილმა,⁴⁵ შერმაზან მერაბიშვილმა⁴⁶, იოსებ გედევანიშვილმა (1794 წ.)⁴⁷, კაცია მუხრანბატონმა (1799 წ.)⁴⁸ და სხვებმა. იესე ბარათაშვილის მოწმობიდანაც მკაფიოდ ჩანს, რომ მიწებს იგი სწორედ უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი პირებისაგან ყიდულობდა. 1763 წლის თარიღით იგი წერს: „მანუჩარ სოლოღაშვილი ამოვიდა, დიდი საქმის გაჭირვება მიაპბო... დიდის ფიციით მითხრა, ორი დღე არც მე მქონია პური, არც ჩემს შვილსაო; ძიძამ შემომიგდო, აღარ აწოვა, საჯამაგიროს მთხოვსო, ექვსის თვისა მმართველსო; ის ჩემი შვილი გუშინ, წუხელის და დღეს ჩემს სახლში გდია, უძუძური ტირისო. ის კი მოკვდება და ვილასთვის მინდა მამულიო, ელიზბარის წილი ტაგნეთი იყიდუო“⁴⁹. ქაიხოსრო აბაშიძე კი 1793 წლის პირველ ნოემბერს ერეკლე მეორისადმი მირთმეულ არზაში დაბეჭითებით არწმუნებს მეფეს, რომ მას, ვითარცა ვალატაყებულს, შეშის საყიდელი ფული არა აქვს⁵⁰.

თავადაზნაურობა (ცხადია, გლეხობაც) იოლად როდი მიდიოდა მამულების გაყიდვაზე. იგი ხშირად მათ აგირავებდა, სესხს იღებდა და მიღებული ფულით შექმნილი რთული ვითარებიდან გამოსვლას ცდილობდა. ასეთი ნაბიჯი გადადგა, მაგალითად, ქაიხოსრო სოლოღაშვილმა. მან 1721 წელს ზურაბ რატიშვილისაგან აიღო სესხად 30 თუმანი „ახალი თეთრი“. „დაგიდევ ამის გირაოთ ასურეთს, — წერს მსესხებელი, — ჩემი კერძი რაც ბარათში გამომყოლოდეს ან გლეხი, ან ხოდაბუნი, ან აზნაური, ან მიწა-წყალი... სანამ შენს თეთრს მოგცემდე... ჩემი წილი ასურეთის გამოსაღებით“ შენ ისარგებლე⁵¹. 1725 წელს იგივე გააკეთა ნოდარ ციციშვილმა. მან თავის ბიძაშვილ ბაგრატ ციციშვილისაგან ოთხ თუმან ნახევარი თეთრი აიღო და გირაოთ მისცა გლეხი ხოსია კაპარიაშვილი „თავისის მამულითა“⁵². 1756 წელს ქაიხოსრო წერეთელმა როსაბ მაქუარია-ნისაგან 44 მარჩილი (თეთრი) ისესხა, რაშიაც თავისი ხელქვეითი სამი კომლა გლეხი (გვარად გაჩეჩილაძეები) დაუგირავა „მამულ-ადგილით, ეკლესია-სასაფლაოთი, წყლითა და წისქვილითა, მათის ყოვლისფრით, საძებარ-უძებრით“⁵³. 1781 წელს გლეხმა ბეროა შიოშვილმა სულხან თუმანიშვილს რვა თუმანი „ახალი ზარაფხანის ოთხი დანგიანი თეთრი“ გამოართვა. ამის გირაოთ მან მისცა საკუთარი ხელით გაშენებული ვენახი იმ პირობით, რომ იგი მას თვითონ დაამუშავებდა და ვალის გადახდამდე შემოსავლის ნახევარს ყოველწლიურად კრედიტორს მისცემდა⁵⁴.

აგირავებდა რა მამულებს, დამგირავებელი (განურჩევლად წოდებრივი მდგომარეობისა) ერთგვარი იმედით შეჰყურებდა ამ ოპერაციას და ფიქრობდა, რომ იგი მოახერხებდა ვალის გადახდას და დაგირავებულის უკან დაბრუნებას. მაგრამ ამას იგი მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში აღწევდა და ჩვეულებრივ ვალე-

45 „არსით ილაჯი და ღონე არ მქონდა, მოვალე მაწუხებდა... მოგყიდეთ ჩენი სამკვიდრო... მიწა წყლითა და წისქვილითა“ (იქვე, საქ. 93, საბ. 2. 1738).

46 „თათრის ვალი მქონდა და მაწუხებდნენ... მოგვიდე ჩემი წილი იჯარის ნახევარი“ (იქვე, საქ. 109, საბ. 2. 1738.).

47 სმახი, ფ. Qd, საბ. 40.

48 იქვე, საბ. 1614.

49 იესე ბარათაშვილი, „ცხოვრება“, გვ. 36.

50 მსეი, წიგნი 11, თბ., 1953, გვ. 103.

51 იქვე, გვ. 14.

52 იქვე, გვ. 19.

53 მსეი, 11, გვ. 38—39.

54 იქვე, გვ. 54.

ბის აღების ოპერაცია დაგირავებული (თუ დაუგირავებელი) მამულების დაკარგვით, სესხის მიმცემის ხელში გადასვლით მთავრდებოდა. ასე დაჰკარგეს, მაგალითად, მამულები გიორგი ფალაენისშვილმა (XVIII ს. პირველი ნახევარი)⁵⁵, ჭიახოსრო წერეთელმა (1770 წ.)⁵⁶, ოტია წერეთელმა (1780 წ.)⁵⁷, ხოსრო ხოჯაშვილმა (1790 წ.)⁵⁸, გიორგი აბაშიძემ (1799 წ.)⁵⁹ და სხვ.

ერთი სიტყვით, ეკონომიური შეუძლებლობა, ვიმეორებთ ისევ, აიძულებდა მიწის პატრონს მისი გაყიდვის სახიფათო ზრას დასდგომოდა. მიწა-მამულებს გლეხიც ყიდდა და ფეოდალაც, მაგრამ უკანასკნელი მას უფრო ხშირად და მეტი მასშტაბით მიმართავდა, ვიდრე პირველი და მისთვის ამ მოვლენას უფრო სავალალო შედეგები ჰქონდა, ვიდრე სოფლის მშრომელი მოსახლეობისათვის. სოფლის მშრომელი მოსახლეობა, როგორც ზევით ვნახეთ, ბევრათ უფრო მეტს იძენდა, ვიდრე კარგავდა.

მიწის მყიდველებს შორის განსაკუთრებით გლეხები აქტიურობდნენ. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რათა მესაკუთრენი გამხდარიყვნენ. საკუთრების ყველაზე მყარ და საიმედო სახეობას კი სწორედ ნასყიდობის გზით შექმნილი საკუთრება წარმოადგენდა. იგი, ყოველშემთხვევაში ოფიციალურად, იურიდიულად წმინდად და ხელშეუხებლად ითვლებოდა. ასეთად ითვლებოდა არა მარტო ფეოდალის, არამედ გლეხის ნასყიდი საკუთრებაც. „თუ კაცმან ნასყიდობა ქნას, — ნათქვამია ვახტანგ VI სამართლის წიგნში, — მამული, სოფელი, საქონელი თუ პირუტყვი (იყიდოს), — დიად ალალი და შესარჩენი საქმე არის, ბატონის მეტი კაცი ვერ მოუშლის. და თუ ბატონი გაუწყყრების, სულს გარდა ყველაზე ხელი მიუწვდება, მაგრამ ბატონსაც ეს მართებს: სწავრივად რომ ბატონმა ყმას გარდაახდევინოს, ნასყიდი მაინც არ უნდა მო-

⁵⁵ „ეს წიგნი, — ნათქვამია საბუთში, — მოგართვით თქვენ, ბატონს წერეთელს ქველს, თქვენს შვილს ბეჟანს და დავითს მე, ფალაენისშვილმა გიორგიმ, ჩემს შვილმა შიომ, ასრე რომ აბაშიძემ მამული დამიკავა. ახლა დამჭირდა თეთრი იმ მამულის გარდასახადლ აბაშიძისათვის. ორასორმოცდაათი მარჩილი ევიღე თქვენგან მამულის დასახსნელად. სხვა ვერა ვიწოვე რა და... მოგართვი აბრაშაშვილი ლაზარე და შიო მათის ცოლ-შვილით, სახლით, კარით, საფლავით, წყლით, წისქვილით, სათიბით, ტყით, რისაც მქონებელი იყოს მისის ყოელის ფრით“ (მსეი, 11, გვ. 32).

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორც ტექსტიდან ჩანს, ფალაენისშვილმა დაგირავებული მამული დაიხსნა სხვა მამულის გაყიდვის გზით.

⁵⁶ ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ხელნაწერთა ფონდი, საბ. 39 („თეთრის გადახდა ვეღარ შევიძლე და გლეხი შემოგატოვეთ“).

⁵⁷ იქვე, საბ. 73 („თეთრის დიდი ხანი დაეყოვნა... გარდახდა ვეღარ შევძელით და ის საწინდარი გლეხი შემოგატოვეთ“).

⁵⁸ „შენ, — წერს მანუჩარ თუმანიშვილი ხოსრო ხოჯაშვილის სახელზე გაცემულ საბუთში, — ჩემის მუღლის... ორმოცდათექვსმეტი თუმანი გემართა და შენი დიდი ვენახი იმაში გიროთ მეჭირა. ამ ჟამათ თეთრის თხოვნა დაგიწყე. შენ რომ მოცემა ვერ შეიძელ, მეც ორმოცდათექვსმეტ თუმანთ შენი დიდი ვენახი, რომელიც ჩემთან გიროთ იყო, კეყიდე“ (მსეი, 11, 86).

⁵⁹ „გამოვიდა რამდენიმე წელი, — ვკითხულობთ გიორგი აბაშიძის მიერ ქიზიყის მოურავის ქალის ანას სახელზე დაწერილ საბუთში, და ვერ მოგეც შენი ვალი. მოხოვდი და მაწუხებდი, შენ დედ-მამას ცრემლით შესტიროდი, ისინი იასულათ დამაყენე... სხვა დონე არა მქონდა რა (და ამიტომ) ეს ჩემი ნასყიდი... გვერდის-უბანი მომიცია“ (მსეი, 11, 111).

უშალოს⁶⁰ (ხაზი ჩვენია — ი. ა.). იესე ბარათაშვილიც თითქოს საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ქვეყანაში.. ნასყიდობის მოშლა“ ძნელი შემოსაღებიაო⁶¹. ცხოვრება, ცხადია, ხშირად არღვევდა იმ იურიდიულ ნორმებს, მაგრამ სამართლის ძეგლებში ნასყიდი საკუთრების განსაკუთრებული სიმყარის აღნიშვნას მაინც ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა. იგი საფუძველს აძლევდა ყველას, ვისაც ნასყიდობა მოუშალეს, ებრძოლა და კანონის დაცვა მოეთხოვა.

გლეხი, როგორც უკვე ვთქვით, უპირატესად წვრილ ნაკვეთებს ყიდულობდა, თუმცა არც შედარებით მსხვილი ნაკვეთების შესყიდვა იყო გამორიცხული. განურჩევლად იმისა, თუ რა ფართობის მიწებს იძენდა სოფლის მშრომელი მოსახლეობა — დიდს თუ მცირეს — იგი ყველა შემთხვევაში ერთი მთავარი ამოცანის გადაჭრას ისახავდა მიზნად — თავი დაეღწია მიწით მომარაგების ფეოდალურ-ბატონყმური საშუალებისგან და გამხდარიყო დამოუკიდებელი მეურნე⁶². ეს კი ძირს უთხრიდა ფეოდალურ საკუთრებას და ხელს უწყობდა საკუთრების ახალი ფორმის წარმოშობა-განვითარებას, ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვა-დაწინაურებას⁶³.

მიწას, როგორც უკვე ითქვა, ფეოდალებიც ყიდულობდნენ. ზოგი მათგანის მოქმედება ამ მიმართულებით განსაკუთრებული ინტენსიურობით გამოირჩეოდა. ასეთები იყვნენ, მაგალითად, ამილბარ მალალაშვილი, მანუჩარ თუმანიშვილი, არჩევან ფიცხელაური, იესე ბარათაშვილი და სხვები. აქ დასახელებული პირები ეწეოდნენ სისტემატურ მომხვეჭელობას, მამულების შეუნელებელ შესყიდვას. ესენი და პრივილეგირებული წოდების სხვა წარმომადგენლები ყიდულობდნენ როგორც წვრილ ნაჭრებს, ისე მსხვილ ნაკვეთებს, ზოგჯერ მთელ სოფლებსაც კი. პატარა ნაკვეთების შესყიდვა უმეტეს შემთხვევაში მაშინ ხდებოდა, როდესაც საქმე ეხებოდა ფეოდალის მამულის დამრგვალებას. აი ამის რამდენიმე მაგალითი: იესე წინამძღვრიშვილმა ზაალ წინამძღვრიშვილს მიჰყიდა მიწა, რომელიც უშუალოდ უკანასკნელის მამულს ემიჯნებოდა⁶⁴. 1784 წელს შედგენილ ნასყიდობის სიგელში ნათქვამია, რომ ბერი ფიცხელაურმა თავის ბიძაშვილს არჩევან ფიცხელაურს ნაღდ ანგარიშზე მისცა მიწა, რომელიც მეო-

⁶⁰ ვახტანგ VI სამართლის წიგნი, თბ., 1955, მუხ. 160. ძეგლი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევდა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თინა ენუქიძემ.

უკეთებს რა კომენტარს ამ მუხლს ალ. ვაჩიეიშვილი წერს: „ამგვარად, ფეოდალურ საქართველოში მიღებული ყოფილა დებულება, რომლის ძალით „ნასყიდი ქონება“, საერთოდ და კერძოდ „ნასყიდი მამული“, ყოველშემთხვევაში ოფიციალურად, ხელშეუხებლად იყო აღიარებული“ (ალ. ვაჩიეიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ასტორიიდან, III, თბ., 1963, გვ. 111).

იმის საილუსტრაციოდ, რომ კანონს ნასყიდობის მოუშლელობის შესახებ ანგარიში ეწეოდა, ივ. სურგულაძეს იესე ბარათაშვილის მაგალითი შთაქვს. მას, როგორც ცნობილია, ერეკლეს ბრძანებით მთელი ქონება ჩამოართვეს, გარდა სახლისა, რომელსაც, ვითარცა ნასყიდს, ხელი ვერ ახლეს (ივ. სურგულაძე, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, თსუ „შრომება“, XX XVII, 1949, გვ. 2).

⁶¹ იესე ბარათაშვილი, ცხოვრება, გვ. 42.

⁶² გლეხების მიერ მიწების საკუთრებაში შექმნა სწორედ ასეა შეფასებული საბჭოთა ისტორიულ მეცნიერებაში (იხ. И. Д. Ковальченко, О характере и формах расшлюения помещичьих крестьян России в первой половине XIX века, „Исторические записки“, ტ. 78, 1965).

⁶³ Н. Л. Рубинштейн, Сельское хозяйство России во второй половине XVIII века, Москва, 1957, გვ. 39, 72.

⁶⁴ სსცია, ფ. 1448, საბ. 690.

რის მამულის ნაწილს, მის გაგრძელებას წარმოადგენდა⁶⁵. იმავე არჯევანის სახელზე გაფორმებულ მეორე ნასყიდობაში (1784 წ.) კი მიწის გამყიდველი თექუმან ფიცხელაური წერს: „დამეჭირა და მოგყიდე ჩემი ალალი, ბარათში ნარგები, შენი კოშკის გვერდზე სახლ-კარათ ნარგები მიწა“⁶⁶. თავიანთი მამულების მომიჯნავე მიწის ნაკვეთები იყიდეს აგრეთვე ბევერდიშვილმა⁶⁷, ყანჩელმა⁶⁸, ლოლაძემ⁶⁹, გოსტაშვილიშვილმა⁷⁰ და სხვებმა.

დამრგვალების ტენდენციას პირველად ყურადღება პროფ. გ. ნათაძემ მიაქცია. მანვე მოგვცა ამ მოვლენის მნიშვნელობის პირველი შეფასებაც. „Таким образом,— წერს იგი,— одна сторона освобождается от лишней, ненужной ему для хозяйства земли, а другая приобретает землю, округляющую ее имение. При старом способе хозяйства, когда участки земли отдавались под „галу“, разбросанность и чересполосность мешать ведению хозяйства не могли. Очевидно, здесь мы имеем дело со стремлением к округлению имения с целью вести более рациональное хозяйство, иначе говоря—расширить то, что называлось барской запашкой за счет сокращения количества участков, отданных крестьянам под галу и другие повинности“⁷¹ (ხაზი ჩვენია—ი. ა.).

მკვლევარი ამასთანავე აღნიშნავს, რომ მიწების დამრგვალების ტენდენცია დამახასიათებელი იყო სწორედ XVIII საუკუნისათვის, უფრო ზუსტად ამ საუკუნის მეორე ნახევრისთვის. მისი აზრით, წინა პერიოდში ის ძალზე მკრთალად, უმნიშვნელო მასშტაბით შეინიშნებოდა. აჯამებს რა თავის დაკვირვებებს ამ მიმართულებით, ავტორი წერს: „Если ближе познакомиться с упомянутыми выше случаями частных сделок на землю, зафиксированными в документах XVII столетия и сравнить их с аналогичными документами XVIII столетия⁷²... чрезвычайно редки случаи покупки имения, смежного с землей покупателя или продавца, что указывает на отсутствие тенденции к округлению имения с целью более рациональной эксплуатации“⁷³ (ხაზი ჩვენია—ი. ა.).

მსხვილი რაციონალური⁷⁴, საბაზრო პროდუქციის დამამზადებელი მეურნეობები განსახილველი ხანის საქართველოში მართლაც არსებობდნენ⁷⁵. ამაზე

⁶⁵ ექ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, II, გვ. 470.

⁶⁶ იქვე, გვ. 471—472.

⁶⁷ Г. Я. Натадзе, К вопросу об экономическом положении Грузии в конце XVIII столетия, კრებულში: „История классовой борьбы в Закавказье“, Тифлис, 1930, გვ. 131. (ვერთხ გ. ნათაძის სტატიის დასახელებისას ამ კრებულის გვერდები იქნება მითითებული).

⁶⁸ იქვე.

⁶⁹ იქვე.

⁷⁰ ექ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, I, გვ. 85.

⁷¹ გ. ნათაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 129—130.

⁷² აქ ვფიქრობ, შეცდომით წერია XVII საუკუნე.

⁷³ გ. ნათაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 129.

⁷⁴ მსხვილ რაციონალურ მეურნეობას ეწეოდა არა მარტო ის, ვინც პატარ-პატარა მიწის ნაკვეთებს ყიდულობდა და ამ გზით ამრგვალებდა თავის მამულს, არამედ დიდი ფართობის შემსყიდველნიც.

⁷⁵ Н. Г. Кантария, Хозяйство грузинского помещика в XVIII веке (автореферат кандидатской диссертации), Тбилиси, 1955, გვ. 17.

ჩვენ სხვაგან გვექნება საგანგებოდ ლაპარაკი. აქ კი მხოლოდ ვიტყვი, რომ იმდროინდელი საქართველოს ეკონომიური აზრიც უბიძგებდა ყველას, მათ შორის, ცხადია, ფეოდალებსაც, რაციონალური, სასაქონლო მეურნეობების შექმნისკენ. იგი მხარს უჭერდა არა მარტო ოჯახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი პროდუქციის გაყიდვას, არამედ პროდუქციის გარკვეული ნაწილის თავიდანვე საბაზროდ წარმოების იდეას. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ბატონიშვილი ბაგრატიის ტრაქტატი „შემოკლებული სოფლის ეკონომია“, დათარიღებული 1816 წლით. ამ ხელწერის მეექვსე პარაგრაფში ვკითხულობთ: „შემოსავალი ყოველივე მამულისა... განიყოფების სამად. ერთი ნაწილი აიღების სახლის სახარჯავათ, მეორე — შესანახავად, ხოლო მესამე — გაიყიდეს ის“⁷⁶. მეხუთე პარაგრაფში კი, რომელიც მესაქონლეობას ეხება, ნათქვამია: „მებატონეს მართებს რათა ჰყუანდეს პირუტყვი მრავლებით... ცხუარი მისცემს დიდს სარგებლობასა, აგრეთვე დორი უფრორე. დორის ქონი იხმარება სახნად და სანთლად, ხოლო ხორცი ლორედ, მძებხად და საქმელად, ეგრეთვე გასასყიდათ, რომელიცა გაიყიდეს კარგად ფასად“⁷⁷ (ხაზი აქაც და ზემოთაც ჩვენია — ო. ა.).

იგივე აზრია გატარებული იოანე ბატონიშვილის „სჯულდებაში“, რომელიც 1799 წელს განეკუთვნება. ამ ძეგლის 89-ე მუხლში წერია: „აკეთონ ერბო და ყველი, მატყლით ქსოონ საფენნი და სხვა საქროებანი, და აგრეთვე, თათართაცა და ქართულთაცა, სადაც კეთდებოდეს აბრუშუმი, იმასაც მუშაობდენ და ესეც ყოველივე ანგარიშით ინახებოდეს, იყიდებოდეს და თეთრად გროვდებოდეს“⁷⁸ (ხაზი ჩვენია — ო. ა.).

ციტირებული ადგილების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიური აზრი მოუწოდებდა ფეოდალებს (ალბათ გლეხებსაც) არ შემოფარგლულიყვნენ მხოლოდ აუცილებელის წარმოებით და დაემზადებინათ საბაზრო პროდუქციაც. ამ რჩევას, ჩანს, ისინი ყურს უგდებდნენ, რის ერთ-ერთ დამადასტურებელს წარმოადგენს ქართველ მებატონეთა ერთი ნაწილის მიერ მამულების ინტენსიურად შესყიდვის, მათი დამრგვალების შეუნელებელი ტენდენცია.

ამ ჩვენს დასკვნას, ვფიქრობთ, ვერ დაარღვევს იესე ბარათაშვილის მოგონების ის ადგილი, სადაც მიწების სისტემატურად შესყიდვის მიზეზად სულ სხვა გარემოებაა დასახელებული. ბარათაშვილის მოხვედრელობით საქმიანობა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მიზნად ისახავდა მრავალრიცხოვანი ოჯახის შენახვას, სტუმრების გამასპინძლებასა და შვილების მამულებით უზრუნველყოფას. ჩვენ „ქართველები ვართ, — წერს იესე, — პური საქმელად და სამო-

76 კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, ხელნაწერთა ფონდი, S 24, პარაგრაფი 6.

ამ ნაშრომისა და მისი ავტორის ეკონომიურ შეხედულებათა დაბასათება იხ. პროფ. ს. ბერაძის ნაშრომში: „ქართული ეკონომიური აზრის ისტორიის საკითხები მე-19 საუკუნემდე“, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, VI, თბილისი, 1952.

77 კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, ხელნაწერთა ფონდი, § 24, მე-5 პუნქტი.

78 იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, თბ., 1957, გვ. 44—45.

მოაქვს რა ეს ადგილი, პროფ. ს. ბერაძე წერს: „ღიახ, იოანე მოითხოვს სამეფო საცალო ვაჭრობის შემოღებას... მაშინ, როცა ქართველი თავადაზნაურები ვაჭრობას ქედმაღლურად უყურებდნენ და თავისთვის არასაკადრის საქმედ თვლიდნენ, იოანე ბატონიშვილი დიდად აფასებს მას. ეს გარემოება და სიმდიდრის მთავარ ფორმად თეთრის, ე-ი ძვარფასი ლითონის მიზნევა ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მერკატელიზმისათვის“ (იხ. მისი „ქართული ეკონომიური აზრის განვითარება XVIII საუკუნის დამდეგს“. ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, V, თბ., 1951, გვ. 407).



სლად უნდა ვიყოფინოთ, ღვინო სამოსლად და სასმელად, ცხვარი, ღორი საკლავად, ძროხა სახნავად და ასე უნდა დავრჩეთ... ქართველი კაცის რჩომა ასე ყოფილა და ასე იქნება⁷⁹. ბარათაშვილი ტრაბახობს კიდევ იმით, რომ მას არასოდეს არცერთი კოდი პური არ გაუყიდა. „ჩემგან პური არ გაისყიდებოდა, თუნდათასი კოდი მომსვლოდაო“⁸⁰, — აცხადებს იგი.

შეიძლება დანამდივლებით ითქვას, რომ „ცხოვრება-ანდერძის“ ავტორის ეს განცხადება არაა გულწრფელი. ჩვენ არ შევეცდებით, თუ ვიტყვი, რომ მისი მომხვეჭელობა, მიწების დიდი რაოდენობით შესყიდვა გამოწვეული იყო არა მარტო ოჯახის მატერიალურად უზრუნველყოფის სურვილით. მას საბაზრო პროდუქციის წარმოების სურვილიც ამოძრავებდა. ღალის თუ სხვა გზით მიღებული პროდუქციის ნაწილს, იგი ბაზარში ეზიდებოდა, თუმცა ამას დაყინებით უარყოფს. „ცხოვრება-ანდერძის“ იმ ადგილას, სადაც ლაპარაკია ამა თუ იმ პროდუქტის დანიშნულებაზე, იესე იძულებულია აღნიშნოს, რომ პური საქმელადაც უნდა ვიყოფინოთ და სამოსლადაც⁸¹. ზუსტად იმასვე ამბობს იგი ღვინოზეც. ღვინო „სამოსლად და სასმელად“ უნდა გამოვიყენოთ⁸². აქ ავტორი, როგორც ვხედავთ, უარყოფს მის მიერ სხვაგან გაკეთებულ განცხადებას და ადასტურებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გარკვეული ნაწილის თავიდანვე საბაზროდ დამზადების ფაქტს⁸³.

ამრიგად, ფეოდალთა კლასის ერთი ნაწილის მიერ მიწების ინტენსიური ყიდვა, ფულადი-სასაქონლო ურთიერთობის განვითარებით რომ იყო შეპირობებული, მიზნად ისახავდა მსხვილი რაციონალური მეურნეობების შექმნას, რომლებიც ოჯახის მოთხოვნილებასაც დააკმაყოფილებდნენ და საბაზრო პროდუქციასაც დაამზადებდნენ. ამდენად აღნიშნული ტენდენცია თავის მხრივ გარკვეულად ხელს უწყობდა საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ახალი უფრო პროგრესული გზით წარმართვის საქმეს.

* * *

ამ წერილში მოცემული ჩვენი მსჯელობა შეიძლება შემდეგი დასკვნების სახით ჩამოყალიბდეს.

1. XVIII საუკუნის საქართველოში ადგილი ჰქონდა მიწების ძლიერ ამოძრავებას. მამულების ყიდვა-გაყიდვამ ამ დროს მიიღო მასობრივი ხასიათი, ისეთი მასშტაბი, როგორც მას არასოდეს არ ჰქონია მანამდე. ეს მოვლენა შეპირობებული იყო, ერთი მხრივ, საგარეო ვითარებით გამოწვეული ფეოდალური და გლეხთა კლასის გარკვეული ნაწილის მატერიალური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით, ხოლო, მეორე მხრივ, ფულადი-სასაქონლო ურთიერთობის წარმატებით, საქართველოს სავაჭრო-ეკონომიური კავშირების გაძლიერებით უცხო ქვეყნებთან. მათ შორის ისეთებთანაც, რომლებიც უკვე განვითარების კაპიტალისტურ გზაზე იყვნენ შემდგარი.

2. მიწას ყიდდნენ როგორც ფეოდალები, ისე გლეხები. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში სოფლის მშრომელი მოსახლეობა უფრო ხშირად გამოდის

⁷⁹ იესე ბარათაშვილი, ცხოვრება, გვ. 99.

⁸⁰ იქვე, გვ. 97.

⁸¹ იქვე, გვ. 99.

⁸² იქვე.

⁸³ იესეს „ცხოვრება-ანდერძიდან“ საწინააღმდეგო დასკვნას აკეთებს დ. უჩანავიშვილი თავის საინტერესო გამოკვლევაში: „К вопросу об экономическом развитии Восточной Грузии во второй половине XVIII века“ („მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკ. V, თბ., 1937, გვ. 386, 408—410), მაგრამ ამაჟამად ჩვენ ამაზე არ ვჩერდებით.

გამყიდველის როლში, ვიდრე პრივილეგიური წოდება. მამულების გაყიდვის იმ 1303 შემთხვევიდან⁸⁴, 1700—1751 წლებში რომ ჰქონდა ადგილი (ჩვენი მონაცემებით), 50,6% მოდიოდა გლეხობაზე, ხოლო 49,4% — ფეოდალებზე. ყიდვის აქტებში კი მათი ხვედრითი წონა შესაბამისად 46,7% და 53,3% უდრიდა.

3. არსებითად განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ჩვენთვის საინტერესო საუკუნის მეორე ნახევარში. აქ თავადაზნაურობა უსწრებს სოფლის მშრომელ მოსახლეობას მამულების გაყიდვაში და, პირიქით, მკვეთრად ჩამორჩება მას მათ შესყიდვაში. მიწა-ვენახების გაყიდვის იმ 813 შემთხვევიდან, რომლებიც 1751—1800 წლებითაა დათარიღებული, 52,2% მოდის პრივილეგირებულ წოდებაზე, 47,8% — გლეხობაზე. იმავე რაოდენობის ყიდვის ოპერაციიდან კი 35,6% მოდის პირველზე, 64,4% — მეორეზე. ამ მონაცემებიდან მკაფიოდ ჩანს სოფლის მშრომელი მოსახლეობის ინტენსიური მონაწილეობა მამულების შეძენის საქმეში. იგი აშკარად უტევს ფეოდალურ საკუთრებას.

4. გლეხობა უსწრებდა თავადაზნაურობას შესყიდული მიწების ფართობის, მათი რაოდენობის მხრივაც. იმ 1102 დღიური მიწიდან, 310 ნასყიდობის სიგელით რომ გაიყიდა XVIII საუკუნეში⁸⁵, პირველს გაუყიდა 582,5 დღიური ან მიმოქცევაში ჩავარდნილი მიწების საერთო რაოდენობის 52,9%, ხოლო მეორეს — 519,5 დღიური ან 47,1%. გაყიდული მიწების უმეტესი ნაწილი — 716,5 დღიური ან 65,1% უშუალო მწარმოებლის ხელში გადასულა, ხოლო უმცირესი — 385,5 დღიური ან 34,9% — პრივილეგიური წოდების. სხვანაირად რომ ვთქვათ, გლეხებს შეუსყიდათ არა მარტო მათი კლასობრივი მოძმის მიერ გაყიდული მიწები მთლიანად, არამედ თავადაზნაურთა მიერ რეალიზებული მიწების ნაწილიც, დაახლოებით 25,8%.

5. გლეხები მიწას, ამ მთავარ საწარმოო საშუალებას, უპირატესად წვრილ ნაკვეთებად იძენდნენ, თუმცა მსხვილი ნაკვეთების შესყიდვის შემთხვევაც არაერთი იყო. ვანურჩევილად იმისა, თუ რა მასშტაბით ხდებოდა ეს შეძენა, მცირე თუ დიდი, გლეხის მომხვეჭელობით საქმიანობას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყიდულობდა რა მიწებს საკუთრების უფლებით, იგი თავს აღწევდა მიწით მომარაგების ფეოდალურ-ბატონყმურ საშუალებებს, ძირს უთხრიდა ფეოდალის მონაპოლიურ მიწათმფლობელობას და ხელს უწყობდა საკუთრების ახალი, ბურჟუაზიული ფორმის დამკვიდრებას, კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებას.

6. ფეოდალური კლასის ერთი ნაწილის აქტიური მონაწილეობა მიწის ყიდვის ოპერაციებში შეპირობებული იყო ფულადი-სასაქონლო ურთიერთობის განვითარებით, ამ ურთიერთობის შესაბამისად სამეურნეო საქმიანობის შეცვლის სურვილით. პრივილეგირებული წოდების არაერთი წარმომადგენელი მსხვილი, რაციონალურ საფუძვლებზე დაყენებული, საბაზრო პროდუქციის დამამზადებელი მეურნეობების მოწყობაზე ოცნებობდა და ზოგმა მათგანმა კიდევ მიაღწია ამას. ამით ისინი, ნებით თუ უნებლიეთ, ბიძგს აძლევდნენ არსებული სოციალ-ეკონომიური ფორმაციის საწინააღმდეგო მოვლენების განვითარებას.

⁸⁴ აქ ლაპარაკია არა საერთოდ XVIII საუკუნის პირველი ნახევრით, არამედ ამ პერიოდის რომელიმე კონკრეტული წლით დათარიღებულ ნასყიდობის სიგელებზე. ასეთების რიცხვი კი სწორედ 1303 უდრიდა.

⁸⁵ აქ მხედველობაშია ნასყიდობის სიგელების ის ნაწილი, სადაც აღნიშნულია გაყიდული მიწების რაოდენობა.

ВАХТАНГ ГАМРЕКЕЛИ

СОЦИАЛЬНО-ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЧВА РАЗВИТИЯ
 «ЛЕКИАНОБА»¹ В XVIII В.²

Чем было вызвано столь исключительное явление в истории грузинско-дагестанских взаимоотношений, каким было «лекианоба» XVIII в. и что его питало весь тот век? Искать объяснения этому в действии какого-либо одного фактора неоправданно. «Лекианоба» не было и не могло быть изолированным явлением. А потому и объяснение того, что вызвало возникновение и развитие «лекианоба» в XVII—XVIII вв. следует искать в сплетении и совместном действии ряда внутренних и внешних для горного Дагестана процессов, условий и обстоятельств.

Обусловленность развития «лекианоба» внешними горному Дагестану факторами более или менее уже освещена в научной литературе³. Остается коснуться связей набегов с внутренними социально-экономическими явлениями и процессами самого горного Дагестана, ибо эта сторона вопроса не получила еще должного освещения.

Нарративные и документальные источники прямо свидетельствуют, что набеги велись основной массой их участников ради добычи, набеги стали промыслом, средством добывания материальных ценностей; материальная заинтересованность выступает как лейтмотив набегов, как главный их стимул.

Поэтому в поисках имманентных причин «лекианоба» исследователи⁴ в первую очередь обратились к экономическим условиям горного Дагестана. В кавказоведческой литературе⁵ подчеркнуто было отмечено: малоземелье, неблагоприятные для хозяйственной деятельности при-

¹ «Лекианоба» — грузинский термин, означающий засилье набегов горцев Дагестана, производное от грузинского «леки» обозначавшего горцев Дагестана. Время особой интенсивности и массовости набегов горцев Дагестана на низменные районы Грузии — XVIII в.

² Глава из монографической работы о взаимоотношениях Вост. Грузии с Сев. Кавказом в XVIII в. Печатается в несколько сокращенном виде.

³ Н. П. Петрушевский, Джаро-Белаканские вольные общества, Тифлис, 1934; Н. А. Бердзенишвили, Из истории русско-грузинских взаимоотношений на рубеже XVI—XVII вв., Тб., 1944; Его же, Из прошлого Восточной Кахетии (на груз. яз.), «Мимомхилвели», III, Тб., 1953; Д. Г. Мегреладзе, Из истории грузинско-дагестанских взаимоотношений, «Мацне», № 6, Тб., 1967; История Дагестана, т. I (авторск. колл.), М., 1967; Т. Д. Боцвадзе, Из истории груз.-дагест. взаимоотношений XV—XVIII вв. (на груз. яз.), Тб., 1968; и др.

⁴ Н. А. Бердзенишвили, указ. соч. Д. Г. Мегреладзе, указ. соч.; и др.

⁵ М. А. Коцебу, Сведения о Джарских владениях — см. История, Геогр., Этногр. Дагестана, М., 1958; А. Берже, Материалы для описания Нагорного Дагестана, Кавк. Календ. за 1859; Н. Дубровин, История войн и владычества русских на Кавказе, т. I, кн. I, СПб, 1871; и др.



родно-климатические условия, малопродуктивность земледелия и скотоводства и т. п. обстоятельства обусловившие в общем экономическую необеспеченность горцев. Конечно, скудость, недостаток жизненных ресурсов постоянно и неизбежно должны были стимулировать попытки добыть извне недостающие материальные средства существования.

ერთი ისეთი სიტყვა, რომელიც განმარტებასა და გაანალიზებას მოითხოვს. წინა-
მდებარე წერილი ერთი ასეთი სიტყვის განმარტებას ეხება.

ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“
ბას იპყრობს ერთი ადგილი: „ამას ყოველსა დაუშრომელად რა მოქმედებდა,
არა თვისსა ქონებისა მოქმენ იყო და არცა სამეფოდ იმჭირვიდა ქალაქთა და
ციხეთა, არამედ თვთ მათვე მისცემდა, რომელთა აუცალოებდა, თვისთა ლაშ-
ქართა, ვითარ წამებს დიდი და სახელგანთქმული სახლი სომეხთა მეფეთა ანი-
სი, რომელი წარუღო სპარსთა შანშეობისა თანა მრავალყამ მათგან ქონებული,
ხოლო სპარსთა სახლი სახელოვანი ღვინი“².

შინაარსობრივად რას უნდა გულისხმობდეს ავტორი „აუცალოებდა“ სი-
ტყვაში? მისთვის ამოსავალია უარყოფითი სახელის ფუძე „უცალო“. მისი შე-
საბამისი დადებითი სახელია ცალ (უ-ცალ-ო). ქართულში ამ წესით ნაწარმოები
ბევრი სახელია ცნობილი (მაგ., დავა — უ-დავ-ო, ყური — უ-ყურ-ო და სხვ.).

„უცალო“ ნაწარმოებია უარყოფითი სახელისაგან აქტიური, მოქმედებითი
გვარის ზმნის მაწარმოებელი ა-ებ-ის მეშვეობით: ა-უ-ცალო-ებ-ს. ამ გზით
ზმნის აქტიურ ფორმათა წარმოებაც ბუნებრივი და ჩვეულებრივია ქართული-
სათვის (შედრ. უქმ-ი — ა-უქმ-ებ-ს, ურცხუ-ი — ა-ურცხუ-ებ-ს, კაც-ი —
ა-კაც-ებ-ს, ბავშვ-ი — ა-ბავშვ-ებ-ს და სხვ.).

გაუგებობა ძირითადად იმითაა გამოწვეული, რომ მო-ც/ა/ლ-ი-ლი სიტყ-
ვის დადებით ფორმას უარყოფითი სემანტიკა აქვს, უსაქმოს, საქმის არმქონეს,
მოცილის ნიშნავს, ხოლო ამავე სიტყვათა უარყოფით ფორმებს (უ-ცალ-ო,
მო-უ-ც/ა/ლ-ელ-ი) — დადებითი, და ბევრი საქმის მქონეს, საქმით დაკავებულს
აღნიშნავს. ასე, რომ, აუცალოებდა (ა-უ-ცალო-ებ-და) ნიშნავს — მოცლას არ
აძლევდა.

ამრიგად, ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულების ჩვენს მიერ მოტანილი კონ-
ტექსტით ირკვევა, რომ თამარი, საკუთარი ქონების შემგროვებელი, მომხვეჭი
კი არ იყო, და სამეფოდ კი არ აქცევდა დაპყრობილ ქალაქებსა და ციხეებს,
არამედ ურიგებდა იმთ, ვისაც მოსვენებას, მოცლას არ აძლევდა ე. ი. საკუთარ
ლაშქარს.

ბასილი ეზოსმოძღვარი ჩვენთვის საინტერესო სიტყვის შემცველი წინა-
დადების წინ თამარის მოუტლელ, დაძაბულ ყოველდღიურ ცხოვრებაზე საუბ-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 403.

² ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხოვ-
რება, II, გვ. 130.

³ „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1972, № 1.

რობს და, რომ მას არც საკუთარი ქონების გამრავლების და არც შემოერთებული ციხე-ქალაქების სამეფოდ დაკავების ჩვეულება არ ჰქონია, სწორედ ამ თხრობიდან გამომდინარეობს.

„არცა თვთ უქმომდა და არცა თვსთა ყმათა აუქმებდა, ვითარ იგი იტყვის ვინმე ჟამთაღმწერელი ალექსანდრესთს“, — აღნიშნავს ავტორი და შემდეგ თამარის დაძაბულ ყოველდღიურ ცხოვრებას აღწერს³.

შემდგომი თხრობაც მკიდრო ლოგიკურ კავშირშია ჩვენთვის საინტერესო კონტექსტთან. აქედან უკვე ცხადად ჩანს, რომ სიტყვა „აუცალოება“ ნიშნავს „მოცლას არ აძლევდა“, „მოსვენებას არ აძლევდა“. („და კუალად ამისთვის არ უღებებდა, რათა არა მოცილითა განსუენებად სიჩუკენდ განსცენ თავი და სხუათა განზრახვათა დამოეკიდნენ, ვითარცა სიმდიდრითა ალაღებულთა...“⁴).

ე. ი. თამარი კიდევ იმიტომ არ აზარმაცებდა, თავის ლაშქარს, რომ მოცილილებს დასვენებისა და დაჯანჯანებისთვის არ მიეცათ თავი და სხვა განზრახვას არ აპყოლოდნენ, როგორც სიმდიდრით ალაღებულნი.

უფრო ქვემოთ კი, როდესაც თამარის საქმიანობაზე აგრძელებს მსჯელობას, ბასილი ეზოსმოძღვარი წერს: „ამისთვის არავის მისცემდა მოცალოებასა (თამარი): ანუ იყენიან წინაშე მისსა, ახარებდის და საბოძვართა ღირსებისაებრ სწყალობდის და განუსუენებდის, ანუ თვთ წარუძღვს, იორის პირი და მტკურის პირი მოინადირის. მერმე დასოს შემოდგის და მუნ იხარებდიან, ვიდრემდის თოვლმან არ დაამძიმის კარავი. მუნით სომხითს შემოვიდიან, ნადირობდიან ამოთა თამაშითა“⁵.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „აუცალოება“ ზმნის ამოსავალია „უცალო“ — უარყოფითი სახელის ფუძე. ხოლო ა-ებ აქტიური მოქმედებითი გვარის ზმნის ფორმის მაწარმოებელი ნიშნებია.

„უცალო“ ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებული სიტყვაა და ყველგან მოუტლელს ნიშნავს. ასეთი მნიშვნელობით იხმარება იგი ლეონტი მროველთან⁶, ჟამთაღმწერელთან⁷, „ახალი ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტის ავტორთან⁸. მოუტლელის მნიშვნელობით იხმარება იგი აგრეთვე ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთა“-ს ქართული თარგმანის უძველეს რედაქციაში⁹, „მოსრგაჲ სინა-რაითის მამათა“-ში¹⁰ და, რაც მთავარია, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“¹¹.

ამრიგად, ბასილი ეზოსმოძღვრის მიერ ნახმარი ჩვენთვის საინტერესო სიტყვა „აუცალოება“ ნიშნავს — „მოცლას არ აძლევდა“, „მოუტლელს ხდიდა“¹².

3 ბასილი ეზოსმოძღვარი, დასახ. ნაშრ., გვ. 130.

4 იქვე, გვ. 131.

5 იქვე.

6 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 14, 15, 25.

7 ჟამთაღმწერელი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 180, 296 და სხვ.

8 იქვე.

9 ი. აბულაძე, უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთა“ და გროლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათვის“, თბ., 1964, გვ. 40, 52, 21.

10 ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, V—X საუკუნეების ძეგლები, გამოსცა და ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა, თბ., 1949, გვ. 210, 216.

11 სიტყვის კონა, თბ., 1949, გვ. 672.

12 აღნიშნული ტერმინის აზრი ასევე აქვს გაგებული პროფ. ვ. დონდუას, იხ. კრებულს Памятники эпохи Руставели, JL., 1938, გვ. 58—59.

იქნებ ასე ვრცლად არც კი შევჩერებულყავით აღნიშნული სიტყვის ირველივ, რომ ამას საჭიროება არ მოითხოვდეს. ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი მ. ბერძნიშვილი თავის ერთ-ერთ ნაშრომში XI—XII საუკუნეების მიჯნის საქართველოს საგარეო პოლიტიკის დახასიათების დროს ბასილი ეზოს-მოძღვრის თხზულების ჩვენთვის საინტერესო ადგილსაც აანალიზებს და წერს: „ირაკვეა, რომ თამარი დაპყრობილ ტერიტორიას აძლევდა იმათვე, ვისაც „აუცალოებდა“ — ე. ი. ვისაც ეს ქვეყანა ეკუთვნოდა და ვინც ამჯერად „უცალო“ (ცარიელი) რჩებოდა. აქ ნათელი ხდება თამარის პოლიტიკის მთელი არსი. ანისისა და ღვინის აქ მოტანილი მაგალითით ცხადი ხდება, რომ საქართველოს მეფე ადგილობრივ ფეოდალებს ნიშნავდა დაპყრობილ-შემოერთებულ ქვეყნის ერისთავად და ამ საქმეში შემდეგი მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა: ჯერ ერთი, „რათა მარადის გული უთქუმიდეს“, ე. ი. რომ დაყენებული ფეოდალი „მარადის“ ერთგული და მადლიერი ყოფილიყო მეფისა და მეორე, მეფის ამ აქტით ბოლო მოეღებოდა ყველა იმ მიზეზს, რომელიც „დაქსნის ერთგულებასა“¹³.

თავი რომ დავანებოთ იმ ფაქტს, რომ „უცალო“ არასოდეს არ ნიშნავს ცარიელს და აქედან გამომდინარე არც „აუცალოებდა“ ნიშნავს იმას ვინც „ცარიელი ხდებოდა“, ჩვენი აზრით, დაშვებულია მეორე შეცდომაც. ტექსტადან არა ჩანს, რომ თამარი „ადგილობრივ ფეოდალებს ნიშნავდა დაპყრობილ-შემოერთებულ ქვეყნის ერისთავად“. ბასილი სრულიად გარკვევით წერს, რომ შემოერთებულ ციხე-ქალაქებს თამარი „მათვე მისცემდა, რომელთა აუცალოებდა, თვსთა ლაშქართა“ და მაგალითად ასახელებს ანისსა და ღვინს¹⁴.

ცნობილია, რომ „ლაშქართა“ ძველ ქართულში უმაღლეს ოფიცრობას ნიშნავს¹⁵. ასე რომ, თამარი შემოერთებულ მხარეებს არა ადგილობრივ ფეოდალებზე ანაწილებდა, არამედ საკუთარ უმაღლეს ოფიცრობაზე — ანუ საქართველოს მსხვილ ფეოდალებზე. სწორედ ამიტომ მოჰყავს ბასილის ანისისა და ღვინის მაგალითი. ანისი და ღვინი თამარმა იმიტომ კი არ მისცა მხარგრძელებს, რომ ისინი მიინცდამაინც აქაური ფეოდალები იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ისინი საქართველოს ლაშქრის უმაღლეს ოფიცრობაში შედიოდნენ და თანაც საქართველოს კარზე აღზრდილი და აღზევებული იყვნენ. როგორც ცნობილია, მხარგრძელები სომხები, ე. ი. ადგილობრივი ფეოდალები კი არა, არამედ XII ს. 10-იან წლებში ლორე-ტაშირის სამეფოს ტერიტორიაზე — (ე. ი. ქვემო ქართლში) გაღმოსახლებული ბაბირების ტომის ქურთები იყვნენ.

საჭიროება მოითხოვს კიდევ ერთ უზუსტობაზე მივუთითოთ პატივცემულ მეკლევარს. როცა იგი თამარის დროინდელი საქართველოს საგარეო პოლიტიკის ამოცანებზე ლაპარაკობს, ბასილი ეზოსმოძღვრის იმავე კონტექსტს იმოწმებს და წერს: „თამარი ამას ე. ი. ადგილობრივ ფეოდალებზე დაპყრობილ ციხე-ქალაქების გადაცემას, იმიტომ აკეთებდა, რომ მისგან შემოერთებულ ტერიტორიაზე დაყენებული ფეოდალი მარადის ერთგული და მადლიერი ყოფილიყო მეფისა და მეორე... ბოლო მოეღებოდა ყველა იმ მიზეზს, რომელიც „დაქსნის ერთგულებასა“¹⁶. ამრიგად, მ. ბერძნიშვილის აზრით, „რათა მარა-

13 მ. ბერძნიშვილი, საქართველო XI—XII საუკუნეებში, თბ., 1970, გვ. 132.

14 ბასილი ეზოსმოძღვარი, დასახ. თხზ., გვ. 130.

15 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, გვ. 137.

16 მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 132.



დის გული უთქუმიდეს“ — ნიშნავს „რომ დაყენებული ფეოდალი „მარადის ერთგული და მადლიერი ყოფილიყო მეფისა“¹⁷.

სინამდვილეში კი დამოწმებული კონტექსტი შემდეგი შინაარსისაა: და ამას იგი ორი რამის გამო აკეთებდა: რომ მათ (ე. ი. ლაშქართა — ვისაც თამარი ქალაქებსა და ციხეებს გადასცემდა) მუდამ გული მიუწევდეთ (შემდგომი ბრძოლებისაკენ) და ერთმანეთს შეეცილონ წარმართთა (იგულისხმება არაქრისტიანები) დაუფლებისათვის¹⁸ და მეორე, რომ ერთგულების (მეფესა და მის უმაღლეს ოფიცრობას შორის) დარღვევის ყველა მიზეზი აღმოიფხვრას.

ამ შემთხვევაში თამარის პოლიტიკა ცხადი ხდება. თუ ერთმხრივ იგი გაცემული ჯილდოებით თავის უმაღლეს ოფიცრობას იერთგულებს, მეორე მხრივ მათ, სახელმწიფოს ინტერესებისათვის შემდგომი ბრძოლის საუკეთესო სტიმულს აძლევს.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული ტერმინის სწორ ინტერპრეტაციას, რადგანაც მასზე დიდად არის დამოკიდებული XII—XIII საუკუნეების საქართველოს საგარეო პოლიტიკის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი.

17 მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 132.

18 უნდა აღნიშნოს, რომ ბასილი ეზოსმოდგერის თხზულების ეს ადგილი არც განსვენებულ პროფესორ ვარლამ დონდუას აქვს გავებული სწორად. იგი მას ასე თარგმნის: „И зго делала по эгим двум причинам: во-первых, чтобы язычники вечно питали желание, проникаясь зависгью друг к другу, снова приобрести свое...“ (Памятники эпохи Руставели, 1938, Ленинград, გვ. 59).

ჩვენი აზრით, მითითებული ადგილის სწორ ინტერპრეტაციას ხელს უშლის ტექსტის ნაკლოვანება. იგი ასე უნდა გაიმატოს: „... პირველად, რათა მარადის გული უთქუმიდეს და შერი აიღონ ერთმანეთისა წარმართთა შეგინებისათვის თუ ის ისა (დ), და მეორედ რათა მოეკუეთოს ყოველი მიზეზი, რომელი დაქსნის ერთგულობასა“.

აღმსახურებელი აბლაქაძე

ერთი სომხური ანდერძ-მინაწერი ბასიანის ბრძოლის
შესახებ

ბასიანის ბრძოლასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ჯერ კიდევ ჯეროვნად შესწავლილი არ არის, თუმცა კი იმ დიდი მნიშვნელობის გამო, ამ ბრძოლას საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაში რომ ენიჭება, მას კარგა ხანია მიუპყრია მკვლევართა ყურადღება.

მას შემდეგ, რაც შამქორის ომში საქართველომ აღმოსავლეთის თურქთა კოალიცია გაანადგურა, მეზობელ პოლიტიკურ გაერთიანებობათაგან მისთვის საშიში მხოლოდ რუმის სასულთნო რჩებოდა¹, რომელსაც XII ს-ის მიწურული-სათვის შინაგანი ანარქიისაგან თავი დაეღწია და კვლავ ერთ სახელმწიფოდ ქცეულიყო. რაც შეეხება საქართველოს სამხრეთით მდებარე შედარებით მომცრო მუსლიმანურ პოლიტიკურ ერთეულებს, მათი ბედი საბოლოოდ საქართველოს სამეფოსა და რუმის სასულთნოს შორის გარდუვალი შეჯახების შედეგებზე იყო დამოკიდებული. საქართველოსა და რუმის სასულთნოს პოლიტიკური მიწრაფებები რომ ურთიერთგამომრიცხავი იყვნენ, ეს გარემოება XIII ს. სპარსულენოვანი ისტორიკოსის იბნ ბიბის² „სელჩუკთა ისტორიაში“ კარგად არის მინიშნებული: იბნ ბიბის სიტყვით. რუქნ აღ-დინმა მოიწადინა „დაეპყრო ქვეყნიერება და [ამის გამო] დაასკვნა ომი საქართველოს წინააღმდეგ“³. მასასა-დამე, რუმის სასულთნოს საზღვრების გაფართოება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ და პოლიტიკურ სარბიელზე შემოღამებული ბიზანტიის იმპერიის ხარჯზე, რუქნ აღ-დინს, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს სამხედრო ძლიერების შემუსვრას უკარნახებდა, რადგან გაძლიერებული საქართველოსათვის აქტიური თავდაცვისაგან გამომდინარე ლტოლვა როგორც არზრუმისაკენ, ისე შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებისაკენ ბუნებრივი იყო⁴.

ბასიანის ბრძოლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა ამჯერად ჩვენს მიზანს არ შეადგენს. წარმოვადგენთ მხოლოდ „ხარბერდის წმინდა კარაპეტის ეკლესიის სახარების“⁵ ანდერძ-მინაწერის მონაცემებს და შევეცდებით მათ განალიზებას.

¹ ნ. ბერძენიშვილი და სხვანი, საქართველოს ისტორია, I, 1958, გვ. 202—203.

² EJ, ტ. II, 1927, გვ. 392.

³ Herbert W. Duda, die Seltshukengeschichte des Jbn Bibi, Munksgaard/Kopenhagen, 1959, გვ. 33. (შემდეგში: იბნ ბიბი, სელჩუკთა ისტორია).

⁴ ი. გეგ-ალი (გედევანიშვილი), სამხედრო ხელოვნება საქართველოში, 1915, გვ. 29, 30, 96 და სხვ.; შდრ. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, პარიზი, 1929, გვ. 101.

⁵ სახელწოდება პირობითია; ეს სახარება XIX ს. II ნახევარში ხარბერდის წმინდა კარაპეტის ეკლესიაში უნახავს, გ. სრვანძტიანც—ხ. ჟ. დ. შერაძანიანი, შარბერდის წმინდა კარაპეტის, სოთხინციციქსი, 1885, გვ. 340—341.

სომხეთისა და აგრეთვე მისი მეზობელი ქვეყნების ისტორიის ცალკეულ საკითხთა შესასწავლად ძველი სომხური ხელნაწერების ანდერძ-მინაწერებს, მეტადრე XII საუკუნიდან მოკიდებული, ხშირად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებათ. XII ს. II ნახევრიდან ანდერძ-მინაწერები აგებულებით რამდენადმე განსხვავდებიან ადრეული ხანის თავისივე „წინაპრებისაგან“; ჩვეულებრივი ხდება მათი ავტორების (უპირატესად ესენი არიან ხელნაწერთა გამამწერნი) მიერ პოლიტიკური ამბების, ხელნაწერის მომგებელის ბიოგრაფიისა და სხვა საგულისხმო მომენტების აღწერა. როგორც ამბობენ, სომხეთში ისტორიოგრაფიის თავისებური ქანრი შეიქმნა. რადგან ანდერძ-მინაწერის ავტორები უმეტესწილად გვაუწყებენ იმ გარემოს შესახებ, რომლის წევრებაც თვითონაც არიან და ვინაიდან მათ მიერ მოცემული ქრონოლოგიური ჩარჩო, ჩვეულებრივ, მეტად ვიწროა (ხელნაწერის გადაწერის პერიოდი), ამიტომ ანდერძ-მინაწერთა ცნობები ძვირფასი მასალა ხდება საისტორიო მეცნიერებისათვის.

ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ანდერძ-მინაწერი შეტანილია გარეგინ კათალიკოსის ცნობილ კორპუსში — „ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები“⁶. მართალია, აქ იგი პირველად არაა გამოქვეყნებული, მაგრამ ადრეული გამოცემები ნაკლოვანი იყო⁷.

ქვემოთ მოგვაქვს ანდერძ-მინაწერის ნაწყვეტის სომხური ტექსტი ქართულ თარგმანით:

*საყ ხა' ბათიკა მათობაჲ ვაი-
 ზარზნა' სკაჲ ვაიკრე მკითხარანა და
 კათარხეჲ ჯი მწიქ მთაკანხა, ჯი კა-
 მთიქლითქსან თქრ მანახაქი და კა-
 თაღნირქოქსან თქრ მქიქმარაჲ ხრქ-
 რის მადონთაჲ ჯი ვიკრ მანათთანხა,
 ირ კიჯი მკნივიქ ქანაჲ, ჯი ვიკრ მორე
 ჯიქანანხიქ' ბხინაყიოიქნი ქიქციქნი მხ-
 რიქ: ვაკამ ამქ თიქ ხეხაჲ ჯი ქირაჲ
 ხრქრქ. იმნი ვინაჲ ვანაჲ და თიქამან
 ქნაჲ და იმნი ბახინაჲ და ქიყრახეჲ ჯი
 კარანო თიქიქ და არბაქიქ. ჯი ნიკნი
 ქაკამ ამქ კათარხეჲჲ რან... ხეხ-
 აჲ თიქქიქანნი არქამთიქ და თი-*

მე ლტის მონამ, ოგანესმა ამ წმინდა სახარების [გადაწერა] დავიწყე და დავასრულე 652 წელს ხალდის მხარეში, აღნოცი-განქად წოდებულ მცირე სავანეში, ჩვენი მაცხოვრის ნათლისმცემლის წმინდა იოვანეს [ეკლესიის] კარზე, უფალ ანანიას კათალიკოსობისა და უფალ მხითარის წინამძღვრობის ქამს. ამ წელიწადს შიმშილობა სუფევდა ქვეყანად; ზოგს ეყიდა [მცირეოდენი] პური, [მაგრამ მაინც] შიმშილისაგან სიკვდილის პირად მისულებოდა, ზოგმა [ქონება სავსებით] გააჩანაგა და ოქრო-ვერცხლთ ნაკულუევანი შეიქმნა. ამავე წელს

⁶ ზარზნე მ. კარიკლი, მქუათოსკარანე ბეხაყრე, ნათ. თ. მსქიქთა, 1951, გვ. 1051—1034.

⁷ გ. სრვანტიანის მიერ ჯერ კიდევ 1885 წელს გამოქვეყნებულ ამ ანდერძ-მინაწერზე ჩვენთვის ამჯერად საინტერესო ადგილი სავსებით გამოტოვებულია (იხ. გ. სრვანტიანის დასახ. ნაშრომი, გვ. 340—341); არას ვაშობთ გამოცემის სხვა ნაკლოვანებებზე. ვაიკრე კათალიკოსის ანდერძ-მინაწერი თითქმის უცვლელად აქვს გადმობეჭდილი ჟურნალ „სიონიდან“ (1933 წ., გვ. 415), მხოლოდ მან გაასწორა დათარღობაში დაშვებული შეცდომა; ანდერძ-მინაწერში მოხსენიებული ანანია კათალიკოსი ძეგლის „სიონში“ გამოცემულ შეცდომით ანანია მოკელ კათალიკოსად (946—968) მიუჩნევია, თავის მხრივ უვარაუდია „განმანათლებლის წელთაღრიცხვის“ არსებობა და ანდერძ-მინაწერში მოცემული თარიღი *მწიქ* 954 წლად მიუღია; ნამდვილად კი *მწიქ* (=652) გვაძლევს 1203 წელს (551+652); იხ. ვარგინ კათალიკოსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 1033—1034.

რსაქ მხოციყაღესაქ კ მარო სესაქ
ღნეჲ ჳრავლითჳ, ჳაქქს[ა]ქ ქ ჳმანს,
ქიოსაქ ებქა კ ეღირქა ს ეყანბა
რადომა ს ჳნბნ ქაქსითასან ენა-
ეს[ა]ქ ქიარ ეასან:

მ'ი აორე სეფარე, აცაქსა არა-
რ'ე. ირ იღ აბქ მათობა ანეყქის
არ ქ ქსრეჲ სრქრქ, ეორ თხსაჲ
აგაჲ მხროქ:

მართალია, მოტანილ ნაწყვეტში არ არის ნახსენები არც ბასიანი, არც რუქნ ად-დინი, არც ქართველთა მხრიდან რომელიმე ისტორიული პიროვნება, მაგრამ, ვფიქრობთ, არ შემცდარა გარეგინ კათალიკოსი, როცა აქ, ყოველგვარი მტკიცების გარეშე, ბასიანის ბრძოლის ამსახველი ფაქტი დანახა; საამისო მოწმობად გამოდგება ანდერძ-მინაწერის შესრულების დრო (1203 წ.), სულთნის დასველეთიდან მოსვლა, სელჩუკთა მიერ ჯერ არზრუმის დაჭერა და მერმე შებმა ქართველებთან (სხვა წყაროებშიც ნათქვამია, რომ რუქნ ად-დინი ჯერ არზრუმს მოვიდა და შემდგომ შეებრძოლა ქართველებს⁸), აგრეთვე ქართველთა მიერ დიდძალი ნადავლის ხელთგდება და ჩვენს ანდერძ-მინაწერში ნადავლის დაახლოებით იმავე სახეების ჩამოთვლა, რაც სხვა წყაროებშიც გვაქვს (მუშის მრავალთავის ანდერძ-მინაწერი, თამარის ისტორიკოსები). რუქნ ად-დინი 1203 წელს რომ ცოცხალია და დასველეთიდან მოსულ სულთნად იგი იგულისხმება, ამას სხვა მონაცემებთან⁹ ერთად მხარს უჭერს ისიც, რომ მოტანილ ნაწყვეტში მოხსენიებული ანანია კათალიკოსი არის ახალი სომხური საკათალიკოსოს ფუძემდებელი, რომლის რეზიდენცია იყო სებასტიაში; ამ ახალი საკათალიკოსოს ჩამოყალიბება მოხდა 1203 წელს; ანანიას ხელი მიუწვდებოდა მხოლოდ რუმის სასულთნოში მდებარე სომხურ საეპისკოპოსოებზე და აქ ავტოკეფალური სამწყსოს შექმნის თაობაზე იგი შეუთანხმდა სწორედ რუქნ ად-დინს¹⁰. ანანიას, კირაკოზ განძაკელის თანახმად, სულთანნი მოუქრთამავს კადეც თავისი მიზნის მისაღწევად¹¹.

⁸ იბნ ბიბი, სელჩუკთა ისტორია, გვ. 35; მუშის მრავალთავის ანდერძ-მინაწერა—იხ. ჟანკინ მ. ლარიქიანი, მქუათოქორანე მხაყრავ, გვ. 699—719.

⁹ რუქნ ად-დინის გარდაცვალების თარიღად იბნ ბიბის მიუჩნევია 1204 წლის აგვისტო (იხ. იბნ ბიბი, სელჩუკთა ისტორია, გვ. 36), იბნ ალ-ასირს კი 1204 წლის ივლისი (ბ. სილაგაძე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, კრებული — „საქართველო რუსთაველის ხანაში“, 1966, გვ. 118), აგრეთვე იბნ ბიბი გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, რომ რუქნ ად-დინს ხარკს უხდიდა თეოდორ I ლასკარი (1204—1222); იხ. იბნ ბიბი, გვ. 32. რუქნ ად-დინის გარდაცვალების თარიღად მიღებულია 1204 წელი (იხ. კ. ა. ბოსვორტ, მუსულმანსკიე დინასტი, მ., 1971, გვ. 178).

¹⁰ Т. М. Давидян, История Киликийского армянского государства, Ереван, 1952, გვ. 198, შტრ. შ. Օրմանես, Ազգայաբան, 1912, გვ. 1563; გარეგინ კათალიკოსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 1033—1034.

¹¹ შ. Օրմանես, Ազգայաբան, გვ. 1533.

ანდერძ-მინაწერის ავტორის ადგილსამყოფელი (ალნოცი-ვანქი), გარეგნ კათალიკოსის თანახმად, სებასტიასთან ახლოსა¹² და რადგან იგი „ხალდიის მხარეში“ მდებარეობს, მაშასადამე არც იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფო საზღვრებიდან იყო შორს. ვარდა ამისა, ანდერძ-მინაწერის ავტორი 1203 წელს მომხდარი ამბების თვითმხილველად თვლის თავს და ამდენად მისი ცნობები სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ.

ვფიქრობთ, ზემოთ მოტანილი ნაწყვეტი მრავალმხრივ არის საგულისხმო.

ანდერძ-მინაწერი, უწინარეს ყოვლისა, საყურადღებოა ბასიანის ბრძოლის დათარიღებისათვის. დღემდე ცნობილ არც ერთ წყაროში ბრძოლის ზუსტი თარიღი მოცემული არ ყოფილა. ამის გამო, არაპირდაპირ მონაცემებზე დაყრდნობით მკვლევარნი განსხვავებულ თარიღებს გვთავაზობდნენ: სამეცნიერო ლიტერატურაში ვხვდებით წლებს მოკიდებული 1200/1 წლიდან ვიდრე 1207 წლამდე; აღარ შეუდგებთ სათითაოდ იმის ჩამოთვლას, თუ ვინ როდის ვარაუდობდა ბასიანის ბრძოლას¹³.

ა. აბრამიანი შეეცადა ეჩვენებინა, თითქოს მუშის მრავალთავას ანდერძ-მინაწერი იძლევა საშუალებას ბასიანის ბრძოლა 1202 წლის გაზაფხულით დავათარილოთ¹⁴. ნამდვილად კი ამ ანდერძ-მინაწერის საამისოდ გამოსადეგი რეალიები იმდენად ბუნდოვანია, რომ ა. აბრამიანის მიერ მოცემული თარიღი სომხურ ისტორიოგრაფიაში მიღებული არაა¹⁵.

ბასიანის ბრძოლა ტრაპიზონის სამეფოს შექმნამდე რომ უნდა მომხდარიყო, ამას ზოგი მკვლევარი ადრეც ფიქრობდა¹⁶, მაგრამ ამ გარემოებას განსა-

¹² ბასილი ევოსმოდვრის მიხედვით, რუქ ად-დინმა საბოლოო მზადება საქართველოზე ლაშქრობის წინ სებასტიაში ჩაატარა (ქართლის ცხოვრება II, 1959, გვ. 133); სებასტია იმდროინდელ რუმის სასულთნოში ერთ-ერთი წამყვანი პუნქტი რომ იყო, ამით უნდა აიხსნებოდეს მუშის მრავალთავის ანდერძ-მინაწერში რუქ ად-დინის სებასტიის სულთნად სახელდება. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ალნოცი-ვანქი იმ დროს რუმის სასულთნოს საზღვრებში იქნებოდა მოქცეული, რადგან ანანიას კათალიკოსობას მხოლოდ აქ სცნობდნენ, საზოგადოდ კი იგი მემბოხედ მიიჩნდათ.

¹³ იხ. ძველი ქართველი მეხოტბენი, II, ივ. ლოლაშვილის გამოცემა, თბ., 1964, გვ. 111—113; ალ. გამყრელიძე, ბასიანის ომის თარიღი და ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ზოგიერთი საკითხი, იხ. კრებული — „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, 1966; ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 118—119.

¹⁴ იხ. *სიღვთისმეტყველების საბჭოთაო აკადემიის მიერ გამოცემული წიგნების კატალოგი*, № 5—6 (10—11), სიღვთისმეტყველება, 1941, გვ. 77—83. (შემდეგში: *სიღვთისმეტყველება*, № 5—6 (10—11), 1941.)

¹⁵ იხ. მგ. ლ. შანაშანიანი, *ქართული ისტორიის საბჭოთაო აკადემიის მიერ გამოცემული წიგნების კატალოგი*, ნაწ. III, სიღვთისმეტყველება, 1952, გვ. 135—137, ლაიპციგის აკადემიის მიერ გამოცემული წიგნების კატალოგი, ყრას 4, 1958, სიღვთისმეტყველება, გვ. 162.

თუმცა 1951 წ. გამოცემულ სომხეთის ისტორიაში აღნიშნულია რომ რუქ ად-დინის დამარცხება ბასიანში უსწრებდა ტრაპიზონის სამეფოს შექმნას, მაგრამ აქ ბასიანის ბრძოლის უშუალო მიზეზად დასახელებულია საქართველოს მიერ ყარსის აღება, რაც თავის მხრივ დვინის განთავისუფლების (1203 წ.) შემდეგ მომხდარა (*История армянского народа, Ереван*, გვ. 161—62); ეს კი შეუძლებელია. როგორც აღნიშნავენ, ბასიანის ბრძოლა ყარსის დაპყრობაზე ადრე მოხდა; „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანში“ ყარსისა და ბასიანის ბრძოლების თანმიმდევრობა ან არეულია, „ანდა ეგებინ აქ საუბარია ყარსის სხვა რომელიმე ბრძოლაზე, რომელიც შეიძლება მართლაც წინ უსწრებდა ბასიანის ამბებს“ (ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 118—119). აზრი იმის შესახებ, რომ ყარსის აღება უსწრებდა ბასიანის ბრძოლას, იწვევდა ამ უკანასკნელი მოვლენის მცდარად დათარიღებას (1205, 1206, 1207 წლებით) ბოლო ხანებშიაც კი.

¹⁶ თ. დარიშკელიანი, მოკლე ვანხილვა საქართველოს მხედრობისა 1089—1222 წლამდე, თურნალი „ივერია“, 1883, № 10, გვ. 99.



კუთრებით გაუსვა ხაზი ალ. გამყრელიძემ, რომლის თანახმადაც რუქნ ად-დინის სამხედრო ძლიერება ტრაპიზონის სამეფოს შექმნამდე შემუსვრილი რომ არ ყოფილიყო, საქართველო მხოლოდ ლიხთ-იქითური მცირე ძალებით ვერ განახორციელებდა ესოდენ მნიშვნელოვან აქტს¹⁷. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ზემოთ მოტანილი ანდერძ-მინაწერის ნაწყვეტი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ხალდიის მხარეში“ მდებარე ალნოცი-ვანქსაც რუმის სასულთნოს საზღვრებში გულისხმობს; ახლად დაარსებულ ტრაპიზონის სამეფოში კი ძნელი წარმოსადგენია ხალდიის ყოფილი თემი მთლიანად არ მოქცეულიყო, რასაც თუ არა დამარცხებული, რუქნ ად-დინი მართლაც ვერ შეურიგდებოდა; მით უფრო, რომ ტრაპიზონის სამეფო რუმის სასულთნოს დასაპირისპირებლად შეექმნა საქართველოს სამეფო კარს.

ალ. გამყრელიძის სიტყვით, „ბასიანის დიდი ბრძოლა უკვე 1202 წლის გაზაფხულზე, თუ არა და უკიდურეს შემთხვევაში 1203 წლის გაზაფხულზე მაინც უნდა მომხდარიყო“¹⁸. აქ ალ. გამყრელიძეს, ბასიანის ბრძოლის დასათარიღებლად 1202 წელი უფრო შესაძლებლად მიაჩნია. მეორეგან კი იგი, როგორც ჩანს, ერთნაირად შესაძლებლად თვლის 1202 და 1203 წლებს: „ომის თარიღის 1203 (და ფრიად შესაძლოა 1202) წლის გაზაფხულს აქეთ მაინც გადმოწევა ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა“¹⁹.

ბასიანის ბრძოლა რომ უსწრებდა ტრაპიზონის სამეფოს შექმნას, ამ აზრს იზიარებს აგრეთვე ბ. სილაგაძე, რომელმაც, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ბასიანის ომი უნდა მომხდარიყო 1204 წელს ან ცოტა ადრე, 1203 წელს, ტრაპიზონის საკეისროს შექმნამდე²⁰.

როგორც აღვნიშნეთ, „ხარბერდის სახარების“ ანდერძ-მინაწერი ბასიანის ბრძოლას 1203 წლით ათარიღებს და მაშასადამე ვარაუდი იმის შესახებ, რომ ბასიანის ბრძოლა ტრაპიზონის სამეფოს შექმნამდე მოხდა, საბოლოოდ დასტურდება²¹.

რა შეიძლება ითქვას ანდერძ-მინაწერში მოხსენიებული „მძვინვარე შიმშილობის“ შესახებ? თუ 1203 წელს მართლაც სუფევდა შიმშილობა რუმის

¹⁷ ალ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 248—249. იხ. აგრეთვე ძველი ქართველი მებრძოლები, II, გვ. 110—113.

¹⁸ ალ. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 255.

¹⁹ იქვე, გვ. 256.

²⁰ ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 119—120.

ბასიანის ბრძოლის დათარიღების შესახებ ქართული ისტორიოგრაფიის ბოლო წლების რიგში ასახული არ არის უკანასკნელ ხანს გამოხლ პროფ. ი. ცინცაძის წიგნი (ი. ცინცაძე, ბასიანის ბრძოლა, 1971 წ.). აქ რუქნ ად-დინის მხედრობის განადგურების თარიღად მიღებულია 1205 წელი. სხვა არა იყოს რა, რუქნ ად-დინი, როგორც ზემოთ აღვნიშნა, 1204 წელს გარდაიცვალა.

²¹ 1203 წლის თუ რომელ დროს მოხდა ბასიანის ბრძოლა, ზემოთ მოტანილი ანდერძ-მინაწერის ნაწყვეტი არას გვეუბნება; შესაძლოა, ბრძოლა 1203 წ. ბოლო თვეებში მომხდარიყო; ამას გვაფიქრებინებს ერთი ვარაუდობა: ბასიანის ბრძოლაში დაპირალი რუქნ ად-დინი არზრუმს კრილობათა მოშუშების შემდეგ საქართველოს წინააღმდეგ ახალი ლაშქრობისათვის ემზადებოდა (იბნ ბიბი, სელჩუკთა ისტორია, გვ. 35. შდრ. ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალეში, ჰამდ ალაჰ ყაზვინი, ვ. ფუტურბის თარგმანი, 1937, გვ. 33). ალბათ 1204 წლის აპრილისათვის, კონსტანტინოპოლის დაცემისა და ტრაპიზონის სამეფოს შექმნის დროისათვის, რუქნ ად-დინის მხედრობის ბასიანის ბრძოლაში განადგურება ახალი ამბავია, საქართველოს წინააღმდეგ ხელახალი ბრძოლისათვის მომზადება რუქნ ად-დინს ჯერ მოუსწრია, თორემ საქართველოს ხელისუფალნი ტრაპიზონის სამეფოს შესაქმნელად მხოლოდ ლიხთ-იქითურ ძალებს არ დასჯერდებოდნენ.

სასულთნოში, რა არეალში იყო იგი გავრცელებული — მთელ სასულთნოში, თუ მის მხოლოდ ერთ ნაწილში? ჩვენთვის ხელმისაწვდომ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხის შესახებ არაფერს შევხვედრივართ. იქნებ რუქნ აღ-დინის მიერ თეოდორ ლასკარისაგან ერთდროულად მიღებული ხუთი წლის ხარკის წარჩინებულთა და „ჩვეულებრივი“ ხალხისათვის განაწილება ანდერძ-მინაწერის ჩვენებას ადასტურებდეს? რასაკვირველია, იბნ ბიბის არ დაეჯერება, როდესაც იგი რუქნ აღ-დინის სხენებულ ნაბიჯს სულთნის გულუხვობით ხსნის²². რუქნ აღ-დინის „გულუხვობა ასახსნელია იმით, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი ემზადებოდა საქართველოს წინააღმდეგ ახალი ბრძოლისათვის; თუმცა მას ეს არ დასცალდა: ბასიანის ბრძოლაში მიღებული ჭრილობები, როგორც ჩანს, მისთვის საბედისწერო გამომდგარა და იგი მალე გარდაიცვალა²³.

ზემოთ აღნიშნული „გულუხვობით“ რუქნ აღ-დინი ახალი ბრძოლის წინ, ალბათ, თავისი მხედრობის გულის მონადირებას ლამობდა.

თუ 1203 წელს რუმის სასულთნოში შიმშილობა მართლაც იმ ზომისა იყო, როგორც ამას ანდერძ-მინაწერის ავტორი გვაძეცვობს, მაშინ ეგების იბნ ბიბის მიერ რუქნ აღ-დინისადმი მიწერილი სიტყვები — „ღვთის მიერ აღთქმული ურიცხვი ნადავლის [შოვნა] აფხაზის დამორჩალებით აღსრულდება“²⁴ — მართოდენ მაღალფარდოვანი ფრაზა არ იყოს და შესაძლოა რუქნ აღ-დინის — საქართველოზე ლაშქრობის ერთ-ერთი მიზეზი ალაფის მოპოვების წადილიც ყოფილიყო, რომელმაც, იქნებ, რუმის სასულთნოსა და საქართველოს შორის გარდუვალი შეჯახება დააჩქარა კიდევ.

საინტერესო ჩანს ანდერძ-მინაწერის ცნობა იმის შესახებ, რომ ბასიანის ბრძოლის წინ რუქნ აღ-დინმა „დაიმორჩილა თეოდოსიოპოლი“. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რუქნ აღ-დინმა არზრუმში ჯერ კიდევ 1201 წელს დაიპყრო²⁵. რად გახდა საჭირო არზრუმის ხელახლა დამორჩილება? ბასილი ეზოსმოდღერის სიტყვითაც რუქნ აღ-დინმა ბასიანის ბრძოლის წინ „მიერთნა თვნიერ ნებისა მათისა, შიშით, ეზინკელნი, ხალფერდელნი და კარნუქ-ლაქელნი“²⁶. არზრუმის ამირი რომ რუქნ აღ-დინის ბრძანებათა „მოსწრაფედ მორჩილი“ არ იყო, ამას იბნ ბიბიც გადმოგვცემს²⁷; ამიტომ რუქნ აღ-დინმა დასაჯა სხენებული ამირი, მას ქვეყანა ჩამოართვა და იგი თავის ძმას თოღრულ-შაჰს გადასცა სამმართველოდ²⁸; თოღრულ-შაჰი არზრუმს არ იჭდა და, როგორც ჩანს, ამ საამიროს უშუალოდ ადგილობრივი ელემენტი განაგებდა; იბადება კითხვა: ბასიანის ბრძოლის წინ არზრუმის ხელახლა დამორჩილების საჭიროება ხომ არ მიგვანიშნებს: ამ საამიროს მიმართ საქართველოს სამეფო კარის მიერ განხორციელებულ რაიმე ღონისძიებებზე? თამარის დის, რომელიც „იყო ვინმე ერთი ხარჭთაგანისა ნაშობი, რეცა სახელდებული შვილად მეფისა“²⁹, არზრუმს

²² იბნ ბიბი, სელჩუქთა ისტორია, გვ. 32.

²³ იქვე; გვ. 34—35. იხ. აგრეთვე ჰამდალაჰ ყაზვინი, დასახ. გამოც., გვ. 33.

²⁴ იბნ ბიბი, სელჩუქთა ისტორია, გვ. 34.

²⁵ П. Мелиоранский, Сельджук-Намэ, как источник для истории Византии в XII и XIII веках; Виз. временник, т. I, 1894, გვ. 622; История армянского народа. Ереван, 1951, გვ. 162; შდრ. В. А. Гордлевский, Избранные сочинения, I, М.: 1960, შესავალი წერილი, გვ. 11.

²⁶ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 133.

²⁷ იბნ ბიბი, სელჩუქთა ისტორია, გვ. 35.

²⁸ იქვე; შდრ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 133.

²⁹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 44.



გათხოვება საამისო ხელშემწყობ ვითარებას ხომ არ ქმნიდა? მაინცადამაინც, ბასიანის ბრძოლაში დატყვევებული ერზინკის სულთნისათვის „ყოვლად დამამცირებელი სასჯელის“ მიგება „პირველისა პატივისა და სიყვარულისა წილ“³⁰, აგრეთვე ბასილი ეზოსმოძღვრის მითითება, რომ რუქნ ად-დინმა შიშით მიიმხრო „ეზინკელნი“, „კარნუ-ქალაქელნი“ და სხვანი³¹, შესაძლებლად ხდის ვარაუდს, რომ საქართველოს სამეფო კარს რუმის სასულთნოსთან გარდუვალი შეჯახების მოლოდინში უნდა ეზრუნა სამხრეთით მდებარე მუსლიმანური პოლიტიკური ერთეულების, თუ მეტი არა, ნეიტრალიზაციისათვის მაინც³².

დაბოლოს, ერთი საკითხიც: სომხურ ისტორიოგრაფიაში ბასიანის ბრძოლა არანაკლებ არის მიჩნეული სომხეთის ისტორიის კუთვნილ ფაქტად, ვიდრე საქართველოს ისტორიისა; წერენ, რომ რუქნ ად-დინის სამხედრო ძლიერება შემუსრა სომეხ-ქართველთა მხედრობამ³³. საისტორიო წყაროები ამის საფუძველს არ იძლევიან. როგორც ჩანს, სომეხი ისტორიკოსები ამოდიან სომხურ ისტორიოგრაფიაში მიღებული ზოგადი წანამძღვრიდან, თითქოსდა XII ს-ის დასასრულსა და XIII ს-ის I მეოთხედში ამიერკავკასიაში არსებობდა ქართველებისა და სომეხების გაერთიანებული სახელმწიფო³⁴. ანდა „ზაქარიანების სახელმწიფო“, მართალია, ფორმალურად სცნობდა საქართველოს უზენაესობას, მაგრამ ფაქტიურად იგი წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, „სახელმწიფოს სახელმწიფოში“³⁵ და ა. შ. ჩვენ ამ დებულებათა განხილვას ვერ შევუდგებით, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ბასიანის ბრძოლასთან დაკავშირებულ კონკრეტულ შემთხვევაში თვით სომხური, „ხარბერდის წმინდა კარაპეტის ეკლესიის სახარების“, ანდერძ-მინაწერი გვამცნობს: რუმის სულთანმა „ბრძოლა გაუშართა ქართველებს“ და „ძლეულ იქმნა მათგან“. ვფიქრობთ, ამ გარემოებას უფრო მეტი ანგარიში უნდა გაეწიოს, ვიდრე წინასწარ აღებულ ზოგად სქემას.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი ნაწყვეტი სომხური ანდერძ-მინაწერისა, მართალია, მოცულობით მცირეა, მაგრამ მას მაინც ჭეროვანი ყურადღება უნდა მიეპყროს; მით უფრო, რომ ბასიანის ბრძოლის შესასწავლად, საზოგადოდ, საკმაოდ მწირი მასალაა ჩვენს ხელთ.

³⁰ ბასილი ეზოსმოძღვარი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 140.

³¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 133.

³² ბასიანის ბრძოლა, რომ დიდი ხანა მზადდებოდა, ეს სწორად უნდა იყოს შემჩნეული ბასილი ეზოსმოძღვრის მიერაც: რუქნ ად-დინი „იჩემებდა ზაკეთ სიყვარულსა, და გზავნიდა მოციქულთა მშვიდობისათვის მრავალყამ, და ძლენთა შეუნიერთა მრავალთა, ეგრეთვე თამარ ჰყოფდა, ნაცვალ სახელ მოციქულთა წარადუნდა ძლენითა. გარნა იგი ზაკუასა ჰფარვიდა, და ფიტთა მიერ განმსტრობად მოსწრაფე იყო ამის სამეფოსა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 132). შტრ. ი. ციციძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 10.

³³ *Տեղեկագիր*, № 5—6 (10—11), 1941, გვ. 77—83. ჯაი ძივიძეძის ავტორიკონი, *ურსი* 4, გვ. 162. Т. Микаелян, *История Киликийского армянского государства*, 33, 167. შტრ. *История армянского народа*, 1951, гв. 162.

³⁴ *Ա. Զոհաննիսյան*, *Քրվագներ հայ ազատագրական մոթի պատմության գիրք առաջին*, Երևան, 1957, гв. 137—168.

³⁵ *Գ. Զոհանիսյան*, *Խաղախանք կամ Պոլուս-հայ պատմության մեջ*, I, վարդապատ. 1928, гв. 8—14. *Խ. Սամուելյան*, *Հին հայ իրավունքի պատմությունը*, Երևան, 1939, гв. 143—144, *Մტր. Իմք*, гв. 177; *Լևո, Անի*, Երևան, 1963, гв. 171; *Մ. Օ. Բაբան*, *Социально-экономическая и политическая история Армении в XIII—XIV веках*, М., 1969, гв. 15—18, 20.

ТЕИМУРАЗ ЧИКОВАНИ

О ТРАДИЦИИ СТРОИТЕЛЬСТВА СЕЛЬСКИХ ГОСТИНЫХ ДОМОВ НА ТЕРРИТОРИИ КОЛХИДЫ

Юго-Западная Грузия — Аджара и Чанет-Лазети — исторически является родиной искусных мастеров по обработке дерева. Об этом, наряду с античными авторами — Ксенофонтом, Страбоном, Витрувием, писал и известный грузинский ученый первой половины XVIII в. Вахушти¹. Грузинские мастера из этих провинций исторической Колхиды воздвигали разнообразные по форме и характеру жилые и хозяйственные постройки, которые в архитектурно-художественном отношении без преувеличения можно отнести к шедеврам мирового народного зодчества.

По планировке полезной площади и интерьера, по форме кровли и стройматериала только в одной Аджаре были распространены дома разного типа и названий: «Чархили», «Лурсиани», «Кори», «Джаргвали» и «Цалпира».

Деревянное зодчество, в частности искусство домостроения в этих краях, имело настолько глубокие корни и так широко было внедрено в население, что буквально каждый мужчина владел этим ремеслом. Именно этим и объясняется большой спрос в Турции на лазских мастеров².

В этой части Юго-Западной Грузии особенности хозяйственной жизни и географическая среда, изрезанный рельеф и большие атмосферные осадки диктовали свои условия. И поэтому здесь из века в век строили преимущественно двухэтажные дома, которые всегда заканчивались крытой дранью разноскатной кровлей. Например, в Аджарии в таких домах первый этаж, как правило, всегда отводился для хозяйственных нужд. Здесь были хлев и помещения домашнего обихода, вроде кладовой, где хранили продукты, сельскохозяйственный инвентарь, дрова и т. д.

Второй этаж представлял жилую часть и был устроен по принципу коридорной системы. Здесь с обеих сторон коридора были расположены по две, иногда и по три, комнаты разного назначения: «шина» — самая большая из всех комнат, гостиная, комнаты для отдельных брачных пар и одна комната для неженатых членов семьи.

Все комнаты без исключения имели дощатый пол и потолок, камин и окна. Кроме этого, потолок и стены «шина», где помещался камин, были орнаментированы двух-трехслойным растительным орнаментом.

¹ Т. Микеладзе, «Анабасис» Ксенофонта, Тб., 1967, стр. 92—96 (на груз. яз.); Т. Каухчишвили, География Страбона, Тб., 1957, стр. 56 (на груз. яз.); Витрувий, Десять книг об архитектуре, М., 1936, Кн. 11, гл. 1, § 4; Вахушти Багратиони, Описание царства Грузинского, Тб., 1941, стр. 134 и 142 (на груз. яз.).

² З. Чичинадзе, Лазистан в историко-этнографическом аспекте, Тб., 1927, стр. 62 (на груз. яз.).



В связи с сохранившимися, в качестве пережитка, некоторым элементам общинно-патриархального происхождения и высокой культуры домостроительства в Юго-Западной Грузии, особенно в Верхней Аджаре, до второй половины XIX в. существовала традиция строительства сельских гостиних домов — «састумро джаргвали» и навесообразные беседки — «мосасванджи». Из этих первый, т. е. «састумро джаргвали», в некоторых горных селениях Верхней Аджаре спорадическое существование продолжали почти до начала XX в. Что касается навесообразных беседок, которые как в Аджарии, так и в Чанет-Лазети и Самегрело сооружались исключительно и перекрестках дорог для дневного отдыха путников, по нашим материалам после 70-ых годов прошлого столетия почти уже не строились. Навесообразные беседки — «мошванджиянони» (по-лазски)³ и «мосасванджи» (по-мегрельски)⁴ в свое время распространение больше всех получили в Чанет-Лазети, где по нашим этнографическим материалам они имелись почти на каждом конце большого подъема проселочных дорог.

«Мосасванджи» — «мошванджиянони» строили во время обязательных общесельских дорожных работ. Каждое селение воздвигало его у своих границ. Мосасванджи представлял собой легкое строение. На четырех, расположенных квадратом, не очень высоких столбах лежала двухскатная драночная кровля. Между столбами были устроены неподвижные скамейки. Такие беседки укрывали путника от непогоды и солнца. Этот самобытный элемент древнегрузинской материальной культуры в наше время на новой почве, можно сказать, получил новое продолжение. В последнее время вдоль магистральных дорог не только в Грузии, но и в других республиках, все чаще строят разновидности и красивые декоративные беседки вокруг которых, как правило, разбиты скверы.

Современная Юго-Западная территория Грузии в географическом отношении исторически делится на две части: Верхнюю и Нижнюю Аджару. В административном отношении в Верхнюю Аджару входят Шуахевский и Хулойский, а в Нижнюю Аджару — Кедский и Хелвачаурский районы. Как уже было сказано выше, до второй половины XIX в. в Аджаре, особенно в ее верхней части, в пережиточном виде еще продолжала бытовать традиция строительства бесплатных сельских гостиних домов — «састумро джаргвали».

Как известно, из-за изрезанного рельефа почти во всех верхнеаджарских селах, которые расположены преимущественно в узких ущельях, проходила только одна дорога. Основные проселочные дороги редко обходили селения. Именно поэтому путник, следовавший вниз или вверх по ущелью, проходил почти все селения данного ущелья. Сильно пересеченная местность, крутые подъемы и спуски делали путешествие тяжелым и опасным. Учитывая все это, с древнейших времен население этого края старалось как-то облегчить тяжелую участь путника. Наверное в связи с этим и появилась традиция строительства бесплатных сельских гостиних домов «састумро джаргвали» и дорожных навесов «мосасванджи».

Из этнографических материалов становится очевидным, что строительство «гостиних домов» носило общесельский характер. Для таких работ каждая семья добровольно выделяла двух, а иногда и трех

³ Н. Марр, Из поездки в Турецкий Лазистан, СПб, 1910, стр. 562.

⁴ И. Адамия, Грузинское народное зодчество, Аджара, Тб., 1957, стр. 37 (на груз. яз.).



мужчин, которые до окончания строительства занимались только этим делом.

Састумро джаргвали, которое строили у дорог, на окраине села, являлся двухкамерным и одноэтажным бревенчатым домом, общей площадью примерно в 16—18 кв. м. Такое строение заканчивалось двухскатной кровлей из драни. С торцевой стороны джаргвали имел одностворчатую дверь, через которую путник попадал сперва в стойло (8 кв. м), а затем в жилую комнату. В отличие от стойла, которое всегда мостили жердеобразными балками, комната для путника (8—10 кв. м) имела земляной пол. Для дневного освещения оба помещения в своих стенах имели незастекленные окна — саркмели.

Вдоль стены жилой комнаты были устроены деревянные нары, на которых всегда находилась постель в свернутом виде. Путник, не имевший знакомых в селе, со своей лошадей останавливался на ночь и безвозмездно пользовался гостинным домом, услугами благородной народной традиции, которая в этой части Грузии стойко сохранялась на протяжении многих столетий.

В верхнеаджарских селах, в силу неписанного народного обычного права, каждая семья была обязана поочередно обслуживать «гостинный дом»: поддерживать порядок, обеспечивать постелью, водой, дровами, кормом для лошади, своевременно починять протекающую кровлю и т. д.

В 1897 году известный грузинский общественный деятель, писатель и этнограф Тедо Сахокиа, в свое время объездивший почти все европейские страны, с восхищением писал об этой благородной традиции⁵, схожие отзвуки которой бытовали и в альпах Швейцарии. В этой маленькой европейской стране местное сельское население на перевалах строило хижины для укрытия путников во время непогоды⁶.

Эта благородная народная традиция — строительство бесплатных гостинных домов, которая своими корнями уходит в глубокую древность, в эпоху доклассовых обществ в Верхней Аджаре в пережиточном виде сохранилась благодаря изолированности этого края. Как известно, Аджара почти триста лет находилась под игом турецкой империи, но благодаря стойкости духа и самоотверженного сопротивления, в которых не последнюю роль сыграла географическая среда (труднодоступные ущелья), в Аджаре сохранились такие древнегрузинские элементы быта и культуры, которые по всей остальной Грузии давно исчезли.

В 60-ых годах прошлого столетия, особенно после проникновения капиталистических элементов в село Аджари, преимущественно в ее нижней части, место састумро джаргвали постепенно занял хан, который строили состоятельные крестьяне на перекрестках шоссежных дорог.

Для хана отводился первый этаж обычного двухэтажного крестьянского дома. В первом этаже специально выделяли помещения, обычно две комнаты, для постояльцев с условием оплаты жилья и прочих услуг. Например, в начале XX в. пеший путник за ночлег платил десять копеек, а если он имел и лошадь, тогда с него взимали двадцать копеек. Эти копейки, как известно, в то время доставались крестьянам очень нелегко. Так что хан — это один из составных элементов восточного ростовщичества в Аджаре, в руках кулацкой прослойки ставший добавочным средством обогащения. Правда обладатели ханов среди местно-

⁵ Т. Сахокиа, Путешествия, Тб., 1962, стр. 114 (на груз. яз.).

⁶ В. Крашенников, Г. Драгунов, Швейцария, знакомая и незнакомая, М., 1970, стр. 85—87.

го населения не пользовались доброй славой — их порицали, но несмотря на это крестьяне-путники, из-за трудности и за неимением средств быстрого передвижения, были все же вынуждены пользоваться услугами этого, своего рода постоянного, двора. Законы капиталистического общества к удивлению местного населения, еще недавно строивших бесплатные сельские гостиницы — састумро джаргвали диктовали свои беспощадные условия.

Уже в начале XX столетия ханы появлялись всюду в чем способствовали новые шоссейные дороги, которые для быстрого освоения новых областей прокладывали русские власти. Одна шоссейная дорога шла из Батуми через перевал Годердзи на Ахалцихе, а вторая из Батуми вдоль Чорохского ущелья в Артвини. Эти дороги расходились у селения Аджарис-Цкали. От селения Аджарис-Цкали до Артвини в этот период ханы существовали в следующих селах: Аджарис-Цкали, Накириатеви, Кведа-Марадиди, Кирнати, Земо-Марадиди, Хонцкапа, Хема, Белобани, Концхурети, Класури, Борчха, Нагвареви, Катимхани, Синкоти, Навдароли и в самом Артвини, где насчитывалось несколько ханов. В Артвини ханы держали преимущественно армяне.

Все перечисленные селения были расположены с обеих сторон бывшего шоссе Батуми-Артвини. Что касается другой трассы от селения Аджарис-Цкали в сторону Ахалцихе, то из-за нерегулярного движения ханы было поменьше, но все же в достаточном количестве. В этом направлении ханы были в селениях Цониариси, Зваре, Хичаури, возле Хуло и Диокниси, у подножья начала перевала Годердзи. Если учесть сравнительно маленькую территорию и небольшую протяженность обеих шоссейных дорог (примерно 160 км), выходит так, что в этой Юго-Западной части Грузии хан получил довольно широкое распространение.

Во время широкого бытования састумро джаргвели — бесплатных сельских гостиних домов и мосасванджи — придорожных навесообразных беседок для отдыха аджарские села должны были иметь преимущественно моногенный характер. Моногенность сел окончательно нарушилась по-видимому во время турецкого ига, когда гонимые селяне часто меняли свое местожительство, переходили из одного населенного пункта в другой. Если судить по названиям большинства аджарских сел — они моногенного происхождения. Например, Паксадзеби происходит от фамилии Паксадзе, Иремадзеби от Иремадзе, Инцкирвети от Инцкирвели, Такидзеби от Такидзе, Геладзеби от Геладзе и т. д.⁷ Но эта, на первый взгляд, неоспоримая моногенность уже в XIX в. носила полигенный характер⁸. Однако еще во время турецкого владычества все еще продолжала бытовать общественная жизнь в виде формы сельской общины⁹. В это время, несмотря на новый образ жизни, навязанный турками, местное население все еще продолжало жить по своему. Так что, во время турецкого ига местная, грузинская общественно-экономическая жизнь не получила должного развития. Она в основном консервировалась и именно поэтому в Аджарии почти до конца 80-ых годов прошлого столетия сохранились некоторые древнегрузинские традиции, элементы культуры и быта, в том числе и строительство састум-

7 А. Робакидзе, К вопросу о формах поселения в Аджарии, Труды Батумского НИИ, т. I, Батуми, 1960, стр. 17 (на груз. яз.); В. Мгеладзе, К вопросу морфологии поселения в Аджарии, Труды БНИИ, т. I, Батуми, 1960, стр. 114 (на груз. яз.).

8 А. Робакидзе, Указ. труд, стр. 18.

9 Там же, стр. 24.



ро джаргвали и мосасванджи. Кроме того, до проникновения в село капиталистических элементов, аджарские, особенно верхнеаджарские, села преимущественно оставались в своих старых границах. Но после проникновения этих элементов и прокладки Батуми-Ахалцихской и Батуми-Артвинской шоссейных дорог не только все селения стали полигенными, но и появилась потребность к шоссейным дорогам. Некоторые села уже до конца XIX в. свои границы передвинули в сторону шоссейных дорог. Именно это время и является периодом самого интенсивного распространения частных гостиных домов-ханов. Так что, састумро джаргвали и хан в своем бытовании отражают две последовательные ступени в процессе общественно-экономического развития аджарского села.

ლიანა მელიქიშვილი

**ქართველ მთიელთა საქორწინო შრიტყრობის
ისტორიიდან
(ნიშნობა ფშავში)**

საქორწინო ურთიერთობის შესწავლას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო საკუთრივ ქორწინების ფორმების დასადგენად მისი ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, არამედ მასთან ახლო მდგომარეობის სოციალური ინსტიტუტების (საოჯახო თემი, პატრონიმია, გვარი, ნათესაობის სისტემა...) ბუნების გასარკვევადაც. ზემოხსენებულ სოციალურ ინსტიტუტებთან ერთად ქორწინების შესწავლის ხარისხზე ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების ძირითადი მომენტების განსაზღვრის შესაძლებლობა. ეს ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დამტკიცდა, როდესაც დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად გაფორმების სტადიაში მყოფმა ეთნოგრაფიამ ძირითადი კვლევის საგნად სოციალური ყოფა გაიხადა, რომლის სფეროშიც ქორწინების ინსტიტუტი ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ევოლუციური სკოლის ცნობილი წარმომადგენლის, ამერიკელი ეთნოგრაფის ლ. გ. მორგანის ღვაწლი, რომლის ფუძემდებლურ გამოკვლევებში¹ ქორწინების ინსტიტუტსა და ნათესაობის სისტემას წამყვანი ადგილი უჭირავს. ლ. მორგანის შრომების შემოქმედებითი გამოყენების საფუძველზე ამ მიმართულებით შექმნეს თავიანთი შრომები კ. მარქსმა² და ფ. ენგელსმა³, რითაც მეთოდოლოგიური ნიადაგი შეუმზადეს საბჭოთა ეთნოგრაფიის მარქსისტულ-ლენინურ თვალსაზრისს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან საქორწინო და საოჯახო ურთიერთობის შესწავლისადმი ინტერესი იზრდება რუსეთსა და საქართველოშიც. მრავალთაგან აქ პირველ რიგში შეიძლება დავასახელოთ მ. კოვალევსკი და ნ. ხიზანაშვილი. მარტო ის ამბავი, რომ ფ. ენგელსმა ზემოხსენებული ნაშრომის მეოთხე გამოცემაში ოჯახის ფორმათა საკითხზე მსჯელობისას არსებითი ცვლილებები მ. კოვალევსკის გამოკვლევების⁴ გაცნობის შემდეგ შეიტანა და საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობა ევროპის კაპიტალისტური ქვეყნებისათვისაც კი დამახასიათებელ მოვლენად მიიჩნია, აღნიშნული პრობლემის განსაკუთრებული მნი-

¹ Льюис Г. Морган, Древнее общество, Л., 1934; მისვე, Дома и домашняя жизнь американских туземцев, Л., 1834.

² К. Маркс, Конспект книги Льюиса Г. Моргана «Древнее общество», Архив Маркса и Энгельса, т. IX, Москва, 1941.

³ ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1953.

⁴ М. Ковалевский, Очерки происхождения и развития семьи и собственности, 1939; მისივე, Закон и обычай на Кавказе, М., 1890; მისვე, Современный быт и древний закон, М., 1886 და სხვა.

10. „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1972, № 1.



შენელობის მანიშნებელია, ხოლო ნ. ხიზანაშვილის ნაწერები⁵ ქართულ-გრაფიული აზრის განვითარების მაღალი საფეხურის მაჩვენებელია⁶.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნ. ხიზანაშვილის შრომების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდა ფშავის ეთნოგრაფიული მასალა, საკუთრივ ფშაველთა საზოგადოებრივი ყოფის ამსახველი ფაქტობრივი მონაცემები. ფშავის ეთნოგრაფიული მასალის დიდი მნიშვნელობა სოციალური საკითხების კვლევის მიმართულებით კარგად გამოჩნდა ქართველ საბჭოთა ეთნოგრაფთა შრომებშიც⁷. სამწუხაროდ, ფშაური ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ცალკეული სოციალური საკითხები, ზოგიერთი გამოჩაყლისის გარდა⁸, დღემდე სოციალურად შესწავლილი არ არის. ერთ-ერთ ასეთ საკითხად გვესახება ფშაველთა საქორწინო ურთიერთობა, რომლის მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენდა ნიშნობა, როგორც ორი საქორწინო მხარის მოლაპარაკების საბოლოო დადასტურება.

ამჟამად ჩვენი მიზანია გავეცნოთ გარიგებით დანიშვნის ფშაურ ჩვეულებას 1968—1969 წლებში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით.

გარიგებით ნიშნობისათვის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენდა ვაყის ოჯახის მიერ შუამავლების არჩევის აუცილებლობა, რომელთაც ეკისრებოდათ ქორწილამდე არსებული ურთიერთობის მოწესრიგება.

შუამავლის არჩევისას ვაყის მშობლები ცდილობდნენ ქალის დედის ძმა ან „მისამპირი“ („სახლის გარეთ მდგომი“) ნათესავი აერჩიათ. ვაყის ნათესავი საქმის მოგვარებაში მონაწილეობას არ მიიღებდა. მთხრობელთა განმარტებით, შუამავლად ქალის ნათესავის არჩევა იმიტომ იყო კარგი, რომ ის თავისიან ცუდს არ უსურვებდა, ტყუილად არ გაირჩებოდა ლაპარაკით და უფრო მეტად პასუხისმგებელი იყო შემდეგში უკვე დაქორწინებულ წყვილთა წინაშე. ვაყის ნათესავის გაგზავნა შუამავლად სირცხვილად ითვლებოდა. ზოგ შემთხვევაში (უფრო გვიანდელ პერიოდში) შუამავლად ამ საქმეში დახელოვნებული პირი ირჩეოდა, რომელსაც მრავალი საქმე გაერიგებინა და უკვე შუამავლის სახელიც შერქმეოდა.

საშუამავლოდ უფრო მეტად შაბათ დღეს ირჩევდნენ, რადგანაც უკვე იყო და მოსულსაც და დამხვედრსაც მეტი დრო ექნებოდა საუბრისათვის.

საერთოდ ფშავში წესად არ იყო პირველი მისვლისთანავე დათანხმება, რაც არ უნდა შესაფერისი საქმრო ყოფილიყო. ის კი არა, როგორც წესი, თითქმის არცერთი ქალი არ არის გათხოვილი, ისე, რომ შუამავლები სამჯერ მაინც, ზოგჯერ კი მეტჯერ არ მისულიყვნენ. თავიდანვე დათანხმება ქალის გვარს ამცირებდა. ფშაველებისვე გადმოცემით, „ქალი თავს იფასებს“. უარის სათქმელად ქალის მშობლები ქალის გასათხოვრად მოუმწიფებლობას, მზითვის მოუმზადებლობას და სხვა მრავალ მიზეზს ასახელებდნენ.

პირველად მიღებული უარის შემდეგ შუაჯაკცების მოქმედება როდი წყდებოდა. ერთხელ მისვლაზე უარის თქმას მოყვებოდა შუაჯაკცების მეორედ და

⁵ ნ. ხიზანაშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940.

⁶ აღ. რობაქიძე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960, 11—12; მისივე, ბესარიონ ნიქარაძე, შესავალი ნაწილი წიგნში — ბესარიონ ნიქარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962, გვ. 5—6.

⁷ ს. შაკალათია, ფშავი, თბ., 1934; P. Харაძე, Грузинская семейная община. Тб., 1960, I, 1961, II.

⁸ P. Харაძე, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 144—158.

მესამედ მისვლაც. შუამავლების მიერ ქალის მამის სახლში მისვლის შუალედი ორი სამი თვით განისაზღვრებოდა, რის გამო თანხმობის მისაღებად ერთი წლის მანძილზე მინც უხდებოდათ სიარული. ბოლოს ქალის მშობლები თანხმობას უცხადებდნენ შუამავალს, რასაც ფშაველები „აგრეობას“ უწოდებენ. „აგრეობისას“ შუამავალი ამოიღებდა ფულს და „ტაბლაზე“ დადებდა. ამას ეწოდება „სახლის პატივი“. ეს ფული ოჯახს ეკუთვნოდა. ფშაველი ქალის აზრით ეს მის გაზრდაში მიღებული ძღვენი იყო. „სახლის პატივი“ არანაკლებ 20 მანეთისა უნდა ყოფილიყო, ხშირად კი 40 მანეთსაც იხდიდნენ (მაშინ როცა, ცხვარი ფასობდა 3—5 მანეთად). დათანხმების ნიშნად ოჯახის უფროსი შუამავლის მიერ მიტანილ არაყს მოსვამდა და დაილოცებოდა — „ღმერთმა ნურას შაგვანანოს ერთურთის ნათესაობა, ჩვენს თავზე წაღმა იყოს ანგელოზი“.

მიღებულ თანხმობას შუამავალი მოახსენებდა ვაყის ოჯახს. ჩვენი მასალების მიხედვით, საქმის დადებითად გადაწყვეტის შემდეგ შუამავალი ზოგ შემთხვევაში იღებდა გასამარჯელოს, ანუ, როგორც თვით ფშაველები უწოდებენ, „სამარჯელო“-ს. ზოგან კი მთხრობელები ამას უარყოფენ და დიდ სირცხვილად მიიჩნევენ. 70 წლის მთხრობელი მამუკა გიორგის ძე ბობლიაშვილი სოფ. ელიაგზიდან გადმოგვცემს: მარჯეკალს არაფერს არ მისცემდნენ, ის ვალდებული იყო საქმე მოეგვარებინა, მერე იმის შვილს ის გაუყვებოდა და ასე შემდეგ. ზოგი ოჯახი „სამარჯელოს“ გადახდას შეურაცხყოფადაც კი მიიჩნევდა და ხსნიდა იმით, რომ ქალსა და კაცს თუ ტყუილი სიტყვის შეწევნა არ სჭირდებოდათ, იმათ მარჯეკალს არაფერი არ ეკუთვნოდა, ხოლო თუ გასათხოვარი ქალი არ ვარგოდა, ან ქერივი იყო, იმის მარჯეკალს შეიძლება გასამარჯელო აეღო. კარგი „სამარჯელოს“ არც გაიღებდა და არც აიღებდა. შუამავლის დასაჩუქრება „სამარჯელოთი“, უფრო მეტად ხდებოდა სოფ. გოგოლაურთას ქვევით მდებარე სოფლებში. „სამარჯელო“ შეიძლება ყოფილიყო ერთი ცხენი, ერთი ძროხა ან ერთი ცხვარი. ზოგჯერ კი ამ საქონლის ღირებულებას ფულით იხდიდნენ. ზოგან „სამარჯელოში“ ხუთ მანეთს იხდიდნენ, რომელსაც „ფეხის ქალმანი“ ერქვა. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული იყო სამუშაო დღის საშუალო ღირებულება და მარჯეკალსაც გაცდენილი სამუშაო დღის ღირებულებას 5 მანეთით უნაზღაურებდნენ. მთიულეთში „სამარჯელო“ განისაზღვრებოდა ერთი დეკეულით, ერთი მოზგრათ ან ორი ცხვრით. ხევსურეთში შუამავლის შრომის ანაზღაურება არ ხდებოდა⁹. ხევშიც „შუაკაცის მიერ გასამარჯელოს აღების არცერთი გამოჩაკლისი შემთხვევა არ დასტურდება, განურჩევლად იმისა, შუაკაცად ნათესავია აყვანილი თუ გარეშე პირი, რადგან ამ საქმეს მოხევე მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივ მოვალეობად მიიჩნევს¹⁰. ყოფილან ისეთებიც რომლებსაც შუამავლობა ხელობად გაუხდიათ, მაგრამ ხალხი მათ პატივისცემით არ უყურებდა.

ქორწინების ისტორიიდან კარგად არის ცნობილი შუამავლის საზოგადოებრივი მოვალეობა. ამაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ საქმის მოუგვარებ-

⁹ ლ. მ. ე. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალები, 1969, რეული 1, გვ. 7.

¹⁰ ვ. ი. თ. ო. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 1960, 137.

ლობის შემთხვევაში შუამავლის როლს ხევისბერი კისრულობდა. „რევოლუციამდელ პერიოდში, ხადის ხევისბრის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ სერიოზულ შემთხვევებში, მისთვის არ შეეძლოთ უარი განეცხადებინათ რაიმე თხოვნაზე. საკმარისი იყო ხევისბერს ეთქვა მშობლებისათვის, რომ მათ მიეთხოვებინათ თავისი ქალიშვილი გარკვეული პიროვნებისათვის, მშობლები, რომლებიც უარყოფითად უყურებდნენ ამ ქორწინებას, მაინც აძლევდნენ თანხმობას“¹¹. დეკანოზის სამოციქულო ფუნქციაზე მიუთითებს ს. მაკალათია. „რადესაც ქალის მშობლები დიდ უარზე დადგებიან, მაშინ ვაჟი სამოციქულოდ დეკანოზს მიმართავს. ამ შემთხვევაში წინად დეკანოზის მოციქულობა ნაღდი იყო, რადგან ქალის მშობლები ხატის შიშით მას უარს ვერ ეტყობდნენ“¹².

აღ. ოჩიაურის აღწერილობით „ხანდახან ქალს, რომ არ ურიგებდნენ ვისმეს შუაქაცების საშუალებით, მაშინ ხუცესს გააგზავნიდნენ, ის წაიღებდა ამ სახუცო კოჭობს ან სხვა რაიმე პატივსაცემ განძს რომელიმე ჯვრიდან და ამის ხათრის გამო საქმეს არიგებდნენ და ქალს ათხოვებდნენ“¹³.

სომხეთში შუამავლის განსაკუთრებული როლის შესახებ ქორწინებაში მიგვიითითებს ისეთი ფორმალური მხარეები, როგორიცაა შუამავლის მიერ კვერთხის დაჭერა¹⁴, ან ფერადი აბრეშუმის ნაჭრების შემოკვრა¹⁵. ყველა ეს შემკულობა ამსახველია იმისა, რომ არც ისე ადვილი საქმე ეკისრებოდათ შუამავლებს და რახან ისინი ასრულებდნენ დიდ და საზეიმო საქმეს, მათი გარეგნული შესახედაობა სხვებისაგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო. სომხეთში შუამავლების რიცხვში უპირველესად მღვდელი მოიხსენიება¹⁶. ეს პატივსაცემი პიროვნება ქორწინების საქმის დადებითად გადაწყვეტის მიზნით იყო ჩარეული.

ფშავში შუამავალს „მარჯევალს“ უწოდებენ, მაგრამ მათთვის უცხო არ არის ამ სიტყვის სინონიმი „შუაქაცია“. „მარჯევალი“ ფორმის მიმართება სალიტერატურო ენის „მაჰანკალთან“ ასე წარმოგვიდგება; აფრიკატ ჰ გამჟღავნებულია და მის წინ განვითარებულია სონორი რ. საერთოდ რ ქართულ და ქართველურ ენებში თანხმოვანთკომპლექსის პირველ ადგილს იკავებს და ხშირად სცვლის ამ პოზიციაში სხვა ბგერებს: მაგ. — სული — რჯული. ნ ბგერა ფშაურ ფორმას აკლია. ეს ბგერა შესაძლებელია ან დაკარგულად ჩავთვალოთ ან თუ გავითვალისწინებთ „მაჰანკალის“ ეტიმოლოგიას, რომელიც ქვემოთ მოგვყავს, შესაძლებელია ეს ნ საერთოდ არ იყო ამ ფორმაში და უნდა ვილაპარაკოთ მარჯევალის მიმართებაზე არა „მაჰანკალთან“, არამედ „მაჰანკალთან“.

¹¹ Л. Б. Панек, Следы родового строя у Мтиулов, СЭ, 1959, № 2, стр. 69.

¹² ს. მაკალათია, მითუღეთი, ტფ., 1930, გვ. 114.

¹³ აღ. ოჩიაური, ხევისბერი ხალხური დღეობების კალენდარი, არხოტი, 1938, საქ. ეთნ. განყ. ხელნაწ. ფონდი № 16, 652.

¹⁴ Т. Стефанов, Обряды и обычаи соблюдаемые жителями Г. Ейска при рождении человека, бракосочетании и погребении умерших, СМОМПК, вып. 6, отд. II, стр. 166.

¹⁵ Семашкевич, Мнение автора об армянских брачных союзах г. „Кавказ“, 1873, № 146.

¹⁶ იქვე.

პ. აჭარიანის ვარაუდით ქართულში „მაჰაკალი“ ნასესხებია სომხურიდან, ხოლო სომხურში მაჰ (MAԾ) ფალაურიდან შემოსულად ითვლება¹⁷. სომხურში ეს სიტყვა კომპოზიტიია (*მან-ა-კალ*) (მაჰ + ა + კალ) და ერქვანის მჭერის მნიშვნელობა აქვს. (შდრ. *აჯსარასკალ* (აშხარპაკალ) — ქვეყნის მპყრობელი, *ახხეგრასკალ* (ტიეზერაკალ) — მსოფლიოს მპყრობელი). სომხურში *მანასკალ* (მაჰაკალ) ძველი ფორმაა. ახალში გვხვდება *მანასკალ* (მაჰაკალ) — შემეგრთებელი ხმრენის გარეშე და *მანანსკალ* (მაჰანკალ).

ამრიგად, სომხურში და ქართულში დადასტურებულია ზუსტად ერთნაირი ფორმები. ძველი ფორმა ნ-ს გარეშე (საბასთან გვხვდება „მაჰაკალი“ ფორმით და განმარტებულია, როგორც „სიძვის შუამავალი“)¹⁸ და ახალი განვითარებული ნ-თი (დღევანდელ ქართულში ცნობილი „მაჰანკალი“ ფორმით და ჩვეულებრივ ქორწინების შუამავალს ნიშნავს).

თუ ქართულში „მაჰაკალი“-ი სომხურიდან არის ნასესხები, მას იგი ძველი ფორმით უნდა ესესხა და ნ დამოუკიდებლად უნდა განვითარებულიყო (შდრ. სიმიდი > სიმიანი, ჭადარი > ჭანდარი, შეჰამადი > შეჰამანი, მად > მანი), წინააღმდეგ შემთხვევაში სომხურიდან შემეგრთებელი ხმოვნის გარეშე შემოვიდოდა და გვექნებოდა „მაჰკალი“.

ქართული და სომხური *მანასკალ* — მაჰაკალი-ი თუმცა ფორმალურად სავსებით იდენტურია, სემანტიკურად ძლიერ განსხვავდება. სომხურში იგი „გუთნის დედას“, „მეხრეს“ აღნიშნავს, ხოლო ქართულში, ძველში — სიძვის, ახალში — ქორწინების შუამავალს. არცერთ სომხურ ლექსიკონში, მათ შორის სინონიმთა ლექსიკონში¹⁹, სადაც გათვალისწინებულია დიალექტებიც, „მაჰაკალი“ სხვა მნიშვნელობით არ გვხვდება და პირაქით, არც ქართული უახლოვედება სომხურს. სომხურში „მაჰაკალი“ მხოლოდ თბილისურ ზეპირმეტყველებაშია (კერძო ცნობით) დაცული შუამავლის მნიშვნელობით, რაც მის ქართულიდან შესებებაზე უნდა მიუთითებდეს (*მანასკალ* მაჰაკალი // მაჰანკალი // *მანანსკალ*) სომხურში ამ მნიშვნელობით თბილისური მეტყველებიდან უნდა იყოს შესული მოციქულიც — *აიეჩქოც*.

სომხური და ქართული *მანასკალ* — მაჰაკალი-ის სემანტიკურად ერთმანეთთან დაკავშირება იმდენად ძნელდება, რომ შეიძლება ეჭვიც კი შეგვეპაროს მათ იდენტურობაში, რომ არა ერთი სომხური ლექსიკონის (*ზორ რაიყ-ჩრე, ჯაქაფანს ქეოც, ჟინსახი 1857*) მიერ ძველი სომხური ტექსტიდან მოტანილი ადგილი *ჰაქან ამანანსკალ იეიყ, ვირ ასრამანსკალ ხ ზიოა ყათოჩრანს აცნ, ირ ჩინს ზ მანასკალ აჩრეც*) რაც ნიშნავს — „სიყვარული ყოველთა სულთა, რომელ დაეთესა ბრძანებითა მისითა რომელ არს მაჰაკალი სიყვარულისა“. „მაჰაკალი სიყვარულისა“ — სომხისათვის იქნებოდა „ჩებრე სიყვარულისა“, „მიწისმოქმედი სიყვარულისა“, „მთესველი სიყვარულისა“ და მისთ. ასეთი სემანტიკური ნიუანსი თუ ჭონდა სომხურს, მაშინ ქართულში ჩვენთვის ცნობილი მნიშვნელობის შემოსვლა გასაკვირი აღარ თქნება. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ეს მეტათორული ხმარება მოცემულია ლექსიკონში,

¹⁷ ზ. მ. ნაყან, *სერაოთასან რაიარან*, 4, ერევანი, 1930.

¹⁸ სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1928

¹⁹ მ. მიცხიასიანი, ჯაიე ქეფი ნიშანხენსქი რაიარან, 1967.

სადაც, როგორც წესი, შუაქვე სიტყვის ძირითადი მნიშვნელობები და სწორი ხმარების მქონე ნიუანსები (ამდენად შემთხვევითი ხმარება გამორიცხულად გვეჩვენება). ოღონდ ერთი დაბრკოლება კიდევ რჩება. ზემოთ მოტანილი სომხური კონტექსტი, რა თქმა უნდა, სიძვას არ გულისხმობს, ქართულში კი (ყოველ შემთხვევაში საბას ლექსიკონში) „მაჰაჯალ“-ი სიძვის შუამავალია. ამ მხრივ ძველი სომხურის მონაცემი უფრო ახალ ქართულს უახლოვდება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ საბასთან აღნიშნულ „მაჰაჯალს“ — სიძვის შუამავალს — საქმის მოგვარებისათვის რაიმე საჩუქარი ან გასამრჯელო ეძლეოდა, ხოლო, მას შემდეგ, რაც ქორწინების საქმის მომგვარებელმა შუამავალმა თავი იჩინა, როგორც მატერიალურად დანტერესებულმა პირმა და საქმის გარიგებისათვის იგი გასამრჯელოს ღებულობდა, შესაძლებელია ეს სახელწოდებაც მაშინ დაიშვებოდა²⁰.

შუაჯაცის მიერ ასევე გასამრჯელოს აღების მომენტთან დაკავშირებით უნდა შემოსულიყო შუამავლის ახალი სახელწოდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (სახელდობრ ფშავში და მთიულეთში) სიტყვა „მარჯეალი“ „შუაჯაცის“ შემცველად გვევლინება ისეთ ვითარებაში, როდესაც საქორწინო საქმის მოწესრიგებაში გასამრჯელომ სათანადო ადგილი დაიკვიდრა. აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში ამ მხრივ ერთნაირი მდგომარეობა არ ყოფილა. ზოგან, მაგალითად ხევში, სამარჯელო გადასახადის არსებობა არ დადასტურდა და ამდენად არც ამ მოვლენის ამსახველი სახელი დაიკვიდრებულა იმ პირის მიმართ, რომელიც საქორწინო საქმეს აწესრიგებდა.

აღნიშნული ვითარება იმ გარემოების მაჩვენებელია, რომ შუაჯაცის მიერ გასამრჯელოს აღების წესი და შუაჯაცის ახალი სახელწოდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გარედან შესული გვიანდელი მოვლენაა, რომელმაც ზოგიერთ კუთხეში მოიკიდა ფეხი, ხოლო ზოგან მან ტრადიციული შუაჯაცობის სფეროში შეჭრა ვერ შესძლო.

მოლაპარაკებიდან ერთი წლის შემდეგ ეპის ოჯახი ემზადებოდა „ლიშან-სახლის სანახავის“ მოსატანად.

„ლიშან-სახლის სანახავის“ დრო იმართება „სანაწყო ქორწილი“. „სანაწყოში“ ვის რა ემეტებოდა იმას აძლევდნენ: ფულს, საპერანგეს, ფარჩას, ხბოს, ცხვარს, ფუტკარს და სხვა. მდადის გვერდით იდო ხურჯინი, რომელიც სავსე იყო პატარძლის მიერ დაქსოვილი წინდებით (წინდები 60 წყვილზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო). მდადი სანაწყოში ჩამოსულ პირებს წინდებით ასაჩუქრებდა (ეს წინდები ყველა საკაცებო იყო, მხოლოდ ერთი წყვილი იქსოვებოდა საქალებო-მდადისათვის). იქვე ჯარასთან მოშორებით დაჯდებოდა „მყუფარი“. ის აცნობებდა ხალხს ვინ რამდენს „ხარჯავდა“, თან ქალაღზე აღნიშნავდა ვინ რას შეაწევდა და შემდეგ ამ სიას ნეფეს გადასცემდა.

„ლიშან-სახლის სანახავის“ შემდეგ ქალი გათხოვილად ითვლებოდა. ქმრის სახლში წასვლაზე როგორც მორიგებული იქნებოდნენ ისე მოიქცეოდნენ. ზოგი მამის სახლში შეიძლება ერთ წელს დარჩენილიყო, ხოლო ზოგი ოთხ წელსაც რჩებოდა.

ზოგიერთი საკითხის განხილვისას, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ფშავურ ქორწინებაში შენარჩუნებულია სხვადასხვა ეპოქაში განვლილი ტრადიციების ნაშთი.

²⁰ სომხურ წყაროებზე მუშაობისას დახმარება გავეციხა ისტ. მეენ. კანდიდატმა ზ. ალექსიძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ქალის ოჯახში დატოვებული „სახლის პატივი“ სყიდვითი ქორწინების გადმონაშთურ ელემენტს უნდა წარმოადგენდეს. როგორც ვნახეთ „სახლის პატივი“-დან ქალს არაფერს დაახარებდნენ. იგი მხოლოდ ქალის მამის ოჯახის საკუთრებად ითვლებოდა, ისევე როგორც ხევში ქალის მამის ოჯახს ხმარდებოდა ქალის გათხოვებაში მიღებული ურვალი²¹. სომხური სამართლის ქართულ ვერსიაში ხსენებული „სახლის პატივი“ ამავე ბუნების ჩანს²². ფშავეში არსებული „სახლის პატივი“ უნდა წარმოადგენდეს სყიდვითი ქორწინების გადმონაშთს, ხოლო ფშავე გვესახება ერთ-ერთ ისეთ კუთხედ, სადაც ეს ჩვეულება ადრევე მიეცა დავიწყებას და საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეებთან შედარებით ეთნოგრაფიულმა მასალამ სყიდვითი ქორწინების წესის მხოლოდ მკრთალი ანარეკლი შემოგვინახა.

ძველ ყოფაში არსებული ეს ინსტიტუტი საქართველოს მთიანეთში ზოგან კარგად შეინახა (სვანეთი, ხევი) და ზოგან კი სრულიად აღმოიფხვრა. სამართლის ძეგლებსა და სხვა ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილმა განიხილა ეს საკითხი და გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ საქართველო იცნობდა ამ ინსტიტუტს.

მართლაც, ამის უარყოფა შეუძლებელი ხდება მას შემდეგ, რაც ჩვენ წინ არის ისეთი ჩვეულებანი, რომლებშიც შეიძლება დავინახოთ ზემოთ აღნიშნული წესის ნაშთი. ამას ხელს უწყობს თვით ტერმინი „სახლის პატივი“. ვფიქრობთ, სახლი აქ დღევანდელი გაგებით (შენობის სახით) არ არის წარმოდგენილი. „შუშანიკის მარტილობა ამტკიცებს, რომ უკვე მე-5 საუკუნეში საქართველოში „სახლი“ მარტო საგვარეულოს და გვარს კი არ ნიშნავდა, არამედ ცოლქმრობაზე დამყარებულ ოჯახსაც... მაგრამ სახლის თავდაპირველი მნიშვნელობა აქა-იქ მაინც შემორჩენილია და ზოგჯერ წინანდებურად გვარს ნიშნავს“²³.

ჩვენ მიერ განხილული „სახლის პატივი“ გვარის ან საოჯახო თემის „პატივის“ უნდა წარმოადგენდეს, რადგანაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქორწინების მოგვარების საქმეში გარდა ქალის დედ-მამისა მისი ნათესავეებიც იღებდნენ მონაწილეობას. ის გარემოება, რომ „სახლის პატივი“ ამჟამად მხოლოდ ქალის დედ-მამას ეკუთვნის და არა მთელს ნათესაობას იქიდან მომდინარედ უნდა მივიჩნიოთ, როდესაც მან თავისი მთლიანი სრულყოფილი მნიშვნელობა დაკარგა და დიდი ოჯახიდან გამოყოფილი პატარა ოჯახის კომპეტენციაში გადავიდა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქალის ოჯახის მიერ ვაჟის დაწუნებისას „სახლის პატივი“ „სამწუნობროსთან“ ერთად ხელუხლებლივ უკან უბრუნდებოდა ვაჟის სახლს. ასეთი ვითარება გვექონდა იმ მხარეში, სადაც ურვადის წესი შედარებით სრულად იყო შემორჩენილი (ხევი, ოსეთი და სხვა).

„ლიშან-სახლის სანახავი“ ორ ოჯახს შორის ხელშეკრულების დამამთავრებელ საშუალებად წარმოგივდებოდა. ამის შემდეგ ფშაველი ქალი თითქმის გათხოვილად ითვლებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც რაიმე მიზეზის გამო ხდებოდა დანიშნულთა გაყრა, რაც ჯარიმის („სამწუნებროს“) გადახდით და დახარჯული ხარჯების ანაზღაურებით წყდებოდა.

²¹ ვ. ი თ თ ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, 211—232.
²² ქართული სამართლის ძეგლები, 1, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. თბ., 1963, სამართალი სომხური, მუხ. 45.
²³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. I, ტფ., 1923, 24—25.

ფშავეში ქალის ან ვაყის მიერ დაწუნება სხვა პირის სიყვარულის გამო ხდებოდა. სხვა მიზეზები ჩვენს მიერ დამოწმებული არ არის. ასეთ შემთხვევაში დაწუნება უმიზეზოდ ითვლებოდა და ამიტომ ჯარიმდებოდა დამწუნებელი მხარე. ჩვენი მასალების მიხედვით ყველგან ვაყია მწუნობარი, ამ საქმეში ქალის ინიციატივა არ დაგვიდასტურებია. მწუნობარი ვაყი ძალზე დაზარალებული გამოდიოდა. იგი იხდიდა სამწუნობრო სამ ძროხას, ანაზღაურებდა ნიშნობაში გაწეულ ხარჯს და ამასთანავე საჩუქრები და ნიშანი რჩებოდა ქალს, ხოლო „სახლის პატივი“ მის ოჯახს.

სამართლის ძეგლების მიხედვით დანიშნულთა გაყრა შესაძლებელი იყო ასაკით შეუფერებლობის, ქალის მიერ სხვასთან შეცოდებისა და სულით ავადმყოფობის შემთხვევაში. ჩვენი მასალების მიხედვით ასეთი მიზეზები არ გვხვდება დანიშნულთა გაყრისას. უნდა ვივარაუდოთ, რომ ფშავეში ვაყის გვარი სანამ ქალს ითხოვდა, ითვალისწინებდა ყველა წინაპირობებს, რომელიც ქორწინებას წინ უსწრებდა.

რომელიმე მხარის სიკვდილის შემთხვევაში „სახლის პატივი“ უბრუნდება ვაყის ოჯახს, ხოლო ნიშანი კი არა, რადგანაც იგი ქალს უკვე ხმარებაში ექნებოდა (საკაბე, თავჩითა) და ამის უკან მოთხოვნა სირცხვილად ითვლებოდა.

დავით ბატონიშვილის სამართლის მიხედვითაც „ვინცა ნიშანი მიუტანოს სარძლოსა და შემდგომ სარძლო ან სასიძო მოკვდეს, მაშინ იგი მიეცეს ბატრონს... და უკეთუ გასაცვეთი რაიმე მიტანილი სიციცხლესა სასიძოსა გაუცვეთიეს რძალსა მას, ნურღარა იკადრებენ დაობაღდა, ამან რომელ ყოველი ნიეთი ხრწნადი არს“²⁴.

ამგვარად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გვიანობამდე შემორჩენილი ნიშნობის სხვადასხვა ჩვეულებათაგან (აკვანში ნიშნობა, მცირეწლოვანთა ნიშნობა, საკვეთით დანიშვნის, გარიგებით დანიშვნის ჩვეულება...) ფშავეში ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით დადასტურდა მხოლოდ გარიგებით დანიშვნის წესი, რომლის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენდა ვაყის ოჯახის მიერ შუამავლების არჩევა.

ტრადიციული ფშაური ჩვეულების მიხედვით შუამავლობა საზოგადოებრივი მოვალეობა იყო. მათ კომპეტენციაში შედიოდა ვაყის ოჯახის დავალების სისრულეში მოყვანა, ქალის ოჯახთან შეთანხმების მიღწევით, რაც სათანადო ღონისძიების შემდეგ ნიშნობით უნდა დაგვირგვინებულიყო.

საზოგადოებრივი ურთიერთობის გვიანდელ საფეხურზე, სახელდობრ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ფეხს იკიდებს კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტები, შუამავლობის სფეროში ჩნდება მაქანკლობის ტენდენციები და ამ მოვლენასთან დაკავშირებით შუამავლის ახალი სახელწოდება — მარჯეკალი, რაც ფშაველთა ყოფაში გარედან შეჭრილ მომენტად გვესახება.

²⁴ სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, თბ., 1964, თავ. იგ (13) 119 (ნიშნისათვის).

ფშაურ ნიშნობაში სათანადო რიტუალთან ერთად მნიშვნელოვან კომპონენტად წარმოგვიდგება მატერიალურ ვალდებულებათა ისეთი ელემენტები, როგორცაა „მესაწევარი“ და „სახლის პატივი“. პირველი მათგანი მექორწილეთადმი საზოგადოებრივი დახმარების სახეობაა, ხოლო მეორე გულისხმობდა ვაჟის ოჯახის ეკონომიურ ვალდებულებას ქალის ოჯახის მიმართ. „სახლის პატივის“ სახით მიტანილი ქონება ქალს არ ხმარდებოდა და ის მხოლოდ მისი მამის ოჯახის კუთვნილებად ითვლებოდა. ვალდებულების მოხმარების ასეთი ხასიათით „სახლის პატივი“ სყიდვითი ქორწინების გადმონაშთურ ელემენტად მიგვაჩნია.

ИРАИДА ТАВАРТКИЛАДЗЕ

НЕИЗВЕСТНЫЙ ПАМЯТНИК РЕЗЬБЫ ПО ДЕРЕВУ В АДЖАРИИ

Неисчерпаемо художественное наследие нашей Родины. Среди этого наследия немаловажная роль принадлежит архитектурной резьбе по дереву. Десятки памятников этого вида искусства, находящихся в различных уголках страны, уже детально изучены, сохраняются в музеях, опубликованы в печати, стали национальной гордостью народа.

В предлагаемой статье мы знакомим с неизвестным памятником грузинской архитектурной резьбы по дереву — зданием мечети «джаме» селения Чикунети Аджарской АССР.

Жители селения не без гордости показывали нам здание, и действительно, оно представляет прекрасный памятник резного искусства, сохранившийся во всех деталях в первоначальном виде, если не считать незначительных переделок конца XIX в. в виде врезанных арок между колоннами антресолей, попортивших их резьбу в местах заделок, а также окраску ряда деталей белой масляной краской недавнего происхождения, заполнившей впадины резьбы. Несмотря на эти искажения, сила декоративного мастерства производит очень большое впечатление.

Резьба отдельных элементов как снаружи, так и внутри, дополняя и обогащая друг друга, составляет ансамбль, безукоризненный в художественном отношении.

Резьба наружных частей здания относительно скромна, и имеется она лишь на наиболее значимых конструктивных элементах: на колоннах лоджии и архитравной балке, на входной двери, наличниках и фризе. Наружная резьба как бы подготавливает человека, вызывает у него предчувствие того, что он найдет, войдя в здание. Резчик бережет средства для интерьера. И в самом деле; по мере продвижения во внутрь, происходит постепенное обогащение форм, при этом для каждого вида конструкции, сообразно месту и назначению, применены определенные орнаментальные системы, наиболее полно раскрывающие их тектоническую сущность в общей композиции сооружения.

Внутри здания на уровне I-го этажа поставлены восемь массивных колонн с подбалками и архитравом (рис. 3—4). Они поддерживают антресоли II-го этажа с шестью колоннами, балконом и ограждением.

В центре южной стены расположен михраб, выдолбленный из колоссального ствола каштана и сплошь покрытый растительным орнаментом. В верхней части михраба имеется надпись. Кроме двух изречений из корана, она содержит дату постройки джаме — 1251 год хиджры, т. е. 1836 г.

Слева от михраба имеется малая кафедра — курси, а справа — возвышается в виде лестницы с ограждением и площадкой кафедра для проповеди — мимбар (рис. 1).

Все резные детали здания представляют большую ценность, но самыми интересными являются, пожалуй, подбалки и колонны интерьера (рис. 2—6,9).

Подбалки шести колонн двухконсольные симметричные; их длина колеблется от 92 до 105 см. Подбалки двух угловых колонн тоже двухконсольные, но расположены друг к другу под прямым углом с выносом до 40 см. Спереди и снизу подбалки орнаментированы и имеют богато профилированный силуэт.

Орнамент и профиль каждой подбалки варьируется, но композиционные решения обнаруживают одну общую, хорошо отработанную и законченную схему, которая является результатом труда многих поколений зодчих и характеризует определенный период развития орнаментации этой конструкции. Резьба кладется сообразно размеру и очертаниям подбалки. Рисунок орнамента, вписываясь в архитектурную форму, выявляет, подчеркивает и усиливает выразительность этой формы. С помощью резьбы линия примыкания подбалки к колонне и подбалки к архитраву остается почти незаметной, чем усиливается общее впечатление монументальности.

По Херцфельду, начальное происхождение и распространение подбалка получила в архитектуре жилых домов Мидии в VII в. до н. э.¹

В памятниках архитектуры народов СССР деревянные подбалки сохранились в Осетии, Дагестане, Азербайджане, Армении, Таджикистане, Узбекистане². В Грузии подбалки известны в жилище дарбазного типа³, а в некоторых районах подбалки грубой работы делают и по сей день.

Подбалки колонн Чикунети пока единственный пример среди известных архитектурных памятников Аджарии.

Решения капителей колонн Чикунети со свисающими бусами и кистями также пока не имеют аналогий в Аджарии, хотя в остальной Грузии подобные образцы известны в резьбе I пол. XIX века⁴.

Обращает на себя внимание форма капителей двух колонн антресолей. Капители эти имеют по четыре рожка, торчащих вверх, и представлены в двух вариантах. Такая форма капителей с рожками была распространена по всей Грузии, но за ее пределами не встречается.

¹ E. Herzfeld, *Archaeological History of Iran*, L., 1935, стр. 32, фиг. 6.

² См.: А. Хохов, *Осетинские орнаменты*, кн. I, 0., 1932, рис. 30. П. Дебилов, *Архитектурная резьба Дагестана*, М., 1966, рис. 3, 24—25; Э. Кильчевская, *От изобразительности к орнаменту*, М., 1968, рис. 97; Г. Любимова, С. Хан-Магомедов, *Народная архитектура Южного Дагестана*, М., 1956, рис. 30; С. Хан-Магомедов, *Лезгинское народное зодчество*, М., 1969, рис. 14, 26, 36—37, 39—40, 44, 52—57, 95—98; Ею же, *Народная архитектура Дагестана*, «Архитектура СССР», 1954, № 4, стр. 34; Е. Шиллинг, *Изобразительное искусство народов горного Дагестана*, — ДС, кн. 9, 1950, рис. 35; Г. Ализаде, *Народное зодчество Азербайджана и его процессивные традиции*, Б., 1963, рис. 55—57. В. Арутюнян, С. Сафарян, *Памятники армянского зодчества*, М., 1951, рис. 64—67; Н. Токарский, *Предварительный отчет о поездке в Армению*, — ИРАИМК, т. IV, 1925, табл. XVIII. М. Андреев, *Деревянная колонна в Матче*, — ИРАИМК, т. IV, 1925, табл. III; В. Воронина, *Архитектурный орнамент древнего Пянджикента*, кн. «Скульптура и живопись Пянджикента», М., 1959, стр. 115; Ею же, *Резное дерево Чорку*, — АН, № 16, 1967, стр. 179, рис. 5; Ею же, *Резьба по дереву в долине Исфары*, — АН, № 18, 1969, стр. 178, рис. 3; Г. Пугаченкова, *О резных деревянных колоннах XIV—XV вв в г. Туркестане*, — ИАНК, в. I, № 62, 1948, стр. 52. Р. Абдурасуле в, *Архитектура народного жилища Узбекистана*, Т., 1960, стр. 17—18, рис. 5.

³ Л. Сумбадзе, *Грузинские дарбази*, Тб., 1960.

⁴ М. Гараканидзе, *Грузинское деревянное зодчество*, М.—Тб., 1959.

В настоящее время не вызывает сомнения, что форма рожек на капителях является пережитком изображения культовых животных. До недавнего времени у разных народов существовал суеверный обычай развешивать черепа и рога жертвенных животных на стенах и столбах построек для предохранения человека от злых сил⁵. Одновременно с естественными рогами, уже в древности, широко применялись искусственно сделанные рога из различных материалов — камня, металла, дерева. Традиционные формы рогов, освященные религиозным культом, включаются в декоративную и архитектурную пластику, ими наделяются даже предметы быта⁶. И хотя первоначальное целевое назначение рогов со временем забылось, их продолжают вырезать, превратив в образ искусства.

Прием сочетания нескольких типов колонн в одном здании — древняя грузинская традиция⁷. Однако это многообразие никогда не было стихийным, хаотичным, увеличивающимся до бесконечности. В основе любого решения клался принцип единства в многообразии. Колонны Чикунети является прекрасным образцом этого принципа. Здесь гармония различных типов колонн, поставленных рядом, достигается за счет их единой высоты и диаметра, фактуры и цвета древесины, общности орнаментальных мотивов и техники исполнения. С другой стороны, многообразие одинаковых типов колонн создано за счет разнообразных орнаментальных решений.

Большой интерес представляют мотивы резьбы Чикунети. Классификация мотивов, привлечение археологических и этнографических параллелей для выяснения истоков орнаментальных систем, семантический разбор мотивов выявляют в них древние высокоразвитые традиции грузинской резьбы по дереву.

Из всех мотивов Чикунети можно составить шесть типологических комплексов: геометрический, основанный на треугольнике, розетки, «дерево жизни», цветочно-плодовый, предметный, плетения.

Мотив треугольника представлен несколькими вариантами. Это и одиночные треугольники, гл. обр. лучистые, и зубчатые ряды треугольников, и ряды противопоставленных треугольников — шевроны. Кроме того, треугольники, вписываясь в любую форму, заполняют поверхности между различными сопряжениями на базах, капителях, подбалках.


Магическая функция, которой люди в древности наделяли треугольник, сейчас может считаться вполне доказанной⁸.

⁵ Э. Кильчевская, От изобразительности к орнаменту, М., 1968, стр. 33; Н. Кислянов, Жилище горных таджиков бассейна реки Хингоу, — СЭ, № 2, 1939, стр. 21; Л. Сумбадзе, Грузинские дарбази, Тб., 1960, табл. 5, 30; В. Чепелев, Киргизское народное изобразительное творчество, — И, № 5, 1939, стр. 39.

⁶ См., например: В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, стр. 201—202; А. Захаров, Кавказ, Малая Азия, Эгейский мир, — ТСА, т. 2, 1928, стр. 34; В. Марковин, В стране вайнахов, М., 1969, стр. 74; А. Миллер, Древние формы в материальной культуре современного населения Дагестана, — МЭ, т. IV, № 1, 1927, стр. 27, 56, 59.

⁷ Ш. Амиранашвили, История грузинского искусства, М., 1950, табл. 1.


⁸ Е. Кагаров, Культ фетишей, растений и животных в древней Греции, — ЖМНП, № 4, 1912, стр. 174; В. Миллер, Терская область, Археологическая экскурсия, — МАК, вып. I, 1888, стр. 108; А. Мнацаканян, Армянское орнаментальное искусство, Ер., 1955, стр. 607; М. Рыдин, А. Бернштам, Киргизский национальный узор, Л.—Фр., 1948, стр. 17; В. Харузина, К вопросу о почитании огня, — ЭО, т. 3—4, 1907, стр. 123.



Րիս. 1. Интерьер джаме сел. Чикунети.



Րիս. 2. Подбалки колонн К-1 и К-3




Րիս. 3. Подбалка колонны К-7



Րիս. 4. Колонна К-3
I-го этажа.



135



136



Рис. 5. Колонна К-5 и стоящая над ней в антресолях колонна К-6.



ЧИКУВСТИ

0 5 0

Рис. 6. Колонна К-9 и стоящая над ней в антресолях колонна К-10.




Рис. 7. Резьба наружной части михраба.




Рис. 8. Разметка стеблей и листьев на капители колонны К-11.




Рис. 9. Колонна К-2 антресолей.

Устанавливается тождество треугольника, креста, эмблемы священного огня, символа бессмертия и плодородия. Несмотря на множественность понятий, заключенных в треугольнике, можно видеть, что все они несут в своей основе начала жизни. В Чикунети расшифровать смысл треугольника как жизненной силы и плодородия помогают решения проросших треугольников с листьями.

К треугольнику примыкает мотив розеток в виде шестиконечных звезд, построенных на сплетении двух треугольников. Они имеются на трех колоннах 1-го этажа (Рис. 5, 6). Изображения эти известны в памятниках материальной культуры Грузии в камне, дереве, нумизматике как в средневековых памятниках, так и в более поздних⁹.

В глубокой древности розетки считались идеограммой божества вообше. Круглая розетка связывалась с формой солнечного диска — небесного огня и с формой зерна, плода — начала всего живого. Розеткам в виде борджгалы с запечатленным круговым вращением, способным отбросить прочь или запутать «нечистую силу», отводилась магическая роль оберегов. В Чикунети борджгалы имеются на К—10 (рис. 6). В грузинской орнаментальной резьбе борджгала встречается и на памятниках архитектуры и на предметах домашнего обихода. Широко представлены здесь и половинки розеток, которые в графическом искусстве имеют то же содержание, что и целые. Благодаря полурозеткам на К—5, —10 запечатлен процесс развития одной розетки из другой, на подбалке К—1 полурозетки представлены проросшими, а полурозетки в основании «дерева жизни» на ряде колонн и кюersi служат источником жизненной силы (рис. 9).

Комплекс «дерево жизни» представлен несколькими образцами, причем интересно отметить, что в решениях сохранены очень древние формы мотива.

Форма хвойного дерева на стволе К—3 (рис. 4) аналогична, например, изображению на капители V в. в Болнисском Сюни.

«Дерево жизни» с симметрично закругленными ветвями на одной стороне капители К—9 (рис. 6) аналогично решениям в Пархали X в. и Эхвеви XI в., а с ветвями, вырастающими из нижних, находит аналогии во многих памятниках архитектуры Грузии XI—XIII вв., например, в Никорцминда, Самтавро, Свети-Цховели, Саорбиси, Икорта, Кватахеви.

«Дерево жизни» в виде замкнутых звеньев на капители К—10 перекликается не только с образцами средневековой Грузии, например, с Потоleti X в., Никорцминда XI в., но имеет сходство с отдаленными культурами¹⁰.

Резчики Чикунети воспроизвели на подбалке К—5 (рис. 5) и перенесенную через века трехчастную композицию, в центре которой помещалось дерево, а по бокам — антропоморфные фигуры, поклоняющиеся и охраняющие его (рис. 5).

⁹ В. Беридзе, Архитектура Самцхе XIII—XVI вв., Тб., 1955, табл. 42; Д. Капаладзе, Грузинская нумизматика, М., 1955, табл. VI₈₄, рис. 16, 24; Н. Марр, Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию, — ТРАГФ, кн. VII, 1911, рис. 3, 61; Е. Такайшвили, Христианские памятники Карской области и Чорохского бассейна, — МАК, вып. XII, 1909, табл. XII, 22—В; Н. Чубинашвили, Грузинская средневековая художественная резьба по дереву, Тб., 1958, табл. 25, 31; Р. Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековья, Тб., 1962, стр. 91, табл. 23; Р. Шмерлинг, А. Кравченко, Грузинский архитектурный орнамент, Тб., 1954, стр. 37.

¹⁰ Б. Пиотровский, Скифы и Закавказье, — ТОВ, т. III, 1940.



К мотивам «дерево жизни» примыкает цветочно-плодовый комплекс. Он представлен венчиковыми цветами с большим количеством нерасчлененных лепестков, лилиями-тюльпанами, плодами в форме кружков, вольмерок и стручков. На трех колоннах интересны решения виноградных гроздей в виде скопления перлов (рис. 6). Изображения интересны вдвойне: и тем, что это древний мотив, прочно обосновавшийся в грузинской орнаментике¹¹, и тем, что созданы они в то время, когда мусульманская религия запрещала виноградарство, преследовала все, что было связано с ним.

Предметный комплекс представлен сосудами на капители К—9 и михрабе.

Уже в древности мотив священного сосуда, выражающего идею плодородия, источника жизни, был распространенным в изобразительном искусстве многих народов. Изображения сосудов сохранили и памятники средневековой архитектуры Грузии, например, храм Баграта в Кутаиси, церковь в Озаани.

Сосуды Чикунети с вырастающими из них ветками, с полукруглыми розетками в их основании, помещенными по типу «дерево жизни» для связи сосуда с живительными силами земли, как нельзя полнее передают идею замысла. С этой же целью, для передачи полноты сосудов, их поверхность испещрена квадратной и ромбической сеткой.

Комплекс плетения, представленный виртуозным исполнением нескольких видов, свидетельствует о том, что традиции плетения, принесшие Грузии мировую славу, не были утрачены и в XIX веке.

Кроме одинарных и двойных витых шнуров, встречаются различные переплетения, перевитости, сцепления лент и замкнутых звеньев, перевитости со сцеплением.

Переплетение из двух лент имеется на двух колоннах I-го этажа и на балке фасада, а из трех лент — на четырех колоннах и архитраве интерьера.

Перевитость ленты с переплетением в виде замкнутой фигуры имеется на К—9, —10 (рис. 6).

Сцепление четырех ленточных компонентов в средней части в виде пояса сделано на стволе К—10, а двухрядное фигурное сцепление лент — на двух колоннах.

Сцепления замкнутых звеньев в виде восьмерок имеются на двух капителях (рис. 5), а на подбалке К—1 можно видеть композицию из двух сердцевидных звеньев (рис. 2).

Перевитость со сцеплением петель у края 4-х лент имеется на одной колонне и наличниках двери.

К плетению можно отнести мотив «паргали» на двух капителях в антресолях. Мотив состоит из одинаковых окружностей, пересекающих друг друга и входящих друг в друга; строится он при помощи циркуля, от чего и получил свое название.

Синтез разнообразных орнаментальных комплексов Чикунети создает контраст между геометрическими четкими мотивами и свободными живописными растительными элементами и плетениями, чем достигается большой художественный эффект. С другой стороны, многообразие примененных комплексов связывается в единое целое набором несколь-

¹¹ См., например: Г. Ломтатидзе, Некрополь II в. н. э. в Кдеести, Тб., 1957; Л. Рчеулишвили, Три неизвестных памятника грузинской архитектуры, — АГ, т. II, 1948; Р. Шмерлинг, А. Кравченко, Грузинской архитектурный орнамент, Тб., 1954, стр. 27—28, 33—34, 49, 52—53, 55—56, 59—60, 67, 74.



ких мотивов, нанесенных на все детали. Это — шевроны, витые шнуры, лучистый треугольник, ланцетный лист. Многократно повторяющийся лейтмотив не является при этом какой-то догмой со стандартным решением. В каждом отдельном случае учитывается размер, место и значимость детали, в соответствии с чем лейтмотив получает новую трактовку.

Наблюдения показали, что резьба некоторых образцов не закончена, причем оставлена на разных этапах работы. Незавершенность могла явиться только результатом не совсем обычных условий. Ее можно объяснить внезапным оставлением работы резчиками. Трудно теперь сказать, какая именно причина заставила прервать строительство. Ничего не могли ответить на это и местные жители. Для нас сейчас не так важна даже причина, как сама незаконченность детали, позволяющие увидеть вспомогательные методы работы и первоначальные стадии выполнения резьбы. Кроме того, четкие сопряжения рисунка двух смежных деталей, хорошо заметные на незаконченных образцах, показывают, что резчик производил разбивку орнамента на плоскостях предварительно собранной конструкции. Интересно, что подобная культура резьбы отмечена в средневековых дверях Чукули, Аци, Лашес-Вани¹².

Анализ следов инструментов позволил не только восстановить инструменты, которыми производилась резьба, но и воссоздать последовательность процесса резания.

Весь процесс делится на три последовательные стадии, на каждой из которых резчик пользовался определенным набором инструментов: инструментами, подготавливающими поверхность к резьбе, инструментами режущими и отделяющими.

Подготовка поверхности древесины к резьбе начиналась с выравнивания плоскостей. Для этой цели служили скребки — «хвечи». Затем выполнялась разметка узора. Разметка производилась шилом — «саджиси» и циркулем — «паргали» с режущим концом. Рисунок наносился на всю обрабатываемую поверхность сразу без всякого трафарета. Точность рисунка говорит о высокой культуре резчиков.

Фрагменты незаконченной резьбы Чикунети дают возможность проследить построение на этом этапе ряда мотивов, например, на стволе К—10 построение борджгал и концентрических окружностей, на капителе К—2 «а» построение стеблей и розеток, на К—11 разметку стеблей и листьев; на этой колонне хорошо заметны центры окружностей при построении сопряжений стебля, а также центры с дугами, служащими контурами листьев (рис. 8).

Сохранился и последующий этап вспомогательных работ: на ряде фрагментов контурные линии закреплены керном — «чхапи» в виде ряда выбитых точек на небольшом расстоянии одна от другой.

Второй основной этап резьбы в виде врезов произведен при помощи набора стамесок — «пиртхели» с лезвиями соответствующих размеров и профилей. Резьба К—11, оставшаяся частично незаконченной на этом этапе, убеждает в том, что мастер резал не всю поверхность одновременно, а небольшими участками, доводя ее до полной готовности с чистой выборкой древесины в глубине выемок.

Если без первой и второй стадии вообще немислим процесс резьбы, то третья стадия — отделка, хотя и не являлась в Чикунети обязательной, усиливала выразительность резьбы. Инструментом для отдел-

¹² Н. Чубинашвили, Грузинская средневековая художественная резьба по дереву, Тб., 1958, стр. 78.



ки служил чекан. Это ударный инструмент в виде металлического стержня, на одном конце которого сделан штамп с рельефным рисунком. От удара по чекану на поверхности дерева остались оттиски штампа. Форма отдельных штампов в виде ряда точечных квадратов с углублениями 4×4 сохранилась на стене в лоджии, а чеканом в виде точечной сетки обработан фон рельефных орнаментов.

Образцы резьбы по дереву и чеканной пластики средневековой Грузии сохранили форму штампов, где они использовались и в качестве орнамента, и в качестве насечки фона, обогащая художественную пластику изделия.

Следы насечки представляют большой интерес, т. к. рисунок штампа является своеобразным клеймом мастера. Подобные знаки в древней Грузии имели и гончары и каменотесы.

В Чикунети печать высокоразвитой школы резьбы по дереву лежит на разнообразии приемов резьбы слабого, среднего и сильного пластического звучания — от контурной в виде мелких порезок или желобков, напоминая по технической манере принципы гравировки, до глубокой объемной резьбы подбалок, от глухой выемчатой резьбы до сквозной резьбы на ограждениях и кюрс.

В свою очередь глухая выемчатая резьба выполняется в нескольких видах: в виде трехгранно-выемчатой бесфоновой резьбы и рельефной резьбы со снятием фона, а выемчатая резьба — в виде пропиловочной и объемно-прорезной.

Контраст, основанный на разнообразии типов резьбы, создает непрерывную смену впечатлений, усиливая воздействие ее на человека.

Приемы контраста использованы в Чикунети широко. Кроме отмеченных, острые контрастные отношения созданы между частями деталей, покрытых резьбой и гладкими частями, оставленными без резьбы. Резные части в сочетании с гладкими участками заставляют с особой свежестью воспринимать и орнаментацию и благородную чистоту отесанного дерева.

В целях усиления выразительности резьбы вводятся противопоставления движений орнаментальных композиций. Так, например, на колоннах по контрасту усиливают друг друга быстрые ритмы вертикальных композиций и частые ритмы горизонтальных поясов.

Следует заключить, что резьба Чикунети сочетает в себе как раз столько различных приемов, сколько необходимо для полного раскрытия художественного содержания. Чувству меры способствует то, что все приемы проникнуты общей чертой — они не допускают никаких излишеств, ибо в ходе исторического развития в народном искусстве выживает лишь то, что наиболее разумно, целесообразно и экономично.

Наличие на территории Аджарии такого памятника как Чикунети свидетельствует о существовании здесь в прошлом отличной школы резного дерева, достойной занять свое место среди других произведений искусства Грузии.

СОКРАЩЕНИЯ

- AG — «Ars Georgica», Тб.
 АН — «Архитектурное наследие», М.
 ДС — «Доклады и сообщения Исторического факультета МГУ», М.
 ЖМНП — «Журнал Министерства народного просвещения», СПб.
 ИАНК — «Известия Академии наук Казахской ССР», Серия архитектурная, Алма-Ата.
 ИРАИМК — «Известия Российской Академии истории материальной культуры», Л.
 МАК — «Материалы по археологии Кавказа», М.
 МЭ — «Материалы по этнографии», Этнографический отдел Государственного Русского музея, Л.
 СЭ — «Советская этнография», М.
 ТОВ — «Труды отдела Востока», Государственный Эрмитаж, Л.
 ТРАГФ — «Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии», СПб.
 ТСА — «Труды секции археологии», Института археологии и искусствознания, М.
 ЭО — «Этнографическое обозрение», М.
-



საინტერესო გამოკვლევა

მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან
XVI—XVII სს., თბილისი, გამომც. „მეცნიერება“, 1971, 358 გვ.

„უბრალო შემთხვევითობანი, როგორც, მაგალითად ბარბაროსული ხალხების შესვვა, ჩვეულებრივი ომებიც კი, საკმარისია, რათა განვითარებული საწარმოო ძალებისა და მოთხოვნილებების მქონე რომელიმე ქვეყანა იქამდე მივიდეს, რომ იძულებული გახდეს ყველაფერი ეკლავ თავიდან დაიწყოს“, — აღნიშნავდნენ მარქსისთვის კლასიკოსები!

საქართველო თავისუფლად შეიძლება ამ ტიპის ქვეყნების კლასიკურ ნიმუშად ჩავთვალოთ. ისტორიული საქართველო იმ გამოჩენილი ქვეყანათა რიცხვს ეკუთვნის, რომელთა ცხოვრებაში საგარეო ფაქტორმა გადაწყვეტი რილი შეასრულა. ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ ქართველი მემატიანეები და ისტორიკოსები განსაკუთრებით გვიანფორდალური ხანის აღწერისას, საოცარი ერთსულოვნებით აღგანან თბრობის ერთიან გეზს — ქართველი ხალხის ბრძოლას მამადაიანების გარემოცვის წინააღმდეგ, როგორც მისი ცხოვრების ორგანო ნაწილს. მათ არ აინტერესებთ ან არ აქცევენ ყურადღებას ხალხის ცხოვრების სხვა მხარეებს — კულტურას, ვაჭრობას, ეკონომიკას, ურთიერთობას ევროპასთან თუ რუსეთთან და სხვადასხვა.

ეს გარემოება თავისთავად მოითხოვს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას, რასაც, სამწუხაროდ, ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია ჭეორონად არ აკეთებდა. საჭირო კი იყო „ქართლის ცხოვრების“ ცნობების ცალმხრივი გველენისაგან თავის დაცევა და უცხოური წყაროებისა და ლიტერატურის სერიოზული მოშელოება; საჭირო იყო საკითხის ორმხრივი, ობიექტური შესწავლა და გამოქეება, რასაც თავის დროზე მოითხოვდა აკად. ნ. ბერძენიშვილი; საჭირო იყო გარკვეული სპეციალიზაცია (ეკლავ ქვეყნების მიხედვით) უცხო

სახელმწიფოებთან ურთიერთობის შესწავლას თვალსაზრისით. ამგვარი აუცილებელი წინააღმდეგობის შემდეგ ასეთ სპეციალისტ-მკვლევართა ძალ-ღონით შესაძლებელი გახდება საქართველოს საგარეო პოლიტიკისა თუ დიპლომატიის მეცნიერულად გამართული ისტორია აღდგენა.

სწორედ ამ სპეციალიზაციის შედეგს წარმოადგენს მიხეილ სვანიძის გამოკვლევა — საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს., რომელიც „განათლებელმა“ გამოსცა 1971 წელს. ეს ნაშრომი შედეგად ავტორის მრავალწლიანი და ნაყოფიერი შრომისა და სერიოზული წვლილია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიის შესწავლაში.

გამოკვლევის პირველი თავი ეძლეება ქართლისა და ლიტერატურის მიმოხილვას. უმართლებული არ იქნება ამ თავის მიზნების ქართულ, რუსულ, თურქულ, სპარსულ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, იტალიურ წყაროებსა და ლიტერატურას. ეს თავი არ არის მხოლოდ ბიბლიოგრაფიული დანამატი შრომისა. ამ მასალის კვლევა-შეჭერების დიდი მთელი გამოკვლევის აზის და სწორედ ამის შედეგად რომ ავტორი მრავალ საკითხს ახლებურად სვამს, მრავალ თარიღს ასწორებს, ისტორიული პირთა ვინაობა-სადაურობას აზუსტებს, ბევრ საყურადღებო დასკვნას ვეთავაზობს.

რათა უკეთ წარმოვიდგინოთ მ. სვანიძის შრომის აგებულება, გადავხედოთ სარჩევანს:

თავი II — საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI საუკუნის პირველ ნახევარში, ორი ქვეთავით — „გურჯისტანის საკითხი“ ოსმალეთ-ირანის ომის დროს XVI ს. პირველ ნახევარში და ამასიის 1555 წლის ზავი და, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო. თავი III — 1578—1590 წწ. ირან-ოსმალეთის ომის

1 კ. მარქსი და ფ. ენგელსი (გერმანული იდეოლოგიიდან), სახელგამი, 1943, გვ. 66.

და საქართველო, ქვეთავებით: ლალა მუსტაფა ფაშის ლაშქრობა ამიერკავკასიაში, ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს დაარსება, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. თავი IV — ოსმალეთი და საქართველო XVI—XVII სს. მიჯნაზე, ქვეთავებია: ოსმალეთი XVI—XVII სს. მიჯნაზე, საქართველო XVI—XVII სს. მიჯნაზე, სამცხე-საათაბაგოს აღმინისტრაციული დაყოფა და სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავითის“ მიხედვით, ანტიოსმალური კოალიციის შექმნა. თავი V — საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობა XVII საუკუნის პირველ მე-სამედში, კერძოდ: 1603—1612 წწ. ირან-ოსმალეთის ომი და საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობა, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობა საქართველოში შაჰ-აბასის ლაშქრობის დროს. უკანასკნელი, VI თავია — ოსმალეთი და სამცხე-საათაბაგო XVII ს. პირველ ნახევარში, სდაც განხილულია საკითხები: ოსმალეთის ბრძოლა სამცხე-საათაბაგოში ვაბატონებისათვის, სამცხე-საათაბაგოს ფეოდალური სამთავროს გაუქმება, ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს პოლიტიკური ორგანიზაცია.

წარმოი მთავრდება რუსული და ფრანგული რეზიუმეებით და საძიებლებით.

ერთი თვალის გადავლებითაც შეიძლება დარწმუნება, რომ ავტორის კვლევის ცენტრში სამცხე-საათაბაგოს ბედი დასვენას. საქართველოს ამ ბედკრული კუთხის ისტორია მანამდეც ყოფილა ძიების საგანი (დ. ბაქრაძე, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჭიჭია, ვ. გაბაშვილი, გ. ტიციანი, ვ. ჩოჩიანი, ა. ავალიანი, ნ. შენგელია და სხვები). მაგრამ მ. სვანიძის წყალბობით ქართულმა ისტორიოგრაფიამ მიიღო საქართველოდან სამცხე-საათაბაგოს მოწყვეტის მეცნიერულად გამართული ისტორია. თანაც ეს ისტორია დაწერილია არა ოზოლირებულად, არამედ მასშტაბურად, წინა აზიისა და ევროპის საერთაშორისო ურთიერთობათა ფონზე, რაც საგარეო-პოლიტიკური პრობლემების კვლევის ერთადერთი სწორი მეთოდია.

მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ სატყევიწი შრომის ავტორი იფიქრებს საქართველოს სხვა მიწებს ან სხვა საკითხებს.

როგორც ცნობილია, XV—XVIII საუკუნეებში ქართველი ხალხის გამათავისუფლებელი ბრძოლა ძირითადად ოსმალეთისა და ირანის აგრესიის წინააღმდეგ იყო მიმართული. XVI საუკუნეში (განსაკუთრებით მერვე ნახევარში ამ საუკუნისა) მთავარი საფრთხე სწორედ ოსმალთა მხრიდან მოელოდათ ქართველებს. თავდაცვითი ბრძოლაც შესაბამისად ოსმალთა წი-

ნააღმდეგ წარიმართა. ავტორი დაწვრილებით იკვლევს ამ ბრძოლის პერიპეტებს, ხელის შეწყობსა და შემშლელ პირობებს. იგი განიხილავს ცალკეულ მეფე-მთავართა პოზიციებს და ასე აერთიანებს მათ: „ამიერკავკასიის ხალხები თუ მეფე-გამგებლები, რომლებიც ოსმალთა ბატონობის ქვეშ მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ნებით თუ უნებლიედ ისინიც ირანის მოკავშირეებად იქცნენ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამ გზით ცდილობდნენ ოსმალთა უღლისაგან თავის დაღწევას“ (231).

მაგრამ ეს სამართლიანი დასკვნა ცალმხრივი იქნებოდა, ავტორს რომ გამოჩინოდა ქართველი მეფეების მრავალმხრივი დიპლომატიური მოღვაწეობა — მათ ხომ მოკავშირეების ეგებნაში არ გამოჩინებოდა არც ერთი რეალური ძალა — ევროპა, რუსეთი, კათოლიკური ეკლესია. ეს მრავალმხრივობა კი მათი დიდი დიპლომატიური ნიჭის დადასტურებაა, ნიჭისა, რომლის გარეშე ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები ვერ შეძლებდნენ „ქართველობის“ გადარჩენას.

მ. სვანიძე დაწვრილებით და გულდასმით იკვლევს ამ დიპლომატიური ჭიდილის ისტორიას, ხსნის წარმატებებისა და წარუმატებლობის მიზეზებს.

ავტორი ხაზს უსვამს ქრისტიანული ეკლესიის მნიშვნელობას ქართველი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლაში. „იმ ეპოქაში, — წერს მ. სვანიძე, — ფაქტიურად ქრისტიანობის დაცვა ნიშნავდა ქართული სოციალ-პოლიტიკური წყობილების დაცვასაც“ (94). უაღრესად სამართლიანი დასკვნაა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ზოგიერთი მკვლევარი არ იზიარებს ამ აზრს და ჭეროვნად არ აფასებს ქართული ეკლესიის როლს „ქართველობის“ გადარჩენის საქმეში. მათ კიდევ ერთხელ უნდა გაავსენოთ აკად. ნ. ბერძენიშვილის სიტყვები: „იღაურ-პოლიტიკურად ფეოდალური საქართველოს ცივილიზაცია სამ სვეტს ემყარებოდა — სახარებას, „გვეფხისტყაოსანსა“ და „ქართლის ცხოვრებას““².

შემთხვევითი არ იყო, რომ დაპყრობილ სამცხე-საათაბაგოში ოსმალეთის ხელისუფლებამ პირველ რიგში ქრისტიანობას შეუტია. არც ის იყო შემთხვევითი, რომ რწმენას უპირველესად თავადაზნაურობამ უღალატა. გლეხობა კი, „სწორედ გლეხობა ინარჩუნებდა იქ საუკუნეთა მანძილზე ქრისტიანულ სარწმუნოებას. გლეხებს შორის მანძილიანობა მეტად ნელა იკიდებდა ფეხს. გლეხობა მტკიცედ ინახავდა ეროვ-



ნულ კულტურას, მშობლიურ ენას, ზნე-ჩვეულებებს, ნაციონალურ ტრადიციებს“ (323).

ავტორის ყურადღებას არც ომების სტრატეგიულ-ტექნიკური მხარე გამოპარვია. მკითხველს შეუძლია მიახლოებით მაინც წარმოიდგინოს მეომარ მხარეთა შესაძლებლობანი, სარდლობა თუ ბრძოლისუნარიანობა (მაგალითისთვის საემარისია ირენის ციხის აღება შაჰ-აბასის მიერ 1604 წელს ან მანუჩარ ათაბაგის ღალატით შეპყრობის ცდა). ნაშრომის ეს ღირსება მას საინტერესოს ხდის და მკითხველი სიამოვნებით გადაფურცლავს ამ არც თუ ისე პატარა წიგნს.

გამოკვლევა თავისი ხასიათით თითქოს არ მოითხოვდა ისეთი საკითხის გარჩევასაც, როგორც „ოსმალზაციის“ მეთოდებია. მაგრამ მ. სვანიძემ — სავსებით მართებულად — ამის გაკეთებაც ჩათვალა საჭიროდ. სამცხე-საათაბაგოს ოსმალზაციას ეძღვნება გამოკვლევის უკანასკნელი ნაწილი. ქართველი მკითხველი, განსაკუთრებით არასპეციალისტი, დიდი ინტერესით წაიკითხავს წიგნის ამ ნაწილსაც.

ნაშრომი ფაქტურად მთავრდება XVII ს. პირველი მესამედით: „1628 წელს საფარ-ფაშის ჩილდირის (ახალციხის) ბეგლარბეგად დანიშვნით ოსმალეთმა, ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ, მოსოხ სამცხეში ათაბაგის სახით შემორჩენილი ადგილობრივი ხელისუფლება. ქართველი ხალხის ბრძოლა სამცხიდან ოსმალების განდევნისა და აქ ათაბაგის ხელისუფლების აღდგენისათვის მარცხით დამთავრდა“ (304).

ჩვენი შენიშვნებიც ნაშრომის მიმართ აქედან იწყება.

გავისვენოთ ნაშრომის სათაური — „საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეებში“. ეს სათაური არ არის ზუსტი შემდეგი მოსაზრების გამო.

ა) გამოკვლევაში თითქმის არაფერია ნათქვამი დასავლეთ საქართველოზე — განსაკუთრებით XVII ს. პირველ ნახევარზე, ლევან II დადიანის ხანაზე. ცნობილია, რომ ამ მოთაერს, რომელმაც თითქმის მთელს დასავლეთ საქართველოში მოახერხა ვაბატონება, უაღრესად დამოუკიდებლად — ყოველ შემთხვევაში, თავისებურად — ეჭირა თავი ოსმალეთთან ურთიერთობაში. მეორე მხრით, ყველაზე ნაკლებად საქართველოს საგარეო პოლიტიკის ეს მხარეა შესწავლილი. სამწუხაროდ, მ. სვანიძემაც თავი აარიდა მას. რასაკვირველია, წყა-

როების სიმცირე დიდ გავლენას უქონდა მკვლევრებზე და ხშირად აიძულებს მათ ხელს აიღონ ამა თუ იმ საკითხის კვლევისაგან. მაგრამ მ. სვანიძის განკარგულებაში იმდენად ფართო და მრავალფეროვანი წყაროებია, რომ მოლოდინსინანულით უნდა აღინიშნოს მათი გამოუყენებლობა დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკვლევად.

ბ) კვლევა მოტანილია XVII საუკუნის პირველ მესამედამდე. ეს სათაურშიც უნდა ასახულიყო.

ალბათ, ამ შენიშვნის ასაცილებლად ავტორი მოიშველიებს მეტად მოქნილ სიტყვას — „ისტორიიდან“...

როგორც ზემოთ აღინიშნა, ავტორი ბევრ თარიღსა თუ პიროვნების ვინაობას აზუსტებს და, უმრავლეს შემთხვევაში, წარმატებითაც. მაგრამ ხანდახან ზომიერების გრძნობა დღატობს. მიემართოთ მაგალითებს.

ა) „გ. ჟორდანაის ვარაუდით, — წერს ავტორი, — შაჰ-აბასის საქართველოში პირველი ლაშქრობა დაიწყო არა უგვიანეს 1614 წლის ივნისისა და გრძელდებოდა 3—4 თვეს, ამავე წლის ნოემბრამდე, ხოლო ნ. ნაკაშიძის მტკიცებით, შაჰ-აბასის შემოსევა საქართველოში 1614 წლის გაზაფხულზე მოხდა“ (257).

მ. სვანიძე არ იზიარებს ამ მტკიცებებს და თვლის, რომ „შაჰის საქართველოში პირველ ლაშქრობა 1613 წლის შემოდგომაზე მოხდა“ (259) და შესაბამის საბუთიანობასაც მიმართავს.

რასაკვირველია, გ. ჟორდანაიც და ნ. ნაკაშიძეც დამარწმუნებელი საბუთიანობის გარეშე არ წამოაყენებდნენ თავის მოსაზრებებს. ამ საბუთიანობის გამეორება ზედმეტად მიმანჩნა. ამ ავტორების აზრი ასეთია:

შაჰ-აბასი საქართველოში სალაშქროდ გამოემართა 1613 წლის შემოდგომაზე, ხმა გაავრცელა, რომ ოსმალეთთან საომრად მიდიოდა სულთანის ეს ელჩი გაუგზავნა და საქმის ვითარება აღუწყო. თეიმურაზ კახთა მეფეს მიქველდ შვილი მოსთხოვა. თეიმურაზმა უმცროსი ვაჟი და დედა, ქეთევან დედოფალი გაუგზავნა. შაჰმა იუკადრისა უმცროსის გაგზავნა და უფროსი მოითხოვა. თეიმურაზი დემორჩილია. ახლა შაჰმა თვით თეიმურაზს მოუხმო. თეიმურაზი მიხვდა შაჰის ნამდვილ განზრახვას და საომრად მზადება დაიწყო.

3 გ. ჟორდანაია, ქართული აბრეშუმის კულტურის განადგურების ერთი ცდის შესახებ, „ცისკარი“, 1963, № 5;

შაპი ნელა მოდიოდა — ჯერ არდებილში შეჩერდა, შემდეგ ყარაბაღში, ბოლოს კი განჯაში, საიდანაც კახეთისაკენ წამოვიდა. ადრიან გახაფულზე (თუ ბ. ეგნატაშვილს დავუჭერებთ, ინვარაშიც კი) იგი კახეთში შემოიჭრა, შემდეგ ქართლში გადმოვიდა, მეფე ლუარსაბი მზავალი ცდის შემდეგ იმერეთიდან გამოიტყუა და ნოემბერში უკან გაემართა. ასე, რომ ლაშქრობა ერთ წელიწადს გრძელდებოდა.

სავსებით გამართული და ლოგიკური სურათია, თუ მხედველობაში მივიღებთ უზარმაზარი ლაშქრის მოძრაობის ტემპს და დავიჯერებთ ზემოთ მოტანილ ფაქტებს. მ. სვანიძე კი არ ითვალისწინებს ამას და ამტკიცებს, რომ ლაშქრობის დასაწყისს 1613 წლის ოქტომბრით ათარიღებენო არაქელ თავრიშელი, ისკანდერ მეში და კარმელტები, რომ შაჰის ელჩი სტამბულში 1613 წლის ბოლოს ჩასულა, რომ ლუარსაბ მეფე ყაენს 1613(?) წლის აგვისტოში ხლებია...

ეს საბუთები (რომლებიც სხვათა შორის, არ იყო უცნობი ზემოხსენებული ავტორებისთვისაც) არ უარყოფენ ლაშქრობის ზემოაღწერილ სურათს, მაგრამ მიუღებელს ხდიან თვით მ. სვანიძის დასკვნას, რომ ლაშქრობა 1613 წლის შემოდგომაზე დაწყებულია და დამთავრებულია.

ბუნებრივია, რომ ავტორი წინააღმდეგობაშიც ვარდება: 256-ე გვერდზე წერს, რომ „შაჰ-აბასმა საქართველოში ლაშქრობის წინ ისმაილის დიდ ვეზირთან ნასულ-ფაშასთან გაგზავნა ელჩი მუჰამედ-ბეგ თალეში, რათა მისთვის საქართველოში ლაშქრობის „ნამდვილი მიზანი ეცნობებინა“.

259-ე გვერდზე კი ამბობს: „1613 წლის ბოლოს სტამბოლში საქართველოსა და ირანის ელჩების ჩასვლას წინ უსწრებდა შაჰის ლაშქრობა საქართველოში“.

ბ) ავტორი ეხება სტამბოლში რუსეთის ელჩს დ. ისენიევის დაბატონების ფაქტს და გამოთქვამს ვარაუდს (ჰამერზე დაყრდნობით) რომ დაბატონების მიზეზი იყო ის, რომ „ისლენეს დავალებული ჰქონდა სპარსეთის ელჩთან ერთად საქართველოში ჩასვლა, სადაც ერთმანეთისათვის(?) უნდა შეერიგებინათ სიმონი და ალექსანდრე და შეეკრათ კავშირი ოსმალების წინააღმდეგ...“

ჩანს ამ დროს რუსეთის დიპლომატები იმდენად იყვნენ გატაცებულნი ამ გეგმით, რომ სტამბოლში მყოფმა რუსეთის ელჩმა გადა-

წყვიტა(!) ალექსანდრე კახთა მეფისა და სიმონ მეფის შერიგების საქმეში შუამავლად გამოსვლა“ (212—217).

ეს ვარაუდი უსაფუძვლო ჩანს, რადგან ისლენევისადმი მიცემული „ნაკაზი“ (ინსტრუქცია), რომელსაც ავტორი იცნობს, არაფერს მსგავსს არ გულისხმობს. ამდენად, კატეგორიულად გამორიცხულია, რომ რუსეთის ელჩმა „გადაწყვიტა“ რაიმე. მოსკოვის სახელმწიფოს დიპლომატიურ პრაქტიკაში ეს უპრეცედენტო და წარმოუდგენელი ფაქტია. ავტორისათვის, ალბათ, ცნობილია, რა მოსდევდა „ნაკაზიდან“ გადახვევას ან მისი თუნდაც ერთი სიტყვის შესრულებლობას.

გ) მ. სვანიძე ეხება სიაუშ სააკაძის (გიორგის მამის) ვინაობას და არ ეთანხმება გ. ჯამბურის ვარაუდს, რომ სიაუში, რომელიც წყაროებში მოურავად იხსენიება, თბილისის მოურავი უნდა ყოფილიყო. ამით გიორგის მოურავობაც ლოგიკური ჩანს. მ. სვანიძის აზრით, რადგან თბილისი 1606 წლამდე თურქებს ეჭირათ, სიაუში ვერ იქნებოდა მისი მოურავი. ის სიმონ მეფის მოურავი უნდა ყოფილიყო.

ჯერ ერთი, მეფის მოურავობა ახალი ტერმინი ჩანს ქართულ ისტორიოგრაფიაში. მეორეც, თურქების ყოფნა თბილისის ციხეში აბსოლუტურად არ გამორიცხავს, რომ სიაუშს (ან სხვას) ქალაქის მოურავის წოდება ეტარებინა. ბ) არ არის სწორი, თითქოს ისმაილის 1587 წლის სამხედრო წარმატებებმა განაპირობეს კახეთ-მოსკოვის 1587 წლის ხელშეკრულება. სხვა საკითხია, რომ კახეთ-მოსკოვის კავშირი ანტიოსმალურ (და შესაბამისად ანტიშაჰსულტურ) ხასიათს ატარებდა. იგი ოსმალთა ამ კონკრეტული წარმატებების გარეშეც დაიდებოდა...

მ. სვანიძის გამოკვლევა დიდი გულისყურით არის დაწერილ-დაბეჭდილი (ერთი კია, რომ რუსი სარდლის გვარი ხეოროსტინი კი არ არის, როგორც ავტორი გვარწმუნებს არაერთგზის, არამედ ხეოროსტინინი). „ნაშრომი წარმოადგენს პირველ ცდას XVI—XVII საუკუნეების საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის მონოგრაფიულად შესწავლისა“, — წერს წესდევანში ავტორი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ცდა წარმატებით არის დაგვირგვინებული.

ნოდარ ნაპაშვიძე

ეთნოგრაფიული გამოკვლევა ტყიბულის მემხატმთა შმსახსჲ

2. ჯავახიშვილი, ტყიბულის მემხატმთა ყოფა და კულტურა,
თბილისი, ზაგომი. „მეცნიერება“, 1971

დასახელებულ ნაშრომში შესწავლილია ტყიბულის მემხატმთა საწარმოო კადრის ჩამოყალიბების ისტორიული პროცესი, მასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიური მოვლენები და ტყიბულის მადაროელთა საწარმოო, საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფის ეთნოგრაფიული თავისებურებანი როგორც ძველად, ისე დღევანდელ ვითარებაში. ავტორის ამ მიზანდასახულებას კარგად უპასუხებს ნაშრომის აგებულება, განსახილველი საკითხების წრე, კვლევა-ძიების თანმიმდევრობა და განსაზოგადებელი დასკვნები.

ნაშრომი დამყარებულია ავტორის მიერ 1961—1965 წწ. საკვლევი რაიონში მოპოვებულ მდიდარ ეთნოგრაფიულ მასალაზე, აგრეთვე მის მიერვე საქართველოს სხვა სამრეწველო რაიონებში (ქუთაისი, რუსთავი, კასპი, ფოთი, ზესტაფონი და სხვ.) დამოწმებულ შესაბამის მონაცემებზე. გარდა ამ ძირითადი მასალის მონოგრაფიაში გამოყენებულია ტყიბულის მემხატმთა ყოფაცხოვრებაზე კონკრეტული სოციოლოგიური დაკვირვების ზოგიერთი შედეგი, ზოგადი და სპეციალური ლიტერატურა, საარქივო და სხვა წერილობითი წყაროები.

მონოგრაფია შედგება შესავლისა და სამი ძირითადი თავისაგან, დართული აქვს რეზუმე რუსულ ენაზე, ბოლოსიტყვა და ილუსტრაციები (ტექსტში).

შესავალში მოცემულია მოკლე ისტორიო-გრაფიული ცნობა საბჭოთა კავშირში, კერძოდ კი საქართველოში მუშათა კლასის ყოფისა და კულტურის შესწავლის ვითარებასა და შედეგებზე, საუბარია შრომის მიზანსა და ამოცანებზე, საკვლევაძიებო მეთოდზე. იქვე დახასიათებულია ოკრიბისა და მასში შემავალი სოფლების (ტყიბულის ჩათვლით) გეოგრაფიული გარემო და მეურნეობის ტრადიციული ფორმები, შინამრეწველობის სპეციფიკური სახეები, საშოვარზე სიარული და მოკლედ მოხაზული ქვანახშირის მრეწველობის განვითარების ისტორიის ზოგადი სურათი საქართველოში. წიგნის I, II და III თავებში შესაბამისად განხილულია ტყიბულის მემხატმთა საწარმოო, საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფა და გზადაგზა კულტურის მთავარი საკითხები.

ქართველი ხალხის თანამედროვე ყოფისა და კულტურის შესწავლას ერთ-ერთი მთავარი ადგილი უყავია ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის საკვლევაძიებო თემატიკაში. განსაკუთრებით

ინტენსიურად გაიშალა ამ მიმართულებით მუშაობა დიდი სამამულო ომის მომდევნო პერიოდში, როცა დაიწერა და გამოქვეყნდა არაერთი საყურადღებო გამოკვლევა კოლმეურნე გლეხობისა და მრეწველობის მუშების ახალი ყოფისა და კულტურის საკითხებზე. ქართველ ეთნოგრაფთა უფროსი თაობის ეს გამოკვლევები კარგადაა ცნობილი ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებრიობისა და მკითხველთა ფართო წრისათვის როგორც რესპუბლიკის, ისე კავშირის მასშტაბით. გ. ჯავახიშვილის ნაშრომი მნიშვნელოვნად ავსებს ქართველ ეთნოგრაფთა ამ აღიარებულ წვლილს საბჭოთა ეთნოგრაფიაში.

შრომის პოზიტიურ ნაწილში ავტორის მთავარ დამსახურებად ჩვენ მიგვაჩნია ის, რომ მან შეძლო მის მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის ისტორიული წყაროს დონეზე აეყვანა და მის საფუძველზე შექმნა ორიგინალური მეცნიერული გამოკვლევა: ამასთან, ტყიბულის მემხატმთა ძველი და ახალი ყოფისა და კულტურის საკითხები მათ მთლიანობას და ეთნიკურ სპეციფიკაში განიხილა კონკრეტულად ეთნოგრაფის პოზიციებიდან და მნიშვნელოვანი შედეგებიც მოიპოვა.

ასეთი მიდგომით ეთნოგრაფიული მასალისა და წერილობითი წყაროების საფუძველზე მკვლევარმა აღადგინა და გვიჩვენა ტყიბულის მლარეობის მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა საწარმოო კადრის ჩამოყალიბების ისტორიის მთავარი ეტაპები და ფართო შესადარებელი მონაცემების ანალიზის შედეგად დაასაბულო რომ ამ კადრის ფორმირების ისტორიული პროცესი, ისევე როგორც საქართველოს სხვა სამრეწველო ცენტრებში (ზოგიერთი გამოხატვისის გარდა) უმთავრესად ადგილობრივი, სოფლის მოსახლეობის ხარჯზე მიმდინარეობდა.

ტყიბულის მემხატმთა ძველი და ახალი საწარმოო ყოფის შედარებისას მონოგრაფიის მრავალი საგულისხმო მონაცემი მოტივილას, მაგალითად, დადგენილია, რომ ქვანახშირის მოპოვება ტყიბულში თავდაპირველად, კარიერული წესით წარმოებდა და დაბალი ტექნიკითა და დაბალი შრომის ნაყოფიერებით ხასიათდებოდა. ამასთან, ქვანახშირის წარმოების ხედვლითი წონა ძველ საქართველოს სამთამადნო მრეწველობაში უმნიშვნელო იყო და საკრძნობი ვაგუნეა ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო ყოფაზე არ ჰქონია. მემხატმთა ადგილობრივი კადრი მაშინდელი სო-

ფლი ტყიბულსა და მახლობელი სოფლების სწორვარზე სეზონურად გასული გლეხებისაგან შედგებოდა. პროფესიული მემშახტეები კი რუსი, ფრანგი, იტალიელი, ბერძენი და სხვა მუშები და სპეციალისტები ყოფილან. შემდგომში ქვანახშირის წარმოების ხედვითი წონის ზრდასა და ადგილობრივი კვალიფიციური საწარმოო კადრის — მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსთა ძირითადი კადრის ჩამოყალიბების პროცესში ეს შეფარდება თანდათანობით ადგილობრივი კადრის სასარგებლოდ შეცვლილა.

ნაშრომში კონკრეტული მონაცემების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ საბჭოთა საქართველოში ინდუსტრიალიზაციის პერიოდში ქვანახშირის წარმოებაში ახალი სამთამადნო ტექნიკის, შრომის პროცესების მექანიზაციის, ავტომატიზაციისა და რაციონალიზაციის დახურვა საფუძვლად დაედო მრეწველობის ამ დარგის სოციალისტურ რეკონსტრუქციას. ყოველივე ამას შედეგად მოყვა რადიკალური ცვლილებები ტყიბულის მოსახლეობის ეკონომიკაში, მემშახტეთა ყოფისა და კულტურაში (სოფლური და დაბური დასახლების ქალაქური დასახლებით შეცვლა, ახალი მუშური ოჯახების ჩამოყალიბება, განათლებული მუშა ახალგაზრდობის წარმოებაში ჩაბმა და სხვ.), რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ტყიბულის მემშახტეთა კვალიფიციური საწარმოო კადრის თვისობრივ შემადგენლობაზე. თავის მხრივ ტყიბულის მუშა ახალგაზრდობა კეთილმოყვულ გავლენას ახდენს სოფლიდან ტყაბულის წარმოებაში მოსულ ახალგაზრდობაზე, რომელსაც ქვანახშირის წარმოებაში ეკონომიური დაინტერესების გარდა პროფესიის დაეწევა და კვალიფიციაციის ამაღლების პერსპექტივა იზიდავდა.

საინტერესო მაგალითებია მოტანილი მონოგრაფიაში ქართულ მემშახტეთა და ტყიბულში მემშახტეების რუსი და უკრაინულ მალაროელთა მგობრობაზე, ზოგიერთი ეროვნული ჩვევისა და ტრადიციის ურთიერთმოდებაზე. შრომის მწიფეში დიდი ყურადღება ეთმობა აგრეთვე ტყიბულის კულტურის, შრომის რაციონალიზაციის და სხვა ისეთ საკითხებს, რაც ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებასთანაა დაკავშირებული.

მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული თავისებურებანი აქვს გამოვლენილი ავტორის ტყიბულის მემშახტეთა საზოგადოებრივი ყოფისა და კულტურის შესწავლის პროცესში. ნაშრომში გარკვეულია თუ სოფლად კაპიტალიზმის შეჭრისა და მასთან დაკავშირებული სოციალ-ეკონომიური მოვლენების შედეგად როგორ შეიცვალა იგივე სოფელი როგორც საზოგადოებრივი ერთეული. ამასთან ორიგინალური მონაცემების

მაგალითზე ნაჩვენებია ისიც თუ ტყიბულსა და მის მახლობელ სოფლებში გლეხურ გარემოებაში როგორ მომდინარებოდა მალაროელთა ოჯახების წარმოქმნის პროცესი, ოჯახების, რომელთა უმრავლესობა დიდი ხნის განმავლობაში არ წყვეტდა კავშირს სოფელთან და სოფლის მეურნეობასთან. ამ ისტორიულ ფონზე განხილულია ტყიბულის მემშახტეთა საწარმოო კადრის ზრდის შემდგომი პროცესი და ტყიბულის მუშების ჩაბმა რევოლუციურ მოძრაობაში, რაც პირველ რიგში გაფიცებასა და პოლიტიკურ გამოსვლებში გამოხატებოდა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ავტორის საყურადღებო დაკვირვება იმაზე, რომ ტყიბულის მუშათა ოჯახების უწყვეტი კავშირი სოფლის მეურნეობასთან მაშინდელ პირობებში ობიექტურად ერთგვარად ხელს უწყობდა მალაროელთა გაფიცვის ხანგრძლივობას იმით, რომ გაფიცულ მუშებს დიდი ხნის განმავლობაში შეეძლოთ ერჩინათ თავი მალაროების გარეშე სოფლის მეურნეობით.

ორიგინალური ეთნოგრაფიული მასალითაა ილუსტრირებული ტყიბულისა და მახლობელი სოფლების მოსახლეობის საზოგადოებრივი ყოფის ძველი ფორმების ტრანსფორმაცია კაპიტალისტურ ხანაში, კერძოდ კი სოფლური დასახლების დაბური დასახლებით შეცვლისა და ქალაქური ყოფისა და კულტურის ჩასახვა-განვითარების პროცესები ტყიბულში.

განსაკუთრებულ ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს შრომის ის ნაწილი, სადაც განხილულია ტყიბულის მალაროების სოციალისტურ რეკონსტრუქციასა, ქვანახშირის წარმოების აღმავლობასა და თანამედროვე საზოგადოებრივი ყოფისთან დაკავშირებული საკითხები. მათ შორის მკვლევარი მთავარ ყურადღებას უთმობს ისეთებს, როგორცაა სოფ. ტყიბულის თანამედროვე ინდუსტრიულ ქალაქად — მალაროელთა ქალაქად გარდაქმნა, საბინაო მშენებლობა და ქალაქის კეთილმოწყობა, მუშათა ოჯახების ზრდა და მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, საშუალო და სპეციალური განათლების ფართო ქსელის შექმნა, ინტელიგენციის ადგილობრივი კადრის ჩამოყალიბება და სხვ. ამ საკითხების კვლევისას გზადაგზა გამოთქმულია კრიტიკული შენიშვნები და სათანადო რეკომენდაციები ზოგიერთი არასასურველი მოვლენის ლიკვიდაციის შესახებ ტყიბულის მალაროებში (შრომის დისციპლინის უხეში დარღვევა, ამორალური საქციელი, მავნე გაღმონაშთები და სხვ.).

ნაშრომის დასკვნით ნაწილში ფართო შესაძარბებელი მასალის ანალიზის საფუძველზე განზოგადებულია ტყიბულის მუშათა თანამედროვე ყოფისა და კულტურაში მომხდარი ცვლი-



ლებები, განხილულია ოჯახური ურთიერთობის ეველი ფორმები, პატარა, ინდივიდუალური ოჯახები და ე. წ. მრავალრიცხოვანი ანუ „დიდი ოჯახები“, მათი როლი ტყიბულის მალაროელთა საწარმოო კადრების ჩამოყალიბებაში, მუშათა ოჯახების წარმოქმნის პირობები და თავისებურებანი და მათთან დაკავშირებული სოციალ-ეკონომიური მოვლენები. ნაჩვენებია, რომ ტყიბულსა და მის მახლობელ სოფლებში მუშათა ოჯახების ზრდა თუმცა წელი ტემპით მიმდინარეობდა, მაგრამ შედარებით მაინც მასობრივ ხასიათს ატარებდა. ამასთან ხაზგასმულია, რომ თავდაპირველად სოფლად მცხოვრებ უფროსი თაობის მუშებს (განსაკუთრებით მათ ცოლებს) ეძნელებოდათ ტრადიციული კავშირის გაწყვეტა სოფელთან, მიწათმოქმედებასთან და კომუნალურ სახლებში ცხოვრებას ამჯობინებდნენ ინდივიდუალურ კარმიდამოიან დასახლებას — ვენახითა და ჯად-ბოსტნით, იმერულ ტიპის ოდა-სახლითა და სამეურნეო ნაგებობებით.

ნაშრომში მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ სოფლური ცხოვრების გავლენიდან მთლად დღესაც არაა თავისუფალი მდაროელთა ერთი ნაწილი, რომელიც ოჯახით სოფელში ცხოვრობს და ტყიბულში მუშაობს. აღსანიშნავია ავტორის დაკვირვება იმაზე, რომ ასეთი ოჯახები ცდილობენ თავიანთ ვაყებს სოფლის გოგონები შერთონ ცოლად იმის შიშით, რომ ოჯახის შემკვიდრემ ქალაქელი ქალი არ ითხოვოს და მშობლის კერა არ მიატოვოს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ავტორის სხვა მნიშვნელოვანი დაკვირვებებიც, ტყიბულის მეშახტეთა საქორწინო ურთიერთობასა და საოჯახო ყოფაში მომხდარ და მიმდინარე ცვლილებებზე, ქალთა შრომის გამოყენების თავისებურებებზე ტყიბულის წარმოებაში, მათ მონაწილეობაზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ როლზე ოჯახში და სხვ.

ასეთია მოკლედ ახალი ყოფისა და კულტურის ეთნოგრაფიულ შესწავლასთან დაკავშირებული საკითხების ის წრე, რომელიც ამ ნაშრომის კვლევა-ძიების მთავარ საგანს შეადგენს და რომელშიც ყველა ამ საკითხმა მერტნაკლებად არგუმენტირებული და დამაჭერებელი მეცნიერული ახსნა ჰპოვა.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შრომაში სველადფერი ერთნაირად მოსაწონი და მისაღებია. ასე, მაგალითად, არ იქნებოდა ურიგო ნაშრომის თითოეული თავი ნუმერაციის გარეშე დასათურებელიც ყოფილიყო, რათა სარჩევის გადახედვისას მკითხველს ადვილად გაეგო თუ რა საკითხზეა შრომის ამათეიმ თავში საუბარი.

სასურველი იყო შრომაში მეტი ადგილი დათმობოდა გიშრის მოპოვების საკითხს ძველ ოჯახში, მით უმეტეს, რომ ამ თემაზე ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში სპეციალური გამოკვლევა მოიპოვება. შეიძლება ამაზე ავტორის ყურადღება არ გაგვემახვილებინა ნაშრომში შინამრეწველობის სხვა დარგებზე რომ უფრო დაწერილებით არ იყოს საუბარი. ჩველი ოჯახის სამეურნეო ყოფის თავისებურებათა თვალსაზრისით გიშრის მოპოვება და დამუშავება (ამ საკითხის სხვა ასპექტებს რომ თავი დაავანებოთ) ერთ-ერთ ისეთ მოვლენად გვჩვენება, რომელსაც არანაკლები კავშირი აქვს საკვლევ თემასთან, ვიდრე, ვთქვათ მქედობას.

ჩვენი აზრით, შესადაარებელი მასალის გამოყენების დროს გამოკვლევაში სპეციალურად უნდა გამახვილებულიყო ყურადღება ტყიბულისა და ახალციხის ქვანახშირის მრეწველის მუშათა საწარმოო კადრის ჩამოყალიბებისა და კულტურის საკითხებზე.

ნაშრომში გვხვდება ზოგი ბუნდოვანი ადგილიც. ასე, მაგალითად, მეტ სიცხადესა და გარკვეულობას საჭიროებს ავტორის მსგევლს საკვლევ რაიონში „ძველი პატრიარქალური ოჯახებისაგან განსხვავებით კაპიტალისტური დროის წარმონაქმნი“ ე. წ. მრავალრიცხოვანი ანუ „დიდი ოჯახების“ შესახებ (გვ. 82—83, რომლებსაც მკვლევრის აზრით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებული როლი შეუსრულებიათ ტყიბულის მეშახტეთა საქორწინო კადრის ჩამოყალიბებაში, მიუხედავად იმისა, რომ იმავე საუკუნის მიწურულში ეს ოჯახები თვითონვე ყოფილან რღვევის პირაპი მისული.

ნაშრომში მოტანილი არგუმენტაცია (მაშრომის სტატისტიკური ცნობები და მხობრებთა გადმოცემები) ჩვენი აზრით, არ მტკიცებულეს ავტორის ამ თეზისის სასარგებლოდ.

შეიძლება კიდევ სხვა რამეც თქმულყო ნაშრომის ხარვეზებზე, მაგრამ ეს მცირეოდენი შენიშვნები სრულებითაც არ ამიწობენ ნაშრომის ღირსებას და რაც მთავარია, ჩვენი აზრით, წიგნში სწორედ არის გავსებული ეთნოგრაფიის ძირითადი ამოცანები მუშათა ასალი ყოფის შესწავლის სფეროში. ამ თვალსაზრისითაც გ. ჭავჭავაძის გამოკვლევა ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ისეთი სერიოზული შენაძენია, რომელიც მნიშვნელოვან ადგილდაიკავებს საქართველოში მუშათა კლასის, ღირებებისა და საერთოდ რესპუბლიკის სამამაღლო მრეწველობის ისტორიისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში.

ირაკლი ანთელავას დაბადების 60 წლისთავი

მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ირაკლი გიორგის ძე ანთელავას შეუსრულდა 60 წელი.

სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა ი. ანთელავამ დაიწყო 1938 წელს აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტსა და სოსუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1956 წლიდან იგი მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც 1957 წლიდან ხელმძღვანელობს ახალი ისტორიის განყოფილებას.

ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობასთან ერთად იგი ეწეოდა და კვლავ ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის პუშკინის სახელობისა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და სხვ. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა არა ერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ი. ანთელავას კვლევის ძირითადი საგანი საქართველოს სოციალ-ეკონომიური ისტორიის პრობლემებია. განსაკუთრებით ნაყოფიერია მისი მოღვაწეობა XIX ს. საქართველოს ისტორიაში. მან ორტომიანი მონოგრაფია მიუძღვნა სახელმწიფო გლეხთა სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობას: ამ მონოგრაფიისათვის 1971 წ. ი. ანთელავას მიენიჭა აკად. ს. ჯანაშიას სახელობის პრემია.

თავის შრომებში ი. ანთელავა აშუქებს საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისისა და განვითარების არაერთ მნიშვნელოვან საკითხს. კერძოდ, მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა საქართველოს ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევისა და ახალ ურთიერთობათა ჩასახვა-განვითარების საკითხის შესწავლაში. მან ნათელი მოჰფინა XIX საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის აღრე ბურჟუისთა მოცულ ისტორიას და ა. შ.

ი. ანთელავას უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოქვეყნდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ მრავალტომეულის V ტომი. იგი აქტიურად მონაწილეობდა ისტორიკოსთა საერთაშორისო ფორუმებში — მოსკოვსა და ვენაში, სადაც გამოვიდა მოსხენებით.

ი. ანთელავა ჩვენს წინაშე წარმოადგება, როგორც მრავალხრივ მეცნიერული ინტერესების მქონე, მასალის ღრმა მცოდნე და ერუდირებული მკვლევარი, გამოჩენილი მეცნიერი.

„მაინც“ ხარულაქციო კოლეჯია, კოლეჯები და მოწაფეები ი. ანთელავას უსურვებენ ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემდგომ წარმატებებს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობაში.

საბჭოთა და ინდოელი ანთროპოლოგების ერთობლივი გამოკვლევების შესახებ

(ინდოეთის ანთროპოლოგიური ექსპედიციის 1971 წლის კამპანია)

სადღესოდ საბჭოთა კავშირის ხალხები ანთროპოლოგიური თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ყველა სხვა ხალხებზე უკეთ არიან შესწავლილი. არ დარჩენილა, თითქმის არც ერთი, თუნდაც ძალზე მცირერიცხოვანი ხალხიც კი ამ უაღრესად მრავალეროვან ოჯახში, რომელსაც არ შეხებოდეს ანთროპოლოგის ხელი და ამიტომაც საბჭოთა მეცნიერების როლი ეთნიურ ანთროპოლოგიაში ამჟამად საყოველთაოდ არის აღიარებული. ამავე დროს, მეცნიერების, ალბათ, არც ერთ დარგს არ სჭირდება გამოკვლევების ისეთი ფართო ასპარეზი და შესაღებელი მონაცემების ისეთი შორეული პარალელები, როგორც ეთნიურ ანთროპოლოგიას. ეს იყო უპირველესი მიზეზი იმისა, რომ უამრავი საკითხი, რომელიც დააყენა საბჭოთა ანთროპოლოგიამ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ხალხების გენეზისის შესახებ, რიგი წლების განმავლობაში ამოუხსნელი, ხოლო დაპირისპირებისათვის ვარგისი, უნიფიცირებული მასალების მოპოვება, ოცნებად რჩებოდა. მხოლოდ ამ ბოლო დროს შესძლეს საბჭოთა ანთროპოლოგებმა რამდენიმე უაღრესად მნიშვნელოვანი ექსპედიციის განხორციელება საზღვარგარეთ (რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, კუბა, ავღანისტანი), რამაც საგრძნობლად გაზარდა მათი კვლევის არეალი. 1971 წელს ასრულდა კიდევ ერთი სურვილი. საბჭოთა ანთროპოლოგები, მოსახლეობის ანთროპოლოგიური შესწავლის მიზნით, მიიწვიეს ინდოეთში, რომლის ტერიტორიასაც დიდი ხანია უკავშირდება სამხრეთ ევროპეიდული რასის გენეზისისათვის კარგი ინალური მნიშვნელობის მქონე ბევრი ჰიპოთეზა; ამიტომ მიწვევა სიამოვნებით იქნა მიღებული და საბჭოთა ანთროპოლოგებმა, ინდოელ კოლეგებთან ერთად, განახორციელეს კიდევ ეს უაღრესად საინტერესო ექსპედიცია. წინამდებარე სტატია სწორედ იმას ისახავს მიზნად, რომ გაუზიაროს დაინტერესებულ მკითხველს ზოგიერთი შთაბეჭდილება ამ ექსპედიციის შესახებ.

ინდოეთი უღამაზესი ლეგენდებისა და ლეგენდარული სილამაზის ქვეყანაა, მაგრამ ამავე დროს პოლარულ უკიდურესობათა, კონ-

ტრასტულ მრავალსახეობათა და დიამეტრალურ წინააღმდეგობათა ქვეყანაც არის; ამაზე ბევრი რამ თქმულა და ბევრიც დაწერილა, მაგრამ თვით ხალხის შესახებ, ხალხის, რომელიც დღევანდელი კაცობრიობის მეექვსედს შეადგენს, ხალხის რომელმაც დიდ მოგოლთა და დიდ ბრიტანელთა მძიმე უღელი ისტორიის გრძელსა და ძნელ გზაზე ვასაოცარი მოთმინებით ატარა და ბოლოს მაინც თავისუფლებისა და აღმავლობის ნათელ გზაზე გამოვიდა — თვით ამ ხალხის წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემებში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის უცნობი და საძიებელი. ამის მიზეზი ის კი არ არის, რომ ინდოეთის მოსახლეობა დღემდე არავის უკვლევია; ათეული წლების განმავლობაში სწავლობდნენ ინგლისელი თუ გერმანელი, ფრანგი თუ ამერიკელი სპეციალისტები ინდოეთის მოსახლეობას. ფუნდამენტური გამოკვლევები უძღვენეს ინდოელების ანთროპოლოგიას გუპტამ, სეველამ, ბასუმ, რისლიემ, პერლმა, მაჰალაბონისმა, მაჯუმდარამ, რაომ, მიტრამ, ჩატარჯიმ, დსმამ, დუტამ, გუბტამ, მუკერჯიმ, მალპოტრამ და მრავალმა სხვამ. ჩვენგან უდიდესი კადნიერება იქნებოდა ამავე იმისა, რომ ჩატარებულმა კვლევამ შუქი ვერ მოპოვინა ამ უაღრესად საინტერესო ქვეყნის უძველესი, თუ თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიურ თავისებურებებს; მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ის რაც ჩვენ დღემდე ვიცოდით ინდოეთის ხალხების შესახებ, არასაკმარისი იყო იმ პრობლემების კვლევისათვის, რომლებსაც ეთნიური ანთროპოლოგია შეისწავლის და რომელთა თეორიულ და პრაქტიკულ დამუშავებაში საბჭოთა მეცნიერების გადამწყვეტი მნიშვნელობა ღდეს საყოველთაოდ არის აღიარებული. ამიტომაც გასაკვირი არ იყო რომ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივი გამოკვლევების დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, მათი ერთერთი ორგანიზატორი, ინდოელი ანთროპოლოგი პროფ. ნ. კ. დასი, თავის წერილში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის ი. გ. ბრომლის ხალხზე, ძალზე მაღალ შეფასებას აძლევდა მომავალი მუშაობის პერსპექტივებს.

თავის მხრივ, საბჭოთა მეცნიერები, აგრეთვე, ღიღ იმედებს ამყარებდნენ მომავალ გამოკვლევებზე, რასაც თვალნათლივ ადასტურებს ის დიდი მოსამზადებელი სამუშაო, რომელიც წინ უსწრებდა ექსპედიციას. მასალების შეგროვებისა და დიდი ხნით ადრე საბჭოთა მეცნიერების მიერ საგულდაგულოდ იყო შედგენილი და დეტალურად დამუშავებული სავიწრო გამოკვლევების წინასწარული გეგმა. უპირველეს ყოვლისა განისაზღვრა და დაზუსტდა ამ გამოკვლევების ზოგადი მიზნები და ამოცანები, რომლებზეც განსაზღვრეს შესასწავლი პრობლემების შესახებ მაქსიმალურად დიდი რაოდენობის, მრავალმხრივი ინფორმაციის მიღება. პროვიზორული პროგრამა ითვალისწინებდა შემდეგ მიმართულებებს:

1. ანთროპომეტრიული გამოკვლევები — თანდათან და სახის გაზომვითი და აღწერილობითი ნიშნები, 2. სხეულის მორფოლოგია — კონსტიტუციური თავისებურებები და პროპორციები, 3. სეროლოგია, 4. დერმატოგლიფიკა, 5. რენტგენოფოტომეტრია, 6. ოქსიპომეტრია, 7. ოდონტოლოგია, 8. ფერითი მკვლევება, 9. ფენოტიპიკარბამიდზე — გემოვნებითი შეგრძნების სინჯი, 10. სასქესო ქრომატინის განსაზღვრა, 11. სოციო-ეთნოგრაფიული გამოკვლევები: საცხოვრებელი პირობების, ქორწინებათა ხარისხის, კასანგენეტიკის დონის შესწავლა და სხვა, 12. ანთროპოლოგიური ფოტოგრაფირება და სხვა.

ყველა აქ ჩამოთვლილი მიმართულებისათვის დამუშავდა დეტალური პროგრამები, რომლებიც მოიცავდნენ დასახული მიზნების შესასრულად ინფორმაციის ოპტიმალურ რაოდენობას. მძიმე და რთული იყო მოსამზადებელი სამუშაო, მაგრამ მისმა მეთოდურმა სიზუსტემ და მეცნიერულმა სრულყოფამ მთლიანად აანაზღაურა მასზე გაწეული შრომა.

პროგრამის შედგენისას დაიხსია, ხოლო დასრულებისათვის დაზუსტდა ექსპედიციის შეზღვევლობაც. თავდაპირველად ექსპედიციისათვის უნდა ეხელმძღვანელა ჩინეთისა და ინდოეთის მოსახლეობის ცნობილი მკვლევარს საბჭოთა ანთროპოლოგ პროფ. ნ. ნ. ჩეზნოვსკისთვის. მისი შეუძლოდ ყოფნის გამო ექსპედიციის საერთო ხელმძღვანელობა და ანთროპოლოგიური პროგრამის შესრულება დაევალა პროფ. გ. ფ. დებეტს. სამუშაოზე, ჩვენი დროის ამ უდიდესი ანთროპოლოგის, უდროოდ გარდაცვალებამ ხელი შეუშალა ექსპედიციის განხორციელებას იმ დონეზე, რომელზედაც განზრახული ქონდა თვით გ. ფ. დებეტს. გ. ფ. დებეტის გარდაცვალების შემდეგ მის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება დაეკისრა მის უშუალო მოწაფეს მ. გ. აბდუშელიშვილს, რომელიც ექსპე-

დიციის საერთო ხელმძღვანელობასთან ერთად ანთროპომეტრულ გამოკვლევებს აწარმოებდა.

ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულ იქნა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ვლადიმერ პეტრეს ძე ვოლოკოვ-დუბროვინი, რომელსაც დაეკისრა მორფოლოგიური, ოქსიპომეტრიული და რენტგენოფოტომეტრიული პროგრამების შედგენა-განხორციელება, ხოლო სეროლოგიური პროგრამის — დაეკისრა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიკულუხო-მაცლის სახელობის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელს ა. ა. ვორონოვს. ამ პროგრამაში გარდა ძირითადი ფაქტორების გამოკვლევისა შევიდა ანომალური ჰემოგლობინებისა, ჰაპტოგლობინებისა, ტრანსფერინებისა და სისხლის შრატის სხვა ცილების განსაზღვრა. ექსპედიციის ერთ-ერთ ძირითად კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ოდონტოლოგიური პროგრამა, რომლის შესრულება მიენდო ალნიშნული ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელს ი. ს. სემაშკოს.

სოციო-ეთნოგრაფიული პროგრამა შედგენილი იქნა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ს. ა. არუთინოვის მიერ, რომელიც მას უნდა განეხორციელებინა სავიწრო პირობებში.

ზოგიერთი სხვა პროგრამების მიხედვით (რომლებიც დამუშავდა მოსკოვში) მასალების შეგროვება დაევალა ინდოელ კოლეგებს. ამრიგად საბოლოოდ დაზუსტდა ექსპედიციის მოღვაწეობის ძირითადი ამოცანები, დამუშავდა პროგრამები, ჩამოყალიბდა ექსპედიციის შემადგენლობა და განაწილდა წევრთა შორის ფუნქციები.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ენერჯია დაიხარჯა ექსპედიციის ტექნიკურ აღჭურვილობაზე, რომელიც როგორც შემდგომმა მუშაობამ ცხადყო, მეცნიერების თანამედროვე განვითარების დონეზე აღმოჩნდა.

პროვიზორული გეგმის თანახმად ექსპედიციის პრინციპულ ამოცანად უნდა დაესახა ინდოეთის თანამედროვე მოსახლეობის ყველაზე უფრო რეპრეზენტატული პოპულაციების ენოლოგიური ჯგუფების შესწავლა. პრაქტიკულად იგი 15 ჯგუფის შესწავლას ითვალისწინებდა, მათ შორის:

ჰინდუსტანელები (უმალ. და უდაბ. კასტები) 2 ჯგ.	
პანჯაბელები	" "
ბიჰარელები	" "
ბენგალელები	" "
რაჯასტანელები	" "
მარატები	" "
მუნდა	1 ჯგუფი
გონდა	1 ჯგუფი
კჰასი	1 ჯგუფი



ამ ჭკუფების შესწავლას უნდა შეექმნა ზოგადი სურათი მთლიანად ინდოეთის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური თავისებურებების შესახებ და დაესაბა მათი ეთნოგენეზური შესწავლის ახალი გზები. საველე გამოკვლევების შეუფერხებლად ჩატარებისათვის შედგა წინასწარული მარშრუტი, შესასწავლი ჭკუფებისათვის ყველაზე მეტად მიზანშეწონილი და ხელმისაწვდომი პუნქტების აღნიშვნით. 1971 წლის სექტემბერი-ოქტომბრის იორითად რეზიდენციად დასახელებულ იქნა ქ. კალკუტა, სადაც მოთავსებულია საბჭოთა ანთროპოლოგების მასპინძელი, ინდოეთის სტატისტიკური ინსტიტუტის, ძირითადი აღმინის-ტრანციული კორპუსი.

ამრიგად, საბჭოთა ანთროპოლოგების განკარგულებაში იყო როგორც თეორიული მომზადება, ისე ტექნიკური აღჭურვილობა ექსპედიციის დაუბრკოლებელი და წარმატებითი მუშაობისათვის. ცხადია, ექსპედიციას ჰქონდა თავისი ნაყოფიანი მხარებებიც, რომლებიც უმეტესად ობიექტური ხასიათისანი იყვნენ. ეს უპირველეს ყოვლისა შეეხება სეზონს: აპრილი, მაისი და, განსაკუთრებით, ივნისისა და ივლისის პაანაქება სიცხეები, მეტად მძიმეა საველე სამუშაოებისათვის, ამან თავისი დადი დასვე ექსპედიციის მუშაობას. აგრეთვე შეგროვებული მასალების ხარისხსა და რაოდენობას ჩრდილი მიაყენა იმან, რომ ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობა ვერ მიიღეს მეცნიერებათა დოქტორებმა: სოციო-ეთნოგრაფმა ს. ა. არუთინოვმა და ოდონტოლოგმა ა. ა. ზუბოვმა. სეროლოგიური გამოკვლევების დიაპაზონს ზღუდავდა ზოგიერთი შრატების უქონლობა. იყო ნაკლოვანებებიც, რომლის აღნიშვნა საჭიროდ არ მიმაჩნია.

საბჭოთა სპეციალისტების ჭკუფი პროფ. მ. ვ. აბდუშელიშვილის, უფროსი მეცნიერი მუშაების ვ. მ. ვოლკოვ-დუმბროვის, ა. ა. ვირონოვისა და ი. მ. სემაშკოს შემადგენლობით ინდოეთის დედაქალაქ დელოში ჩავიდა 1971 წლის 31 მარტს. „პალამის“ აეროდრომზე მათ შეხვდა ინდოეთის სტატისტიკური ინსტიტუტის დელის განყოფილების წარმომადგენელი ბ-ნი ჩატრჯი. საბჭოთა სტუმრები დააბინავეს საკმაოდ კომფორტაბელურ სასტუმრო „ლოთი პორტლში“, სადაც ყველა მათგანისათვის მომზადებული იყო სპეციალური ნომერი.

ექსპედიციის წევრებმა მიიღეს საფუძვლიანი კონსულტაცია საბჭოთა კავშირის საელჩოს თანამშრომლის აშხ. ვ. პ. ოქტიაბრივისაგან კალკუტასა და მის მიმდებარე ოლქებში მუშაობის შესაძლებლობის შესახებ. გამოირკვა, რომ შე-

ქმნილ სიტუაციაში არასასურველია გამოკვლევების წარმოება ბენგალაში, სადაც საბჭოთა მეცნიერებს განზრახული ჰქონდათ გამოკვლევების დაწყება. ეს გარემოება მნიშვნელოვნად ცვლიდა ექსპედიციის საველე გამოკვლევების მუშაობის გეგმებს.

31 მარტს საბჭოთა ანთროპოლოგების ჭკუფი მიიღო ინდოეთის სტატისტიკური ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ს. რ. რაო და განხილულ იქნა საკითხი საველე გამოკვლევების ჩატარების ადგილის შესახებ. ხანმოკლე მაკრამ საფუძვლიანი დისკუსიის შემდეგ გადაწყდა, რომ გამოკვლევების ძირითადი ახალი ექნება შრატა პარინა და დელის მოკავშირე ტერიტორია, ექსპედიციის ძირითადი პუნქტი კალკუტის ნაიფუდა იქნება დელი, ხოლო საკვლევი ჭკუფების შერჩევა გადაიდო ინდოეთის კოლეგების კალკუტიდან ჩამოსვლამდე.

პირველი შეხვედრა და საუბარი კალკუტიდან ჩამოსულ კოლეგებთან შედგა 1971 წლის 6 აპრილს. მასში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა დელეგაციის წევრებმა და ინდოეთის მხრივ, ინდოეთის სტატისტიკური ინსტიტუტის ფიზიკური ანთროპოლოგიისა და აღამიანის გენეტიკის განყოფილების ხელმძღვანელმა პროფ. ს. პ. დასმა და ამავე ინსტიტუტის თანამშრომელმა ქ. პუნის ანთროპოლოგიური გამოკვლევების ხელმძღვანელმა დოქტორმა კ. ს. მალპოტრამ. საბჭოთა ანთროპოლოგებმა თავის ინდოელ კოლეგებს გააცნეს ინდოეთის რეპრეზენტულა პოპულაციების ენდოგამური ჭკუფების შესწავლის თავიანთი გეგმა, ამასთანავე წარუდგინეს სრამ თხუთმეტი ჭკუფისა, რომელთა შესახებ ლაბორატი იყო ზემოთ. ამ გეგმის საფუძვლიანად გაცნობის შემდეგ ინდოელმა სპეციალისტებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებანი, რომლებსაც ინდოეთის თანამედროვე მოსახლეობის ანთროპოლოგიური გამოკვლევებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ინდოელი სპეციალისტების ძირითადი მოსაზრებები შემდეგია: ინდოეთი მრავალეროვანი ქვეყანაა რომლის შემადგენლობაში შედის ასობით ეროვნებისაგან განსხვავებული ეთნიკური, ენობრივი, ტერიტორიული და სხვა პოპულაცია პოპულაციების უდიდესი უმრავლესობა, თავის მხრივ, იყოფა ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოწულ ჭკუფებად: კასტებად, ქვეკასტებად და სხვ. ამასთანვე ამ ქვედანაყოფების რაოდენობა დიდად განსხვავებულია სხვადასხვა პოპულაციებში. საერთოა მხოლოდ თაობიდან თაობაში დაცული ენდოგამია, თუმც ეს ენდოგამიაც, საქორწინო ნორმების დაცვის თვალისრივით, განსხვავებულია სხვადასხვა ჭკუფისათვის მხრივ, საუკუნეების განმავლობაში მტ-

ედ დამუშავდა ენდოგამია ხელს უწყობს ცალკეული კასტისა თუ ქვეკასტის გენეტიკური სტრუქტურის შენარჩუნებას. ამიტომ, ეთნიკური ანთროპოლოგების მიერ მიღებული და ფართოდ გამოყენებული ანთროპოლოგიური ნიშნების ეთნო-ტერიტორიული დიფერენციაციის შესწავლა პირინონტალურ ჭრებში, ინდოეთში ჰაირგავეს საფუძველს, ვინაიდან იმისათვის, რომ წარმოდგენა შევიქმნათ რომელიმე ჯგუფების ერთ-ერთ კონკრეტულ ეთნო-ტერიტორიულ ჯგუფზე (ხოლო ასეთი ჯგუფების რაოდენობა თითოეულ ინდურ ეროვნულ ჯგუფში, მრავალი ათეული მაინც არის) საჭიროა შესწავლილ იქნას მისი არა მარტო მაღალი, საშუალო და დაბალი კასტები, არამედ საერთოდ ყველა მასში შემავალი კასტა, ქვეკასტა და ა. შ. ვინაიდან ყველა ამ კონკრეტულ ქვეჯგუფთაგანს აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ენდოგამია და ქორწინებითი კავშირების საკუთარი წრე და აქედან გამომდინარე საკუთარი გენეზისი, რომელიც სრულებით არ არის დაკავშირებული ამავე ნაციონალიზმის და ამავე ეთნო-ლინგვისტურ-ტერიტორიული ჯგუფის სხვა ქვეჯგუფებთან. ყოველივე ამის გამო საკვლევ ერთეულად ინდოეთში მიჩნეულ უნდა იქნას, არა ეთნიკური, ლინგვისტური, ან რომელიმე სხვა პოპულაცია, როგორც ეს საერთოდ არის მიღებული ეთნიკური ანთროპოლოგიაში, არამედ კასტური ან ქვეკასტური ჯგუფი ამ პოპულაციისა. ამიტომ, ინდოეთში ეთნოგენეზური გამოკვლევები უნდა წარმოებდეს ცალკეული ვერტიკალური ტრადების სახით და არა ჰორიზონტალურ სიბრტყეში, როგორც ეს მიღებულა ეთნიკური ანთროპოლოგიაში საერთოდ. ამაში მდგომარეობს ინდოეთის მოსახლეობის ეთნო-კასტური სტრუქტურის თავისებურება და ამავდროულად მდგომარეობდეს ინდოეთის ეთნოგენეზური ცვლილების თავისებურებაც.

ასეთი იყო ინდოელი სპეციალისტების მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები, რომლებსათვისაც შეუძლებელი იყო ინვარიის არ გაეწიათ. ეს მოსაზრებები საფუძველზე ცვლიდნენ ექსპლუატაციის შინაარსს. იმთავითვე ნათელი გახდა, რომ ასეთი მიდგომათი ექსპლუატაცია ვერ შეიძლება გამოყველია ინდოეთის, თუნდაც ძირითადი ჯგუფები. მაქსიმუმ რის გაკეთებასაც ექსპლუატაცია შეიძლება ეს იყო ერთი რომელიმე დიდი ჯგუფის, ყველა მასში შემავალი კასტებით, გამოკვლევა. ინდოელმა კოლეგებმა ასეთი ჯგუფად დაასახლეს ჰინდურ ენაზე მოლაპარაკებელ შტატ პარიანასა და დელის მოკავშირე ტერიტორიის მოსახლეობა.

იმის გამო, რომ მუშაობა უნდა ჩატარებულიყო საკვლევ გამოკვლევებისათვის მეტად მძიმე ცხელ სეზონში, ინდოელი კოლეგების წინა-

დადებით შესასწავლი ჯგუფების რაოდენობა შემცირდა 4-მდე. ეს იმიტომ იყო გაპირობებული, რომ ინდოელმა სპეციალისტებმა შესაძლებლად ჩათვალეს დღეში მხოლოდ 10 ობიექტის შესწავლა იმ პროგრამით, რომელიც საბჭოთა სპეციალისტებმა წარუდგინეს მათ.

გადაწყდა შესწავლილიყო, არა მარტო უკიდურესი კასტები, როგორცაა ბრაჰმანები და ჯულაპები, არამედ ყველა საშუალო კასტებიც. გამოირკვა, რომ ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი პარიანას შტატის ჯატების კასტაა, რომელიც მეორე მოსახლეობის დაახლოებით 50% შეადგენს. ამიტომ საბჭოთა სპეციალისტების წინადადებით ბრაჰმანების კასტა შეიცვალა ჯატების კასტით, მით უფრო, რომ ინდოელი კოლეგების აზრით, გაფანტულად განსახლებული ბრაჰმანების შესასწავლად საჭირო იქნებოდა გაიცლებით მეტი დრო, ვიდრე ექსპლუატაციას ჰქონდა ამ დროისათვის. გარდა ამისა, საბჭოთა სპეციალისტების მოთხოვნითვე საკვლევ ჯგუფების გეგმაში შეტანილ იქნა გუჯარების ჯგუფიც, რომელიც საკმაოდ რეპრეზენტატულია პარიანას შტატში.

ამრიგად, ინდოელ კოლეგებთან მოლაპარაკების შემდეგ, გადაწყდა 5 ჯგუფის შესწავლა: ჯატების, პირების, რაჯპუტების, ჯულაპებისა და გუჯარების, რასაც უნდა შეექმნა გარკვეული წარმოდგენა პარიანას შტატის ჰინდურ მოსახლეობის შესახებ. ცხადია, ის ფაქტი, რომ ექსპლუატაცია, ამჯერად, ვერ შეისწავლიდა ბრაჰმანების კასტას გარკვეულ დაღს ასვამდა მის მიერ შეგროვილ მასალებს, მაგრამ დროის შეზღუდულობის გამო ექსპლუატაციის წევრები იძულებულნი გახდნენ წასულიყვნენ ამ დათმობაზე და მომავლისათვის გადაეღოთ ეს ამოცანა.

ინდოეთის სტატისტიკური ინსტიტუტის საპატრიო მეურვემ პროფ. პ. ს. მაჰალანობისმა საბჭოთა ანთროპოლოგებს 6 პირილს მიღება მოუწყო. საუბარი ძირითადად შეეხებოდა საორგანიზაციო საკითხებს. მიღებას ესწრებოდნენ საბჭოთა დელეგაციის წევრები და ინდოელი სპეციალისტებიდან პროფ. პ. ს. მაჰალანობისი, პროფ. რაო, პროფ. დასი, დოქტორი პ. ჩ. მალჰატრა და აღმასრულებელი მდივანი — კ. ჩაულჰური. მიღება ძალიან გულთბილი იყო. პროფ. პ. ს. მაჰალანობისი, გულუხვად გაუმასპინძლა თავის სტუმრებს და საუბრისას ბევრი რამ საინტერესო გაიხსენა თავისი და თავისი მეუღლის ქ-ნი მაჰალანობისის ურთიერთობის შესახებ ინდოეთის საამაყო შვილთან რაბინდრანათ თაგორთან, რომლის პირადი მდივანი, რიგი წლების განმავლობაში, იყო ქ-ნი მაჰალანობისი.



უშუალოდ საველე გამოკვლევების დაწყებამდე, 25 აპრილს, საბჭოთა და ინდოელმა სპეციალისტებმა აწარმოვეს ერთობლივი საცდელი გამოკვებები, მეთოდის უნიფიცირების მიზნით. ამ გამოკვებების დროს, რომლებიც ჩატარდა პროფ. თაოს რეზიდენციაში ექსპედიციის წევრებს შემომავანენ კალკუტიდან ჩამოსული ჰემატოლოგები, დოქტორები შ. ს. დასი და ბ. ნ. მუყერჯი. იქვე გადაწყდა, რომ ექსპედიციის მუშაობაში უშუალო მონაწილეობას მიიღებდა დოქტორი მუყერჯი, ხოლო ლაბორატორიულ გამოკვლევებს, დელის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიური დეპარტამენტის ჰემატოლოგიურ ლაბორატორიაში, ჩატარებდნენ ა. ა. ვორონოვი და შ. ს. დასი, ლაბორანტების შუშმა ანანდისა და სარლა ვიშნოის მონაწილეობითა და დახმარებით. ამ ჩინებული ლაბორატორიით სარგებლობის საშუალება ექსპედიციას მისცა დელის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის დეპარტამენტის მეთაურმა პროფ. ინდრა პალ სივჰამა, რომელმაც განსაკუთრებული გულისხმობა და თავაზიანობა გამოიჩინა საბჭოთა სპეციალისტების მიმართ, როგორც უნივერსიტეტში, ისე საკუთარ რეზიდენციაში მიღების დროს. სხვათა შორის მისი მოთხოვნით ამ სტრუქტურების ავტორმა, ანთროპოლოგების გამოსაშვებ სადამოხვე, წაიკითხა სპეციალური ლექცია ეთნოლოგიის ანთროპოლოგიის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ამავე სხდომაზე ლექცია წაიკითხა აგრეთვე ცნობილმა ამერიკელმა ანთროპოლოგმა პროფ. რობერტ მილერმა სეროლოგიური გამოკვლევების მნიშვნელობის შესახებ ეთნოლოგიის ანთროპოლოგიაში. ორივე მოხსენება სტენოგრაფირებულ იქნა და დასასტამბათ გადაეცა დელის უნივერსიტეტის ბიულეტენს. სხდომის შემდეგ სტუმრებმა და მასპინძლებმა გამოსაშვებ სტუდენტ ანთროპოლოგებთან ერთად გადაიღეს სამაქსოვრო სურათი.

10 აპრილიდან საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ანთროპოლოგიური ექსპედიცია პროფესორების მ. გ. აბდუშელიშვილის, ს. კ. დასის, დოქტორების სემაშკოს, ვოლკოვ-დუბოვინის, ვირონოვის, მალპოტრას და გოშის შემადგენლობით აწყობს წინასწარულ გასვლებს იმ სოფლებში, რომელთა მოსახლეობის შესწავლა განზრახული იყო საქსპედიციო გეგმით. ამ წინასწარულ გასვლებს ჰქონდათ არა მარტო საინფორმაციო მნიშვნელობა. ყოველ კონკრეტულ პუნქტში საჭირო ხდებოდა ნათესაურ-ურთიერთდამოკიდებულებათა გამორკვევა, ვინაიდან მკაცრად დაცული ენდოგამიის გამო თვით უდიდეს სოფლებშიაც კი ძნელდებოდა ისეთი პირების გამოძებნა, რომლებიც უახლოესი ნათესავეები არ იყვნენ ერთმანეთისა.

ბუნებრივია, რომ ასეთი შერჩევა ძალზე დიდ დროს მოითხოვდა.

საველე მუშაობას ექსპედიცია შეუდგა მხოლოდ 24 აპრილს. პირველი, ექსპედიციის მიერ გამოკვლეული, ჯგუფი იყო სოფელ ნარაიანნა მცხოვრები რაჯპუტები. შესწავლილ იქნა 92 მამაკაცი 20—60 წლის ასაკისა. შესწავლა ხელახლა იმ ვარაუდით, რომ პირველ ასაკობრივ ჯგუფში, 20—24 წლამდე, შესულიყო 25% მეორეში — 25—40 წლამდე 40%, ხოლო მესამეში — 40—60 წლამდე 35% მთელი შესასწავლი კონტინენტისა.

3 მისიდან ექსპედიცია მუშაობდა სოფ. აღპურსა, ბანვანასა, პიტამპურსა და მინგალპურსაში, სადაც შესწავლილ იქნა 103 ჯატი. 8—11 მისამდე ექსპედიცია მუშაობდა სოფ. პიდარპურსა, ბადლისა, ლიბასპურსა და სამაიპურსა აქ ექსპედიციამ შეისწავლა 102 აპირი.

12—16 მისამდე ექსპედიცია ცვლევას განიცდიდა სოფ. ნარაიანნასა, სერასპურსა, კერაკალასა, სპიზაბადასა, პირკურდსა და დარინპურკალაში, სადაც შეისწავლა 101 ჯულაში.

17—22 მისამდე ექსპედიცია სწავლობდა გუჯარებს სოფ. ჯავატპურსა, შერპურსა, კეჩი-ვალნაგარსა, ჯვალისა, მოჯპურსა და გონდლანა გამოკვლეულ იქნა 100 მამაკაცი.

გარდა ზემოაღნიშნული ხუთი ჯგუფისა ექსპედიციამ სხვადასხვა სოფლებში შეისწავლა მრავალჯერ. ისინი არ შევიდნენ რაჯპუტების ჯგუფთან და ჯგუფში, მაგრამ მინცი ცალკე არიან და მუშაობდნენ, მათი შედარებითი მასალის სახის გამოყენების მიზნით. ამრიგად, საბჭოთა ექსპედიციის ინდოეთის ერთობლივმა ანთროპოლოგიურმა ექსპედიციამ 1971 წლის სეზონის განმავლობაში შეისწავლა ძირითადად ხუთი ჯგუფისულ 511 ობიექტი. ყველა ობიექტი გამოკვლეულია იმ პროგრამით, რომელიც წინასწარ დამუშავდა საბჭოთა სპეციალისტების მიერ ცალკეული პროგრამების მიხედვით შესრულდებოდა სამუშაო:

1. თავისა და სახის გამოკვლივით და აღწერა-ლობით ნიშნების ანთროპომეტრიული გამოკვლევის პროგრამა მიჰყავდა მ. გ. აბდუშელიშვილს. გამოყენებული იყო: სახის რბილი ნიშნების განსაზღვრისათვის — იარხოს მიღებები, კანის ფერისათვის — ლუშანის, ხოლო თმის ფერისათვის — ფიშერის სკალები, სახის პორიზონტალური პროფილირებისა და ყვირმალების გამოხატულებისათვის — ბუნაქისა და დეხეცის სქემები, მონაცემების ფიქსაციაში აბდუშელიშვილს სხვადასხვა დროს ეხმარებოდნენ: პროფ. ს. ა. დასი, დოქტორი გ. რ. ვირონოვი, ლაბორანტები შუშმა ანანდი, სარლა ვიშნოვი ექსპედიციის თანამშრომელი ქ-ნი მალპოტრა პროგრამა შესრულებულია მთლიანად.

ცხრილი 1

შესწავლილი ჯგუფები	რაკეტები	ჯულაქები (ჩანაჩები)	გულაქები	აპირები	ჯატები
ანთროპოლოგიური ნიშნები					
დაკვირვებათა რაოდენობა	92	101	100	102	103
1. სხეულის სიგრძე	168.02	165.31	170.00	168.93	169.16
2. თავის გრძივი დიამეტრი	195.98	191.47	193.19	192.76	192.89
3. თავის განივი დიამეტრი	143.16	139.73	141.53	141.25	143.09
4. თავის მწვენებელი	73.19	72.27	73.22	73.38	73.70
5. ყვრიმალთაშუა დიამეტრი	137.59	133.35	134.33	134.18	136.12
6. სახის მორფოლოგიური სიმაღლე	122.82	119.57	121.35	119.60	120.63
7. სახის ფიზიონომიური სიმაღლე	179.67	176.99	177.05	176.04	178.48
8. ცხვირის სიმაღლე წარბებიდან	53.07	51.95	53.96	52.24	52.83
9. ცხვირის სიგანე	38.03	37.05	36.39	37.25	36.57
10. გამოდრეკილი ცხვირის ზურგი (%)	22.83	25.74	42.00	35.29	32.04
11. ტუჩების „სისქე“	19.97	20.06	19.26	19.07	19.58
12. შუბლის დახრილობა	2.33	2.52	2.64	2.65	2.69
13. სახის კორიზონტალური პროფილირება	2.74	2.61	2.87	2.79	2.63
14. ყვრიმალეების გამობატულება	1.21	1.52	1.14	1.18	1.38
15. ცხვირის უნაგირის სიმაღლე	2.14	2.13	2.33	2.30	2.22
16. თვალის ნაპრალის სიგანე	2.06	2.08	2.03	2.15	2.09
17. თვალის ნაპრალის დახრილობა	2.14	2.33	2.15	2.08	2.24
18. ზედა ქუთუთის ნიჟი აქეთ (%)	67.78	53.47	51.00	73.53	59.22
19. თვალის ფერი	1.96	1.90	1.76	1.89	1.91
20. თმის ფერი (ქულა 11)	5.65	7.25	7.81	8.70	8.06
21. კანის ფერი	1.57	1.82	1.41	1.49	1.48
22. ნესტოების დახრილობა	2.41	2.24	2.46	2.38	2.52
23. ცხვირის ფუქე	1.52	1.74	1.90	1.77	1.84
24. ცხვირის ფრთების სიმაღლე	2.05	2.05	2.00	2.04	2.11
25. ცხვირის ფრთების ღარის გამობატულება	2.18	2.40	2.22	2.19	2.20
26. ცხვირის ფრთების გამობატულება	2.40	2.19	2.14	2.29	2.35
27. ზედა ტუჩის სიმაღლე	1.90	1.93	1.97	1.81	1.94
28. ზედა ტუჩის პროფილი	1.87	1.78	2.00	1.81	1.82
29. წვერის განვითარება	3.17	2.80	3.72	3.14	2.95
30. წარბების განვითარება	2.30	2.09	2.27	2.26	2.25
31. გულმკერდის თმოგანი საფარველი	2.55	1.46	2.56	2.31	2.02

2. სხეულის მორფოლოგია — კონსტიტუციუ-რე თავისებურებები და პროპორციები. შესწავ-ლას აწარმოებდა ვ. პ. ვოლოკო-დუბროვინი. მას ეხმარებოდნენ დოქტორი ვ. რ. ვპოში, შუშ-მა ანანდი, სარა ვიწნიო და ქ-ნი მალპოტრა; პროგრამა შესრულებულია მილიანად.

3. სეროლოგია. ექსპლდისციის ფართო ჰემა-ტოლოგიური პროგრამა გეგმის მიხედვით გან-სორციელდა ერთობლივად, საბჭოთა სპეცია-ლისტებიდან მონაწილეობდა ა. ა. ვორონოვი, ინდიელი სპეციალისტებიდან ს. დასი და მ. მუკერჯი. მათ ეხმარებოდა ლაბორანტი შ. ანანდი. სეროლოგიური გამოკვლევებისათ-ვის ძირითადად გამოყენებული იყო საბჭოთა სპეციალისტების მიერ წამოღებული ლაბორა-ტორული მოწყობილობა. შრატების უდიდესი რაოდენობა აგრეთვე საბჭოთა კავშირიდან იყო წამოტანილი. სისხლის ჯგუფები შესწავლბო-და ABO, MN, რეზუს, ლუის და P სისტემების

მიხედვით. მუშაობისას ხდებოდა ამ ხუთი სე-როლოგიური სისტემის 12 ანტიგენის განსაზღ-ვრა. ამგვარად გამოკვლეულ იქნა 511 ობიექტი და დაიდგა ექვსი ათასზე მეტი სეროლოგიური რეაქცია. ვარდა ამის განისაზღვრებოდა ჰაპ-ტოგლობინის ძირითადი ტიპები ელექტროფო-რეზის გზით.

4. დერმატოგლოფია. ამ პროგრამის შესრუ-ლება წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე ევალბოდა ინდიელ სპეციალისტებს. ექსპლდი-ციის დასაწყისში დოქტორმა პ. ჩ. მალპოტრამ დაიწყო მასალის შეგროვება. შემდეგში კვლე-ვა ამ მიმართულებით გაუკვეცილი მიზნის გამო შეწყდა და მიუხედავად იმისა, რომ ექს-პლდისციის ხელმძღვანელმა რამდენჯერმე მოა-გონა მას ამის შესახებ, მუშაობა არ განახლე-ბულა. მხოლოდ საეელ სამუშაოების დასრუ-ლების შემდეგ პ. ჩ. მალპოტრამ აღუთქვა მ. გ. აბდუშელაშვილს, რომ ჩაატარებდა სპეციალ-



რად ამ სამუშაოს აგვისტოს თვეში, რაც დარღვევა იქნება მაინც ექსპედიციის ძირითადი პრინციპისა, ენაიდან, ამ შემთხვევაში, გამოირიცხულია შესაძლებლობა ერთიდაიგივე პიროვნების სრული პროგრამით გამოკვლევისა. ამრიგად, პროგრამა არ შესრულდა.

5. ხელის მტევნის რენტგენოფოტომეტრია. კვლევას აწარმოებდა ვ. პ. ვოლკოვ-დუბროვინი. რენტგენოფოტოგრაფირებულ იქნა ყოველ ჯგუფში საკვლევ ობიექტთა 40%. ფოტომეტრიული გამოკვლევები სწარმოებს მოსკოვში — ლაბორატორიულ პირობებში. პროგრამა შესრულებულია მთლიანად.

6. ოქსიჰემომეტრია. ამ პროგრამასაც ასრულებდა ვ. პ. ვოლკოვ-დუბროვინი. შეისწავლენბოდა იგივე 40% ყოველ ჯგუფში. პროგრამა შესრულებულია მთლიანად.

7. ოდონტოლოგია. მასალას აგროვებდა ი. მ. სემაშკო. დაკვირვება წარმოებდა 12—20 წლის ახალგაზრდებზე. ყოველ ჯგუფში შეისწავლენბოდა 100 ობიექტი. პროგრამა შესრულებულია მთლიანად.

8. ფერთი სიბრძავე. მასალას აგროვებდა ინდოელი ანთროპოლოგი ბ. ნ. მუკერჯი. შეფასება სწარმოებდა იშხნარას ცხრილების მიხედვით. პროგრამა შესრულებულია მთლიანად.

9. გემონებითი შებრძანების სინჯი ფენილტიოკარბამიდზე. თავდაპირველად ეს პროგრამა უნდა შესრულებინა საბჭოთა სპეციალისტებს, მაგრამ განაწილების დროს მისი შესრულება იკისრეს ინდოელმა კოლეგებმა, რომლის შესრულება მიენდო დოქტორ მუკერჯის. სამუშაოროდ მან ვერ შესძლო მისი შესრულება, მაგრამ ინდოელმა კოლეგებმა ის შესარულეს მოგვიანებით, მე-4 პროგრამასთან ერთად.

10. სასქესო ქრომატინის განსაზღვრა არ მომხდარა, რადგან ეს პროგრამა მოსკოვში იქნა უარყოფილი.

11. სოციო-ეთნოგრაფიული გამოკვლევები: საცხოვრებელი პირობების, ქორწინებათა ნორმების, კასანგენურობის დონის შესწავლა და სხვ. თავდაპირველად მასალის შეგროვება დაეკავალა პროგრამის შემდგენელს დოქტორ ს. ა. არუთინოვს, რადგან მას ექსპედიციაში მონაწილეობა არ მიუღია, ამიტომ მისი შესრულება დაეკავალა ი. მ. სემაშკოს, მაგრამ ვინაიდან სემაშკო თავისი ძირითადი სამუშაოებით იყო გადატვირთული, ამიტომ მან პროგრამის შესრულება მხოლოდ ნაწილობრივ შესძლო, სახელობრ, გამოიკვლია რაჭუბტებისა და ჯატების ათი ოჯახი.

12. ანთროპოლოგიური ფოტოგრაფირება. ამ პროგრამის შესრულება მიენდო ინდოელ კოლეგებს, მაგრამ ექსპედიციის დასრულებამდე

ვერ მოხერხდა სპეციალისტის მოწვევა. ანთროპოლოგიური ტიპების ფოტოგრაფირებას აწარმოებდა დოქტორი ვ. რ. გკოში. სამუშაოების დასრულებისას მან გადასცა ექსპედიციის ხელმძღვანელს ერთი ნაწილი ჩინებული ფოტოგრაფებისა და დაჰპირდა დანარჩენების გამოგზავნასაც.

ამრიგად, ექსპედიციამ 24 აპრილიდან 22 მაისამდე შეაგროვა შემდეგი მასალა: 511 ანთროპოლოგური ბლანკი თავისა და სახის ანაზომებითა და აღწერილობით, 511 მორფოლოგიური ბლანკი სხეულის ანაზომებითა და აღწერილობებით, 511 ობიექტის სეროლოგიური გამოკვლევის შედეგები, ხელის მტევნის 200 რენტგენოგრაფია, ოქსიჰემომეტრიული გამოკვლევების 200 შედეგი, 500 ოდონტოლოგიური ანაზომები, 500 შედეგი ფერთი სიბრძავეზე, 10 ოჯახის სოციო-ეთნოგრაფიული გამოკვლევის შედეგები და 60 ობიექტის ანთროპოლოგიური ფოტოტიპი სამ ხედში. ყველა ეს მასალა აქვამად, როგორც საბჭოთა, ისე ინდოელი სპეციალისტების განკარგულებაშია. დაიწყო მათი ლაბორატორიული ანალიზი და ზოგიერთი რამ ცნობილიც გახდა.

ანთროპომეტრული მონაცემები, რომლის შეგროვება პირადად ამ სტრიქონების ავტორის უშუალო ამოცანას შეადგენდა, ამჟამად მთლიანად დამუშავებულია ვარიაციული სტატისტიკის მეთოდით. ცალკეულად ყველა ჩანდისათვის გამოანგარიშებულია ინდექსები და თითოეული ნიშნის საშუალო სიდიდე, კვლარაბული გადახრა, კორელაციის კოეფიციენტი და სხვანი. ამ გამოანგარიშებათა საფუძველზე შედგენილია შემაჯამებელი ცხრილები, რომლებიც ძალზე შემოკლებული სახით თან ერთვის სტატისს. ეს მონაცემები საფუძველს იძლევიან მივცეთ ზოგადი დახასიათება, ჩვენ მიერ, ინდოეთში შესწავილლ ხუთ ჯგუფს (ჩვენ მიერვე შედგენილი მასშტაბი ზოგად-კავკასიური, რაც შემდგომში მოგვეცემს კავკასიური და ინდური ჯგუფების შედარებით ანთროპოლოგური დახასიათების საშუალებას).

1. რაჭუბტები. სხეულის სიგრძე საშუალო, თავის გრძივი დიამეტრი ძალიან დიდი, კანივი ძალიან მკირე, თავის მაჩვენებელი ძალიან დაბალი, სახე ვიწრო და დაბალი, ცხორი დაბალი და ფართო, ტუჩები სქელი, თმზე თვლები და კანი მუქი ფერის, თმოვანი საფრეველი ზომიერად ვანეთარებული, ყვრილალები დახვეწილი, ცხვირი სწორი, ცხვირის ფრთხები მკვეთრად გამოხატული, ზედა ტუჩი ზომიერი სიმაღლისა და ორტოქილური, ქვედა ტუჩი სქელი.

2. ჯულაჰები. სხეულის სიგრძე საშუალოზე მკირე, თავის გრძივი დიამეტრი ძალიან

დიდი, განივი ძალზე მცირე, თავის მაჩვენებელი ძალიან დაბალი, სახე დაბალი და ვიწრო, ცხვირი დაბალი და ფართო, ტუჩები სქელი, პიგმენტაცია მუქი, თმოვანი საფარველი, როგორც სახეზე ისე სხეულზე, მცირედ განვითარებული, ცხვირის: უნაგირი ზომიერი სიმალის, პროფილი სწორი, ფრთები მკვეთრად გამოხატული.

3. გუჭარბი. სხეულის სიგრძე დიდი, თავის გრძივი დიამეტრი ძალზე დიდი, განივი ძალზე მცირე, თავის მაჩვენებელი ძალზე დაბალი, სახე ვიწრო და დაბალი, ცხვირი დაბალი და საშუალო სივანის, ზედა ტუჩი დაბალი, თვით ტუჩები სქელი, პიგმენტაცია მუქი, თმოვანი საფარველი ზომიერად განვითარებული, სახე მკვეთრად პროფილირებული, ყვრიმალეები დახეწილი, ცხვირი: უნაგირი ზომიერი სიმალის, ვერტიკალურ პროფილში გამოდრეკილი, ფრთები ზომიერად გამოხატული.

4. აპირები. სხეულის სიგრძე დიდი, თავის გრძივი დიამეტრი ძალიან დიდი, განივი ძალიან მცირე, თავის მაჩვენებელი ძალიან დაბალი, სახე ვიწრო და დაბალი, ცხვირი დაბალი და ფართო, ტუჩები სქელი, პიგმენტაცია მუქი, თმოვანი საფარველი ზომიერად განვითარებული, ყვრიმალეები დახეწილი, ცხვირი უნაგირი ზომიერი სიმალის, თვით ცხვირი: ვერტიკალურ პროექციაში ზომიერად გამოდრეკილი, ცხვირის ფრთები მკვეთრად გამოხატული, ტუჩები ოდნავ პროექციული.

5. ჭაბები. სხეულის სიგრძე დიდი, თავის გრძივი დიამეტრი ძალიან დიდი, განივი ძალიან მცირე, თავის მაჩვენებელი ძალიან დაბალი, სახე დაბალი და ვიწრო, ცხვირი დაბალი და ზომიერად ვიწრო, პიგმენტაცია მუქი, თმოვანი საფარველი მცირედ განვითარებული, სახე ზომიერად პროფილირებული, ყვრიმალეები დახეწილი, ცხვირის: უნაგირი ზომიერი სიმალის, ვერტიკალური პროფილი სწორი, წვეტი და ფუჭე პორიზონტალური, ან ოდნავ ზეაწეული, ფრთები მკვეთრად გამოხატული, ზედა ტუჩის პროფილი ორტოქიდიური, თვით ტუჩები სქელი.

ეს ზოგადი დახასიათება უკვე გვაძლევს საშუალებას გამოვიტანოთ დასკვნა, რომელსაც ჩვენის აზრით, გარკვეული მნიშვნელობა აქვს ანა მარტო შესწავლილი ჩვეულების ადგილის განსაზღვრისათვის, არამედ ინდივიდის თანაბრობე მოსახლეობის შემდგომი კვლევისათვისაც. დასკვნა შეეხება შესწავლილ ჩვეულებს შორის მეტისმეტად მცირე განსხვავებას ან, ამ შემთხვევაში, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, შესწავლილი ჩვეულების დიდ მსგავსებას. ზემოთქმულიდან გარკვევით ჩანს, რომ ყველა ეს ჩვეულება ხასიათდება მკვეთრად მაღიფერენციურ-

ბელი რასობრივ-დაგანოსტიკური ნიშნების, თითქმის, ერთდროულად კომპლექსით; ყველა მათგანს ახასიათებს: მაღალი ტანი (ჭულაპების გამოკლებით), თავის ძალზე დიდი გრძივი და ხალზე მცირე განივი დიამეტრები, აქედან გამომდინარე მკვეთრად გამოხატული დოლიქოკეფალია, ძალიან დაბალი და ვიწრო სახე, ძალიან დაბალი და ფართო ცხვირი, სქელი ტუჩები, მუქი პიგმენტაცია, ზომიერად გამოდრეკილი ცხვირი და მკვეთრად გამოხატული ცხვირის ფრთები. ცხადია, ამ ზოგად დახასიათებას მხოლოდ შეფარდებითი ხასიათი აქვს და განსაზღვრავს შესწავლილი ჩვეულების ადგილს ინდონეზიისა და ავსტრალიის რაიონების, უფრო ზუსტად ამ რაიონის ინდო-პამირული განსტოების, ფარგლებში; მაგრამ ამ რასობრივ კატეგორიაში შემავალი ტიპების ვარიაციაში, ჩვენ მიერ შესწავლილი ჩვეულებები ურთიერთ შორის არ ამკლავებენ რაიმე გარკვეულ განსხვავებას. ეს დასკვნა კი თავისთავად კითხვის ქვეშ აყენებს ინდოელი თოვლების მიერ შემოთავაზებულ მოდუსის იმის შესახებ, რომ ინდოეთის ტერიტორიული ჩვეულების კვლევა აუცილებელია ყველა ცალკეულ ტერიტორიულ ჩვეულებაში შემავალი კასტური, ქვეკასტური და სხვა ჩვეულების შესწავლით. ჩვენთვის ჭრჭერობით ძნელია კატეგორიულად თქმა იმისა, თუ რისი შედეგია, ჩვენ მიერ, შესწავლილი ჩვეულების მსგავსება: ნათი ერთიანი ეთნოგენეზისა თუ მათი შემდგომი შერევისა. ასეა თუ ისე, ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ არ მოგვცა საფუძველი გვემტკიცებინა ინდოეთის ანთროპოლოგიურ კვლევაში ყველა კასტების შესწავლის აუცილებლობა, პირიქით, საწინააღმდეგო შეხედულებებისათვის თითქმის მეტი გვაქვს საფუძველი; მაგრამ არ უნდა დაგვაიწყუდეს, რომ არ შეიძლება ერთი რეგიონის შესწავლის საფუძველზე მიღებული ამ დასკვნის განზოგადება. ამიტომაც, ჩვენის აზრით, უფრო მართებული იქნება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ცალკე განისაზღვროს შესასწავლი ჩვეულების, ქვედანაყოფების (კასტების, ქვეკასტების) რაოდენობის საკითხი; ეს საკითხი კვლევის წინაპირობა კი არა, კვლევის საგანი უნდა იყოს მუდამ. ჩვენის აზრით, ინდოეთის ეთნოური ანთროპოლოგიისადმი მხოლოდ ასეთ მიდგომას შეუძლია დაგვეხმაროს მომავალი ანთროპოლოგიური გამოკვლევების, შესასწავლად შესაძლებელი და მეტნაკლებად ამომწურავი, გვემის შედეგაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეხედულება ემყარება ჭრჭერობით მხოლოდ ერთი (ანთროპომეტრული) პროგრამის, და ისიც პროვიზორულად, ანალიზს. ჩვენს განკარგულებაში ჭრჭერობით არ არის სხვა პროგრამების (სეროლოგიური, ოდონტოლოგიური, გენეტიკური, მორ-

ფოლოგიური და სოციოლოგიური) ანალიზის შედეგები; მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს ეს შედეგები, ჩვენ მიერ მიღებულ დასკვნას ეთნიური ანთროპოლოგიისათვის მაინც ექნება ვადამწყვეტი მნიშვნელობა.

ორიოდ სიტყვა ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ერთობლივი ანთროპოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალების მეცნიერული მნიშვნელობის შესახებ: უპირველეს ყოვლისა, ეს მასალები იძლევიან საშუალებას შევადგინო ერთიადივე ეთნო-ტერიტორიული ჯგუფის ცალკეულ კასტებს შორის არსებული მკვავება-განსხვავება. გაირკვეს შესწავლილი ჯგუფების ადგილი ზოგად რასობრივ სისტემატიკაში. ჯატებისა და გუჯარების ახალი საკონექსიო ჯგუფების შესწავლამ დასახა საბჭოთა სპეციალისტების მიერ სხვადასხვა დროს შეგროვილი ჯგუფების ურთიერთ დაპირისპირების შესაძლებლობა. მეორე მხრით, შესაძლებელი გახდა ამ მასალების, საბჭოთა ანთროპოლოგების მიერ ავღანისტანსა, შუა აზიასა და კავკასიაში შეგროვილ მასალებთან დაპირისპირება. ამის საშუალებას იძლევიან პროფ. გ. ე. დებეცისა და ამ სტრუქტურის ავტორის მიერ შეგროვილი ურთიერთუნიფიცირებული მასალები. და ბოლოს, იგივე მონაცემები იძლევიან საშუალებას დამუშავდეს თეორიული საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, ეთნოგენეზური პრობლემების კვლევისას, ანთროპომეტრული მონაცემები სეროლოგიურ, მორფოლოგიურ, გენეტიკურ, სოციოლოგიურ და სხვა მონაცემებს.

შეგროვილი მასალების ანალიზი და შემდგომი კვლევა მომავლის საქმეა. ჩვენ კი, ამჟამად, კიდევ ორიოდ სიტყვა დავჯრჩა, ინდოეთის ანთროპოლოგიური ექსპედიციის შესახებ, სათქმელი. საველე სამუშაოები დასრულდა 22 მაისს. ინდოეთიდან გამოგზავრებამდე საბჭოთა და ინდოელი სპეციალისტები კიდევ რამდენიმეჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და განიხილეს შეგროვილი მასალების პუბლიკაციისა და მომავალი ერთობლივი მუშაობის პერსპექტივები. ვადაწყდა, რომ ცალკეული თემების ანალიზსა და ტექსტს მოამზადებენ სპეციალისტები, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს მასალების შეგროვებაში. შემდგომში ამ თემებს რედაქტირებას გაუეთებენ წამყვანი საბჭოთა და ინდოელი სპეციალისტები და განაზოგადებენ მათ დასკვნით ნაწილში. ეს კრებული, რომლის ავტორიც იქნება საბჭოთა და ინდოელი ანთროპოლოგების კოლექტივი, გამოიცემა საბჭოთა კავშირში რუსულ ენაზე, ვაშლილი ინგლისური რეზიუმის დართვით, ხოლო ინდოეთში, ინგლისურ ენაზე რუსული რეზიუმით. ეს გეგმა მოწონებულ იქნა, როგორც

საბჭოთა ისე ინდოელი სპეციალისტების მიერ.

ბოლო საუბარი მილიანად მიეძღვნა მომავალ ერთობლივ გამოკვლევათა პერსპექტივების განხილვას. ინდოელმა კოლეგებმა ერთობლივ გამოკვლევათა ვაგარქლებისათვის დაასახლეს 1972 წლის ბოლო. ექსპედიციის წევრები შეთანხმდნენ იმაზე, რომ გამოკვლევები იმეე პროგრამით იწარმოებს. შესწავლის ობიექტებად, დასახულია ყველაზე უფრო რეპრეზენტატული ჯგუფების ძირითადი კასტები. მომავალი სექსპედიციო სამუშაოების ტორითად პირობებად დაისახა: ექსპედიციის უფრო ხანგრძლივი ვადა (4—5 თვე), საველე სამუშაოებისათვის უფრო გრილი სეზონი (ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი), შრატების ვაცილებით მეტი რაოდენობა, ექსპედიციის შემადგენლობაში მაღალი კვალიფიკაციის მქონე სოციოლოგისა, ფოტოგრაფისა და ტექნიკური თანამშრომლების ჩართვა და სხვა. ამით საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივმა ანთროპოლოგიურმა ექსპედიციამ დასრულა თავისი მოღვაწეობა დელში. კიდევ ორიოდ დღე, გამოსათხოვარი ბაქეტი დღის ფუნეზებელურ რესტორან „მოთჰი-მალში“, გელთილი და გულდასაწყვეტი დამშვიდობება ინდოელ კოლეგებთან და ... სამშობლოში გამობგზავრება.

უკან დარჩა მძიმე, მაგრამ უაღრესად საინტერესო ექსპედიციის დაუეწყარი დღეები. წმ ექსპედიციის მიერ შეკრებილი პირველხარისხოვანი მასალების ლაბორატორიული დამუშავება და ანალიზი, ანალიზი, რომელსაც უმე შეუდგენენ ექსპედიციის წევრები: კალკუტა და დელში, პუნსა და მადრასში, მოსკოვსა და თბილისში.

ჯერ მეცნიერული დასკვნების გამოტანა ნაარეგია, მაგრამ ინდოეთ-საბჭოთა კავშირის ერთობლივმა ანთროპოლოგიურმა ექსპედიციამ უსათუოდ შესასრულა თავისი საერთაშორისო დანიშნულება: მან სარგებლობა მოუტანა როგორც ინდოელ, ისე საბჭოთა კოლეგებს, როგორც საველე-სექსპედიციო მუშაობის მოცდილების გაზიარების საქმეში, ისე შეკრებილ მასალათა ანალიზისა და ინტერპრეტაციის მეთოდოლოგიის საფუძვლების ძიებაში. ამას ემდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგად ანთროპოლოგიისათვის, რომ თუნდაც მხოლოდ ამდ ღირდა ინდოეთის ექსპედიციაზე დახარჯული დრო და ენერჯია. ხოლო თუ ამას ინდოელ და საბჭოთა კოლეგებს შორის დაპირებულ დასდაუდებელ, მეგობრულ ურთიერთობასაც დავუმატებთ, ალბათ, ნათელი გახდება, არა მარტო ამ ექსპედიციის, არამედ მსოფსი ერთობლივი ექსპედიციების მნიშვნელობის სერიოზული.

მალხაზ აბდუშელიშვილი

რამის ისტორიულ-გეოგრაფიული მახასიათებლის მოკლე ანბარი

1971 წლის ავგუსტო-სექტემბერში რაჭაში შემოხდა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საისტორიო გეოგრაფიის განყოფილების ექსპედიცია¹, რომელმაც მიმოიხილა ზემო რაჭა².

ექსპედიცია თავდაპირველად ღებს ეწვია. ეს სოფელი პირველად, 1490—1503 წწ. დათარიღებულ, ბაღს ზემო სვანეთისა და ჯაფარიძეთა სასახლო საქმის წიგნში გვხვდება, სადაც მოხსენიებულია „ჰიდროთას ზედაით, და გლოლას ზედაით, სუანეთს იქით, ოსეთს აქათი, სრულად მითუღეთა ოთხასი კუამლი აზნაურ-შვილიანად, გლეხიანად“³, რომელიც „სრულიად სვანეთის ქუეყანამ“ (გვიანდელი ტერმინოლოგიით „თავისუფალმა სვანეთმა“) ჯაფარიძეთა სისხლში გადაიხადა.

აქვე ჩამოთვლილია ის სოფლები, რომლებიც მითუღეთში შედიოდა: „ხიდურას ოცი გლეხი, ერთი კარგი ციხე, ორი მონასტერი: ერთი დიდი გუმბათიანი მთავარანგელოზთ მონასტერი... მეორე წმიდის გიორგის საჯანის დიდი სიონი მონასტერი... წინამძღუარს ოცი კუამლი კაცი და დგანაზს რვა კუამლი კაცი... ციხე და სოფელი ბრილი, ოცდაოთხი კუამლი კაცი, ერთი ეკლესია... თევარემოს თექუსმეტი კუამლი კაცი და ციხე სხუა, და არიშიძე ლომი მისი ციხითა, ორმოცი კუამლით კაცითა... ზედ — ქალაქსა კარგი საბატიო გუმბათიანი საყდარი ჯუარცმისა საფთხსკობოზო... ასის კუამლით კაცითა... და ღებს ორი აზნაურშივილი გეგაშვილები მისით ციხითა და სამოცდა თორმეტი კუამლით კაცითა... შოღას წმიდის გიორგის ეკლესია და სოფელი, ოცდახუთი კუამლი კაცი და ციხე... ჩუეშოს ციხე და შვიდი გლეხი, ჭიორას ციხე და სოფელი, თექუსმეტი კუამლი გლეხი. ბუბას კარგი ეკლესია, ციხე და სოფელი... ოცდახუთი გლეხი. სხუა ღების შესავალი სოფლები. ჯუმალად ოთხასი კუამლი კაცი. სამი საშვეარდნე სხუა, ყოველის დღის სააღუროები საჭიჭვე, ზოფახითო, კირტიშო, ვედნ, გილიონა, რიონის სათავე, სხუა სანადიროები არჩუისა“⁴.

სოფლები ღები, ჭიორა, შუეშო დღესაც არსებობს, ხოლო ბრილი და თევარეში (ღღეს მას თევარეში ეწოდება) რამდენიმე ათეული წე-

ლია რაც მოსახლეობამ მიატოვა. ზედქალაქი ვრცელი ადგილის სახელწოდებაა ღებში. სოფელი შოღა დღეს აღარაა. ამ სახელწოდების ნასოფლარს მოსახლეობა მიუთითებს შოღის მთის ძირში, შოდრულას ხეობაში. აქვეა ეკლესიის ნანგრევები.

ეფენი დღეს მცინვარისა და მისი მიდამოების სახელწოდებაა რიონის სათავეში. ასევე მცინვარების სახელწოდებაა ზოფახითო (ღღეს მას ზოფხითო ეწოდება) ზოფხითულისა და კირტიშო, ჩეშურას სათავეებში. დაუდგენელია მხოლოდ გილიონის მდებარეობა.

სოფელი ბუბა, მდინარი ჰანჯახის წყლის შენაკად, ბუბის წყლის ხეობაში მდებარეობდა. ერთი გადმოცემის თანახმად, რომელიც გლოლაში ჩაიწერეთ, ბუბაში (ღღეს მთის სახელწოდება) მოსახლეობა ბევრად უფრო ადრე იყო ვიდრე საყოფიერე ვალოლაში. ეს სოფელი უნახავს აღმაშენებელს, ძალზე მოსწონებია და ეკლესიის აგება უბრძანებია, რომლისთვისაც ბუბის ჯვარი უწოდებიათ. კურორტ შოვიდან კილომეტრნახევრის დაშორებით ბუბის წყალსა და ილინეს წყალგამყოფ ქედზე დგას ბუზის ეკლესია, რომელიც შირიმისა და თლილი ჭვისაგან ნაგებ ბრტყელ აბსიდიან ნაგებობას წარმოადგენს. მისგან ასიორე მეტრის დაშორებით შემორჩენილია რამდენიმე შენობის ნაშთი. სოფელი ბუბა ამ ეკლესიის მიდამოებშია საგულისხმებელი.

სოფელი ხიდურის ლოკალიზაცია ექსპედიციამ ვერ მოახერხა. დღეს სვანეთს და რაჭას შორის საზღვარი მდინარეების ცხენისწყლისა და რიონის წყალგამყოფ ქედზე გადის. ამიტომ გამოთქმა „სუანეთს იქით“ თითქოს გეაგულისხმებინებს, რომ ეს სოფელი რიონის ხეობაში, მის სათავეებშია საძიებელი. სინამდვილეში „მითუღეთი“ ცხენისწყლის სათავეებსაც მოიცავდა. ამას კარგად მოწმობს ზემოთ მითითებული სიგელის ერთი ადგილი: „აწ მოგუისხენებია გლოლას ზედათ, ცენას იქით, ოსეთს აქათ, სრულად მითუღეთის თემი“⁵. ხუთჯერსიან რუკაზე სათავეში მოცემულია ცხენისწყლის მეორე სახელწოდებაც ხიდურა, რაც მოწმობს, რომ ამ სახელწოდების სოფელი ცხენისწყლის სათავეშია საძიებელი.

1 ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ თ. ბერაძე (ხელმძღვანელი), ლ. მარგველაშვილი (არქიტექტორი), თ. დედანაშვილი (მხატვარი) და ლ. კიკაბიძე (ფოტოგრაფი).
2 ჩვეულებრივ ზემო რაჭა ეწოდება რაჭას ხიდისკარის ვიწროების ზევით. თანამედროვე აღმინისტრაციული დაყოფით იგი თითქმის მთლიანად შედის ონის რაიონში.
3 ბ. ი. გ. ო. რ. ყ. ე. სვანეთის საისტორიო ძეგლები, II, თბ., 1941, გვ. 34.
4 იქვე, გვ. 32—33.
5 იქვე, გვ. 33.



ბალს ზემო სვანეთისა და ჭავჭავიძეთა სასისხლო სიგელში „მითუღეთის“ ყველა სოფელი არაა ჩამოთვლილი. აქ მოსახლეობის რაოდენობა „ჯემლად ოთხასი კუამლი კაციცა“, ხოლო სოფლების მიხედვით 390 კომლამდეა მოცემული. დარჩენილი მოსახლეობა „სხუა ღების შესავალ“ პატარა სოფლებში ცხოვრობდა. ერთ-ერთი ასეთი უნდა ყოფილიყო გონა, მცირე სოფელი ჩემურას ხეობაში.

ამრიგად რაჭის „მითუღეთი“ მოიცავდა რიონის ხეობას სათავედან იმ ვიწროებამდე, რომელიც სოფელ ჭიორას შემდეგ იწყება. მასში შემოდიოდა მდინარე ცხენისწყლის სათავე და ერთი სოფელი ჭანჭახის ხეობაში — ბუბა. (იხ. ნახ. 1).

ღებსა და მის მეზობელ სოფლებში მატერიალური კულტურის ძეგლები მცირედაა შემორჩენილი. ბრილი არის ციხის და მთავარანგელოზის ეკლესიის ნანგრევები. ღების ქვემოთ, რიონის მარჯვენა ნაპირას, ადგილზე, რომელსაც მოსახლეობა არიშიძეების ნამოსახლარს უწოდებს, შემორჩენილია ციხის ნანგრევები. საყუთრივ ღებში, კერძოდ პატარა ღებში, დგას ორსართულიანი კოშკი, რომელსაც მოსახლეობა „დგა დვთისას“ უწოდებს. სახელწოდების შეუსაბამოა სულ ადვილად იხსენება: კოშკის გვერდით გასული საუკუნის მიწურულამდე იდგა დვთისმშობლის სახელობის ეკლესია და მისი დანგრევის შემდეგ ეკლესიის სახელწოდება და ფუნქციონალური დანიშნულება ნაწილობრივ (კოშკი დღეს სამლოცველოს ჩრლს ასრულებს) ძველ თავდაცვითი ხასიათის ნაგებობაზე გადავიდა.

სოფელ გონაში ჩემურას მარჯვენა ნაპირზე დგას მთავარანგელოზის ეკლესია. იგი გასული საუკუნის მეორე ნახევარშია გადაკეთებული. ეკლესია დარბაზული ტიპისაა, ბრტყელი აფსიდით. ბრტყელაფსიდიანი ეკლესიები სპეციალურ ლიტერატურაში აღრეფეოდალური ხანით თარიღდება. შესაბამისად გონის მთავარანგელოზისა და ბუბის ეკლესიებიც ამ ხანას განეკუთვნებიან. ასევე ადრეფეოდალური ხანისაა ბრტყელაფსიდიანი ეკლესიები წიღისში, შეუბანსა და სორში.

სოფელ ღებში ფეოდალურ ხანაში რამდენიმე მნიშვნელოვანი მაგისტრალი იყრიდა თავს. ერთი გზა უშუალოდ რიონის ხეობას მიუყვება და მდინარის სათავის ახლოს გორბოლოში ორად იყოფა. ერთი გზა კვლავინდებურად რიონს მიჰყვება, შემდეგ გადალახავს ფასის მთის,

ანუ გეზივცევის უღელტეხილს და ჩერქეთის ხეობაში, ბალყარეთში გადადის. მეორე გზა დასავლეთისაკენ უხვევს, ვაის წვერის უღელტეხილით გადალახავს რიონ-ცხენისწყლის წყალგამყოფ ქედს და ცხენისწყლის სათავეში, ე. წ. ლაფურში გადადის. ლაფურიდან ერთი გზა ცხენისწყალს დაუყვება და ქვემო სვანეთის ჩრდილო მხაზში ეშვება, მეორე მაგისტრალი ჩრდილოეთით მიემართება და კავკასიონის მთაგორ ქედს. მაჩხაფარის, ანუ შავრიციის უღელტეხილით გადაივლის და ჩერქეთის ხეობაში ეშვება. ფასის მთაზე და მაჩხაფარზე მიმავალი გზები ბალყარეთში შთვილაში იყრიან თავს. რაჭიდან ბალყარეთში ფასის მთით უფრო მოკლე მანძილია, მაგრამ რაჭველები ჩვეულებრივ მახაფარის უღელტეხილს იყენებდნენ, რადგან უსუქანასენელი შედარებით ადვილი გადასალახვია და საქონლის გადმოყვანაც თავისუფლად ზებრდება. ბალყარელები იჭარით იღებდნენ დებელთა სამოვრებს რიონის სათავეში და იქ მაჩხაფარის უღელტეხილზე გადმორკელ ცხვარს ამოვებდნენ.

ღებიდან დიგორში ორი გზა მიემართებოდა. ერთი მდინარე ჩემურას აუყვებოდა, გადაივლიდა კირტიშოს, ანუ ღებივცევის უღელტეხილს და ურუხის ხეობაში ეშვებოდა. მეორე მდინარე ნოწარას მიუყვებოდა გადალახავდა ჭიორის მთის, ანუ გურზივცევის გადასასვლელს და ურუხის შენაკად კარაგომის ხეობაში ეშვებოდა. ეს უსუქანასენელ გზა უფრო მოხერხებულად ითვლებოდა.

ღებიდან მგზავრი დვალეთშიც მოხვდებოდა გზა ჭერ ნოწარას ხეობას მიუყვება, შემდეგ ჩინჩხვას მთასთან გადალახავდა რიონისა და ჭანჭახის წყლის წყალგამყოფ ქედს და ბუბას ტყისთავის მთებში მამისონის უღელტეხილს აღწევდა.

მამისონის უღელტეხილით დვალეთში მიმავალი მთავარი მაგისტრალი, ისევე როგორც დღეს, ჭანჭახის ხეობას მიუყვებოდა. ამ გზის დაცვას ემსახურებოდა ის ციხე, რომელიც გლოლაში დგას — ბოყის წყლისა და ჭანჭახის წყლის შესართავში.

მამისონის უღელტეხილისაკენ ბილიკები მიემართება სოფელ გომიდან გომრულას ხეობის და ღარის ხეობიდან.

სოფლების ღარისა და გომის მცხოვრებლები დვალეთში ჩვეულებრივ ღარის ხეობით მიემგზავრებოდნენ, ვალახაზდნენ ქვებს უღელტეხილს (რუკაზე მას ავეშიღზი ბირზინე


⁶ П. Уварова, Рача, материалы по археологии Кавказа, М., 1894, გვ. 111.

⁷ იქვე, გვ. 116.

⁸ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 161.



სურ. 1. „ურუმის“ ციხის შემორჩენილი კოშკის კედლის ფრაგმენტი.



ეწოდება) და მამისონის უღელტეხილიდან მომავალ ფეხის გზაზე ოსურ სოფელ ქალაქში გადიოდნენ.

უწერის ზემოთ, რიონის ვიწროებში ვახუშტი ბაგრატიონი ასახელებს ჭიკოტას მცირე ციხეს. „რათა ვერ ვიდოდნენ მთის კაცნი თუნიერ მის ციხისა რაჟას“⁹. დღეს ეს ციხე მთიანულ დაწვრთულია როგორც მისი ერთი აღწერილობიდან ჩანს, იგი წარმოადგენდა საყარაულს კოშკს, რომლის ქვემოთ გზა გადიოდა¹⁰.

სოფელ უწერის მახლობლად, ექსპედიციამ მოკვლია კიდევ ერთი ციხის ნაშთი. იგი მდებარეობს სოფლიდან შვიდი კილომეტრის დაშორებით. გზა მიუყვება რიონის შენაკად მურჩხანას ხეობას. ციხეს მოსახლეობა ურუმის ციხეს უწოდებს. იგი დგას მურჩხანს და შაფჩალას წყალგამყოფ ქედზე. შესასვლელი აღმოსავლეთის მხრიდან უნდა ჰქონოდა რადგან აქ კლდეკარია გაჭრილი. ნაგებობა ძალზე დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ ერთი კოშკის ძირი. იგი კვადრატული ყოფილა ნაგებობა დიდი ქვებით დღეობზე (იხ. სურათი 1) კოშკის ახლოს რაღაც ნაგებობათა ნანგრევებია. ციხეს დიდი ტერიტორია ეკავა თავის დროზე. ციხისკენ მიმავალ გზაზე დაახლოებით სამასი მეტრის მანძილზე დიდი ქვები ყრია, ისეთი როგორც კოშკის მშენებლობაშია გამოყენებულნი, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ქვები გზაზე ციხის კედლის გადმოქცევის შემდეგ აღმოჩნდა. სამასი მეტრის დაშორებით წყაროა. ციხის ახლოს ერთ ადგილს ნამარხი ეწოდება.

ციხე ადრეფეოდალური ხანის უნდა იყოს. მისი დანიშნულება იყო ლეზიდან მომავალი გზის დაცვა, რომელიც ღების შემდეგ გამოივლიდა შოლა-შოდის წევრს — შავკარავას — ბუნელესს — დედოფლის წყაროს — ლეკნარის ჭელს — ჩინჭრუანს — კეფხას — სამბროლისს და ჩაივლიდა რა ურუმის ციხესთან, მურჩხანას ხეობით უწერაში უერთდებოდა მთავარ გზას. ღებიდან ბილიკები მიემართება აგრეთვე სოფელ ძეგლევასა და საკაურას ხეობაში.

სოფელ ლავანთაში, იქ სადაც საკაურა რიონს უერთდება არის ციხის ნანგრევები. იგი დგას გორაკზე, რომელიც ხელოვნური ყელითაა გამოყოფილი. შემორჩენილია ციხის კედლის ფრაგმენტები და ერთი კოშკის ნანგრევები. წყარო თითქმის თარაზულია. ციხე ნაგებია დიბრონი თილილი ქვებით.

ვახუშტი ბაგრატიონი რიონის ხეობაში, ძეგლევის ზევით ასახელებს საქორიას ხევს: „ამ ხევის შესართავთან, რიონის კედელზედ, არს ციხე მაგარი ფრიალს“¹⁰.

საქორია დღეს კლდეებს ეწოდება საკაურას შესართავიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ძეგლევის ზემოთ, იქ სადაც ოფორნას ხევი რიონს უერთდება. აქ რაიმე ნანგრევები არ შეიმჩნევა. ვახუშტის რუკათა მეორე ატლასში იმ რუკებზე, სადაც რაჟაა მოცემული, კარგად ჩანს რომ ვახუშტი ბაგრატიონს ძეგლევის მდგომარეობა არაზუსტად აქვს მოცემული. მდინარეს, რომელიც ვახუშტისეული საქორიას ხევი უნდა იყოს, წარწერა არა აქვს. მასზე სულ სამი პუნქტია აღნიშნული: სათავეში ლავანთა, შემდეგ ნაბათი და შესართავში საქორია, სადაც ციხეა აღნიშნული. ლავანთა ეს ის სოფელია, სადაც საკაურა რიონს უერთდება და ციხეც დგას. უნდა ვიფიქროთ, ვახუშტის საქორიას ხევი იგივე საკაურაა, ხოლო ციხე — დავანთაში მდგარი ნაგებობა. სახელოვანი გეოგრაფის შეცდომა საკაურა და საქორია სახელთა მსგავსებას უნდა გამოეწვიოს.

საკაურის ხეობაში მდებარე სოფელ ხიდაშლებიდან ერთი გზა მდინარის სათავედან ლუხუნის ხეობაში გადადის და იქედან კი, ქვემო სვანეთში. ასევე ლუხუნის ხეობით შეიძლება ქვემო სვანეთში გადასვლა სოფ. ჭალიდან (მდინარე ჭალის ხეობა) და გადამშინად (მდ. სონტარულას ხეობა).

ონთან რიონს მდინარე ჭეჭორა უერთდება მისი ხეობის დიდი ნაწილი ზემო რაჟაში შემოდის, ხოლო ჭეჭორის ზემო წელსა და მის შენაკადებში მდებარეობდა კულარო. რაჟიდან კულაროში რამდენიმე გზა მიემართებოდა. ერთი მათგანი წყლდისად გადადიოდა სოფელ ჩასაგალში, მეორე როგორც დღეს — ირიდან იწუნებოდა.

სოფელ ირიდან ზემო იმერეთშიც მიემართებოდა გზა. იგი გადავილია ყვირილასა და ჭეჭორას წყალგამყოფ ქედს, ჩადიოდა სოფელ თედელეთში და აქედან მდინარე ყვირილას მიუყვებოდა.

ზემო რაჟიდან იმერეთში რამდენიმე გზა მიემართება. ერთი მათგანი ლესორას გადავილია (იმ ადგილს, სადაც დღეს ბარტის მადარობებია) და სოფელ პერევაში ჩადიოდა. ლესორაში შემორჩენილია დარბაზული ტიპის მონრდული ეკლესიის ნანგრევები. მის ახლოს ჩრდილო დასავლეთით ორი სწორკუთხა ნაგებობის ნაშთია ეკლესიას და ნაგებობებს ვარს გალავანი ჰქონდა შემოვლებული.

ლესორაზე სოფელ ჩორდიდან შეიძლება ამოსვლა ჩორდელის ხეობით და ბაჩიხევიდან ჩიროლას ხეობით.

⁹ М. Соколов, Мое путешествие в Имеретию. М., 1876, зв. 24.

¹⁰ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ვვ. 160—161.



ზემო რაჭის მოსახლეობა ამ გადასასვლელს თითქმის არ იყენებდა. იმერეთში მგზავრობა ძირითადად შქმერიდან, ან კიდევ მრავალძალიდან ხდებოდა.

ონიდან გზა ხიზონის — ქორთას გავლით, აღწევდა შქმერში. საერთოდ ქორთიდან გადიოდნენ შქმერში, ჭეჯორის ხეობის სოფლებიდან (მახიხვიდან მოკლე გზა იყო ფოცხვერების მთის გადავლით). მდინარე ხეორის ხეობის მოსახლეობა შქმერში სოფელ ბოყვის გავლით დადიოდა. სოფლების სევის, ფარახეთის, ჭიბრევის, შარდომეთის მცხოვრებლებისათვის უფრო მოსახერხებელი იყო იმერეთში მრავალძალის გავლით წასვლა, თუმცა დიდი თოვლის შემთხვევაში მათაც შქმერის გავლით უხდებოდათ გამგზავრება.

იმერეთში კიდევ ერთი გზა მიემართებოდა ბარულას ხეობის გავლით. მას ძირითადად სოფლები ზემო ბარი და ქვემო ბარი იყენებდნენ.

გზა ონიდან ქვემო რაჭაში რიონის ხეობას მიუყვებოდა. მდინარეს მარცხენა ნაპირს.

კომანდელთან ჭეჯორაზე ხიდი იყო. შემდეგ გზა გაივლიდა ველეთოსს, ზუდალს, სევას, ფარახეთს და შარდომეთს. აქ რიონზე ხიდი იყო და გზა სორში გადიოდა, აქედან კი ხილისკარისკენ მიემართებოდა.

ფარახეთში ამ გზას ერთი შტო ეყოფოდა რომელიც ჭიბრევის გავლით ზემო ბარში მიემართებოდა.

რაჭის ტოპონიმია ისტ. მეცნ. კანდიდატ ლ. ფრუიძეს აქვს შეგროვებული. ექსპედიციამ ბონად ისახავდა გარკვეულად შეეცო ეს მასალა. მოხერხდა ორი ძველი სოფლის მდებარეობის დადგენა. მხედველობაში გვაქვს გიულდნ-შტელტთან მოცემული არტვანა და მეტრევი. არტვანი სოფელ ღარის ერთი უბნის სახელწოდებაა დღეს, ხოლო მეტრევი ვრცელ ადგილს ჰქვია სოფელ ჭარონეთში.

რაჭის ისტორიულ-გეოგრაფიულმა ექსპედიციამ ორმოცდაათზე მეტი ციხე, ეკლესია და სხვა ძველი ნაგებობა აღრიცხა.

თამაზ ბერაძე

გელათის სახალხო აკადემია

XII საუკუნის დამდეგს დავით აღმაშენებლის ინიციატივით საქართველოში დაარსდა უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება — გელათის აკადემია. ამით საფუძველი ჩაეყარა იმ დიდ მწიგნობრულ საქმიანობას, რომელიც ინტენსიურად მიმდინარეობდა საქართველოში XII—XV საუკუნეებში. გვიანფეოდალური ხანის დასაწყისში გელათის აკადემიამ შეწყვიტა არსებობა, მაგრამ მან წარუშლელი კვალი დატოვა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დიდი ყურადღება მიექცა კულტურის ძეგლთა დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმეს, დაიწყო გელათის არქიტექტურული ანსამბლის აღდგენა-რესტავრაცია. გელათის აკადემიის მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლა ქართველ მეცნიერთა კვლევა-ძიების საგნადაა ქცეული. ამ სამამულიშვილო საქმეში გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია ფართო საზოგადოებრიობას. ამიტომ, საესებით კანონზომიერად დაისვა საკითხი გელათის აკადემიის კულტურულ-მეცნიერული მემკვიდრეობის ყოველმხრივ შესწავლასა და მის პოპულარიზაციაში ჩვენი ქვეყნის წარსულთა დაინტერესებული საზოგადოებრიობის მონაწილეობის შესახებ. ქუთაისის აკად.

ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ინიციატივით, საქართველოს კ პუთაისის საქალაქო კომიტეტისა და ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მხარდაჭერით, დაარსდა გელათის სახალხო აკადემია. იგი შეიქმნა ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმთან, რომლის ფილიალად ითვლება გელათის ძველმუზეუმში. აკადემიის დამფუძნებლები არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კულტურის სამინისტრო და საზოგადოება „ნოდინს“ გამგეობა.

სახალხო აკადემია მუშაობს დამფუძნებელი ორგანიზაციების მიერ დამტკიცებული დებულებებით, მას აქვს საერთო პროგრამა და სამუშაო გეგმა. სწავლების ვადა სამი წელია.

გელათის სახალხო აკადემიის შექმნით საფუძველი ჩაეყარა პერსპექტიულ საზოგადოებრივ ორგანიზაციას. მიგნებულია მუზეუმის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან და ფართო საზოგადოებრიობასთან კავშირის დამყარების ახალი, საუკეთესო ფორმა.

გელათის სახალხო აკადემია არის საზოგადოებრივ საწყისებზე არსებული სამეცნიერო-სასწავლო ორგანიზაცია. მისი ძირითადი ამოცანაა: 1. ყოველმხრივ გააშუქოს საქართველოში

ლს უძველესი სამეცნიერო დაწესებულებას, გელათის აკადემიის ისტორია, შეიწავლოს მისი მდიდარი კულტურულ-მეცნიერული მემკვიდრეობა, გვიჩვენოს ის წვლილი, რაც შეიტანა აკადემიამ საქაღმარეო კულტურის საგანძურში. 2. დაეხმაროს საზოგადოებრიობას მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მონაპოვართა გაცნობის საქმეში.

დასახული მიზნების განსახორციელებლად გელათის სახალხო აკადემია თავის მუშაობაში იყენებს სასესიო და სალექციო სისტემას. მის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობენ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეები. სალექციო მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა იმ დისციპლინებს, რომლებიც გელათის აკადემიაში ისწავლებოდა. დადასტურებულია, რომ გელათის აკადემიაში იკითხებოდა შვიდი თავისუფალი საგანი: გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ასტრონომია და ფილოსოფია. ამის შესაბამისად გელათის სახალხო აკადემიაში სამი სექცია მუშაობს: საზოგადოებრივ მეცნიერებათა, მათემატიკის და ბუნებისმეტყველებისა. ლექციური მუშაობა ისე არის მიმართული, რომ მსმენელებს გაეაცნოთ მეცნიერების, ტექნიკისა და ხელოვნების უკანასკნელი მიღწევები.

დებულების მიხედვით, გელათის სახალხო აკადემიის მსმენელთა შემადგენლობა კომპლექტდება საწარმოების, კულტურულ-საგანმანათლებლო, სასწავლო დაწესებულებებისა და შემოქმედებითი ორგანიზაციების მოწინავე მუშაკებისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისის საზოგადოებრიობამ თავიდანვე დიდი ინტერესი გამოიჩინა ამ საქმისადმი. აკადემიის მსმენელთა კონტინენტი დამფუძნებელი კრების ჩატარების დღეიდან დაყომაბლექტდა. ამჟამად იგი ხუთას კაცს აღემატება. მსურველთა რაოდენობა თანდათან იზრდება.

გელათის აკადემიის უმაღლეს ორგანოდ ითვლება აკადემიის საერთო კრება, ხოლო მის მუშაობას ხელმძღვანელობს სახალხო აკადემიის სამეცნიერო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის მოღვაწენი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები. საბჭოს დადგენილებებს ახორციელებს და სამეცნიერო საბჭოს სხდომიდან სხდომამდე სახალხო აკადემიის მუშაობას წარმართავს პრეზიდიუმი შეიდი კაცის შემადგენლობით. სახალხო აკადემიის სათავეში დგას რექტორი. გელათის სახალხო აკადემიის პირველ რექტორად არჩეულია თვალსაჩინო ქართველ მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი.

აკადემიის ყოველი მეცადინეობა მაღალ აკადემიურ დონეზე ტარდება და მნიშვნელოვან კვლავ ტოვებს ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. გელათის აკადემიის ნაყოფიერი მუშაობის მაჩვენებელი იყო ის დიდი ინტერესი, რაც გამოიწვია სასწავლო წლის პირველ ნახევარში წაითხულმა მოხსენებებმა. აქ უწინ არეს ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ აკად. ს. ყაუხჩიშვილის მოხსენება — „გელათის აკადემია — XII საუკუნის საქართველოს კულტურის ცენტრი“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ვ. ბერიძის — „ძველი ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლის პრობლემები“ და პოეტ-აკადემიკოს ი. აბაშიძის — „შობა რუსთაველის შესახებ“.

გელათის სახალხო აკადემიის ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამეცნიერო სესიას, რომელიც 1971 წ. 16 ნოემბერს ჩატარდა აკადემიის სააქტო დარბაზში. სესიის მონაწილეებმა მოისმინეს აკადემიის რექტორის აკად. ს. ყაუხჩიშვილის მოხსენება „გელათის სახალხო აკადემიის სასწავლო პროგრამის შესახებ“. ამის შემდეგ წაითხულ იქნა სამეცნიერო მოხსენებები: აკად. შ. ამირანაშვილისა — „გელათის მონაპოვები“ და პროფ. ო. ლორთქიფანიძისა „ძველი კოლხური ცივილიზაციის შესახებ“.

გელათის სახალხო აკადემიის სამუშაო გეგმის შესაბამისად სამეცნიერო თემები დაამუშავეს პროფესორებმა: დ. ბრეგვაძემ და ლ. სანიკიძემ, დოცენტებმა ვ. მჭედლიძემ, მ. ნიკოლეიშვილმა და სხვებმა.

გელათის სახალხო აკადემია სულ ერთი წელია რაც არსებობს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ წაითხული მოხსენებების მაღალ თეორიულ დონეს და იმ დიდ ინტერესს, რასაც ჩვენი საზოგადოებრიობა იჩენს ამ ახალი საქმიანობისადმი, უნდა დავასკვნათ, რომ საზოგადოებრივი სწავლებისა და სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის ამ ფორმამ საყვარელითა თავენი დანიშნულა. აკადემიის ხელმძღვანელობა ვარაუდობს კიდევ უფრო მრავალფეროვანი, ნაყოფიერი და მიმზიდველი გახადოს მუშაობა და ახალი ძალები მიიზიდოს სალექციო თუ სამეცნიერო მუშაობაში ჩასაბმელად. იმედია, უძველესი ქართული სამეცნიერო კერის ნაფუძარზე შექმნილი გელათის სახალხო აკადემია დასძლევს მის მუშაობაში არსებულ ცალკეულ ხარვეზებს და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩვენი ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

დომენტი ქორიძე

მიმდინარე წლის 15 ივლისს გარდაიცვალა აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, სკკპ წევრი 1932 წლიდან, დომენტი ლეონტის ძე ქორიძე.

დ. ქორიძე იყო ქართველ არქეოლოგთა იმ საშუალო თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელმაც წარმატებით გააგრძელა საქართველოში მეცნიერების ამ დარგის ფუძემდებელთა მიერ წამოყენებული საქმე და დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის მდიდარი არქეოლოგიური მემკვიდრეობის გამოვლენასა და მეცნიერულ გააზრებაში.

დ. ქორიძე დაიბადა 1910 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფ. ნაბელავში, დარიბი გუგუხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება სოფლად მიიღო, ხოლო შემდეგ სწავლობდა თბილისში, უნივერსიტეტის მუშუყავში. 1936—1941 წლებში მან გაიარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სრულ კურსი. ჯერ კიდევ სტუდენტობისას, პროფ. გ. ნიორაძის რეკომენდაციით ის მიღებულ იქნა მეცნ. თანამშრომლად საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში, სადაც მუშაობდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იმ დროის გამოკლებით, როცა, სამამულო ომის დაწყებიდან მის დამთავრებამდე, იბრძოდა საბჭოთა არმიის რიგებში.

არქეოლოგიაში დახელოვნება დ. ქორიძემ დაიწყო გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით; ამავე დროს ის მონაწილეობდა ოცდაათიანი წლებიდან ფართოდ გავლილ საველე-არქეოლოგიურ სამუშაოებში, კერძოდ, მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში, რომელიც არაერთი ქართველი სპეციალისტისათვის ნამდვილ სკოლად იქცა.

მისი პირველი დამოუკიდებელი კვლევა დავაშირებული იყო თბილისის არქეოლოგიურ

ძეგლების გამოვლენასა და შესწავლასთან. იგი ერთი მხრივ, გულმოდგინედ აგროვებდა უამრავ და მრავალმხრივ არქეოლოგიურ მასალას, რომელიც სისტემატურად ჩნდებოდა ქალაქის ტერიტორიაზე, მეორე მხრივ, აწარმოებდა მზანდასახულ და ნაყოფიერ მუშაობას თბილისის ზოგიერთ გარეუბანში

(ღრმადლე, ნავთლული და სხვ.) დაწყებულ ახალმშენებლობასთან დაკავშირებით, სადაც მის მიერ შეგნებული იყო საინტერესო ყორღანული სამაროვანი და გაითხარა ბევრი ცალკეული ორმოსამარხი; მღდარი სამარხეული ინვენტარით, რომლებიც გვიან ბრინჯაოს სხვადასხვა ეტაპს განეკუთვნება. აქ მოპოვებული და პროფ. გ. ნიორაძის მიერ, ჯერ კიდევ 1930 წელს შეგროვილი მრავალიცხოვანი დიდუბის მასალები დაედო საფუძვლად დ. ქორიძის ორტომიან მონოგრაფიას — „თბილისის არქეოლოგიური ძეგლები“ (პირველი წიგნი გამოვიდა 1955 წელს, მეორე — 1959 წ.) და მრავალ სტატიას.

დ. ქორიძის ზემოდასახელებულ ნაშრომებში განხილული მასალები დროის საკმაოდ დიდ მონაკვეთს მოიცავს. აღრებრინჯაოს ხანიდან (ენეოლითიდან, როგორც მაშინ მიანხდათ) დაწყებული გვიანბრინჯაოს ხანის ჩათვლით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დ. ქორიძე იყო ერთი პირველი მეცნიერი, რომელიც დიდუბის მონაოვარზე დაყრდნობითა და დიდი შესაძარბელები მასალის გათვალისწინებით შეეცადა მოეცა ძველი საქართველოსა და კავკასიის ბრინჯაოს და კავკასიის ბრინჯაოს ადრეულ ეტაპის ზუსტი პერიოდიზაცია, ამის საფუძველზე დ. ქორიძემ აღნიშნული ეპოქის აბსოლუტური თარიღი განსაზღვრა ძვ. წ. IV ათასწლეულითა და III ათასწლეულის პირველ ნახევრით (წინააღმდეგ ადრე მიღებული თარიღისა ძვ. წ. III—II ათასწლეულის დასაწყისი), რაც შემდეგში დადასტურდა.



ნაშრომში დეტალურად არის განხილული აგრეთვე გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალები, განსაზღვრულია მათი თავისებურებანი და ადგილი არსებულ კულტურებში.

გარდა ამისა, ანტიკური ხანის მრავალრიცხოვანი მასალების გათვალისწინებამ საშუალება მისცა დ. ქორიძეს ერთმანეთისაგან გამოყო აღრეანტიკური კომპლექსები ელენისტური და გვიანანტიკური დროის კომპლექსებისაგან და მოეცა თითოეულის დეტალური აღწერა-დახასიათება.

ამრიგად, თბილისის ტერიტორიიდან მომდინარე დიდძალი ფაქტობრივი მასალის საფუძველიანად შესწავლამ დ. ქორიძეს საშუალება მისცა დედაქალაქობის წინა პერიოდის თბილისის ათვისების მეტ-ნაკლებად სრული სურათი მოეცა.

დ. ქორიძის სამეცნიერო მოღვაწეობის მეორე პერიოდს მჭიდროდ უკავშირდება საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას, კერძოდ ბრინჯაოს ეპოქის კოლხური კულტურის შესწავლას. ამ საკითხების კვლევის შედეგია მისი ორი მონოგრაფია: „მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები“ („სახეზე“, 1961) და „კოლხური კულტურის ისტორიისათვის“ (1965); ამავე საკითხებს მიუძღვნა რამდენიმე სტატია.

აღნიშნულ ნაშრომებში დ. ქორიძის მიერ განალიზებულია დიდძალი არქეოლოგიური მასალა, რომელიც წარმოადგენს კოლხი ტომების კულტურულ მემკვიდრეობას, შექმნილს გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანაში. მრავალრიცხოვანი მასალის ანალიზის საფუძველზე იგი დამაჩერებლად აღგენს გვიანი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის კოლხური კულტურის პერიოდიზაციას: პირველი ეტაპი — ძვ. წ. XIV—XIII სს. მეორე ეტაპი XII—X სს. და მესამე ეტაპი — IX—VII სს.

თითოეული ამ ეტაპისათვის დამახასიათებელი მატერიალური თუ სულიერი კულტურის ძეგლები კონკრეტული განხილვის საფუძველზე ერთიანი კოლხური კულტურის შიგნით დ. ქორიძეს გამოყოფილი აქვს ლოკალური ვარიანტები. მის ნაშრომებში დიდი ყურადღება აქვს გათმობილი, აგრეთვე, კოლხური, ყოზანური, აღმოსავლურ-ქართული თუ სხვა კულტურათა

კავშირებისა და ურთიერთგავლენების კითხვებს.

უკანასკნელ ხანებამდე კოლხეთის დაბლობის ნაშოსახლარები თითქმის შეუსწავლელი იყო. დ. ქორიძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც დაიწყო მათი გათხრა. რამდენიმე წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელობით ითხრებოდა სოფ. ნოსიისის მახლობლად, მდ. ტეხურას მარცხენა ნაპირზე მდებარე ერთ-ერთი ასეთი ნაშოსახლართაგანი, რომლის კულტურული ფენები იძლევა მრავალსაუკუნოვანი კოლხური კულტურის უწყვეტი ავტოხტონური განვითარების მასალებს შუა ბრინჯაოდან ადრერკინის ხანის ჩათვლით. ყველაფერი ეს შესანიშნავად არის გადმოცემული ამ გათხრების მეცნიერულ ანგარიშებში და მონოგრაფიაში, რომელიც მას გამზადებული ჰქონდა გამოსაქვეყნებლად.

ბევრი შრომა და ენერჯია შეაღია დ. ქორიძემ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძველი ნაქალაქარის ურბნისის შესწავლას. მრავალი წლის განმავლობაში ის ხელმძღვანელობდა ურბნისის გვიან-ბრინჯაო-ანტიკური ხანის სამაროვნების გათხრას. აქ მოპოვებული მასალების შესწავლას მიუძღვნა ორი მონოგრაფია, რომელთა გამოქვეყნება მან, სამწუხაროდ, ვერ მოასწრო.

დ. ქორიძე იყო, აგრეთვე, მცოდნე და დიდად გამოცდილი სამუზეუმო მუშაკი. ოცდაათი წლის მანძილზე ის დაუღალავად მუშაობდა სამუზეუმო ფონდებზე, ექსპოზიციების მოწყობაზე, მუხრვალე მონაწილეობას იღებდა მუზეუმის ყოველდღიურ ცხოვრებაში. წლების განმავლობაში ეწეოდა აქტიურ პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობას. დ. ქორიძე დაჯილდოვებული იყო მაღალი ადამიანური და მოქალაქეობრივი თვისებებით, იყო თავმდაბალი და გულისხმიერი ამხანაგი.

დ. ქორიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი მეცნიერების განვითარებაში; ის გარდაიცვალა მაშინ, როდესაც იმყოფებოდა სრულ მეცნიერულ სიმწიფეში და თავდადებით მუშაობდა აქტუალურ სამეცნიერო პრობლემებზე. მისი ხსოვნა, როგორც მეცნიერისა და ადამიანისა, წარუშლელი დარჩება კოლხეგებსა და ამხანაგებს შორის.

თამარ მამალაძე

ქართული მუსიკალური ფოლკლორის მკვლევართა რიგებს გამოაკლდა შესანიშნავი მოქალაქე და მეცნიერი — ივ. ჭავჭავიძელის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი თამარ სამსონის ასული მამალაძე. თავისი შეგნებული ცხოვრების შემოქმედებითი ენერგიით სავსე წლები მან ქართული ხალხური მუსიკის მეცნიერული შესწავლის საქმეს შესწირა.

თ. ს. მამალაძე დაიბადა ქ. თბილისში 1908 წელს. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ 1933 წლიდან იგი მუშაობდა ჯერ მუსიკის მასწავლებლად, შემდეგ მუსიკალურ გადამცემთა რედაქტორად საქართველოს რადიოკომიტეტში და უფრო გვიან, ფოლკლორის განყოფილების გამგედ საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლში. 1950 წლიდან გარდაცვალებამდე თ. მამალაძე მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჭავჭავიძელის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში მეცნიერ თანამშრომლად. 22 წლის მანძილზე იგი მთელი მონდომებით ემსახურებოდა საყვარელ საქმეს. მან დატოვა ქართული მუსიკალური ფოლკლორის არსებით საკითხებზე რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი. თ. მამალაძე იყო შესანიშნავი სავსე მუსიკა. მას ჩაწერილი აქვს ქართული ხალხური სიმღერების სხვადასხვა ჟანრის ათასამდე ნიმუში, რომელთაგან ბევრი მანამდე უცნობი და დიდი მეცნიერული ღირებულებისაა. ათასი ნიმუშის ველზე ჩაწერა — არ არის ცოტა, თუ გავითვალისწინებთ იმ სირთულეს, რაც მუსიკალური ფოლკლორის და განსაკუთრებით, მრავალმანი მუსიკალური კულტურის შესწავლას მკვლევარს ხედება ველზე. აქ საჭიროა ღრმა შინაგანი კულტურა, ფაქიზი, გულისხმიერი მიდგომა მთხრობლისა და შემსრუბლისადმი, რაც საქმის და საკითხის ცოდნასთან ერთად უნდა გააჩნდეს მკვლევარს. თავის სველე მუშაობაში თ. მამალაძე ხელმძღვანელობდა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის მეთოდით — კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით. ამანაც განაპირობა მისი წარმატება ქართული ხალხური ყოფის ბოვლენის — მუსიკალური ფოლკლორის შესწავლის საქმეში.



თ. მამალაძის დამსახურებაც არის ის, რომ საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებას დღეს მოეპოვება შესანიშნავი ფონოარქივი, სადაც ინახეს ქართული მუსიკალური ფოლკლორის გამოჩენილ მკვლევართა მიერ ფირი-

გრაფის ლილვაციებსა თუ მაგნიტოფონის ფიზიკური ჩაწერილი მასალა.

თამარ მამალაძე გარდა სავსე შემკრებლობითი მუშაობისა, რომელსაც იგი დიდი ცნობიანებით ეწეოდა, ბევრს მუშაობდა მოპოვებულ მასალის კამერალურ დამუშავებაზე. მამალაძე რამდენიმე სამეცნიერო შრომის ავტორია. მისი კვლევის სფეროში შემოდიოდა ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების არსებითი საკითხები. იგი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ქართული მუსიკალური ფოლკლორის ერთ-ერთი უძველესი ჟანრით — შრომის სიმღერებით. ამ საკითხს შეაქვდა მან თავისი მონოგრაფია „შრომის სიმღერები კახეთში“ (თბ., 1963), რომელმაც მის ავტორს ხელოვნებისმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო სტრუქტურის მოუპოვა. ამ ნაშრომით თ. მამალაძე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული მუსიკალური ფოლკლორის აღნიშნული ჟანრის

ველეის საქმეში. მისი კვლევის სფეროში შე-
 მოდიოდა აგრეთვე ქართული საწესო სიმღე-
 რები. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღე-
 ბოა ნაწრომი, რომელიც მან სიმღერებს —
 „კონას“ და „ივენანას“ მიუძღვნა.

თ. მამალაძის ნაწრომები არ არის „მკლემ“,
 დაფუძნებული მუსიკალური ტექსტის მშრალ
 ანალიზზე. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა
 ეთნოგრაფიულ მონაცემებს. კერძოდ, გარკვეულ
 კართან დაკავშირებით საქმოდ დაწვრილებით
 აღწერდა იმ გარემოს, რომელშიც სრულდება
 ეს თუ ის სიმღერა. ამითაა ხორცშესხმული
 ყველი სიმღერის მუსიკალური და ტექსტუა-
 ლური ანალიზი, რაც მთლიან კომპლექსში წარ-
 მადგენს ხალხურ მუსიკალურ ყოფას.

თ. მამალაძემ უკანასკნელ წლებში ხელი
 მოკიდა საქართველოს ცალკეული მუსიკალუ-
 რი დიალექტების შესწავლას. მან შეისწავლა
 სვანური, იმერული, გურული, აჭარული მუსი-
 კალური დიალექტების ზოგიერთი თავისებუ-
 რება, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტი აღარ დას-
 ცალდა. უკანასკნელი აღმოჩნდა მისი გასვლა

ველზე გასული წლის ზაფხულში ერწო-თია-
 ნეთში. მიუხედავად მძიმე, უკურნებელი სენი-
 სა, საქმის დიდი სიყვარულითა და გატაცებით
 მუშაობდა ახალი მასალების მოსაპოვებლად.

ქ-ნი თამარი აქტიურ მონაწილეობას იღებდა
 სამეცნიერო სესიებისა და კონფერენციების
 მუშაობაში. იგი კარგად ათავსებდა სამეცნიერო
 მუშაობასთან საზოგადოებრივ საქმიანობას. კი-
 თხულობდა საჯარო ლექციებს ქართულ მუსი-
 კაზე. სამამულო ომის წლებში სამხედრო ნაწი-
 ლებში ლექცია-კონცერტების ორგანიზაციისა
 და საშეფო მუშაობისათვის იგი დაჯილდოებუ-
 ლი იყო მედლებით.

თამარ მამალაძემ დაგვიტოვა შესანიშნავი
 მასალები, რომელთა დამუშავება და გამოქვეყ-
 ნება მომავალი თაობის პირდაპირი მოვალეობაა.

წავიდა ჩვენგან ქალბატონი თამარი — გუ-
 ლისხმიერი ადამიანი, კარგი მოქალაქე, კეთილ-
 სინდისიერი მეცნიერი, რომელმაც თავისი სი-
 ტყვა თქვა ქართულ მუსიკათმცოდნეობაში.

მანანა შილაკაძე



რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, № 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.VII.72; შუკვ. № 1070; ანაწკობის ზომა 7×11¹/₂;
ქაღალდის ზომა 7×108¹/₁₆; ნაბეჭდი თაბანი 19,25; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბანი 18,25; უე 01038; ტირაჟი 1500.
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

Handwritten signature



ფანო 1 მან.

Индекс 76 197